საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თამარ ჯაფარიძე

სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში

სპეციალობა – 07.00.03
მსოფლიო ისტორია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

ხელმძღვანელი გიორგი სანიკიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი
2006

სარჩევი

შესავალი.

თავი I. ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი 1993-99 წლებში და მისი შედეგები.

1. მადრიდის კონფერენცია.
2. ოსლოს შეთანხმება. პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაცია.
3. რეაქცია ოსლოს შეთანხმებასა და პრინციპების დეკლარაციაზე.
4. სამშვიდობო პროცესი 1994-99 წლებში და მისი შედეგები.

თავი II პალესტინის ავტონომიის შექმნა.

1. პალესტინის სახელმწიფოებრიობის სათავეებთან.
2. პალესტინის ავტონომიის შექმნა.
3. პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის სტრუქტურა.
4. პალესტინის ავტონომიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტები.

თავი III. ისლამური რადიკალიზმი - ჰამასი და პალესტინის ავტონომიის ხელისუფლება (1993-99 წწ.).

1. ჰამასის შექმნა.
2. ჰამასის ორგანიზაციული სტრუქტურა, ლიდერები.
3. ჰამასის იდეოლოგია, მიზნები და სტრატეგია.
4. ჰამასის საშინაო და საგარეო კავშირები.
5. ჰამასი, სამშვიდობო პროცესი და პალესტინის ავტონომიის ეროვნული ადმინისტრაცია 1993-99 წლებში.

თავი IV. სამშვიდობო პროცესი, პალესტინის ავტონომია და ჰამასი 2000-05 წლებში .

1. სამშვიდობო პროცესი ჩიხში.
2. პალესტინა ალ-აკსას ინთიფადას წლებში.
3. იასირ არაფათის გარდაცვალება; მაჰმუდ აბასი - პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტი; ჰამასის აქტივიზაცია.

დასკვნები.

დანართი: ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის – ჰამასის ქარტია.

ლიტერატურის სია.

შემოკლებები.

შესავალი

ახლო აღმოსავლეთის არაბული სახელმწიფოებისა და ისრაელის დაპირისპირება, მისი თანმდევი მსხვილმასშტაბიანი ომები, რომლებმაც მრავალი უბედურება მოუტანეს რეგიონის ხალხებს, უმნიშვნელოვანესი და ცენტრალური პრობლემა გახდა XX საუკუნის II ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობებში. პრობლემის მთავარ არსად პალესტინელი ხალხის გადაუწყვეტი და გაურკვეველი ბედი რჩებოდა – შეექმნა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის შესახებაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1947 წ. 29 ნოემბერს მიიღო №181 (II) რეზოლუცია (პალესტინის გაყოფის თაობაზე); გადაუჭრელი იყო, ასევე, ისრაელის სახელმწიფოს არსებობის უფლების აღიარება არაბული სახელმწიფოების მხრიდან. იმ უფლებისა, რომელიც ასევე დაადასტურა გაეროს 1947 წლის იმავე რეზოლუციამ.

სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის შედეგად 1948 წ. დიდძალმა პალესტინელმა არაბმა დატოვა სამშობლო და თავი შეაფარა მეზობელ ქვეყნებს. მათ რაოდენობას სხვადასხვანაირად ასახელებენ – 538 ათასიდან 750 ათასამდე (1, 355; 25, 671; 155, 72). პალესტინელი ლტოლვილების საკითხი, მათი უფლება უკან დაბრუნებისა ისრაელისგან სათანადო კომპენსაციით, დღემდე გადაუჭრელია, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე გაერომ ჯერ კიდევ 1948 წ. 11 დეკემბერს მიიღო №194 (III) რეზოლუცია. ამ რეზოლუციის შესაბამისად, შემთანხმებელი კომისია, რომელსაც მიეცა წინადადება, რომ ხელი შეეწყო პალესტინელთა რეპატრიაციის, განსახლების, ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციისათვის. სამწუხაროდ, კომისიის ძალისხმევა პალესტინელთა უკან დასაბრუნებლად უშედეგო აღმოჩნდა. დღეისათვის პალესტინელ ლტოლვილთა რიცხვი 3,7 – 3,9 მლნ-ია (1, 359; 292, 83-87; 276).

უაღრესად მწვავეა იერუსალიმის კუთვნილების საკითხი. მის მოგვარებას შეეცადა ასევე გაეროს იგივე №181 (II) რეზოლუცია (35, 84-97; 36, 84-97; 90, 60-65; 120, 67-73; 150, 138-157; 292, 95-100; 371), რომელიც დემილიტარიზებულ იერუსალიმს

უქვემდებარებდა გაეროს მეურვეობის საბჭოს კონტროლს და ფარატინა ქაღალდად დარჩა არაბებისა და ისრაელის ომების წყალობით. 1948 და 1967 წლებში გამარჯვებულმა ისრაელმა ჯერ ნაწილობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანად დაიკავა იერუსალიმი და 1950 წლის 22 იანვარს გამოაცხადა სახელმწიფოს განუყოფელ და მარადიულ დედაქალაქად. ამ გადაწყვეტილებას არ აღიარებს მსოფლიოს სახელმწიფოთა უდიდესი ნაწილი, რომელთა დიპლომატიური წარმომადგენლობები ჯერ კიდევ თელ-ავივშია განლაგებული. ამასთან, აღმოსავლეთ იერუსალიმზე, როგორც თავის მომავალ დედაქალაქზე, პრეტენზიას აცხადებს პალესტინის ავტონომია.

სერიოზულ პრობლემად იქცა ისრაელის დასახლებები (ახალშენები) პალესტინის 1967 წ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომელთა შექმნასაც ისრაელი შეუდგა 1970-იანი წლების დასაწყისიდან[1].

1979 წ. გაეროს უშიშროების საბჭოს 22 მარტის №446 რეზოლუციამ დაადგინა, რომ დასახლებები არ იყო კანონიერი და ეს წარმოადგენდა სერიოზულ დაბრკოლებას ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი, სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად. ამ რეზოლუციის შესაბამისად, შეიქმნა სპეციალური კომისია დასახლებებთან დაკავშირებული ვითარების შესასწავლად. მაგრამ მისი მუშაობა არ იყო შედეგიანი.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის საგანგებო მომხსენებლის ანგარიშის თანახმად, 1967 წლის შემდგომ ისრაელმა მიითვისა პალესტინის საზოგადოებრივ, ნახევრადსაზოგადოებრივ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწების დიდი ნაწილი - დასავლეთი ნაპირის 60%, ღაზას სექტორის 33% და იერუსალიმის არაბული ნაწილის დაახლოებით 33%. ყოველივე ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბებულიყო ისრაელის სამხედრო ზონები, სამრეწველო რაიონები, შემოვლითი გზები; შექმნილიყო "სახელმწიფო მიწა" ისრაელის ინტერესების დასაცავად.

2000 წლისათვის ისრაელს ჰქონდა 19 ახალშენი ღაზას სექტორში, 158 - დასავლეთ ნაპირზე და არა უმცირეს 16-ისა იერუსალიმში; მხოლოდ 1999 წ.

[1] დიდი მასალა პალესტინაში შექმნილი ებრაული დასახლებების შესახებ გამოქვეყნებულია JPS -ს ფურცლებზე. იხ.: 229-249.

ისრაელმა დაიწყო 44 ახალი დასახლების შექმნა დასავლეთ ნაპირზე. საერთოდ კი, 1993-2002 წწ. ახალმოსახლეთა რაოდენობა 125 ათასიდან 218 ათასამდე გაიზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთი ნაპირისა და ღაზას სექტორის ებრაული მოსახლეობა, საშუალოდ, ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საკუთრივ ისრაელში (1,360). ისრაელის დამსჯელი ძალები ანგრევდნენ პალესტინელების სახლებს, რომელთაც არ ჰქონდათ მშენებლობის უფლება; იძულებით აიყარა მთელი სოფლები. ამის შედეგად, 1987 წლიდან, სახლ-კარი დაკარგა 16,700-მა პალესტინელმა. 1999 წ. ისრაელის ხელისუფლებმა დაანგრიეს პალესტინელთა 31 სახლი აღმ. იერუსალიმში, ხოლო დასავლეთ ნაპირზე - 50 (292, 89-93; 276).

ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკებები კემპ-დევიდში 1978 წ. და მათი სამშვიდობო ხელშეკრულება 1979 წ. იყო ის პირველი ნაბიჯები, რომელთაც გზა უნდა გაეხსნათ ახლო აღმოსავლეთში დაპირისპირებულ მხარეთა შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების გასაგრძელებლად.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა პალესტინელებისთვის თვითმმართველობის მინიჭებას ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მაგრამ არაბულმა და ისლამურმა სამყარომ ეგვიპტე დაადანაშაულა სეპარატისტულ გარიგებაში ისრაელთან, ის გარიცხეს არაბული სახელმწიფოების ლიგიდან და ლიგის შტაბ-ბინა გადაიტანეს თუნისში. პალესტინელი ხალხის ერთადერთი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის ფუნქცია იკისრა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ (შემდეგ **პგო**), რომელიც არ ცნობდა ისრაელს. მისი ქარტია მოითხოვდა ისრაელის სახელმწიფოს განადგურებას და ამიტომ იყენებდა ბრძოლის ყველა მეთოდს, მათ შორის, ტერორიზმსაც. შესაბამისად, არც ისრაელი აღიარებდა **პგო**ს და ლეგიტიმურად მიიჩნევდა მის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მეთოდს, მათ შორის პალესტინის ფარგლებს გარეთაც (ამის მაგალითია ლიბანი, რომელიც იქცა ბრძოლის ასპარეზად **პგო**ს შეიარაღებულ ფორმირებებსა და ისრაელს შორის 1983 წ.).

გაეროს 1947 წ. №181 რეზოლუციით განსაზღვრული პალესტინის ტერიტორიის სრული ოკუპაცია და იქ ებრაული დასახლებების შექმნა, არაბთა შეურიგებელი პოზიცია ისრაელისადმი, რომელსაც მორალურად და

მატერიალურადაც მხარს უჭერდა ისლამური სამყარო (ამის ნიმუშია ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის დადგენილებები), იყო საფუძველი მუდმივი უნდობლობისა და დაპირისპირების შემდგომი ესკალაციისა, რაც 1987-1993 წლებში გადაიზარდა პალესტინაში *ინთიფადას* (სახალხო აჯანყების) სახელით ცნობილ დიდ ამბოხებაში.

პალესტინის გადაუჭრელმა პრობლემამ ბიძგი მისცა ტერორორისტული ორგანიზაციების აღმოცენებას. საფრთხე შეექმნა მშვიდობას არა მარტო რეგიონალური, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. პალესტინის ლოკალური პრობლემა გლობალურში გადაიზარდა. მის გადაწყვეტაში, საკუთარი იდეოლოგიური, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მონაწილეობდნენ როგორც რეგიონის ქვეყნები, ისე მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები. ვითარება შეიცვალა 90-იანი წლების დამდეგს. სპარსეთის ყურის ომში ერაყის დამარცხებამ, ცივი ომის დასრულებამ და სსრ კავშირის დაშლამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ახლო აღმოსავლეთში 80-იან წლებში შეწყვეტილი სამშვიდობო პროცესის გასაახლებლად.

ერაყის დამარცხებამ საშუალება მისცა აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, გამოეცხადებინა «ახალი მსოფლიო წესრიგი» აშშ-ის ხელმძღვანელობით, რასაც ზოგჯერ "ახალ ამერიკულ წესრიგადაც" მოიხსენიებენ. არაბებისა და ისრაელის კონფლიქტის მოგვარება გახდა აშშ-ის ახალი პოლიტიკის სასინჯი ქვა. ის იყო არსებითი შემადგენელი ნაწილი ვაშინგტონის სტრატეგიისა - დაეცვა ნავთობის რესურსები და ებრძოლა რადიკალიზმთან ახლო აღმოსავლეთში. დასასრულ, არაბებისა და ისრაელის კონფლიქტის მოწესრიგებას შეეძლო დაესრულებინა გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის სფეროში, რაც 80-იანი წლების ბოლოს შემაშფოთებელი გახდა.

არაბულმა ქვეყნებმა სპარსეთის ყურის ომში აშშ-ის მოკავშირეობა გამოიყენეს იმ მიზნით, რომ ძალით თუ მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ არაბებისა და ისრაელის კონფლიქტი. ერაყის დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო დასუსტდნენ იორდანია და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, რომლებიც მხარს უჭერდნენ სადამ ჰუსეინს. **პგო**მ დაკარგა სპარსეთის ყურის

ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერა (162, 31-46). ამავე ქვეყნებიდან გააძევეს 250 ათასი პალესტინელი. იორდანიისა და **პგო**სათვის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობა ხდებოდა არაბთა უმრავლესობის რიგებში დაბრუნებისა და, ამასთან, არაბთა და საერთაშორისო დახმარების მიღების ერთადერთი გზა. ერაყის დამარცხებამ დაარწმუნა მისი ლიდერები, რომ ცდებოდნენ, როცა რადიკალიზმს თვლიდნენ ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაჭრის ოპტიმალურ გზად.

სამშვიდობო პროცესს ხელი შეუწყო სსრ კავშირის დასუსტებამ და საბოლოო დაშლამ. ცივი ომის დასრულებამ იმოქმედა როგორც ისრაელის, ისე - არაბული ქვეყნების პოზიციებზე. სირიამ და **პგო**მ სსრ კავშირის სახით დაკარგეს მნიშვნელოვანი მოკავშირე, რომელიც მათ უწევდა მძლავრ დიპლომატიურ, პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას. ისრაელმა კი დაკარგა საშიში მტერი. ცივი ომის დასრულებამ, ამასთან, შეამცირა ისრაელის, როგორც აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორის როლი გლობალურ კონფრონტაციაში. სსრ კავშირის დაშლისას ებრაელთა მასობრივი ემიგრაციით ისრაელის ეკონომიკაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელი იყო აშშ-ისა და დასავლეთის დახმარების გარეშე. ეს კი არ მოხდებოდა მანამდე, ვიდრე ისრაელი არ მიიღებდა მონაწილეობას არაბებთან მოლაპარაკებაში. ამიტომ ეს აიძულებდა ისრაელს, გადაედგა ნაბიჯი მშვიდობისაკენ.

სპარსეთის ყურის ომისა და სსრ კავშირის დაშლის გარდა იყო სხვა მიზეზებიც, რომლებიც უბიძგებდნენ **პგო**ს და ისრაელს, დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება. 1988 წ. პალესტინის ეროვნულმა საბჭომ აღიარა გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუცია, რომელიც ცნობდა ისრაელს და პალესტინის პრობლემის გადასაჭრელად პალესტინის ორ სახელმწიფოდ დაყოფას. სირიამ აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან, ფაქტობრივად ცნო კემპ-დევიდის შეთანხმება და ამან საშუალება მისცა ეგვიპტეს, დაბრუნებულიყო არაბული სახელმწიფოების ლიგაში. ისრაელმა ვერ შეძლო დაეშოშმინებინა *ინთიფადა* - პალესტინელთა ამბოხი მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში, რომელიც დაიწყო 1987 წლის დეკემბერში. გაძლიერდა ექსტრემისტული ისლამური ჯგუფების გამოსვლები. ჯერ კიდევ ებრაელთა მასობრივ ემიგრაციამდე,

ისრაელს გაუჩნდა სერიოზული ეკონომიკური პრობლემები: წყალზე ისრაელის უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო რეგიონალური თანამშრომლობის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები, არაბებიცა და ისრაელიც, საკმაოდ მომწიფდნენ იმისთვის, რომ დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკებები. ამის პირველი დასტური იყო 1992 წ. მადრიდის კონფერენცია, რის შესახებაც ქვემოთ კიდევ იქნება საუბარი.

1992 წ. ივნისში ისრაელის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა შრომის პარტიამ (*ავოდა*), რომელმაც, ეროვნული პრიორიტეტის სახით, არაბებთან მშვიდობის იდეა წამოაყენა. ისრაელმა გამოაცხადა, რომ სირიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებაში შეიძლებოდა გამოყენება გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციისა; დაადასტურა, რომ ლიბანის მიმართ არ ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზიები და რომ იორდანიასთან შეთანხმდებოდა «დღის წესრიგი» – არსებითად საზავო ხელშეკრულების საბაზო ტექსტი. ამის შემდეგ ისრაელის ქნესეთმა გააუქმა დადგენილება, რომელიც კრძალავდა კონტაქტებს **პგო**სთან. მაგრამ პალესტინელებისთვის უფრო დამაჯერებელი სიმპტომი ისრაელის პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებისა გახდა პირდაპირი საიდუმლო კონტაქტები ისრაელთან. ასეთი საიდუმლო მოლაპარაკებები ორ მხარეს შორის გაიმართა ოსლოში, რითაც საფუძველი დაედო სამშვიდობო პროცესს და რამაც, საბოლოო ჯამში, განაპირობა პალესტინის ავტონომიის შექმნა.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს, შეისწავლოს სამშვიდობო პროცესის პერიპეტიები ახლო აღმოსავლეთში 1993 წლიდან ჩვენი საუკუნის დამდეგამდე, ისრაელისა და პალესტინელების სამშვიდობო ხელშეკრულებები, პალესტინის ავტონომიის ჩამოყალიბება, ავტონომიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, ალ-აკსას *ინთიფადა*, ცვლილებები პალესტინის პოლიტიკურ ასპარეზზე არაფათის გარდაცვალების შემდეგ.

დისერტაციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, აგრეთვე, ისლამურ რადიკალიზმს პალესტინაში. უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის, მესამე და ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო რელიგიის, თავისებურება წარმოქმნისთანავე იყო

რელიგიისა და პოლიტიკის განუყოფლობა. თანამედროვე ეპოქაში ეს თავისებურება 70-იანი წლებიდან ისევ წინ წამოვდა, როცა მუსლიმურ ქვეყნებში სრულიად აშკარა გახდა ისლამის აღმავლობა, მისი აქტივიზაცია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ისლამის აღმავლობის პირობებში გაჩნდა ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობა. ისლამური ფუნდამენტალიზმი ემყარება ისლამის საწყისებისკენ - მუჰამადის და პირველი ოთხი ხალიფასდროინდელი ისლამისკენ დაბრუნებას, ამ პერიოდის მუსლიმური თემის იდეალიზაციას (7, 102-103). ფუნდამენტალისტთა მიერ ისლამის აპოლოგია იმავდროულად დასავლური სამყაროსადმი დაპირისპირება და დასავლური ფასეულობების უარყოფაა.

XX ს.-ის 80-იანი წლებიდან მუსლიმურ სამყაროში გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია – ნეოფუნდამენტალიზმი, რომლის წარმომადგენლები აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკურ პროცესებში და ცდილობენ სხვადასხვა, არჩევნების თუ შეიარაღებული, გზით მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. საშიში ფორმები მიიღო ისლამურმა ექსტრემიზმმა (7, 102-103).

ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაციების რიცხვის ზრდა არაბულ ქვეყნებში (სირია, ეგვიპტე, ალჟირი, საუდის არაბეთი, იორდანია, ლიბანი, ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინელთა ტერიტორიებზე) შეიძლება დაკავშირებული იქნას, პირველ რიგში, იმ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან, რომლებიც დამახასიათებელი იყო არაბული და მუსლიმური სამყაროს დიდი ნაწილისათვის. კომუნიზმის და აღმოსავლეთის ბლოკის სოციალისტური ბანაკის რღვევამ შექმნა იდეოლოგიური ვაკუუმი. მას წინ უძღოდა საშინაო და საგარეო წარუმატებლობები არაბული სახელმწიფოების რეჟიმებისა, რომლებიც თავიანთ იდეოლოგიურ შთაგონებას იღებდნენ გარედან, ლიბერალიზმის და სოციალიზმის კონცეფციების სახით. ამ სიძნელეებმა აიძულა ბევრი მუსლიმი, მიბრუნებულიყო რადიკალური ისლამისკენ, რომელიც სთავაზობდა მათ ხსნას ყოველდღიური ცხოვრების სიძნელეებისგან, აძლევდა სოციალური სამართლიანობის იმედს და იმის იმედს, რომ რელიგია გასცემდა პასუხს ყველა მათ სურვილზე (398, 3; 145, 5-24). მაგრამ თუ "ისლამისკენ

მობრუნება” მიზნად ისახავს საზოგადოების ეტაპობრივ “გამოსწორებასა” და ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიის ფასეულობების დანერგვას, ექსტრემისტულმა ისლამურმა ორგანიზაციებმა ეს მოწოდება გადააქციეს თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევ იარაღად – იქნება ეს ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში დემოკრატიული პროცესების თუ არალეგალური საშუალებების – ძალადობის და ტერორის გამოყენება.

ტერორითა და მოსახლეობის დაშინებით ექსტრემისტები ცდილობენ სეკულარიზაციის ტემპების შეჩერებას და საზოგადოებრივი ცხოვრების სრულ ისლამიზაციას. არაბული სამყაროს ზოგიერთ ნაწილში ექსტრემიზმი გახდა რიგი ისლამისტური ორგანიზაციების იარაღი ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ორგანიზაციებია, მაგალითად, *ჰიზბ ალლაჰი* ლიბანში, *ისლამური ჯიჰადი* და ჰამასი - პალესტინაში.

ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინელთა ტერიტორიაზე ისლამური ექსტრემიზმი დაუპირისპირდა არა მარტო ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებას, არამედ - სეკულარულ ექსტრემიზმსაც, რომელიც პალესტინის განთავისუფლებისათვის და ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი რიგი პალესტინური ორგანიზაციების, მათ შორის *პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის* (შემდეგ: პგო), იარაღი იყო. დროთა მანძილზე პგომ ტრანსფორმაცია განიცადა, აღიარა ისრაელი და დაადგა მასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზას. რაც შეეხება ისლამისტ ექსტრემისტებს, ისინი დღემდე შეურიგებელ პოზიციაზე დგანან.

ისლამური ექსტრემიზმის შესწავლა აქტუალურია დასავლეთში (139, 10-18; 222, 18-22), სადაც, კაცობრიობის ისტორიაში ისლამის მიერ შეტანილი დიდი წვლილის აღიარებასთან ერთად, არ წყდება დავა და კამათი ისლამური საფრთხის არსებობა-არარსებობის შესახებ. ეს პრობლემა აქტუალურია ისრაელშიც, რომელიც მუდმივად ისლამისტი ექსტრემისტების (ჰამასი, *ისლამური ჯიჰადი*) ტერორისტული აქტების მოლოდინშია. ეს პრობლემა, ვფიქრობთ, აქტუალურია საქართველოსთვისაც, რომლის გარშემო, ისევე როგორც მე-18 ს-ის მიწურულში, ხელახლა იკვრება ისლამური რკალი, ხოლო მისი საზღვრების სიახლოვეს და,

თვით საქართველოშიც (პანკისის ხეობა), მოქმედებენ ისლამისტი ფუნდამენტალისტები ვაჰაბიტების სახით (29; 9; 226). ეს გარემოება გვიბიძგებს, შევისწავლოთ არა მარტო ისლამის შუა საუკუნეების მიმდინარეობები, იდეოლოგია, პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტები, არამედ თანამედროვე ისლამის აქტუალური პრობლემებიც, ისლამის წიაღში აღმოცენებული ფუნდამენტალისტური და ექსტრემისტული ორგანიზაციები თუ დაჯგუფებები.

წინამდებარე ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პალესტინის ერთ-ერთ ისლამურ ექსტრემისტულ ორგანიზაციას - ჰამასს. შესწავლილია მისი ჩამოყალიბების დრო და პირობები, ამ ორგანიზაციის ქარტია, სტრატეგია, მიზნები, ტაქტიკა, მისი დამოკიდებულება ისრაელთან, პგრ-სთან, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესთან, პალესტინის ავტონომიის შექმნასთან და პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციასთან. 2006 წ. დამდეგის მოვლენებმა პალესტინაში დაადასტურა, რომ ჰამასი სერიოზულ ძალას წარმოადგენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან გაიმარჯვა საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებში და ჩამოაყალიბა მთავრობა. შეძლებისდაგვარად შევეცადეთ, რომ სადისერტაციო ნაშრომში ეს მოვლენებიც წარმოგვეჩინა და შეფასება მიგვეცა მათთვის.

სამშვიდობო პროცესისა და მისი თანმდევი მოვლენებისადმი უაღრესად დიდია ინტერესი მთელ მსოფლიოში – პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების და ისტორიკოსების მხრიდან. არა მარტო იმიტომ, რომ საქმე ეხება ბუნებრივი და მატერიალური რესურსებით უმდიდრეს რეგიონს – ახლო აღმოსავლეთს. ომის და მშვიდობის პრობლემა, ტერორიზმი პალესტინაში, გასცდა ლოკალურ საზღვრებს. პალესტინის პრობლემამ, დაპირისპირებამ ისრაელთან და ამ ნიადაგზე ისლამური ექსტრემიზმის მასშტაბების ზრდამ გლობალური ხასიათი მიიღო.

წინამდებარე დისერტაციაში განხილული საკითხების გარშემო არსებობს დიდძალი დოკუმენტური წყარო. ესაა, უპირველეს ყოვლისა, 1993-2003 წლებში დადებული ხელშეკრულებები და ოქმები ისრაელსა და პალესტინელებს შორის და სამშვიდობო ინიციატივები, ჰამასის ქარტია; წყაროს მნიშვნელობა ენიჭება "ჟოურნალ ოფ ალესტინიან შტუდიეს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ უაღრესად დიდი სიზუსტით აღნუსხულ მოვლენებს პალესტინის ცხოვრებაში (რუბრიკა:

Chronology - 69-87), კონფლიქტების და დიპლომატიის, სამშვიდობო პროცესის და ებრაული დასახლებების მონიტორინგებს (რუბრიკები: Peace Monitor - 175-196; Quarterly Update - 202; Quarterly Update on Developments - 201 da 203; Quarterly Update on Conflict and Diplomacy - 204-210; Settlement Monitor - 229-249).

რაც შეეხება ისტორიოგრაფიას, საკვლევი პრობლემატიკის აქტუალობიდან გამომდინარე, იგი საკმაოდ დიდია, როგორც რუსულ და დასავლეთევროპულ ენებზე, ისე – არაბულად. ამ ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენ მოვიპოვეთ სირიაში, აშშ-სა და ეგვიპტეში ხანგრძლივი მივლინებებისას, ხოლო ნაწილი – განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მასალები – ინტერნეტის მეშვეობით.

ჩვენ ხელთაა ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული საკითხები – პალესტინელთა და ისრაელის შეთანხმებები, ხელშეკრულებები და მათი ანალიზი (28; 32; 56; 57, 232-286; 110; 135,118-126; 138, 81-95; 167-173; 160; 260), პალესტინის ავტონომიის შექმნა, მისი სტრუქტურა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტები (38; 226, 90-118); პალესტინაში ისლამური რადიკალიზმის ავანგარდის – ᲰᲐᲛᲐᲡის ჩამოყალიბების დრო, მისი სტრატეგია, ტაქტიკა, მიზნები, სამშვიდობო პროცესი და პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობასთან დამოკიდებულება (40; 127; 139, 10-18; 145, 5-24; 151, 19-36; 228; 168, 1-26; 228; 274; 281; 370), სამშვიდობო პროცესის სტაგნაცია ჩვენი საუკუნის დამდეგს, *ალ-აკსას ინთიფადა*, ახალი სამშვიდობო ინიციატივა "საგზაო რუკა" (214, 83-99) და სხვ.

საკვლევი პრობლემატიკის ცალკეული ასპექტები არ დარჩა ქართველი მკვლევრების (ა. მენთეშაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ნ. ლომოური, თ. ჯაფარიძე) ყურადღების მიღმაც (4, 5-40; 5, 134-155; 13, 231; 14; 15, 337-353; 16, 264-300; 17, 337-356; 18, 52-70; 30, 573-587).

წინამდებარე ნაშრომი, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, კომპლექსურად შეისწავლის სამშვიდობო პროცესს და მასთან მიმართებაში პალესტინის ავტონომიის წარმოქმნას, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობას და ᲰᲐᲛᲐᲡის დამოკიდებულებას, როგორც ავტონომიის არსისა და ეროვნული ადმინისტრაციისადმი, ისე – ისრაელისა და სამშვიდობო

პროცესისადმი. ამდენად, ჩვენი აზრით, ნაშრომი სიახლეს წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიისათვის და პრობლემატიკის სიმწვავის მხრივ აქტუალურიცაა.

თავი I.

ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი 1993-99 წლებში და მისი შედეგები

1991 წლისათვის მომხდარმა გლობალურმა ცვლილებებმა, როგორიც იყო "ცივი ომის" დასრულება და სპარსეთის ყურის ომი, გავლენა მოახდინეს სიტუაციაზე ახლო აღმოსავლეთში. ამის შედეგი იყო მადრიდის კონფერენცია.

1. მადრიდის კონფერენცია

მადრიდის კონფერენცია საზეიმო ვითარებაში ჩატარდა 1991 წ. 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე. პირველად, 1978 წ. კემპ-დევიდის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, არაბთა და ისრაელის წარმომადგენლები დასხდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან ასეთ წარმომადგენლობით ფორუმზე. ისრაელს წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრი იცხაკ შამირი, არაბულ ქვეყნებს – საგარეო საქმეთა მინისტრები. პალესტინის დელეგაცია ფორმალურად იყო იორდანიის დელეგაციის ნაწილი, როგორც ეს მოითხოვა ისრაელმა, მაგრამ მედია და სხვა დელეგაციები მას განიხილავდნენ როგორც ავტონომიურ გუნდს, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოქტორი ჰეიდარ აბდ ალ-შაფი' – პგრ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი. ფაქტობრივად, პალესტინის დელეგაციის მუშაობას წარმართავდა იასირ არაფათი თუნისიდან.

პალესტინელებმა გამოამჟღავნეს მზადყოფნა, ეწარმოებინათ მოლაპარაკებები თვითმმართველობაზე ღაზას სექტორში და დასავლეთ ნაპირზე, მაგრამ მოითხოვდნენ ისრაელის სამხედრო შენაერთების დაუყოვნებლივ გაყვანას პალესტინელებით დასახლებული ქალაქებიდან. ისრაელელები დასთანხმდნენ,

განეხილათ ეს ვარიანტი იმ პირობით, რომ ჯარების გადაადგილების გრაფიკი გაიჭიმებოდა. მაგრამ ისრაელელი კოლონისტები მოლაპარაკებებისადმი ძალზე მტრულად იყვნენ განწყობილნი და აცხადებდნენ, რომ მადრიდის კონფერენცია გამოიწვევდა ომს.

მადრიდში განიხილეს წყლის რესურსების, ლტოლვილების, შეიარაღების კონტროლის პრობლემები. მადრიდის კონფერენციის შედეგები და მნიშვნელობა იყო ძალზე დიდი. ჯერ ერთი, კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან შეურიგებელი მოწინააღმდეგეები; მეორე, ისრაელმა ოფიციალურად აღიარა პალესტინელთა უფლება, რაც ითვალისწინებდა ისრაელის ჯარების გაყვანას, პალესტინის ძლიერი პოლიციის შექმნას, ისრაელის უშიშროების სპეციალური ძალების შენარჩუნებით, თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარებას. უფრო მეტიც, შეთანხმებულ იქნა მექანიზმი სხვა შეთანხმებების მიღწევისა და, ზოგადად, მისი განხორციელების ეტაპობრივი გრაფიკიც (11, 75-90; 27; 39, 129-137; 88, 93-110; 118, 180-81; 284, 232-235; 272). კონფერენციაზე შეიმუშავეს ფორმულა “მშვიდობა ტერიტორიის ნაცვლად”; ჩამოყალიბდა სპონსორების ინსტიტუტი (11, 75-90; 27; 39, 129-137; 88, 93-110; 118, 180-81; 284, 232-235; 272).

მაგრამ მადრიდში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ორ პრინციპულ საკითხზე – მომდევნო შეხვედრის ჩატარების ადგილისა და მოლაპარაკებათა დღის წესრიგის შესახებ. ისრაელის წარმომადგენლები მოითხოვდნენ მათ ჩატარებას ახლო აღმოსავლეთში, რათა ხაზი გაესვათ ამ პროცესის რეგიონალური ხასიათისთვის. არაბებს სურდათ მისი ჩატარება ერთ-ერთ ევროპულ ქალაქში.

იმ პერიოდში, რომელიც წინ უძღოდა მადრიდის კონფერენციას, **გაერომ** დაკარგა ინიციატივა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის რეგულირებაში. მაგრამ უკვე მადრიდის კონფერენციის შედეგების რეალიზაციის დროს **გაეროს** უშიშროების საბჭომ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი რეზოლუცია (№904, 13.III.1994; №1073, 28.IX. 1996; №1322 7.X. 2000), რომლებშიც ჩამოთვლილი იყო ღონისძიებები პალესტინის ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის უშიშროების შესანარჩუნებლად, ისრაელსა და პალესტინელთა შორის მიღწეული შეთანხმებების თანახმად.

მადრიდის კონფერენციამ გზა გაუხსნა დაპირისპირებულ მხარეთა სხვა შეხვედრებს: 1991 წ. 10 დეკემბრიდან 1992 წ. დეკემბრის ჩათვლით ისრაელისა და არაბთა (მათ შორის პალესტინელთა) დელეგაციების მოლაპარაკებათა 10 რაუნდი, რომელთაც უსარგებლოს კვალიფიკაცია აძლევენ (117, 75-84); შეხვედრა მოსკოვში - 1992 წ. 28-29 იანვარს და ოტავაში - 1992 წ. მაისში (დაწვრილებით, იხ.: 118, 182-187).

2. ოსლოს შეთანხმება და პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე. შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაცია

ოსლოს შეთანხმება. 1993 წ. 20 იანვარს, ოსლოში, ნორვეგიის გამოყენებითი სოციალური მეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივით, დაიწყო პალესტინა-ისრაელის საიდუმლო მოლაპარაკებები (268, 597-615). ნორვეგია, ერთი მხრივ, მხარს უჭერდა ისრაელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნისთანავე და, მეორე მხრივ, აღიარებდა **პგრ**ს, რომელთანაც პირდაპირი კავშირები ჰქონდა. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. პერესი ამის თაობაზე წერდა: "მოლაპარაკებათა ადგილი იყო იდეალური. ნორვეგიაში არავინ ეძებს სენსაციას. სწორედ იმის გამო, რომ მოლაპარაკებები ოსლოში, ვაშინგტონის მოლაპარაკებებისგან განსხვავებით, იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან დაფარული, ჩვენ შეგვეძლო მათი წარმოება თვეობით" (32, 37) 1992 წ. ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ან ეგელანი შეუთანხმდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ი. ბეილინს, რომ გამოეყენებინათ მოლაპარაკებათა "ნორვეგიული არხი". პალესტინის მხრიდან საიდუმლო მოლაპარაკებებში ჩაერთნენ არაფათის და აბუ მაზენის მიერ დანიშნული **პგრ**ს წევრები: **პგრ**ს ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელი აჰმედ კურაი'ი (აბუ 'ალა) და **პგრ**ს სამშვიდობო მოლაპარაკებათა კოორდინაციის კომიტეტის მდივანი ჰასან 'ასფური. ისრაელის მხრიდან, პირველ ეტაპზე, ოსლოს მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები იაირ ჰერშტფელდი და რონ პანდოკი. ამერიკელთაგან ოსლოს მოლაპარაკებების შესახებ მხოლოდ ზოგადად იცოდა დან კურტცერმა - ვაშინგტონის მოლაპარაკებებზე აშშ-ის დელეგაციის წევრმა (28).

1993 წ. თებერვალში წარმოდგენილ იქნა პალესტინა-ისრაელის მომავალი შეთანხმების პირველი დოკუმენტების პროექტები, რასაც შემდეგ მოჰყვა კიდევ სამი. ამის შემდეგ შ. პერესმა 1993 წ. აპრილში ოსლოში გაგზავნა ოფიციალური წარმომადგენლები. ამ შემადგენლობით ორი მხარის დელეგაციებმა კიდევ რვა საიდუმლო შეხვედრა გამართეს, რომლებიც 1993 წ. აპრილში განახლებული ვაშინგტონის ოფიციალური მოლაპარაკებების პარალელურად მიმდინარეობდა.

1993 წ. 11 მაისს არაბულ გაზეთებში გამოქვეყნდა პალესტინის დელეგაციის მიერ ორმხრივი მოლაპარაკებების მსვლელობაში გადაცემული ისრაელის პროექტის ტექსტი *განცხადება პრინციპების შესახებ.* მასში ნათქვამი იყო, რომ ისრაელსა და პალესტინელებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებები ემყარება გაერო-ს №242 და №338 რეზოლუციებს; მოლაპარაკებები მიზნად ისახავს შეთანხმების მიღწევას პალესტინაში გარდამავალი თვითმმართველობის პირობების შესახებ; გარდამავალი თვითმმართველობის დროს შესაბამის რაიონებში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები – პალესტინელებისთვის სამოქალაქო ადმინისტრაციის ფუნქციათა უმეტესობის გადაცემით; ისრაელი კი აქ შეინარჩუნებს მთავარ პასუხისმგებლობას უშიშროებაზე, მათ შორის, ისრაელელთა უშიშროებაზე; პალესტინის აღმასრულებელი საბჭო დაკომპლექტდება საყოველთაო, პირდაპირი და თავისუფალი არჩევნების გზით; ისრაელის სამოქალაქო ხელისუფლება გადაეცემა პალესტინის აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც შეითავსებს აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას; ტექსტში იყო არაბებისადმი ისრაელის მიერ წაყენებული პირობა: ისრაელის განუყოფლობა.

1993 წ. ზაფხულისთვის ოსლოში საბოლოო დოკუმენტის პროექტზე მუშაობა, ძირითადად, დასრულდა. 1993 წლის 18 აგვისტოს **პგრ**ის დელეგაცია გაფრინდა ნორვეგიაში პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე დოკუმენტის პროექტის პარაფირებისათვის, რაც მოხდა პალესტინის დელეგაციის მიერ ღამით, 19-დან 20 აგვისტოზე. 30 აგვისტოს ისრაელის გაზეთმა *Yediot Ahronot* გამოაქვეყნა ისრაელისა და პალესტინელთა შეთანხმების პროექტის ტექსტი[2].

[2] ოსლოს შეთანხმების შესახებ იხ. 88, 91-110; 117, 93-105; 132; 160; 269; 118;

“პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებებათა პრინციპების დეკლარაცია”. ოსლოში პარაფირებულ დოკუმენტს პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე იურიდიული ძალა რომ ჰქონოდა, აუცილებელი იყო, რომ **პგო**ს და ისრაელს ერთმანეთი ეცნოთ. მოლაპარაკებები ურთიერთცნობის შესახებ მიმდინარეობდა, ძირითადად, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ხოლსტის შუამავლობით.

1993 წ. 9 სექტემბერს, თუნისში, **პგო**ს შტაბ-ბინაში **პგო**ს თავმჯდომარემ იასირ არაფათმა ხელი მოაწერა წერილის ტექსტს ისრაელის სახელმწიფოს ცნობის შესახებ; მიიღო **გაერო**ს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციები, გამოაცხადა თავისი ვალდებულებები კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. არაფათმა დაადასტურა, რომ პალესტინის ქარტიის ის პუნქტები, რომლებიც უარყოფენ ისრაელის უფლებას არსებობაზე, იყო არარეალური და ახლა აღარ ჰქონდათ კანონიერი ძალა. მან განაცხადა, რომ ცვლილებებს განსახილველად და მოსაწონებლად გადასცემდა პალესტინის ეროვნულ საბჭოს; ამასთან, მოუწოდა მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირისა და ღაზას სექტორის პალესტინელებს, უარი ეთქვათ ძალადობაზე. წერილში აღნიშნული იყო, რომ **პგო** ცნობდა ისრაელის სახელმწიფოს, ადასტურებდა თავის ერთგულებას სამშვიდობო პროცესისადმი და უარყოფდა ტერორიზმს და ძალადობის სხვა სახეებს.

თავის მხრივ, 10 სექტემბერს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გადადგა ანალოგიური ნაბიჯი და აღიარა **პგო**, როგორც პალესტინელი ხალხის წარმომადგენელი და დასთანხმდა, დაეწყო მასთან პირდაპირი მოლაპარაკებები (269, 315-16).

1993 წ. 13 სექტემბერს ვაშინგტონში, თეთრ სახლში, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა და **პგო**ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა მაჰმუდ აბასმა (აბუ მაზენმა) ხელი მოაწერეს პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაციას[3]. პრინციპების დეკლარაციის ხელმოწერის ცერემონიალზე ი. რაბინმა განაცხადა:

[3] პრინციპების დეკლარაციის ტექსტი იხ. 264, 2-6; 269, 317-327; მისი ქართული თარგმანი იხ.: 15, 337-353.

"პალესტინელებო! ჩვენ, ჯარისკაცები, რომლებიც სისხლით შეღებილნი დავბრუნდით ომიდან, ჩვენ, ვინც ვომობდით თქვენს წინააღმდეგ, დღეს გეუბნებით: გვეყო სისხლი და ცრემლები, გვეყო!". თავის მხრივ, იასირ არაფათმა მოუწოდა მამაცობისა და გამბედაობისაკენ თანაარსებობის კურსის გასაგრძელებლად და მშვიდობის დასამკვიდრებლად და დაუმატა: "ჩვენი ხალხი არ თვლის, რომ თვითგამორკვევაზე უფლებების განხორციელება შელახავს მისი მეზობლების უფლებებს და დაარღვევს მათ უსაფთხოებას".

პრინციპების დეკლარაციის მთავარი მიზანი იყო ხუთწლიან დროებით, შუალედურ პერიოდში პალესტინის გარდამავალი თვითმმართველობის შექმნა მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში, იმ ტერიტორიების ნაწილზე, სადაც **გაერო-ს** 1947 წ. 29 ნოემბრის 181 (II)-ე რეზოლუციით უნდა ჩამოყალიბებულიყო პალესტინის არაბული სახელმწიფო. ეს სახელმწიფო, როგორც ცნობილია, 1948-49 წწ. არაბებისა და ისრაელის პირველ ომს ემსხვერპლა. მოგვიანებით, ისრაელის მმართველ წრეებში შეიქმნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე პალესტინის ავტონომიის შექმნის გეგმა, რომელიც 1977 წ. 25 დეკემბერს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მენაჰიმ ბეგინმა გადასცა ეგვიპტის პრეზიდენტს ანვარ სადათს. მას შემდეგ, რაც 1979 წ. 26 მარტს ეგვიპტემ ხელი მოაწერა ისრაელთან სეპარატულ საზავო ხელშეკრულებას, ხელახლა დაისვა პალესტინის ავტონომიის საკითხი.

1979 წ. 25 აპრილს ეგვიპტესა და ისრაელს შორის დაიწყო მოლაპარაკებები პალესტინის ავტონომიის, დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში "თვითმმართველობის ორგანოს" არჩევის წესის, მისი მოვალეობებისა და უფლებების შესახებ. მოლაპარაკებებმა არ გამოიღო შედეგი, ვინაიდან ისრაელი მიიჩნევდა, რომ პალესტინის ავტონომიას უნდა ჰქონოდა შეკვეცილი ხასიათი და შემოფარგლულიყო მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კომუნალური მომსახურების სფეროებით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1948 წლიდან არაბებისა და ისრაელის დაპირისპირებამ გამოიწვია ხუთი ომი, ხოლო არაერთი სამშვიდობო ინიციატივა მარცხით დასრულდა, ისრაელისა და პალესტინელთა მოლაპარაკება ოსლოში და

პრინციპების დეკლარაციაზე ხელმოწერა ვაშინგტონში იყო მნიშვნელოვანი მომენტი ახლო აღმოსავლეთის უახლეს ისტორიაში.

ოსლოს შეთანხმებამ და პრინციპების დეკლარაციამ პალესტინის ავტონომიის საკითხი რეალურ საფუძველზე დააყენა. პალესტინელებისა და ისრაელის ურთიერთობებში მოხდა მკვეთრი შემოტრიალება, რომელმაც გზა გაუხსნა არა მარტო სრულმასშტაბიან სამშვიდობო პროცესს მთელ ახლო აღმოსავლეთში, არამედ შექმნა დიალოგის ალტერნატივა კონფრონტაციის იმ პოლიტიკისა, რომელმაც არ გაამართლა. მრავალ პალესტინელს ჩაუნერგა იმედი, რომ მალე განხორციელდებოდა მათი სანუკვარი მიზანი – შეიქმნებოდა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო (280).

3. რეაქცია ოსლოს შეთანხმებასა და პრინციპების დეკლარაციაზე.

ა. 1993 წ. 14 სექტემბერს იცხაკ რაბინი მიიწვია მაროკოს მეფე ჰასან II-მ. ეს იყო ისრაელის პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტი სხვა არაბულ ქვეყანაში ეგვიპტის შემდეგ. მაროკო მეორე არაბული ქვეყანა გახდა, რომელმაც 1994 წ. ცნო ისრაელი. იმავე დღეს ვაშინგტონში ისრაელისა და იორდანიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორ სახელმწიფოს შორის მომავალი მოლაპარაკებების დღის წესრიგზე, ხოლო 1994 წლის 26 ოქტომბერს – სამშვიდობო ხელშეკრულებასაც. ი. რაბინმა, შ. პერესმა და ი. არაფათმა მიიღეს 1994 წ. ნობელის მშვიდობის პრემია (155, 152-155; 99, 126-146; 91, 74; 111, 91-101)

ბ. პრინციპების დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ მთლიანად უჭერდა მხარს დეკლარაციას და ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ **გაერო**ს ეთამაშა აქტიური როლი სამშვიდობო პროცესში. მან მოუწოდა **გაერო**ს წევრ სახელმწიფოებს, გაეფართოებინათ ეკონომიკური და ტექნიკური დახმარება პალესტინისათვის. **გაერო**ს გენერალურმა მდივანმა შექმნა მაღალი დონის მიზნობრივი ჯგუფი ღაზას სექტორის და იერიქონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მას დაევალა დაეზუსტებინა, თუ რა გზით შეეძლო **გაერო**ს, თავისი დახმარების პროგრამის გაფართოება დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში. 23 სექტემბერს

მიზნობრივმა ჯგუფმა დაასრულა თავისი მუშაობა და აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო განხორციელება პროექტებისა, რომლებიც უზრუნველყოფდა პალესტინელთა ყოველდღიური ცხოვრების შესამჩნევ გაუმჯობესებას.

1993 წ. 1 ოქტომბერს ვაშინგტონში გაიმართა კონფერენცია ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მხარდასაჭერად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა დონორმა სახელმწიფომ და დაწესებულებამ, მათ შორის **გაერო**-მ. მათ განაცხადეს, რომ შეიტანდნენ 2,4 მილიარდ დოლარს 5 წლის მანძილზე დასავლეთი ნაპირის და ღაზას სექტორის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დასაფინანსებლად (39, 132).

გ. ოსლოს შეთანხმებაზე, თავდაპირველად, პოზიტიური რეაქცია ჰქონდა პალესტინელთა და ისრაელის მოსახლეობის ძირითად ნაწილს. 1993 წ. შემოდგომაზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ნათელყო, რომ იუდეის, სამარიას და ღაზას სექტორის 68% და, აგრეთვე, ისრაელელთა 62% მხარს უჭერდა შეთანხმებას.

ისრაელელთა პოლიტიკურ ელიტაში უთანხმოება შესამჩნევი იყო. 23 ოქტომბერს ისრაელის ქნესეთში ის მოიწონა 61 დელეგატმა, 59 იყო წინააღმდეგი, რვამ თავი შეიკავა, ხოლო ერთი არ ესწრებოდა. ის ისრაელელები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ისრაელის სრულ გასვლას ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ენთუზიაზმით შეხვდნენ შეთანხმებას, როგორც სამშვიდობო პროცესის პირველ ნაბიჯს. ისრაელის ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ ამ შეთანხმებამ გახსნა გზა მშვიდობისაკენ, არაბებსა და ისრაელს შორის თანამშრომლობისაკენ.

მუშათა (*ავოდას*) პარტიის ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ "პრინციპების დეკლარაცია" ისრაელს საშუალებას აძლევდა გასულიყო ღაზას სექტორიდან და დასავლეთი ნაპირის მჭიდროდ დასახლებული პალესტინური ტერიტორიებიდან, რომლებსაც ისრაელისთვის რელიგიური მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამავე დროს, ვიდრე ებრაული დასახლებები (1997 წლისთვის დასავლეთ ნაპირზე ცხოვრობდა 150 ათასი, ხოლო ღაზას სექტორში - 5 ათასი ებრაელი, რომელთაც აქ ეკუთვნოდათ, შესაბამისად, მიწების 60 და 40% (155,76) რჩებოდნენ თავის ადგილზე, ხოლო იერუსალიმის სტატუსი დაუყოვნებლივ არ დგებოდა

განსახილველად, ისრაელს შეეძლო გაეკონტროლებინა ებრაელებით დასახლებული ტერიტორიები, მტრულად განწყობილი პალესტინელების მართვის გარეშე. ამასთან, ბევრი ისრაელელი იყო შეშფოთებული. *ლიკუდ*ის და *ცომეტ*ის პარტიების ლიდერები ისრაელელ მემარცხენეებთან ერთად თვლიდნენ, რომ ოსლოს შეთანხმებები ქმნიდა პალესტინის სახელმწიფოს ჩარჩოებს, რასაც ისინი ეროვნული უსაფრთხოების მოტივით ეწინააღმდეგებოდნენ.

ლიკუდის ლიდერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ, რომელიც რაბინს ბრალს დებდა ღალატში, ამ შეთანხმებას ისტორიული შეცდომა უწოდა. სხვები არაფათს უწოდებდნენ ტერორისტს, რომლის ნდობაც არ შეიძლებოდა და დებდნენ ფიცს, რომ წინააღმდეგობას გაუწევდნენ პრინციპების დეკლარაციის განხორციელებას. მართალია, სამხედრო ხელისუფალნი კმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაეცემოდა პალესტინის უშიშროების სამსახურს, მაგრამ წუხდნენ იმაზე, თუ როგორ დაიცავდნენ ებრაელ მოსახლეებს. ის ისრაელელები, რომლებიც დასახლდნენ დასავლეთ ნაპირზე და ღაზაში უფრო იდეოლოგიური ანდა რელიგიური მოსაზრებებით, ვიდრე პრაქტიკული მიზნებით, გამოვიდნენ შეთანხმებების წინააღმდეგ და თავს გრძნობდნენ მთავრობის მიერ მოტყუებულებად.

ისრაელთან შეთანხმებას **პგო** განიხილავდა როგორც იმ გზის დასაწყისს, რომელიც დასრულდებოდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნით, რომლის დედაქალაქიც იქნებოდა იერუსალიმი; ასევე, ისრაელელთა დასახლებების ლიკვიდაციით და ყველა პალესტინელი ლტოლვილისა და მათი შთამომავლებისათვის უფლების მიცემით დაბრუნებულიყვნენ უკან; რომ ისრაელის მიერ პალესტინის ერთადერთ სრულუფლებიან წარმომადგენლად **პგო**-ს აღიარება იყო მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ის ცნობდა პალესტინელებს როგორც გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს ლეგიტიმური პოლიტიკური უფლებებით. ამასთან, იყო რადიკალური განცხადებებიც **პგო**-ს ლიდერების მხრიდან, რომ მათი მიზანი იყო არაბული სახელმწიფოს შექმნა ისრაელის მთელ ტერიტორიაზე. არაფათი ისრაელთან შეთანხმებას ადარებდა იმ ხელშეკრულებას, რომელიც მოციქულმა

მუჰამადმა დაუდო კურაიზას ებრაულ ტომს მედინაში და შემდეგ დაარღვია ის (320).

კრიტიკოსები გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ პრინციპების დეკლარაცია ძალზე ბუნდოვანი იყო და მრავალნაირი ინტერპრეტაცია შეიძლება მისცემოდა.

კრიტიკას იწვევდა ისეთი საკითხების გადაჭრის გადადება, როგორებიც იყო: პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, 1948 წ. პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნება, სუვერენიტეტი აღმოსავლეთ იერუსალიმზე, ებრაელთა დასახლებები, უსაფრთხოების ღონისძიებები, პალესტინელ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება და მუდმივი საზღვრები; რომ ხდებოდა ისრაელის ჯარების გადაადგილება და არა გასვლა. მათი სრული გაყვანა არ განიხილებოდა როგორც საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკებების ნაწილი.

კრიტიკას იწვევდა ისიც, რომ არ არსებობდა ისრაელის რაიმე გეგმა, დაებრუნებინა ჩამორთმეული მიწები; არც პირობა იმისა, რომ ის გარდამავალ პერიოდში შეწყვეტდა ჩვეულ კონფისკაციებს და დასახლებების შექმნას. კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ არაფათი არ იყო სერიოზული დემოკრატიის მიმართ და რომ საერთაშორისო დახმარება პალესტინის ეკონომიკის გასავითარებლად აღმოჩნდებოდა არაფათის ფათჰის მხარდამჭერთა ხელში.

პალესტინური დაჯგუფებები - *პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი, პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტი*, ჰამასი, *ისლამური ჯიჰადი* და სხვები, რომლებიც იზიარებდნენ ამ შეშფოთებას, შეუერთდნენ *ეროვნულ-ისლამურ* ფრონტს, რომელმაც ივალდებულა, ემოქმედა ოსლოს შეთანხმების წინააღმდეგ.

უკმაყოფილება პალესტინელთა შორის ძლიერდებოდა. ალბათ იმიტომ, რომ არაფათმა, რომელმაც გააცნობიერა განხეთქილება პალესტინის საზოგადოებაში და თავისი მხარდამჭერების სისუსტე, არ მოიწვია პალესტინის ეროვნული საბჭო (პეს), რომელსაც უნდა მიეღო პრინციპების დეკლარაცია. მან მოიწვია პესის ცენტრალური კომიტეტი ოქტომბერში. ცენტრალური საბჭოს 25-მა წევრმა, უპირატესად *პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის* და *პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტ*ის მხარდამჭერებმა ბოიკოტი

გამოუცხადეს მას. მაგრამ როცა სხდომა შედგა, ოსლოს შეთანხმებები მოწონებულ იქნა 63 ხმით – 8-ის წინააღმდეგ, 11-მა თავი შეიკავა.

სამშვიდობო პროცესი და ისრაელ-პალესტინელების მოლაპარაკებები შეაჩერა 1994 წ. 25 თებერვლის ტრაგიკულმა შემთხვევამ. ამერიკაში დაბადებულმა და ისრაელში, კირიათ არბაში მცხოვრებმა, *კაჩ*ის ექსტრემისტული მოძრაობის წევრმა, ბარუხ გოლდსტეინმა, ქ. ხებრონის ცენტრში, იბრაჰიმის მეჩეთში, დილით, დაცხრილა 29 მლოცველი. გოლდსტეინი მოკლეს, ხოლო შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ისრაელის არაბულ მოსახლეობაში დაიწყო მღელვარება, რამაც მომდევნო რვა დღეში 33 პალესტინელის სიცოცხლე შეიწირა (91, 74).

სამშვიდობო პროცესი განახლდა მას შემდეგ, რაც **გაერო**-ს უშიშროების საბჭომ მიიღო 904-ე რეზოლუცია, რომელმაც დაგმო ექსტრემიზმი და ხოცვა-ჟლეტა; ამასთან, ისრაელმა კანონგარეშედ გამოაცხადა ორი მცირე ჯგუფის - *კაჩ*ის და *კაჰანე ჩა*ის წევრები, რომლებიც მოითხოვდნენ პალესტინელთა გაძევებას ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ისრაელის მთავრობამ გამოიჩინა კეთილი ნება და გაათავისუფლა ასობით პალესტინელი პოლიტპატიმარი. მემარჯვენე ფრთის ისრაელელებმა გააკრიტიკეს აღნიშნული გადაწყვეტილება, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც **პგო** შეძლებდა განეხორციელებინა კონტროლი პალესტინელთა ძალადობაზე ისრაელელთა წინააღმდეგ (277).

საბოლოოდ, ოსლოს შეთანხმების მხარდამჭერთა რიცხვი როგორც ისრაელში, ისე პალესტინელთა შორის, შემცირდა. 1994 წ. იანვარში მისი მომხრე ისრაელში 34% იყო ნაცვლად 62%-ისა, ხოლო პალესტინელთა შორის – 45% ნაცვლად 68%-ისა (118, 189-192).

4. სამშვიდობო პროცესი 1994-99 წლებში და მისი შედეგები

სამშვიდობო პროცესი 1994-99 წლებში საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო (285; 147, 333-344). პალესტინელი ლიდერები არაერთხელ ადანაშაულებდნენ ისრაელს იმაში, რომ არ იცავდნენ შეთანხმების ამა თუ იმ მუხლს. მაგრამ არც პალესტინელები ასრულებდნენ აღებულ

ვალდებულებებს. მაგალითად, არ ამოიღეს პალესტინის ეროვნული ქარტიიდან პუნქტი ისრაელის განადგურების შესახებ.

პრინციპების დეკლარაციის შესაბამისად, მხარეების წინასწარი მოლაპარაკებების შემდეგ, ისრაელის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ ღაზას სექტორი და იერიქონი, არა უგვიანეს, 1994 წლის 13 აპრილისა. არაფათმა არაერთხელ შეწყვიტა მოლაპარაკებები და ითხოვდა, რომ ისრაელის ჯარების გაყვანა მომხდარიყო დათქმულ დროში. მოლაპარაკებები დასრულდა მხოლოდ 1994 წ. თებერვალში და პრინციპების დეკლარაციით გათვალისწინებული ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი დაიწყო 1994 წ. 4 მაისს, როცა კაიროში ხელი მოაწერეს პალესტინა-ისრაელის «ხელშეკრულებას ღაზას სექტორისა და იერიქონის[4] რაიონის შესახებ» ("ღაზა და იერიქონი - თავდაპირველად") (135, 118-126; დანართებითურთ იხ.: 326; 377; 269, 328 (Appendix C); არაბულად იხ.: 277; 279; 117, 105-106; 226, 91-118 (State Building and the Peace Process); 111, 102-126).

ხელშეკრულებით: 1. ისრაელმა პასუხისმგებლობა აიღო ისრაელელებზე და მათ დასახლებებზე (გუშ კატიფის და ერეცის დასახლებათა ზონები და სხვა ებრაული დასახლებები ღაზას სექტორში), ხოლო პალესტინელებმა - საზოგადოებრივ წესრიგსა და პალესტინელთა შიდა უსაფრთხოებაზე. ხელშეკრულების დანართი ითვალისწინებდა ისრაელის ძალების დაუყოვნებლივი გაყვანის დაწყებას ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მის დასრულებას 3 კვირაში; საფრთხოების განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ისრაელის ძალების გაყვანას ღაზა-იერიქონის ტერიტორიებიდან სპეციალურად დასახლებულ ტერიტორიებზე, როგორებიცაა სამხედრო დანადგარების ზონა ეგვიპტის საზღვრის გასწვრივ და ისრაელელთა დასახლებები.

ისრაელელთა დასახლებების და ღაზას სექტორში დასახლებათა ბლოკების დასაცავად პატრულირება დაეკისრა ისრაელის თავდაცვის ძალებს. პალესტინელთა ზოგიერთი მონაკვეთი დასახლებების გარშემო დარჩა ისრაელის

[4] იერიქონი მდებარეობს მდ.იორდანეს დაბლობზე, მკვდარი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით. 1948 წელს, ისრაელთან ომის დროს, ის დაიკავა იორდანიამ. 1967 წ. ივნისის ომში გამარჯვებულმა ისრაელმა მთელ დასავლეთ ნაპირთან ერთად მოახდინა იერიქონის ოკუპაციაც. იერიქონის რაიონში განვითარებულია სოფლის მეურნეობა და ტურისტული ინდუსტრია. ქალაქში დაახლოებით 20 ათასი მცხოვრებია.

უშიშროების სამსახურის პასუხისმგებლობაში. ისრაელმა დაიტოვა მოქმედების სრული თავისუფლება, დაეცვა ისრაელელთა მგზავრობა დასახლებებისკენ და მიმდებარე ადგილებისკენ მიმავალ მთავარ გზებზე. ისრაელმა შეინარჩუნა კონტროლი უსაფრთხებაზე და ზედამხედველობა სატრანსპორტო საშუალებებსა და იარაღზე ყველა შესასვლელ პუნქტში; ასევე, კონტროლი და ზედამხედველობა ზღვასა და მთელ საჰაერო სივრცეზე; უფლება - დღის საათებში უზრუნველეყო "უსაფრთხო დერეფანი" პალესტინელებისთვის და გადაადგილება ღაზას სექტორსა და იერიქონის რაიონს შორის. 9 ათას პალესტინელ პოლიციელს პალესტინელთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით დაეკისრა პასუხისმგებელობა შიდა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე, აგრეთვე, ისრაელელთა წინააღმდეგ ტერორის აღკვეთა მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე. ისრაელმა ივალდებულა განთავისუფლება 5 ათასამდე პალესტინელისა, რომლებიც არ მონაწილეობდნენ მსხვერპლით დასრულებულ ანტიისრაელურ ტერორისტულ აქტებში. ეს არ შეეხო პრინციპების დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ ტერორისტული საქმიანობისათვის დაპატიმრებულ პირებს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ მშვიდობის საწინააღმდეგო ისეთ მოძრაობებთან, როგორებიცაა ᲰᲐᲛᲐᲡი და *ისლამური ჯიჰადი.*

2. ღაზასა და იერიქონში ისრაელის სამოქალაქო ადმინისტრაცია წყვეტდა ფუნქციონირებას, ხოლო მისი უფლებამოსილებები და ვალდებულებები გადაეცემოდა პალესტინელთა ხელისუფლებას შემდეგ სამოქალაქო სფეროებში: განათლება, ბუნებრივი რესურსები, დაზღვევა, საზოგადოებრივი საქმეები, მშენებლობა, სოციალური უზრუნველყოფა, ტურიზმი, პარკები, საფოსტო სამსახური, ტელეკომუნიკაცია, არქეოლოგია, რელიგიური საქმეები, ვაჭრობა და მრეწველობა, წყალი და ჩამდინარე წყლები, მოსამსახურეთა პენსიები, დაგეგმვა, ტრანსპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, პირდაპირი გადასახადები, მოსახლეობის აღწერა, დასაქმება და დოკუმენტების დამოწმება, ელექტრობა, ხაზინა.

3. პალესტინელთა კანონიერი ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდებოდა ყველა საკითხზე ხელშეკრულებაში მოცემული ტერიტორიული, ფუნქციონალური

და პიროვნული იურისდიქციის ფარგლებში, მაგრამ არა ისრაელის მოქალაქეებზე, ისრაელელთა დასახლებებზე ანდა პასუხისმგებლობის იმ სფეროებზე, რომლებიც მას არ გადაეცა, მაგალითად, საგარეო ურთიერთობებზე. III დანართში მოცემულია სპეციალური ღონისძიებები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებში: პალესტინელთა ხელისუფლების იურისდიქციაში შევიდა მათი ტერიტორიული იურისდიქციის ზონებში ჩადენილი სისხლის სამართლის ყველა დანაშაული. ისრაელის სისხლის სამართლის იურისდიქციაში დარჩა ებრაელთა დასახლებებში, სამხედრო ზონებში, ასევე ღაზა-იერიქონის ტერიტორიებზე ისრაელელთა მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული.

გათვალისწინებული იყო ისრაელისა და პალესტინელთა ხელისუფლების თანამშრომლობა და იურიდიული ურთიერთდახმარება სისხლის სამართლის საქმეებში ინფორმაციის გაცვლის, სისხლის სამართლის დამნაშავეთა შესახებ ცნობების მიწოდების, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების რეგისტრაციისა და სხვ. საშუალებებით.

4. მე-4 დანართი ეხებოდა ფართო ეკონომიკურ კავშირებს ისრაელსა და პალესტინის ხელისუფლებას შორის, ისეთი საკითხების ჩათვლით, როგორებიცაა იმპორტ-ექსპორტი, სამონეტო პოლიტიკა, დაბეგვრა და პალესტინელთა სამუშაო ძალა ისრაელში[5]

1994 წ. 29 აგვისტოს ისრაელმა და პალესტინელებმა ხელი მოაწერეს "ხელისუფლებისა და ვალდებულებების გადაცემის მოსამზადებელ ხელშეკრულებას" მას ძალაში შეჰყავდა პრინციპების დეკლარაციის შემდეგი ფაზა და ითვალისწინებდა პალესტინელთათვის უფლებამოსილებათა გადაცემას ხუთ სფეროში: განათლება და კულტურა (უფლებამოსილებათა გადაცემა დასრულდა 1994 წ. 29 აგვისტოს), სოციალური უზრუნველყოფა და ტურიზმი (უფლებამოსილებათა გადაცემა დასრულდა 1994 წ. 13-14 ნოემბერს), ჯანმრთელობის დაცვა და საგადასახადო სფეროები (უფლებამოსილებათა გადაცემა დასრულდა 1994 წ. 1 დეკემბერს) (130b,109-133; 326b; 269, 340-348 (Appendix D)[6].

---

[5] ხელშეკრულების სამართლებრივი ანალიზის შესახებ იხ.: 250, 18-25. .

[6] ეს ხელშეკრულება ცნობილია სხვა სახელწოდებითაც: "Early Empowerment Agreement"(51, 33-39).

ამ ხელშეკრულების დადებას არ მოჰყვა მნიშვნელოვანი პროგრესი ისრაელ-პალესტინელთა ურთიერთობაში. პირიქით, მოხდა მისი გაუარესება, რაც გამოიწვია ძალადობის ორმხრივმა აქტებმა, როგორც ისლამისტი ექსტრემისტების, ისე - ისრაელის სპეცსამსახურის მხრიდან 1994 წ. ოქტომბრიდან - 1995 წლის აპრილამდე (91, 77, 78-80, 81). შედეგად, ისრაელის მთავრობამ რამდენჯერმე დროებით ჩაკეტა დასავლეთი ნაპირი და ღაზას სექტორი, ხოლო პალესტინის პოლიციამ დააპატიმრა **ჰამასის** და *ისლამური ჯიჰადის* ასობით წევრი. ძალადობის აქტები ისლამისტი ექსტრემისტების მხრიდან გრძელდებოდა 1995 წ. ივლის-აგვისტოშიც. ამასთან, ისრაელის და პალესტინის წარმომადგენლები განაგრძობდნენ მუშაობას პალესტინის თვითმმართველობის გაფართოების და დასავლეთი ნაპირიდან ისრაელის ჯარების გაყვანის თაობაზე.

1995 წ. 29 აგვისტოს კაიროში ხელმოწერილ იქნა "პალესტინელთა ხელისუფლებისათვის დამატებითი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების გადაცემის ოქმი" (177, 105; 390b). ამ ოქმის თანახმად, პალესტინელთა ხელისუფლებას 1995 წლის 1 ოქტომბრამდე გადაეცემოდა დამატებითი უფლებამოსილებები და ვალდებულებები რვა სფეროში: სამუშაო ძალა, ვაჭრობა და მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, გაზი და ნავთობი, დაზღვევა, საფოსტო სამსახური, სტატისტიკა, და ადგილობრივი მმართველობა.

მეწამული ზღვის კურორტ თაბაში ორი მხარის მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის შემდეგ, 1995 წ. 28 სექტემბერს, ვაშინგტონში ხელი მოეწერა «ისრაელელთა და პალესტინელთა შუალედურ ხელშეკრულებას დასავლეთი ნაპირისა და ღაზას სექტორის შესახებ" (136,123-139; 361; 378;269, 349-368 - Appendix E), (შემდეგ: "შუალედური ხელშეკრულება"). ამ ხელშეკრულებამ, რომელსაც "ოსლო II"-საც უწოდებენ", დაასრულა ისრაელსა და **პგრს** შორის მოლაპარაკებათა პირველი ფაზა, მოიცვა და შეცვალა ღაზა-იერიქონის ხელშეკრულება და მისი მომდევნო შეთანხმებები პალესტინელთათვის უფლებამოსილებათა და ვალდებულებათა გადაცემის შესახებ. მისი მთავარი მიზანი იყო პალესტინის თვითმმართველობის გაფართოება დასავლეთ ნაპირზე თვითმმართველობის არჩევითი ხელისუფლებითი ორგანოს - პალესტინის საბჭოს

მეშვეობით. ის საშუალებას აძლევდა პალესტინელებს, წარემართათ თავიანთი საკუთარი საშინაო საქმეები და, იმავდროულად, იცავდა დასავლეთ ნაპირზე ისრაელის სასიცოცხლო, განსაკუთრებით, უსაფრთხოების (საგარეო თუ მისი მოქალაქეების პიროვნული უშიშროების) ინტერესებს.

თანახმად შუალედური ხელშეკრულებისა (რომელიც შედგებოდა 31 მუხლის, 7 დანართისა და 6 რუკისგან): 1. უნდა ჩატარებულიყო დემოკრატიული არჩევნები პალესტინელთა საბჭოს და საბჭოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის (*რა'ის*) ასარჩევად შუალედურ პერიოდში, ღაზა-იერიქონის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ხუთ წელიწადში (ე.ი., არა უგვიანეს, 1999 წლის მაისისა); საბჭოს არჩევის შემდეგ ისრაელის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია წყვეტდა თავის ფუნქციონირებას. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ენიჭებოდა დასავლეთ ნაპირზე და იერუსალიმში მცხოვრებ 18 წლის ასაკზე მეტი ხნის ყველა პალესტინელს. საბჭოს ეკისრებოდა სხვადასხვა პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება უსაფრთხოების და სამოქალაქო სფეროებში, მაგრამ არა საგარეო სფეროში. ამასთან, **პგრ**ს ეძლეოდა უფლება, საბჭოს სახელით, ეწარმოებინა მოლაპარაკებები და ხელი მოეწერა ხელშეკრულებებისთვის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეკონომიკა, დონორი ქვეყნები, რეგიონალური განვითარება. ისრაელი ინარჩუნებდა იმ უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს, რომლებიც არ გადაეცემოდა საბჭოს.

2. შინა უსაფრთხოებასთან და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებით დასავლეთ ნაპირზე იქმნებოდა სამი სხვადასხვა ტიპის ზონა: **"A"** ზონა ქალაქებით: ჯენინი, ნაბლუსი, ტულქარმი, კალკილია, რამალაჰი, ბეთლემი და ხებრონი - ამ უკანასკნელის ძველი ნაწილის, ებრაელთა უბნის, სოფ. კირიათ არბასთან და პატრიარქების საფლავებთან დაკავშირებული ადგილების გარდა. ამ ტერიტორიებზე პალესტინის საბჭოს ეკისრებოდა სრული პასუხისმგებლობა შინა უსაფრთხოებაზე, საზოგადოებრივ წესრიგსა და სამოქალაქო საქმეებზე. "**B**" ზონა - პალესტინელთა 450 მომცრო ქალაქით და სოფლით დასავლეთ ნაპირზე, პალესტინის მოსახლეობის დაახლოებით 68%-ით. "**A**" ზონის მსგავსად, აქ საბჭოს ეძლეოდა სრული სამოქალაქო ხელისუფლება და ევალებოდა საზოგადოებრივი

წესრიგის შენარჩუნება. ისრაელს ექნებოდა სრული უფლებამოსილება გამოეყენებინა ძალა თავისი მოქალაქეების დასაცავად და ტერორიზმთან საბრძოლველად. საგანგებოდ განსაზღვრულ ქალაქებსა და სოფლებში უნდა შექმნილიყო 25 საპოლიციო პოსტი, რომლებიც საშუალებას მისცემდა პალესტინელთა პოლიციას, განეხორციელებინა თავისი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ წესრიგზე. პალესტინელთა პოლიციის გადაადგილება უნდა შეთანხმებულიყო ისრაელთან. "**C**" ზონა, რომელიც მოიცავდა დასავლეთი ნაპირის დაუსახლებელ მიწებს, ისრაელისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ტერიტორიებს და ებრაელთა დასახლებებს. ისრაელი ინარჩუნებდა სრულ პასუხისმგებლობას უსაფრთხოების დაცვასა და საზოგადოებრივ საქმეებზე. საბჭოს კი თავის თავზე უნდა აეღო ის სამოქალაქო პასუხისმგებლობები, რომლებიც არ უკავშირდებოდა ამ ტერიტორიას. ასეთებია: ეკონომიკა, ჯანმრთელობა, განათლება და სხვ.

ისრაელის თავდაცვის ძალების გასვლა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულებაში მოცემული განრიგის შესაბამისად - ხელმოწერიდან 10 დღეში. პირველ ფაზაში, არჩევნების ჩატარების გასაიოლებლად, არჩევნებამდე 22 დღით ადრე, ისრაელის თავდაცვის ძალები დატოვებდნენ "**A**" ზონის 6 მოზრდილ ქალაქს (ჯენინი, ნაბლუსი, ტულქარმი, კალკილია, რამალაჰი და ბეთლემი), 450 მომცრო ქალაქსა და სოფელს. ხებრონისთვის გათვალისწინებული იყო სპეციალური ზომები. ჯარების გაყვანის დასასრულ, პალესტინელთა აღნიშნულ ცენტრებში ისრაელის თავდაცვის ძალები აღარ დარჩებოდნენ.

"შუალედური ხელშეკრულების" თანახმად, საბჭოს ინაუგურაციიდან 6 თვის ინტერვალებით, უნდა დაწყებულიყო სერია ისრაელის შეიარაღებული ძალების შემდგომი გასვლისა, რომლის დროსაც დამატებითი ნაწილები "**C**" ზონისა (იხ. ქვემოთ) გადაეცემოდა საბჭოს ტერიტორიულ იურისდიქციას ისე, რომ გადანაცვლების ფაზების დასრულების შემდეგ (18 თვეში) პალესტინელთა ტერიტორიული იურისდიქცია გავრცელდებოდა დასავლეთი ნაპირის ტერიტორიაზე. გამონაკლისს წარმოადგენდა ის ადგილები, რომელთა იურისდიქცია განისაზღვრებოდა მოლაპარაკებების საბოლოო სტატუსით (დასახლებები, სამხედრო ობიექტები და სხვ.).

ხელშეკრულება ავალდებულებდა საბჭოს, ინაუგურაციიდან ორ თვეში გაეუქმებინა პგრს ქარტიის ის მუხლები, რომლებიც მოუწოდებდენ ისრაელის სახელმწიფოს მოსპობისკენ. ხელშეკრულებამ განსაზღვრა გარდამავალ პერიოდში: ა. რაოდენობა პალესტინელთა საპოლიციო ძალებისა, რომლებიც წარმოადგენდნენ პალესტინელთა ერთადერთ სამხედრო ძალას, დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში განისაზღვრებოდა არა უმეტეს, 30 ათასით (მათგან 12 ათასი დასავლეთ ნაპირზე და 18 ათასი ღაზას სექტორში); ბ. რაოდენობა პალესტინის ფარგლებს გარედან შემოყვანილი პოლიციელებისა (რომლებიც ატარებდნენ იორდანიის პასპორტებს, ანდა ეგვიპტეში გაცემულ პალესტინელთა დოკუმენტებს), კი არა უმეტეს, 5 ათასით - დასავლეთ ნაპირზე და 7 ათასით - ღაზას სექტორში.

ორივე მხარეს ევალებოდა, უზრუნველეყო დაუყოვნებლივი, ქმედითი და ეფექტური მოწესრიგება ნებისმიერი ინციდენტისა, რომელიც შეიცავდა მუქარას ან ტერორიზმის აქტს, ძალადობას ან მოწოდებას ძალის გამოყენებისკენ პალესტინელთა ანდა ისრაელელთა მხრიდან. ამ მიზნით, ისინი ითანამშრომლებდნენ, რათა გაეცვალათ ინფორმაცია და შეეთანხმებინათ პოლიტიკა და საქმიანობა. გათვალისწინებული იყო ერთობლივი უშიშროების კომიტეტის შექმნა ისრაელის თავდაცვის ძალებსა და პალესტინის პოლიციას შორის მოქმედების კოორდინაციის მიზნით. რეგიონალური ოფისები დღე-ღამეში 24 საათი იმუშავებდნენ. ერთობლივი პატრულები უზრუნველყოფდნენ თავისუფალსა და უშიშარ მოძრაობას "**A**" ზონის მითითებულ გზებზე. ინციდენტების და საგანგებო შემთხვევების დროს სწრაფი რეაგირებისათვის გამოყენებული იქნებოდა ერთობლივი მობილური ერთეულები.

ხელშეკრულებით ისრაელის თავდაცვის ძალები და ისრაელელები აგრძელებდნენ თავისუფალ მოძრაობას დასავლეთ ნაპირსა და ღაზაში. "**A**" ზონაში ისრაელის სატრანსპორტო საშუალებებს გაჰყვებოდნენ ერთობლივი პატრულები. დაუშვებელი იყო ისრაელელთა დაპატიმრება, ანდა დაკავება პალესტინელთა პოლიციის მიერ.

3. "**C**" ზონაში უფლებამოსილებები და ვალდებულებები, რომელთაც არა ჰქონდათ კავშირი ტერიტორიასთან, მაშინვე გადაეცემოდა საბჭოს. ხოლო

ტერიტორიასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები და ვალდებულებები - თანდათან, ამ ზონებში ისრაელის თავდაცვის ძალების გაყვანასთან ერთად.

4. ხელშეკრულების იურიდიული დანართის პუნქტები განსაზღვრავდნენ იურიდიულ ურთიერთობებს ისრაელსა და პალესტინის საბჭოს შორის; საბჭოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო იურისდიქციას; სისხლის სამართლისა და სამართლებრივ საკითხებში იურიდიულ დახმარებას, თანამშრომლობას საპოლიციო ძიებასთან დაკავშირებით.

5. დასავლეთ ნაპირსა და ღაზაში რელიგიური მნიშვნელობის ადგილებზე პასუხისმგებლობა გადაეცემოდა პალესტინელთა მხარეს. "**C**" ზონაში - თანდათან, ისრაელის შეიარაღებული ძალების "შემდგომი გაყვანის ფაზის" განმავლობაში, იმ საკითხების გარდა, რომლებიც განხილული იქნებოდა მუდმივ სტატუსზე მოლაპარაკებების დროს. ორივე მხარეს ევალებოდა პატივი ეცა ებრაელთა, ქრისტიანთა, მუსლიმთა და სამარიტელთა უფლებებისთვის, დაეცვათ წმიდა ადგილები, ჰქონოდათ უფლება წმიდა ადგილებში შესვლისა და ღვთისმსახურების თავისუფლად ჩატარებისა. ხელშეკრულება იძლეოდა ამის გარანტიას და განსაზღვრავდა "**A**" და "**B**" ზონებში მდებარე წმინდა ადგილებში შესვლის პროცედურებს. საგანგებო ზომები, რომლებიც, აგრეთვე, იძლევა შესვლის და ღვთისმსახურების თავისუფლების გარანტიას, გათვალისწინებული იყო ბეთლემში, რახილსა და ნაბლუსში იოსების საფლავთან დაკავშირებით.

6. ხებრონისთვის, მის შუაგულში ებრაელთა დასახლებისა და მგრძნობიარე ისტორიული და რელიგიური ასპექტების გამო, ხელშეკრულებაში მიღებული იყო საგანგებო ზომები. ქალაქი, VII დანართით, იყოფოდა ორ ზონად: "**H-1**" ზონა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა იყო პალესტინელი. აქ შინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პალესტინის პოლიციას და "**H-2**" ზონა, ხებრონის ძველი ნაწილი, ებრაელთა უბანი, და ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო სოფ. კირიათ არბასთან და პატრიარქების საფლავებთან, სადაც ცხოვრობდა ხებრონის მთელი ებრაული მოსახლეობა პალესტინელებთან ერთად. აქ მთელი პასუხისმგებლობა უსაფრთხოების დაცვასა და საზოგადოებრივ წესრიგზე - ისრაელელთა დასაცავად და წმინდა ადგილების

მოსანახულებლად - რჩებოდა ისრაელს. ორივე ზონაში სამოქალაქო უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობები ეკისრებოდა პალესტინელთა მხარეს.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა ისრაელის თავდაცვის ძალები გასვლას ხებრონიდან, არაუგვიანეს, 6 თვისა ხელშეკრულების ხელმოწერიდან, გარდა იმ ადგილებისა, სადაც აუცილებელია უსაფრთხოების ზომები, ისრაელელთა და მათი გადაადგილების დაცვა.

7. ისრაელი და პალესტინელთა საბჭო იღებდნენ ვალდებულებას, ყოფილიყვნენ ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ნორმების ერთგულნი.

8. ისრაელმა აიღო ვალდებულება, გაეზარდა პალესტინელთათვის გამოყოფილი წყლის რაოდენობა 28 მლნ კუბ. მ-ით.

9. ორმხრივი ნდობის აღდგენის და ატმოსფეროს გაუმჯობესების მიზნით, ისრაელს უნდა გაეთავისუფლებინა პალესტინელი პატიმრები ისრაელის ციხეებიდან სამ ფაზად: ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საბჭოს არჩევნების დაწყების წინ და მოგვიანებით.

10. შუალედურ ხელშეკრულებაში შევიდა ღაზა-იერიქონის ხელშეკრულების ეკონომიკური დანართი, სხვა დამატებებით და მცირე ცვლილებებით. მისი პუნქტები, ბაჟებისა და იმპორტის პოლიტიკის მიზნით, ერთიანი ეკონომიკური ორგანოს შექმნის თაობაზე გავრცელდა მთელ დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორზე. მხარეებმა ივალდებულეს თანამშრომლობა პროგრამებში, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ოფიციალური პირები, დაწესებულებები და კერძო სექტორი ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა და საზოგადოება. ამგვარი თანამშრომლობის ხელშესაწყობად უნდა შექმნილიყო მუდმივი კომიტეტი.

6 ოქტომბერს ქნესეთმა, მიუხედავად "ლიკუდის" ოპოზიციური ბლოკის ლიდერის ბ. ნეთანიაჰუს წინააღმდეგობისა, მოიწონა შუალედური ხელშეკრულება. 10 ოქტომბერს დაიწყო პალესტინელ პატიმართა სამფაზიანი განთავისუფლება ისრაელის ციხეებიდან, ხოლო ოქტომბრის შუა რიცხვებიდან - ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანა "**A**" ზონიდან. პირველი დასახლებული პუნქტები,

რომლებიც მათ დატოვეს, იყო სოფელი სალფიტი და ქალაქი ჯენინი (25 ოქტომბერს) (91, 82).

4 ნოემბერს ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი მოკლა ებრაელმა რელიგიურმა ნაციონალისტმა იგალ ამირმა. ახალმა პრემიერ-მინისტრმა შიმონ პერესმა გააგრძელა სამშვიდობო პროცესი. ისრაელის თავდაცვის ძალების გაყვანა (ხებრონის გამოკლებით) სერიოზული უთანხმოების გარეშე 1995 წ. ბოლოს დასრულდა. ამით გზა გაეხსნა არჩევნებს დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში (320).

ისრაელის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, როცა დებდა პგოსთან ხელშეკრულებას, იყო ტერორის შეწყვეტა, რაც არ მოხდა. პალესტინის ექსტრემისტულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, გააძლიერეს ტერორისტული საქმიანობა. ამის შედეგად, 1993 წ. სექტემბრიდან – 1995 წ. მაისამდე დაიღუპა 130-მდე ისრაელელი. ხოლო ოსლოს შეთანხმებიდან 5 წლის მანძილზე საერთო ჯამში - 279 ისრაელელი. თავდაპირველად, ისრაელის მოთხოვნით, არაფათი საჯაროდ გმობდა ტერორისტულ აქტებს, მაგრამ, ამავე დროს, დაღუპულ ტერორისტებს უწოდებდა შაჰიდებს. 1995 წ. ისრაელის დაწოლით განხორციელდა ზოგიერთი ღონისძიება ტერორის წინააღმდეგ. რამდენიმე ტერორისტი დააპატიმრეს და გაასამართლეს, მაგრამ, როგორც წესი, ისინი მალე თავისუფლდებოდნენ. ტერაქტების საპასუხოდ, 1995 წ. იანვრის ბოლოს ისრაელმა აუკრძალა პალესტინელებს მის ტერიტორიაზე შესვლა, რამაც გააუარესა პალესტინის ეკონომიკის მდგომარეობა, ვინაიდან მუშაობა ისრაელში ბევრი პალესტინელისთვის არსებობის ერთადერთი საშუალება იყო. გაიზარდა რაოდენობა იმ ორგანიზაციების მიმდევრებისა, რომლებიც გამოდიოდნენ ოსლოს შეთანხმების წინააღმდეგ და ბრალად სდებდნენ არაფათს, რომ ის მიდიოდა დათმობებზე ისრაელთან.

არაფათი შეეცადა, შეემსუბუქებინა ვითარება. 1996 წლის 24 აპრილს არჩევნების შედეგად შექმნილმა პალესტინის ეროვნულმა საბჭომ (პეს)[7] ღაზაში

[7] პალესტინის ეროვნული საბჭო არის პგოს საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება; აყალიბებს პოლიტიკას, აღმასრულებელი კომიტეტის სახელმძღვანელო ხაზს და ნიშნავს მის წევრებს. ამჟამად, მისი წევრების რაოდენობაა 483. აღსანიშნავია, რომ 1988 წ.

დაადგინა (504 ხმით 62-ის წინააღმდეგ), რომ ჩასწორებულიყო პალესტინის ეროვნული ქარტიის ის მუხლები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა 1993 წლის 9 სექტემბერს პგოსა და ისრაელის ხელისუფალთა შორის გაცვლილ წერილებს (იგულისხმება ისრაელის სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ მიმართული მუხლები) და დაავალა თავის იურიდიულ კომიტეტს, გადაემუშავებინა პალესტინის ეროვნული ქარტია და წარედგინა დასამტკიცებლად პალესტინის ცენტრალური საბჭოს[8] პირველი სესიისათვის (173, 146-147). არაფათი იმედოვნებდა, რომ ამ ნაბიჯით მოახდენდა სამშვიდობო პროცესის რეაბილიტაციას, მაგრამ ვითარება შეიცვალა. ისრაელი უკვე ემზადებოდა საპარლამენტო და პრემიერ-მინისტრის არჩევნებისთვის.

1996 წ. 5 მაისს პალესტინელთა და ისრაელის წარმომადგენლები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს თაბაში, რათა დაეწყოთ მოლაპარაკებები საბოლოო სტატუსზე, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ებრაელთა დასახლებები, იერუსალიმი, პალესტინელი ლტოლვილები, საზღვრები და პალესტინის მომავალი სტატუსი. მაგრამ დამდეგმა ისრაელის საპარლამენტო და პრემიერ-მინისტრის არჩევნებმა განაპირობა მოლაპარაკებათა გადადება. ერთადერთი, რასაც 1996 წ. 9 მაისს ორმა მხარემ მოაწერა ხელი, იყო "ხებრონში დროებითი საერთაშორისო ძალების ყოფნის ხელშეკრულება" (328).

საერთაშორისო ძალების დროებით ყოფნას ხებრონში ითვალისწინებდა “შუალედური ხელშეკრულება”, რომლის ძალითაც, მხარეებმა სთხოვეს ნორვეგიას, რომ ხებრონში გაეგზავნა 50-60 კაციანი ჯგუფი. 1996 წ. 9 მაისის ხელშეკრულებით, ნორვეგიელთა პერსონალი ჩავიდა ხებრონში და დაიწყო თავისი საქმიანობა, რამაც ხელი შეუწყო ხებრონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების დაცვის განმტკიცებას.

---

15 ნოემბერს პალესტინის ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა პალესტინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა (384b).

[8] პალესტინის ცენტრალური საბჭო, რომელიც შეიქმნა 1973 წ., როგორც პგოს აღმასრულებელი საკონსულტაციო ორგანო, 1991 წ. პმესის მე-20 სესიაზე გახდა მისი საკონსულტაციო და აღმასრულებელი ორგანო. მისი 95 წევრი არჩეულია პმესის წევრთაგან. საბჭო იკრიბება რეგულარულად, ყოველ 6 თვეში, და ასრულებს პმესის როლს, როცა ამ უკანასკნელს არა აქვს სესია (384b).

“შუალედური ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანა ხებრონიდან გაჭიანურდა. ეს გამოიწვია ისრაელში 1996 წ. 29 მაისის არჩევნებში[9] ლიკუდის მემარჯვენე ბლოკის ლიდერის ბენიამინ ნეთანიაჰუს გამარჯვებამ, რომელმაც სამშვიდობო პროცესისადმი მკაცრი პოზიცია აირჩია.

ბენიამინ ნეთანიაჰუს კურსი. ნეთანიაჰუ მოითხოვდა დასრულებულიყო დათმობები პალესტინელებისადმი. ნაცვლად პრინციპისა "მშვიდობა ტერიტორიების ნაცვლად", ნეთანიაჰუ აცხადებდა, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგება უნდა დამყარებოდა უსაფრთხოებას (“ტერიტორია უსაფრთხოების ნაცვლად”), ნაცვალგების პრინციპს და დემოკრატიას. ის გამორიცხავდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას დასავლეთ ნაპირზე, უკომპრომისო იყო იერუსალიმის საკითხში.

ისრაელის ხელისუფლება გეგმავდა, საუკუნის მიწურულისთვის გაეზარდა ახალი ებრაული დასახლებები დასავლეთ ნაპირზე და ებრაელ მოსახლეთა რაოდენობა 500 ათასამდე. 19 ივლისს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ლევიმ აცნობა არაფათს, რომ არ იქნებოდა რაიმე პროგრესი ხებრონთან დაკავშირებით, ვიდრე არ შესრულდებოდა ისრაელის გარკვეული მოთხოვნები, კერძოდ, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობის შეწყვეტა იერუსალიმში და მორატორიუმის შეჩერება ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილ ისლამისტთა განთავისუფლებაზე. მან, აგრეთვე, უარი თქვა, დაესახელებინა საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკებათა განახლების თარიღი (91, 86).

სექტემბრის მიწურულს, დაიწყო სისხლიანი შეტაკებები ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის იერუსალიმში, დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში, რაც გამოიწვია ისრაელის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ, გაეთხარათ იერუსალიმის არაბული და ებრაული უბნების დამაკავშირებელი გვირაბი გოდების კედლის გასწვრივ.

---

[9]პარლამენტში "შრომის პარტიამ" შ. პერესის მეთაურობით მიიღო 34 ადგილი, ხოლო ლიკუდმა - 32. ამან აიძულა ნეთანიაჰუ, შეექმნა კოალიცია, რომელიც აერთიანებდა სამ ორთოდოქსულ და ულტრაორთოქდოსულ და ორ მემარჯვენე-ცენტრისტულ პარტიებს. პარლამენტის 120 ადგილიდან კოალიციას ჰქონდა 68 ადგილი. ნეთანიაჰუს პრემიერ-მინისტრობის შესახებ იხ.: 109, 58-69; 152, 1-23; 170, 89-97.

ხებრონის[10] თაობაზე ორმა მხარემ ახალ შეთანხმებას მიაღწია მხოლოდ 1997 წლის 17 იანვარს, როცა ხელმოწერილ იქნა ოქმი "ხებრონში [ისრაელის ძალების] გადაადგილებასთან დაკავშირებით"(125, 131-136; 391. 269, 369-374 (Appendix F); 181, 111-114; 182, 113-125).

ოქმში მთავარი იყო პუნქტები უსაფრთხოებისა და სამოქალაქო საკითხების შესახებ. უსაფრთხოების დაცვის სფეროში ოქმის თანახმად: ისრაელის შეიარაღებული ძალები უნდა გასულიყვნენ ხებრონიდან ოქმის ხელმოწერიდან 10 დღეში; პასუხისმგებლობა შინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე "**H-1**" ზონაში ეკისრებოდათ პალესტინელებს, ხოლო "**H-2**" ზონაში - ისრაელს. დამატებით, ისრაელი აგრძელებდა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით თავისი ვალდებულებების განხორციელებას. განსაკუთრებით მგრძნობიარე ზონებში იმოქმედებდნენ ერთობლივი მობილური ერთეულები და პატრულები. ერთობლივი საკოორდინაციო ცენტრი, ორი მხარის მაღალი თანამდებობის პირების მეთაურობით, ერთმანეთთან შეათანხმებდნენ უშიშროების ყველა ერთობლივ ზომას. "**H-1**" ზონის განსაკუთრებულად მგრძნობიარე ადგილებში, "**H-2**" ზონის მახლობლად, პალესტინელთა პოლიცია შექმნიდა საკონტროლო პუნქტებს და

[10]ხებრონი მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთით 32 კმ-ის დაშორებით, იუდეის ბორცვებზე. აქ ცხოვრობს დაახლოებით 120 ათასი არაბი, 500 ებრაელი და რამდენიმე ქრისტიანი - ქალაქის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მცველები. დამატებით, 6 ათასი ებრაელი ცხოვრობს მახლობლად მდებარე კირიათ არბაში. ხებრონი მსოფლიოში ებრაელთა თემის უძველესი სამოსახლოა, რომელიც ბიბლიური ხანიდანაა ცნობილი. აქ, მახფელას მღვიმეში, არის პატრიარქების აბრაამის, ისაკის, იაკობის და მათი ცოლების: სარას, რებეკას და ლიას საფლავები. ებრაელები ხებრონში მუდმივად ცხოვრობდნენ ბიზანტიელთა, არაბთა, მამლუქთა და ოსმანთა ბატონობის დროს. გამონაკლისია ჯვაროსანთა ეპოქა 1100-1260 წწ., როცა ისინი გააძევეს ქალაქიდან. ხებრონს დიდი რელიგიური მნიშვნელობა აქვს არაბებისთვისაც. ისინი აბრაამს, რომელსაც იბრაჰიმს უწოდებენ, წინასწარმეტყველად მიიჩნევენ. ყურანით, იბრაჰიმი ერთღმერთიანობის პირველი მქადაგებელია. ის იყო ალაჰის გულწრფელი მეგობარი - არაბ. *ალ-ხალილ*. სწორედ ამიტომ, არაბები ხებრონს, სადაც აღესრულა იბრაჰიმი, *ალ-ხალილს* უწოდებენ. იბრაჰიმის ვაჟი ისმაილი არაბთა მამამთავრად ითვლება. 1948 წ. ხებრონი დაიკავეს იორდანელებმა. 1967 წლის ივნისის ომის შემდეგ, როცა დასავლეთი ნაპირის ოკუპაცია მოახდინა ისრაელმა, ებრაელთა თემი ხებრონში კვლავ აღდგა. ხებრონში არის მუსლიმთა მნიშვნელოვანი სალოცავი, იბრაჰიმის მეჩეთი. ხებრონში არაბთა და ებრაელთა არაერთი მწვავე და სისხლიანი დაპირისპირება აღინიშნა. 1929 წ. 29 აგვისტოს ხებრონში მოხდა დიდი დარბევა არაბთა მხრიდან, როცა 67 ებრაელი მოკლეს და დანარჩენი იძულებული გახდა იერუსალიმში გაქცეულიყო. ქალაქი დროებით დაიცალა ებრაელებისგან. 1980 წ. მაისში პალესტინელმა ტერორისტმა მოკლა 6 და დაჭრა 20 ებრაელი სტუდენტი. ებრაელი ექსტრემისტის ბარუხ გოლდსტეინის ქმედების შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი (352).

აღკვეთდა დემონსტრანტთა ანდა სხვა პირთა შესვლას, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდნენ საზოგადოებრივ წესრიგს.

ოქმით პალესტინელთა პოლიციის საგუშაგოები და პოსტები უნდა განლაგებულიყვნენ "**H-1**" ზონაში ოქმზე დართულ რუკაზე ნაჩვენებ შეთანხმებულ ადგილებში. ყველა პოლიციელი გაივლიდა უშიშროების სამსახურის შემოწმებას, სამსახურისათვის თავისი ვარგისიანობის დასამტკიცებლად. "შუალედური ხელშეკრულებით", პოლიციელთა რაოდენობა ხებრონში განისაზღვრა 400 კაცით და 20 სატრანსპორტო საშუალებით, პოლიციელთა შეიარაღება 200 პისტოლეტით და 100 შაშხანით, რომელთა გამოყენება დაშვებული იყო საპოლიციო საგუშაგოების დასაცავად და მხოლოდ სპეცდანიშნულების სწრაფი რეაგირების ჯგუფის მიერ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განსაკუთრებულ შემთხვევებში. ოქმი ითვალისწინებდა "**A-1**" ზონაში მდებარე ებრაელთა ოთხი წმინდა ადგილის დაცვას, იქ შესვლის თავისუფლების გარანტირებას, ღვთისმსახურთა პატივის მიგებას.

სამოქალაქო სფეროში, ოქმის თანახმად, ის უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები, რომლებიც ხებრონში ჯერ კიდევ არ იყო პალესტინელთა ხელთ, გადაეცემოდათ მათ ისრაელის თავდაცვის ძალების გაყვანის დაწყების პარალელურად. "**A-2**" ზონაში ისრაელელებთან და მათ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს განახორციელებდა ისრაელის სამხედრო ხელისუფლება. ხებრონის ისრაელელები გააგრძელებდნენ სამსახურს ქალაქის ინფრასტრუქტურაში და გადაზიდვების ქსელში. ისრაელი 48 საათით ადრე უნდა ყოფილიყო ინფორმირებული იმ ნებისმიერ საქმიანობაზე, რომელსაც შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა მოძრაობაზე "**H-2**" ზონაში, ანდა ინფრასტრუქტურაზე, რომელიც ემსახურება ამ ზონას.

შუალედური ხელშეკრულების თანახმად, "**H-2**" ზონაში პალესტინელთა მიმართ კანონებისა და ინსტრუქციების ძალაში შესვლა უნდა განხორციელებულიყო უნიფორმაში გამოწყობილი, არა უმეტეს, 50 შეუიარაღებელი მუნიციპალური ინსპექტორის მიერ, რომლსაც ექნებოდათ ოფიციალური პირადობის

მოწმობა. პალესტინელთა მხარე, დისკრიმინაციის გარეშე, უზრუნველყოფდა მუნიციპალურ სამსახურს ხებრონში (46, 17-30; 224, 30-36).

1997 წ. 15 იანვრის შეხვედრაზე, როდესაც პარაფირებული იქნა ხებრონის ოქმი, ბენიამინ ნეთანიაჰუს და იასირ არაფათის თხოვნით, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის საგანგებო კოორდინატორმა დენი როსმა მოამზადა ნოტა ოქმისათვის (125, 138-139. აგრეთვე : 354. 269, 375-376, Appendix G). ის აჯამებდა შეხვედრაზე შეთანხმებულ საკითხებს, რომლებიც ოქმში არ შევიდა.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ორი მხარე შეთანხმდა ოსლოს სამშვიდობო პროცესის განავითარების საჭიროებაზე და მათ ხელახლა დაადასტურეს თავიანთი ვალდებულებები, შეესრულებინათ შუალედური ხელშეკრულება ნაცვალგების საფუძველზე. კერძოდ, ისრაელმა ივალდებულა, რომ: ისრაელის შეიარაღებული ძალების შემდგომი გაყვანის პირველი ფაზა დასრულდებოდა 1999 წ. მარტის პირველ კვირაში; **"B"** ზონის 7% გადაეცემოდა **"A"** ზონას და **"C"** ზონის 2**% - "B"** ზონას; პატიმრების განთავისუფლება მოხდებოდა შუალედური შეთანხმების VII დანართის თანახმად. იყო შეთანხმება პალესტინელ პოლიტპატიმართა განთავისუფლების ვადებზე, იმის თაობაზე, რომ გაიმართება მოლაპარაკებები შუალედური ხელშეკრულების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორებიცაა: თავისუფალი გასასვლელები დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორს შორის; ღაზას აეროპორტი; ღაზას პორტი; დერეფნები; ეკონომიკური, ფინანსური, სამოქალაქო და უსაფრთხოების საკითხები; პროგრამა "ხალხი ხალხს"[11], რომლის დანიშნულებაა, გაამლიეროს დიალოგი და ურთიერთობები ორ მხარეს შორის; ხებრონის ოქმის განხორციელებიდან ორ თვეში უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკებები მუდმივ სტატუსზე. შედეგების განხორციელება დაიგეგმა ხუთწლიანი შუალედური პერიოდის დასასრულს. პალესტინელებმა ივალდებულეს, დაესრულებინათ ეროვნული ქარტიის გადასინჯვა, კერძოდ, გაეუქმებინათ ის მუხლები, რომლებიც უარყოფენ ისრაელის უფლებას არსებობაზე, ანდა სხვა მხრივ არიან შეუთავსებელნი სამშვიდობო პროცესთან.

---

[11] ხებრონის ოქმის ხელმოწერის შემდეგ ისრაელისა და პალესტინელთა მხარეები შეთანხმდნენ, შეეტანათ ეს პროგრამა შუალედური ხელშეკრულების VI დანართში, რომელიც ეხება ისრაელ-პალესტინელთა თანამშრომლობას. ის შევიდა ამ დანართში მე-8 მუხლად (387).

ნოტა იძლეოდა სპეციფიკურ ვალდებულებებს ტერორიზმთან ბრძოლისა და ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებით ექვს სფეროში (უშიშროების სამსახურების თანამშრომლობის გაძლიერება; შეგულიანებისა და მტრული პროპაგანდის აღკვეთა; სისტემატური და ეფექტური ბრძოლა ტერორისტულ ორგანიზაციებთან; ტერორისტების დაკავება, გასამართლება და დასჯა).

შუალედური ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხებრონში დროებითი საერთაშორისო ძალების ყოფნას. ეს დააფიქსირა 1996 წ. 9 მაისის ხელშეკრულებამ (იხ. ზემოთ). ხებრონის ოქმის დადების შემდეგ, 1997 წ. 21 იანვარს, ხელმოწერილ იქნა ახალი ხელშეკრულება ქალაქ ხებრონში საერთაშორისო [ძალების] ყოფნაზე (327). საერთაშორისო პერსონალში შედიოდა 180 ნორვეგიელი, იტალიელი, დანიელი, შვედი, შვეიცარიელი და თურქი. კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ნორვეგიას. საერთაშორისო ძალებს ევალებოდათ თვალყურის დევნება და ანგარიშგება იმ ძალისხმევაზე, რომლის მიზანი იყო ხებრონში ნორმალური ცხოვრების შენარჩუნება, ხებრონის პალესტინელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სტაბილურობის განმტკიცება.

1998 წ. დასაწყისში ისრაელის მთავრობამ გამოაქვეყნა მემორანდუმი "ისრაელის ეროვნული ინტერესების შესახებ". მასში ჩამოთვლილი იყო ის პუნქტები, რომელთა თაობაზეც ისრაელი არავითარ დათმობაზე არ წავიდოდა. კერძოდ, იერუსალიმი მთლიანად რჩებოდა ქვეყნის დედაქალაქად; ებრაელების არცერთი არსებული ახალშენი არ გაუქმდებოდა; ისრაელი შეინარჩუნებდა "უსაფრთხოების ორ ზონას" – აღმოსავლეთისას იორდანიის ველზე და დასავლეთისას – ე.წ. მწვანე ზოლის ხაზის გასწვრივ. ისრაელის შემადგენლობაში რჩებოდა წყლის მთავარი რესურსები, სატრანსპორტო მაგისტრალები და ენერგომატარებლები, სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო ობიექტები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდა ებრაულ დასახლებებს და წმინდა ადგილებს, რომელთაც ჰქონდათ განსაკუთრებული ისტორიული, ეროვნული და რელიგიური მნიშვნელობა ებრაელი ხალხისათვის. ნეთანიაჰუს მთავრობამ მიიღო დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბდა ისრაელის მოთხოვნები პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობისადმი. ესენი იყო:

პალესტინის ნაციონალური ქარტიის იმ მუხლის გაუქმება, რომელიც მოუწოდებდა ისრაელის განადგურებას; ძალადობის და ანტიისრაელური პროვოკაციების წამქეზებელთა თანამდებობებიდან გადაყენებას და სასამართლოსთვის გადაცემას; ისრაელისთვის ტერორისტების გადაცემას, რომლებსაც ბრალი ედებოდათ მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობაში; იმ პირებისთვის იარაღის ჩამორთმევას, რომელთაც მისი ტარების უფლება არ ჰქონდათ; პალესტინის პოლიციის რაოდენობის შემცირებას დადგენილ კვოტაზე (320).

საბოლოოდ, ხებრონის ოქმის მუხლები არ შესრულდა. ოქმის ხელმოწერის შემდეგ ისრაელ-პალესტინელთა სამშვიდობო ურთიერთობებში დაიწყო საკმაოდ ხანგრძლივი სტაგნაციის პერიოდი, რომელიც დასრულდა მხოლოდ 1998 წლის 23 ოქტომბერს, როცა უაის პლანტაციაში (აშშ) **პგო**-ისრაელის 9-დღიან სამიტზე (188, 114-117; 232, 128-130) მიღებულ მდინარე უაის მემორანდუმს ბენიამინ ნეთანიაჰუმ, იასირ არაფათმა და ბილ ქლინტონმა ხელი მოაწერეს ვაშინგტონში (131, 135-139. 273, 5; უაის მემორანდუმის შეფასება იხ.: 198, 100-102; 49, 103-105. 232, 128-134 - The Wye Memorandum and Settlements; 233, 128-38 - Building in the Wake of Wye; Bypass Road Construction in the Aftermath of the Wye Memorandum; 52, 17-28).

მემორანდუმი ითვალისწინებდა ისრაელის ჯარების სამფაზიან გადანაცვლებას ოკუპირებული მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირის 27,2%-ზე. ადრე პალესტინის სამოქალაქო ხელისუფლებისათვის გადაცემული 14,2% დაექვემდებარებოდა მათ სრულ კონტროლს (კერძოდ, სამოქალაქო საქმეები, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება). მათ დამატებით გადაეცემოდათ 13%. აქედან, სრულ კონტროლში – 1%. 12%-ზე პალესტინელებს ექნებოდათ სამოქალაქო ხელისუფლება, ისინი გააკონტროლებდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, მაგრამ ისრაელი პასუხისმგებელი იყო უსაფრთხოებაზე. 12-დან 3% რჩება როგორც ბუნებრივი რეზერვი, სადაც აკრძალულია რაიმე მშენებლობა. აქ ისრაელი ინარჩუნებს უპირატეს უფლებას უსაფრთხოებაზე, რათა დაიცვას ისრაელელები და აღკვეთოს ტერორიზმი. პალესტინის პოლიციის ნებისმიერი აქტივობისთვის აქ საჭირო იყო ისრაელის თანხმობა. ისრაელის ჯარის გადაადგილების მესამე ფაზის განსახორციელებლად მხარეები ჩამოაყალიბებდნენ საგანგებო კომიტეტს. პალესტინელებმა აიღეს ვალდებულება, აღეკვეთათ ძალადობისა და ტერორიზმის

აქტები ისრაელელთა წინააღმდეგ და შეეცვალათ პალესტინის განთავისუფლების ქარტიის ის მუხლები, რომლებიც მოითოვდნენ ისრაელის სახელმწიფოს განადგურებას.

ქარტიის ეს მუხლები პალესტინის ეროვნულმა საბჭომ გააუქმა 14 დეკემბერს (185, 115).

14 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა გახსნა ღაზას საერთაშორისო აეროპორტი. მის ვიზიტს პალესტინელებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს. კლინტონმა განაცხადა,: "მე ვამაყობ, რომ ვარ პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, რომელიც დგას აქ პალესტინელ ხალხთან ერთად. პირველად, პალესტინის მოძრაობის ისტორიაში, პალესტინელ ხალხს და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს აქვთ საშუალება, თავად განსაზღვრონ თავიანთი ბედი საკუთარ მიწაზე. ამერიკას სურს თქვენი წარმატება და დაგეხმარებათ, შექმნათ სასურველი საზოგადოება".

მდინარე უაის მემორანდუმის განხორციელება, ფიქრობდნენ, წინ წასწევდა სამშვიდობო პროცესს ახლო აღმოსავლეთში. თუმცა დაბრკოლებად მის გზაზე შეიძლება გამხდარიყო იასირ არაფათის არაერთგზის განცხადება, რომ 1999 წ. 4 მაისს ის გამოაცხადებდა პალესტინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. ისრაელი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მსოფლიოს ლიდერებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ არაფათი იძულებული გახდა, თავი შეეკავებინა ამ გადაწყვეტილების მიღებისაგან (186, 121; 260, 211; 54, 5-16).

ეჰუდ ბარაკი და სამშვიდობო პროცესი. ისრაელი პრემიერ-მინისტრად ეჰუდ ბარაკის არჩევამ 1999 წ., მიუხედავად ამ უკანასკნელის მკაცრი პოზიციისა ებრაელთა დასახლებების, პალესტინელ ლტოლვილთა დაბრუნებისა და იერუსალიმის საკითხებში, ახალი იმპულსი მისცა სამშვიდობო პროცესს.

1999 წ. 4 სექტემბერს, ღამით, წითელი ზღვის კურორტ შარმ აშ-შეიხში ეჰუდ ბარაკმა და იასირ არაფათმა ხელი მოაწერეს ახალ სამშვიდობო შეთანხმებას (191,119)[12]: "ხელმოწერილი ხელშეკრულებების შეუსრულებელი ვალდებულებების განრიგის განხორციელების და მუდმივ სტატუსზე მოლაპარაკებათა განახლების

[12] ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი და იორდანიის მეფე აბდულაჰი.

მემორანდუმს" (269, 85-89 -Appendix I)[13]", რომელსაც "უაი მეორე" უწოდეს. ის შეიცავს შეცვლილ მუხლებს 1998 წ. დეკემბერში გაყინული მდ. უაის ხელშეკრულების შესასრულებლად და ადრე დადებულ ხელშეკრულებათა შეუსრულებელ სამშვიდობო ვალდებულებებს. მისი მთავარი პუნქტებია: 1. მოლაპარაკებები მუდმივ სტატუსზე; 2.ისრაელის ჯარების გაყვანა; 3. პალესტინელ პატიმართა განთავისუფლება; 4. პალესტინელთა უსაფრთხოების ზომები; 5. უსაფრთხო კორიდორის გზები და 6. ღაზას საზღვაო პორტი.

ხელშეკრულების თანახმად: 1. მუდმივ სტატუსზე მოლაპარაკებები დაიწყებოდა, არა უგვიანეს, 1999 წ. 13 სექტემბრისა. ორი მხარე განახორციელებს "მტკიცე ძალისხმევას" ჩარჩო ხელშეკრულების დასადებად მუდმივი სტატუსის ყველა საკითხზე (პალესტინის მომავალი სახელმწიფოს საზღვრები, იერუსალიმის სტატუსი, ებრაული დასახლებების მომავალი, პალესტინელ ლტოლვილთა ბედი და წყლით სარგებლობა) ამავე მოლაპარაკებების დაწყებიდან ხუთ თვეში. შეთანხმება საბოლოო სტატუსზე დაიდება მუდმივ სტატუსზე მოლაპარაკებების დაწყებიდან ერთ წელიწადში[14].

2. შეიცვალა დრო და კონფიგურაცია დასავლეთი ნაპირიდან ისრაელის ჯარების გამოყვანისა, რომლის მანდატს იძლეოდა მდ. უაის შეთანხმება. უაის მემორანდუმით, ისრაელმა ივალდებულა ჯარების გაყვანა სამ თვეში დასავლეთი ნაპირის 13%-დან. ისრაელის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბ. ნეთანიაჰუმ ჯარები გაიყვანა მხოლოდ 2%-დან. ახლა, შარმ აშ-შეიხის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთ კვირაში, ისრაელი გადასცემდა პალესტინელებს დასავლეთი ნაპირის 7%-ს, 15 ნოემბერს - 5%-ს და 2000 წლის 20 იანვარს - 6,1%-ს. პალესტინის ავტონომიის სრულ, ანდა ნაწილობრივ იურისდიქციაში გადავა დასავლეთი ნაპირის 18,1%. ისრაელის ჯარების შემდგომ გაყვანაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს ერთობლივი კომიტეტი, რომელიც მუშაობას დაიწყებს 13 სექტემბერს.

---

[13] მემორანდუმის შეფასების შესახებ იხ.: 50, 124-126; 235, 120-28; 236, 135-42; 237, 130-34 .

[14] რომ არა სამშვიდობო პროცესის გაჭინაურება, ამ მოლაპარაკებების დაწყება დაგეგმილი იყო 1995 წ. 13 აპრილს და დასრულება - 1996 წლის 13 აპრილს. 1999 წლის 13 აპრილი იყო საბოლოო სტატუსის გახორციელების ბოლო თარიღი.

3. 13 სექტემბრისათვის ისრაელი გაათავისუფლებს 200 პალესტინელ პატიმარს, რომლებიც გასამართლდნენ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დანაშაულობებისთვის და შემდეგ, 8 ოქტომბერს -კიდევ 150-ს. ისრაელს, აგრეთვე, განზრახული აქვს დეკემბრის დამდეგს, მუსლიმთა წმინდა თვის რამადანის დაწყებამდე, გაათავისუფლოს სხვა პალესტინელი პატიმრებიც, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ოსლოს შეთანხმებამდე (1993 წლის 13 სექტემბერამდე). ის პატიმრები, რომლებმაც მოკლეს ისრაელელები, ანდა ექსტრემისტული ჯგუფების წევრები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ოსლოს სამშვიდობო პროცესს, არ განთავისუფლდებიან.

4. მხარეები ითანაშრომლობენ და გაცვლიან ინფორმაციას უშიშროების საკითხებზე, შეათანხმებენ უსაფრთხოების პოლიტიკას და საქმიანობას წინა ხელშეკრულებების შესაბამისად. პალესტინელები გააგრძელებენ უკანონო იარაღის შეგროვებას და ისრაელელებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილების დაპატიმრებას, არა უგვიანეს 13 სექტემბრისა, ისრაელს წარუდგენენ პოლიციელთა სიას.

5. ისრაელის გავლით ამოქმედდება უსაფრთხო დერეფნის ორი გზა, რომლებითაც პალესტინელებს შეუძლიათ იარონ ღაზადან და დასავლეთი ნაპირიდან, ატარონ სატრანსპორტო საშუალებები და გადაიტანონ სავაჭრო საქონელი. სამხრეთის უსაფრთხო დერეფნის გზა - ღაზა-ტარკუმია (ხებრონში) - გაიხსნება 1 ოქტომბერს. 5 ოქტომბრისათვის დადგინდება ჩრდილოეთის გზაც - ღაზა-რამალაჰი, რომელიც გაიხსნება ამ თარიღიდან არა უგვიანეს ოთხი თვისა.

6. 1 ოქტომბერს პალესტინელები დაიწყებენ ღაზას საზღვაო პორტის მშენებლობას. პორტი ამოქმედდება მხოლოდ მაშინ, როცა ისრაელი და პალესტინელები შეთანხმდებიან მისი ოპერაციების ყველა ასპექტზე, უსაფრთხოების ჩათვლით. ისრაელმა და **პგრომ** დაადასტურეს თავიანთი ურთიერთგაგება იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკებებმა "უნდა განაპირობოს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციების განხორციელება" და რომ მოლაპარაკებებისთვის პოზიტიური ატმოსფეროს შესაქმნელად არ გამოიჩენენ ინიციატივას და არ გადადგამენ ნაბიჯს დასავლეთი ნაპირის და ღაზას სექტორის სტატუსის შესაცვლელად.

8 სექტემბერს ისრაელის კაბინეტმა დიდი უმრავლესობით მოიწონა დასავლეთი ნაპირიდან ისრაელის შეიარაღებული ძალების გასვლის პირველი ფაზა (61, 29), ხოლო შემდეგ შარმ აშ-შეიხის შეთანხმება ამოქმედდა დათქმული გრაფიკის მიხედვით.

9 სექტემბერს ისრაელმა გაათავისუფლა 199 პალესტინელი პატიმარი(62, 25).

10 სექტემბერს პალესტინელთა ადმინისტრაციას გადაეცა 7% დასავლეთი ნაპირისა, რომელიც დატოვეს ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა(63, 20; 190, 123-124).

13 სექტემბერს, ღამით, ღაზასა და ისრაელს შორის ერეცის საკონტროლო პუნქტში საზეიმოდ აღინიშნა პალესტინელთათვის დასავლეთი ნაპირის 7%-ის გადაცემა და დაიწყო ისრაელსა და პალესტინელთა შორის საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი. პალესტინის დელეგაციას ხელმძღვანელობდა **პგოს** აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი მაჰმუდ აბასი (აბუ მაზენი), ისრაელისას - საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ლევი. აბუ მაზენმა საზეიმო სხდომაზე მოუწოდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნისკენ, რომლის დედაქალაქიც იქნება იერუსალიმი და ხაზი გაუსვა მოლაპარაკებების დროს ებრაულ დასახლებათა მშენებლობის შეწყვეტის მნიშვნელობას. ლევიმ განაცხადა, რომ ისრაელი არ გავა 1967 წ. საზღვრებიდან, და რომ იერუსალიმი იქნება მისი ერთიანი და განუყოფელი დედაქალაქი (64, 38).

15 სექტემბერს აბუ მაზენმა განაცხადა, რომ ნებისმიერი მუდმივი საზავო ხელშეკრულება ისრაელთან უნდა შეიცავდეს ებრაელ მოსახლეთა "სრულ ევაკუაციას დასავლეთი ნაპირიდან და ღაზადან. პალესტინელები და საერთაშორისო საზოგადოებრიობა თვლის დასახლებებს უკანონოდ. ამიტომ დასახლებები მთლიანად უნდა იქნას ევაკუირებული. ეს, რა თქმა უნდა, ეხება დასახლებებსაც იერუსალიმში".

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარემ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავიანთი პოზიცია იერუსალიმის, ებრაული დასახლებების მომავლის და პალესტინელ ლტოლვილთა პრობლემების გარშემო, აშკარად ჩანდა, რომ ამ პრობლემებზე თანხმობის მიღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. შიმონ პერესის

აზრით, მოლაპარაკებები ორი წელი გაგრძელდებოდა. ეჰუდ ბარაქი თვლიდა, რომ თუ არ მოხერხდებოდა საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკება, შეიძლებოდა დადებულიყო ხანგრძლივი შუალედური ხელშეკრულებები.

ეჭვი არ იყო, რომ სამშვიდობო პროცესს წინ უაღრესად რთული და მძიმე გამოცდა ელოდა. მართლაც, მომდევნო ორი თვის მანძილზე შარმ აშ-შეიხის შეთანხმების განხორციელების გრაფიკი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაცული. 15 ოქტომბერს ისრაელმა გაათავისუფლა კიდევ 151 პალესტინელი პატიმარი. ღაზა-ტარკუმიას (ხებრონში) უსაფრთხო დერეფნის გზა გაიხსნა მხოლოდ 25 ოქტომბერს (66, 23).

10 ნოემბერს ისრაელის კაბინეტმა მოიწონა შარმ აშ-შეიხის შეთანხმების დასავლეთ ნაპირზე ისრაელის ჯარების გადანაცვლების მეორე ფაზა (66, 31), მაგრამ ამ პროცესის დაწყება, მხარეთა შორის უთანხმოების გამო, გაჭიანურდა. მოლაპარაკებებს საბოლოო სტატუსზე ართულებდა ისრაელისა და პალესტინის განსხვავებული პოზიციები.

თავი II

პალესტინის ავტონომიის შექმნა

1. პალესტინის სახელმწიფოებრიობის სათავეებთან

პალესტინის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება საკმაოდ ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე, ოთხი საუკუნის მანძილზე, პალესტინა ოსმალეთის იმპერიის პროვინცია იყო. დაპყრობილი ქვეყნების ოსმალეთის მმართველობის სტრუქტურა, რომლის იერარქიაში ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იყო გადასახადების აკრეფა, უშვებდა გარკვეული დონით თვითთმართველობას, ცალკეული ადგილობრივი თემების (ტომების, გვარების, სოფლების) დონეზე მაინც. პალესტინაში ეს ნიშნავდა თემის ფარგლებში არისტოკრატიის სტატუსის და პოზიციის შენარჩუნებას იმ პირობით, რომ ის იქნებოდა სულტნისა და მისი ნაცვლის ლოიალური. სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა მაშინაც კი, როცა შეიქმნა პალესტინის სამანდატო ტერიტორიის სტატუსი. ვინაიდან, ბრიტანეთის ხელისუფლებმა მნიშვნელოვანწილად გადაიღეს პალესტინის მმართველობის თურქული სისტემა, მათ მხოლოდ შეცვალეს თურქი მოხელეები ბრიტანელებით. მოხდა ოსმალური ვილაიეთის ტრანსფორმირება დიდი ბრიტანეთის სამანდატო სისტემაში (20, 5-17)·

გაერის 1947 წ. დადგენილება პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ არ შესრულდა. არაბული სახელმწიფოებისა და ისრაელის 1948 წლის ომმა განაპირობა ის, რომ მის ნაწილს დეფაქტო მართავდა იორდანია (მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირი) და ეგვიპტე (ღაზას სექტორი), ხოლო ნაწილი ოკუპირებულ იქნა ისრაელის მიერ. 1967 წ. ივნისის 6-დღიანი ომის შემდეგ ეს ტერიტორიებიც ისრაელის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ბუნებრივია, რომ 1948 წ. არ ჩამოყალიბებულა არშექმნილი სახელმწიფოს ხელისუფლების სტრუქტურებიც და არც მისი პოლიტიკური ელიტა.

1948 წ. ოქტომბერში მუფთიმ ჰაჯ ალ-ჰუსაინიმ მოიწვია პალესტინის სხვადასხვა თემის წარმომადგენლის შეხვედრა, რომელზედაც გამოცხადდა

საერთოპალესტინური მთავრობის შექმნა. მისი მეთაური გახდა აჰმად ჰალამი ალ-ბაკი, საგარეო საქმეთა მინისტრი – ჯამალ ალ-ჰუსაინი, ხოლო გენერალური მდივანი – ანვარ ნუსაიბა (რომელიც შემდეგ იყო იორდანიის საგარეო საქმეთა მინისტრი). თვითონ მუფთი ალ-ჰუსაინი გახდა პრეზიდენტი. მთავრობის ჩამოყალიბებას მხარი დაუჭირა ეგვიპტემ, რომელიც ცდილობდა დაპირისპირებოდა იორდანიის მისწრაფებას, მოეხდინა დასავლეთი ნაპირის ანექსია. ის აღიარა, აგრეთვე, სირიამ, ლიბანმა, საუდის არაბეთმა. ალ-ჰუსაინის მთავრობამ მიიღო კონსტიტუცია და დაიწყო სამოქალაქო პასპორტების გაცემაც კი. საპასუხოდ, იორდანიის მეფემ აბდ ალლაჰმა იმავე წლის დეკემბერში იერიქონში მოახდინა ინსპირირება ადგილობრივი არისტოკრატიის შეხვედრისა დასავლეთი ნაპირიდან და იერუსალიმიდან, რომელმაც მიმართა თხოვნით იორდანიას, რომ ჩაერთო დასავლეთი ნაპირი და აღმ. იერუსალიმი იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს შემადგენლობაში. ეს გახდა "ღაზას მთავრობის" დასასრულის დასაწყისი - რამდენიმე თვის შემდეგ ის პრაქტიკულად დაიშალა. მისი წევრების უმრავლესობა და თავად მუფთი გადავიდნენ კაიროში, ხოლო დანარჩენებმა "შეწყალება" სთხოვეს იორდანიის მეფეს და შემდეგ აღმოჩნდნენ მის სამსახურში.

პალესტინის დაყოფის და არაბებსა და ისრაელს შორის ომების შედეგად გაჩნდა პალესტინელი ლტოლვილების მჭიდროდ დასახლებული ბანაკები დასავლეთ ნაპირზე, ღაზასა და მეზობელ არაბულ სახელმწიფოებში – იორდანიაში, ლიბანში, სირიაში, ერაყში. გაჩნდა აუცილებლობა ბანაკების თვითორგანიზაციისა და დაიწყო პოლიტიზაცია ლტოლვილებისა. ვინაიდან ბანაკები სხვადასხვა არაბულ ქვეყანაში იყვნენ განთავსებულნი, პირველი ეროვნული პარტიები და მოძრაობები იქმნებოდა ამ ქვეყნების მხარდაჭერით და მათ მსგავს პოლიტიკას ატარებდნენ. ამან განაპირობა მრავალფეროვნება იმ დროს შექმნილი პალესტინური პარტიების და მოძრაობების პოლიტიკურ ორიენტაციისა.

1964 წ. მაისში აღმ. იერუსალიმში მოწვეულ იქნა პალესტინის ეროვნული საბჭო (შემდეგ: პეს). სესიაზე გადაწყდა, შექმნილიყო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (პგო), რის შესახებაც პრინციპული

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მანამადე, იანვარში, არაბი ლიდერების თათბირზე, ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის ინიციატივით.

პგოს შექმნა გამოცხადდა 1 ივნისს და მისი პირველი მეთაური გახდა აჰმად შუქაირი. **პეს**ი გახდა **პგო**ს ნომინალური საკანონმდებლო ორგანო, თუმცა მეტი და მნიშვნელოვანი ძალაუფლება ჰქონდა **პგო**ს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც **პეს**ისგან დანიშნული 15 წევრისგან შედგებოდა. **პგო**ს იდეოლოგიურ პლატფორმას წარმოადგენდა პალესტინის ქარტია – პალესტინის მოძრაობის მთავარი დოკუმენტი, რომელიც მიიღეს **პეს**ის სხდომაზე კაიროში, 1968 წ. მისი მე-15 სტატია აცხადებდა, რომ "პალესტინის განთავისუფლება წარმოადგენს ეროვნულ მოვალეობას, რათა მოიგერიოს სიონისტური იმპერიალისტური აგრესია დიდი არაბი ერის წინააღმდეგ და მოახდინოს ლიკვიდაცია პალესტინაში სიონიზმის არსებობისა" (25, 675).

პალესტინელთა თვითშეგნების ზრდას მძლავრი იმპულსი მისცა არაბთა დამარცხებამ 1967 წ. ივნისის 6-დღიან ომში ისრაელთან, რასაც შედეგად მოჰყვა ისრაელის მიერ მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირის და აღმ. იერუსალიმის ოკუპაციაც. ომმა უჩვენა უუნარობა არაბული სახელმწიფოების არმიებისა, დაპირისპირებოდნენ ისრაელს. ისრაელის ოკუპაციამ განაპირობა პალესტინური პარტიებისა და მოძრაობების მცდელობა, მოეხდინათ მოსაზღვრე არაბული სახელმწიფოების ტერიტორიებიდან შეიარაღებული პარტიზანული წინააღმდეგობის ორგანიზება საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩეოდა *პალესტინის ეროვნული განთავისუფლების მოძრაობა*/ჰარაქათ ათ-თაჰრირ ალ-ვატანი ალ-ფილისტინი - **ფათჰ** (فتح)[15], რომელიც 1956 წ. დააარსეს ისირ არაფათმა, სალაჰ ხალაფმა, ხალილ ალ-ვაზირმა, ფარუკ კადუმიმ და მაჰმუდ აბასმა. **ფათჰ**–ის ოფიციალურ დაბადების დღედ ითვლება 1965 წ. 1 იანვარი, როცა მან ჩაატარა პირველი საბრძოლო ოპერაცია ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიაზე. 1969 წ. იასირ არაფათი აირჩიეს **პგო**ს

[15] **ფათჰ** არის ბოლოდან დასაწყისისკენ წაკითხული ზემოაღნიშნული არაბული სიტყვების აბრევიატურა. მისი პირდაპირი აკრონიმია (აბრევიატურა, რომელიც ნაწარმოებია საწყისი ასოებისგან სიტყვისა ან სიტყვათწარმოებისგან, რომელიც წარმოითქმება როგორც ერთი სიტყვა, და არა ასოების მიხედვით) გახმოვნებით "**ჰათაფ**" არაბულად არის "სიკვდილი", ხოლო უკუღმა წაკითხული "**ფათაჰ**" – ნიშნავს "გამარჯვებას", "დაპყრობას".

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. ამის შემდეგ, **ფათჰ**ის წარმომადგენლები ქმნიდნენ უმრავლესობას **პგრ**ს აღმასკომში და განსაზღვრავდნენ მის პოლიტიკას.

1974 წ. საერთოარაბულ თათბირზე რაბათში **პგრ** აღიარეს პალესტინის ხალხის "ერთადერთ და კანონიერ წარმომადგენლად". ამან განაპირობა **პგრ**ს სულ უფრო მზარდი საერთაშორისო აღიარება სსრ კავშირის, დასავლეთი ევროპის ქვეყნების და **გაერო**ს მიერ, რომ არაფერი ვთქვათ მიუმხრობელთა მოძრაობაზე, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაზე, აფრიკის ერთობის ორგანიზაციასა და სხვ. **პგრ**ს წევრები იყვნენ: **ფათ**ჰი, პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი, პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტი, პალესტინის ხალხთა პარტია, პალესტინის განთავისუფლების ფრონტი, არაბული განთავისუფლების ფრონტი, ას-სა'იკა, პალესტინის დემოკრატიული კავშირი, პალესტინის სახალხო ბრძოლის ფრონტი. მასში არასოდეს გაწევრიანებულა *ისლამური ჯიჰადი* და **ჰამა**სი, რომლებიც **პგრ**ს არ აღიარებდნენ პალესტინელი ხალხის ერთადერთ ლეგიტიმურ წარმომადგენლად.

1974 წ. **პესმა** დაამტკიცა 10-პუნქტიანი პროგრამა, რომელიც ჩამოაყალიბეს **ფათ**ჰის ლიდერებმა და ითვალისწინებდა ეროვნული ხელისუფლების შექმნას განთავისუფლებული პალესტინის ყველა ნაწილზე, სეკულარული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას პალესტინაში/ისრაელში, სადაც ყველას ერთნაირი უფლება ექნებოდათ განურჩევლად რასის, სქესის და რელიგიისა. ამ ინიციატივას სერიოზული წინააღმდეგობა მოჰყვა **პგრ**ს რამდენიმე წევრისგან, რომლებმაც ეს ჩათვალეს ორი სახელმწიფოს შექმნის საფუძვლად და მისი რიგები დატოვეს კიდეც. მათ შექმნეს წინააღმდეგობის ფრონტი, რომელშიც გაერთიანდნენ პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი, არაბული განთავისუფლების ფრონტი, ას-სა'იკა, რევოლუციური საბჭო (აბუ ნიდალის **ფათ**ჰი), პალესტინის სახალხო ბრძოლის ფრონტი და პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტი.

1988 წლის პალესტინის ეროვნული საბჭოს XIX კონფერენციაზე **პგრ**მ მიიღო პოლიტიკური პროგრამა, რომელიც აღიარებდა **გაერო**ს 1948 წლის 181-ე

რეზოლუციას, 1967 წ. უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციას. **პეს**მა გამოაცხადა პალესტინის დამოუკიდებლობა, რომელიც მიიღო მსოფლიო თანამეგობრობამ.

1988 წ. ალჟირში გამოცხადდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, რომელიც აღიარა **გაერო**მ გენერალური ასამბლეის 1988 წ. 6 დეკემბრის 43/54 რეზოლუციაში. ამ რეზოლუციის საფუძველზე, ტერმინ **პგო**სთან ერთად დაიწყო ტერმინ პალესტინის გამოყენება. **გაერო**მ განამტკიცა ეს აღიარება გენერალური ასამბლეის 1988 წ. 13 ივლისის 52/250 რეზოლუციით, რომლითაც პალესტინის დელეგაციამ მიიღო დამატებითი უფლებები და პრივილეგიები გენერალური ასამბლეის სესიებში, ასამბლეის ეგიდით ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და **გაერო**ს სხვა ორგანოებში მონაწილეობისათვის. პალესტინის სახელმწიფო მაშინვე ცნო არაბული ქვეყნების ლიგამ და რამდენიმე სხვა ქვეყანამ, თუმცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი მან ვერ მიიღო ისეთ წამყვან სახელმწიფოებს შორის, როგორებიცაა აშშ და ევროკავშირის წევრი ქვეყნები. მაგრამ 1988 წ. "პალესტინის სახელმწიფოს გამოცხადებით, როგორც აღნიშნავს ა. ჰამადი, შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. სახელმწიფოს არსებობას განსაზღვრავს სულ მცირე სამი ელემენტი მაინც: ხალხი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე; ტერიტორია, რომელსაც აქვს საზღვრები და ჰყავს ხელისუფლება, რომელიც განახორციელებს თავის ნებას მოცემულ ტერიტორიაზე და ამყარებს ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან; ეკონომიკა, რომელსაც ემყარება დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ელემენტები არ არსებობდა 1988 წელს. **პგო** არ იყო არც სახელმწიფო და არც მთავრობა" (38). რეალურად, პალესტინის სახელმწიფოს შექმნა ავტონომიის გზით და სახელისუფლო სტრუქტურების ჩამოყალიბება იყო შედეგი ოსლოს შეთანხმებისა და პრინციპების დეკლარაციაზე ხელმოწერისა.

2. პალესტინის ავტონომიის შექმნა

1994 წლის 10 მაისს პალესტინის პოლიციის პირველი კონტიგენტი შევიდა ღაზაში, რამდენიმე დღის შემდეგ კი - იერიქონში. ისრაელმა გამოაცხადა 5 ათასი პალესტინელი პატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. 13 და 17 მაისს,

შესაბამისად, ღაზასა და იერიქონში უბრალო ცერემონიაზე, ისრაელის თავდაცვის ძალებმა თავიანთი პოზიციები გადასცეს პალესტინელთა საპოლიციო ძალების ხელმძღვანელობას.

1994 წ. 1 ივლისს, პირველად 25 წლის შემდეგ, **პგოს** ხელმძღვანელი სტრუქტურები, მისი აღმასკომის თავმჯდომარის იასირ არაფათის მეთაურობით, გადავიდნენ თუნისიდან პალესტინის ტერიტორიაზე. პალესტინის ავტონომიამ ფაქტობრივად თავისი არსებობა დაიწყო. მაგრამ თავიდანვე ეს პროცესი წააწყდა მძლავრ ოპოზიციას რიგი პალესტინური დაჯგუფებებისა და ისრაელის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან. საკმარისია აღინიშნოს, რომ **პგოს** სტრუქტურაში შემავალმა ათმა პალესტინურმა ორგანიზაციამ და მოძრაობამ კატეგორიულად უარყვეს "სიონისტ აგრესორთან" სეპარატისტული გარიგება. უფრო მეტიც, **პგოს** ცკ-ის ხუთი წევრი - ფარუკ ალ-კადდუმის ჩათვლით, გადადგა. მათ უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ ამ ხელშეკრულებისათვის (21, 22). იმავდროულად მოხდა გახლეჩა პალესტინის საზოგადოებაშიც. მიუხედავად ამისა, იასირ არაფათი ჯერ ღაზაში, ხოლო ორი დღის შემდეგ – იერიქონში შევიდა. ღაზასა და ჯაბალიას ლტოლვილთა ბანაკში ხალხმრავალ მიტინგზე არაფათმა აუდიტორიას განუცხადა, რომ ღაზას და იერიქონის ანკლავები წარმოადგენდნენ პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძველს, რომლის დედაქალაქიც იქნებოდა იერუსალიმი (91, 76).

1996 წ. 20 იანვარს ღაზის სექტორსა და იერიქონის რაიონში ერთდროულად აირჩიეს პალესტინის საბჭო (88 წევრის შემადგენლობით), რომელსაც ეწოდება პალესტინის საკანონმდებლო საბჭო (**პსს**) (არაბ. مجلس التشريعي الفلسطيني) და ავტონომიის ადმინისტრაციის მეთაური.

არჩევნებში მონაწილეობდა 675 კანდიდატი, რომელთა დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად. ყველაზე კარგად იყო ორგანიზებული პირველი ჯგუფი. მასში შედიოდა 75 კანდიდატი **ფათჰის** ოფიციალური სიით, რომელიც შეთანხმებული იყო იასირ არაფათთან და თვით ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან. მეორე ჯგუფში, რომელიც აერთიანებდა სხვა დანარჩენ 13 პარტიასა და ფრაქციას - დაახლოებით 50 კანდიდატს (ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პალესტინის ხალხთა პარტია - 22

კანდიდატით). მესამე ჯგუფი დამოუკიდებელ კანდიდატებს (550 კაცი) წარმოადგენდნენ. მათ შორის იყო ფათჰის ბევრი წევრი, რომლებიც ვერ მოხვდნენ ძირითად სიაში. ფათჰის ოფიციალური სიის 75 კანდიდატიდან აირჩიეს 50. გარდა ამისა, დამატებით, საბჭოში აირჩიეს ფათჰ-ის 20 დამოუკიდებელი კანდიდატი. ამრიგად, ფათჰის კანდიდატებმა პსსში, რომელიც 88 დეპუტატისგან დაკომპლექტდა, შეადგინა 79%. დანარჩენი 11 იყო დამოუკიდებელი ნაციონალისტი და 7 – დამოუკიდებელი ისლამისტი, რომლებიც ახლოს იდგნენ ჰამასთან. ფათჰის სიიდან გამარჯვებულთა შორის უმეტესობას შეადგენდნენ ისინი, რომლებიც არაფათთან ერთად დაბრუნდნენ თუნისიდან. უკლებლივ ყველა მათგანმა გაიმარჯვა. თითქმის მესამედი იყო ლტოლვილი ისრაელიდან 1948 წ. (42, 15; 254, 17-22; არჩევნების შესახებ, 41, 40-47). მიუხედავად ფათჰის დომინირებული როლისა, არაფათს მაინც გამოუჩნდა ოპოზიცია. ოსლოს შეთანხმების და არაფათის პოლიტიკის კრიტიკოსებმა გაიმარჯვეს ქ. ღაზაში, რამალაჰში, იერუსალიმში, ხებრონსა და ბეთლემში.

პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის, ან ხელისუფლების მეთაურად – რა'ისად აირჩიეს იასირ არაფათი, რომელიც, ჩვეულებრივ, პრეზიდენტად იწოდებოდა (არაბ. რა'ის ნიშნავს როგორც მეთაურს, ისე პრესიდენტს). მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 87,1%-მა. მისმა ერთადერთმა მეტოქემ ქალბატონმა სამიჰა ხალილმა მიიღო ხმების მხოლოდ 9,26%.

არჩევნებს მეთვალყურეობას უწევდა 1500-ზე მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი ოფიციალური და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (ყველაზე ცნობილი არაოფიციალური დამკვირვებელი იყო აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი). აღინიშნა დარღვევებიც, მაგრამ, საერთო ჯამში, არჩევნები ნორმალურად ჩატარდა და საბოლოო განცხადებაში, 21 იანვარს, ოფიციალურმა დამკვირვებლებმა გამოხატეს "გაგება პალესტინის ხელისუფლებისა, რომელმაც ჩაატარა ფართო კონსულტაციები საარჩევნო კანონთან დაკავშირებით, რათა ჩაერთო ზოგიერთი ისლამისტური ელემენტი საარჩევნო პროცესში" (42, 11-15).

ადგილობრივი და უცხოელი ანალიტიკოსების შეფასებით, არჩევნები წარმოადგენდა ახალ ეტაპს პალესტინის არაბი ხალხის ეროვნული

დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე. მთავარი მნიშვნელობა ამ ამბისა იყო ის, რომ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა თვით პალესტინელების მიერ არჩეული და ისრაელის მიერ აღიარებული ხელისუფლება, რომელსაც უნდა განესაზღვრა ავტონომიის მომავალი განვითარება და მოეხდინა არსებითი გავლენა პალესტინის პრობლემის რეგულირებაზე. ამ არჩევნებს ერთმა არაბმა მიმომხილველმა უწოდა "პალესტინელთა პირველი მოგზაურობა დემოკრატიაში" (143, 20-28), თუმცა გაჩნდა სხვა თვალსაზრისიც, რომელიც არჩევნებს ერთი პარტიის მმართველობასაც უწოდებდა (42, 5-16).

არაფათის დამაჯერებელმა გამარჯვებამ ცხადყო, რომ ის წარმოადგენდა ყველაზე ავტორიტეტულ ეროვნულ ლიდერს (227, 27]. მან მიიღო საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად. იასირ არაფათის ФАТХმა, რომლის კადიდატებმა მოიპოვეს დიდი უმრავლესობა ადგილებისა ПСსში, მიიღო მმართველი პარტიის სტატუსი (227, 29] საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარ პოსტებზე დაინიშნენ უპირატესად ისინი, რომლებიც პალესტინის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდნენ. მეორე პლანზე დარჩნენ ისინი, ვინც თავის მხრებზე გადაიტანა *ინთიფადას* მთელი სიმძიმე. ეს განაპირობებდა უკმაყოფილებას ФАТХის უფროს და ახალგაზრდა თაობებს შორის.

ტერიტორია. პალესტინის ავტონომია მოიცავს ტერიტორიებს ღაზას სექტორსა და მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე. მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირი (ისტორიული იუდეა და სამარია) მოიცავს 5860 კვ.კმ-ს. ზოგჯერ მის შემადგენლობაში შეაქვთ აღმ. იერუსალიმიც. ტერმინი "დასავლეთი ნაპირი" შედარებით ახალია, იხმარება 1948 წლიდან, როცა ისრაელთან ომში იორდანიამ დაიკავა ეს ტერიტორია. 1949 წ. დროებითი ზავით, დასავლეთი ნაპირი შევიდა იორდანიის სამეფოს შემადგენლობაში. 1967 წ. ივნისის ომში გამარჯვებულმა ისრაელმა მოახდინა მისი ოკუპაცია. მიუხედავად ამისა, დასავლეთი ნაპირი ფორმალურად რჩებოდა იორდანიის სუვერენიტეტის ქვეშ და მხოლოდ 1988 წლის 31 ივლისს მეფე ჰუსეინმა უარი განაცხადა მის იურიდიულ და ადმინისტრაციულ კონტროლზე.

ისრაელის სამხედრო ოკუპაციის დროს დასავლეთ ნაპირს მართავდნენ ისრაელის სამხედრო ხელისუფალნი. ისრაელის სამოქალაქო ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდებოდა ისრაელის ოკუპაციის დროს წარმოქმნილ ებრაელთა ახალშენებზე (დასავლეთი ნაპირის დაახლ. 10%), რომლებიც ისრაელის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სისტემაში შედიოდნენ. სამხრეთის საქალაქო ცენტრების - ბეთლემის და ხებრონის გარდა, დასავლეთი ნაპირის მოსახლეობის უმეტესობა კონცენტრირებულია რამალაჰის, ნაბლუსის, ჯენინის და ტულქარმის რაიონებში. თანდათან ავტონომიის ტერიტორია გაფართოვდა და მოიცავს დასავლეთი ნაპირის დიდ ნაწილს და ღაზას სექტორს (არაბ. **قطاع غزّة**) - ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე, რომელიც **ბაერომ** გამოყო პალესტინის არაბული სახელმწიფოსათვის.

ტერმინი "ღაზას სექტორი" ხელოვნურია, იხმარება 1947-1948 წლებიდან. სექტორს, რომელსაც უჭირავს დაახლ. 378 კვ. კმ, სახელწოდება მისცა მისმა მთავარმა ქალაქმა - ღაზამ. სამხრეთით მას ესაზღვრება ეგვიპტე და ჩრდილოეთით - ისრაელი. მისი საზღვაო სანაპიროს სიგრძეა 40 კმ., საზღვარი ეგვიპტესთან (რომელსაც კვეთს საზღვრის პარალელური ისრაელის კორიდორი)- 11 კმ.

ღაზას სექტორი, მეტწილად, დაბლობი და ქვიშიანია. ის 1948 წლამდე იყო პალესტინაში ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორია. არაბებისა და ისრაელის პირველი ომის შემდეგ, 1949 წ. დროებითი ზავით, გადაეცა ეგვიპტეს. 1967 წ. ივნისის ომში გამარჯვებულმა ისრაელმა მოახდინა სექტორის ოკუპაცია. 2005 წ. 15 აგვისტოს, “ცალმხრივი დაშორიშორების” გეგმის ფარგლებში ისრაელმა დაიწყო ამ რაიონიდან ებრაული მოსახლეების (8500 კაცი) ევაკუაცია. 22 აგვისტოსთვის ღაზას სექტორი დატოვა ყველა ებრაელმა მოსახლემ. 12 სექტემბერს გაიყვანეს უკანასკნელი ისრაელელი ჯარისკაცი და ამით დასრულდა ისრაელის მიერ ღაზას სექტორის 33-წლიანი ოკუპაცია (309).

პირველი აღწერით, რომელიც ჩაატარა პალესტინის სტატისტიკის ბიურომ 1997 წ. 9 დეკემბერს, დასავლეთი ნაპირისა და ღაზას სექტორის მოსახლეობა, იერუსალიმის აღმოსავლეთი ნაწილის ჩათვლით, იყო 2,895,693 (მამაკაცი – 1,425,177). აქედან 1,6333,267 ცხოვრობდა დასავლეთ ნაპირზე და 1,0222,207 -

ღაზას სექტორში. აღმ. იერუსალიმის არაბი მოსახლეობა იყო 210,209. ამავე აღწერით, მოსახლეობის 54% (ლტოლვილთა ბანაკების გამოკლებით) თავმოყრილია ქალაქებში და 30% - სოფლებში. 1990-2000 წწ. დასავლეთი ნაპირისა და ღაზას მოსახლეობის წლიური ზრდის ტემპი შეადგენდა 3,9%-ს.

2003 წ. შუა ხანებისთვის პალესტინის მოსახლეობა, სავარაუდოდ, იყო 3,634,495 (164,925). მოსახლეობის სიმჭიდროვე 2003 წ. შუა ხანებში 1 კვ. კმ-ზე იყო 603,7 კაცი. 2002 წლისთვის, პალესტინის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, პალესტინის სამუშაო ძალა (15 წლის ასაკის ზემოთ) იყო 707 ათასზე მეტი, 488 ათასი დასავლეთ ნაპირზე და 219 ათასი - ღაზას სექტორში.

ღაზას სექტორის 963 ათასი მცხოვრებიდან (1996 წ. მონაცემებით) უმეტესობა მუსლიმია. არის მცირერიცხოვანი ქრისტიანული მოსახლეობაც (140, 174-175; 134, 622-623); აღსანიშნავია, რომ ღაზას სექტორი და, განსაკუთრებით, დასავლეთი ნაპირი, მდიდარია ქრისტიანული წმინდა ადგილებით, სადაც სხვებთან ერთად, ძველად მოღვაწეობდნენ ქართველი ქრისტიანებიც (პეტრე იბერი).

ავტონომია დაყოფილია საგუბერნატოროებად (მუჰაფაზა). ესენია: დასავლეთ ნაპირზე ჯენინი, ტუბასი, ტულქარამი, კალკილია, სალფიტი, ნაბლუსი, რამალაჰი და ალ-ბირა, იერუსალიმი (ალ-კუდს), არიჰა (იერიქონი), ბეთლემი (ბაით ლაჰმ), ხებრონი (ალ-ხალილი). ღაზას სექტორში - ჩრდ. ღაზა, ღაზა, დაირ ალ-ბალა, ხან იუნუსი და რაფაჰი (164, 929).

3. პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის სტრუქტურა

რიგი სირთულეების მიუხედავად, პალესტინის თვითმმართველობამ თანდათანობით შეძლო სახელმწიფოსთვის აუცილებელი სტრუქტურების (140, 167-173; 221,27-46) ჩამოყალიბება. პალესტინის ძირითადი კანონის[16] თანახმად,

[16] პმსმა ძირითადი კანონი მოიწონა პირველი წაკითხვით 1996 წ. 29 აგვისტოს, 1997 წ. კი – მეორე და მესამე წაკითხვითაც. საბოლოო ვარიანტი იქნა მოწონებული, მაგრამ არაფათი უბრალოდ იგნორირებას უკეთებდა მას (58, 25-43).

პალესტინის ხელისუფლება ძალაუფლების სამ დამოუკიდებელ ფრთას ემყარება. ესენია: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება.

აღმასრულებელი ფრთა შედგება პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და კაბინეტისაგან. პრეზიდენტს ირჩევს ხალხი, ისაა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელიც. პალესტინის «ძირითად კანონში» შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ- მინისტრს, რომელიც, თავის მხრივ, ადგენს მინისტრთა კაბინეტს, უძღვება მთავრობას და ანგარიშვალდებულია პირდაპირ პრეზიდენტის წინაშე.

1998 წლისთვის მინისტრთა კაბინეტში შევიდა 26 სამინისტროს ხელმძღვანელი, რომელთაგან ზოგიერთი შემდეგ შეიცვალა. უმრავლესობა წარმოადგენდა **ფათჰს,** რომლებიც საგანგებოდ ქვემოთ არ იქნებიან აღნიშნულნი:

- სამოქალაქო საქმეთა მინისტრი – ჯამილ ათ-თარიფი.
- შინაგან საქმეთა - აჰმად თამიმი.
- დაგეგმვისა და საერთაშორისო თანამშრომლობის – ნაბილ შაასი.
- ფინანსთა – მაჰმუდ ზუჰდი ან-ნაშაშიბი (დამოუკიდებელი).
- იუსტიციის – ფურაია აბუ მიდაინი.
- სპორტისა და ახალგაზრდობის – ტალალ სადირი.
- კულტურის, ხელოვნების და ინფორმაციის – იასირ აბდ არ-რაბო (დემოკრატიული კავშირი).
- ვაკუფების – ჰასან ტაჰბუბი (დამოუკიდებელი).
- ადგილობრივი ხელისუფლების – საიბ ‘ურაიკათი.
- სოციალურ საქმეთა – ინთისარ ალ-ვაზირი .
- მშენებლობის – აბდ არ-რაჰმან ჰამადი.
- ფოსტის და ტელეკომუნიკაციების – იმად ალ-ფალუჯი (ისლამისტი).
- საზოგადოებრივ მშენებლობათა – აზამ ალ-აჰამადი.
- მომარაგების – აბდ ალ-აზიზ შაჰინი.
- ჯანმრთელობის დაცვის – რიად აზ-ზა’ნუნი.
- განათლების – იასირ ამრი, შემდეგ მუნსირ სალაჰი.
- გარემოს დაცვის (1998 წლიდან) - იუსუფ აბუ საფია.

- უმაღლესი განათლების – ჰანან აშრავი (დამოუკიდებელი), შემდეგ მუნზირ სალაჰი.

- ტრანსპორტის – ალი ალ-კავასმა.

- ეკონომიკის და ვაჭრობის – მაჰირ ალ-მასრი.

- მრეწველობის – ბაშირ ალ-ბარღუტი (ყოფილი კომუნისტი), შემდეგ საად ალ-კარნაზი.

- შრომის – სამირ ალ-შუშა (პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი), შემდეგ რაფიკ ალ-ნატშა.

- ტურიზმის და სიძველეების– ელიას ფურაიჯი (დამოუკიდებელი, გარდ. 1997 წ.), შემდეგ ჰანან აშრავი.

- სოფლის მეურნეობის – აბდ ალ-ჯავად სალიჰი (დამოუკიდებელი), შემდეგ ჰიქმათ ზაიდი.

- იერუსალიმის საქმეებზე პასუხისმგებლობის – ფაისალ ჰუსაინი.

- ბეთლემის საქმეთა – ნაბილ კაისი.

გარდა ამისა, კაბინეტში შევიდნენ:

- პარლამენტის საქმეთა მინისტრი - ნაბილ ამრი

- სახელმწიფო მინისტრები – ჰიშამ აბდ არ-რაზაკი (პატიმართა საქმეების), ზაიდ აბუ ზაიდ, ჰასან ასფური და ტალალ სადრი.

კაბინეტის გენერალური მდივანი გახდა – აჰმად აბდ არ-რაჰმანი[17].

აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შექმნა, აგრეთვე, ადგილობრივი და საქალაქო საბჭოები და დაასრულა უშიშროების ორგანოების ჩამოყალიბება. ყოველწლიური ბიუჯეტი ნაწილდებოდა მთავრობის დაწესებულებათა შორის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესახებ კანონის საფუძველზე.

საკანონმდებლო ფრთა შედგება პალესტინის საკანონმდებლო საბჭოსგან (**პსს**). მასში 2006 წლიდან 132 არჩეული წევრია. პრეზიდენტი საბჭოს 133-ე წევრია. მიუხედავად იმისა, რომ **პსს**, ძირითადად, დაკომპლექტდა **ფათჰ**-ის კანდიდატებისგან, ის საკმაოდ კრიტიკული იყო აღმასრულებელი

[17] 113, 648; 114, 697-714. საერთოდ, პალესტინის ახალი პოლიტიკური ელიტის შესახებ იხ. 221, 89-113 - The New Palestinian Political Elite); 253, 14-16.

ხელისუფლებისადმი და, როგორც არჩეული ორგანო, ფაქტობრივად წარმოადგენდა ახალ პოლიტიკურ ელიტას პალესტინაში [227, 31-33;. 221, 206 -212].

სასამართლო სრულფასოვნად ჯერ არ ჩამოყალიბებულა. "ძირითადი კანონის" თანახმად, უნდა არსებობდეს უმაღლესი იურიდიული საბჭო. 1999 წ. გამოცემული აქტის მიხედვით, მას ევალება მოამზადოს მოსამართლეები. სასამართლო სისტემაში გაერთიანებულია მაგისტრატის სასამართლო, პირველადი სასამართლო და სააპელაციო სასამართლო. უმაღლესი სასამართლო მოიცავს უმაღლეს კონსტიტუციურ სასამართლოს, საკასაციო სასამართლოს, რომელიც განიხილავს სამოქალაქო, კრიმინალურ და კომერციულ საკითხებს, ასევე, სამართლის უმაღლეს სასამართლოს, რომელიც დაკავებულია ადმინისტრაციული სარჩელებით.

უმაღლეს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლება განიხილოს და შეაფასოს კანონების შესაბამისობა კონსტიტუციასთან. 1995 წ. თებერვალში ღაზაში შეიქმნა უსაფრთხოების უმაღლესი სასამართლო, რომელიც განიხილავს სახელმწიფოს შინა და გარე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დანაშაულებს. ძირითადი კანონი უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას.

პსს, პრეზიდენტი და კაბინეტი, სასამართლო სისტემასთან, მინისტრებთან და სხვა ინსტიტუტებთან ერთად ქმნიან პალესტინის ხელისუფლებას.

პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია მალე გახდა გამორჩეული თავისი ავტორიტარული, ცენტრალიზებული, პერსონალიზებული, ძალადობრივი ხასიათის გამო; მუდმივად აღინიშნებოდა, ასევე, სამართლის დაუცველობა და მიკერძოება გადაწყვეტილების მიღებისას. მართალია, გარდამავალმა ხელისუფლებამ გარკვეულწილად შეძლო სამხედრო და რევოლუციური ხელისუფლებიდან გარდაქმნილიყო ადმინისტრაციულ და ბიუროკრატიულ მთავრობად, მაგრამ კითხვის ნიშნის ქვეშ იყო ავტორიტარული და ცენტრალიზებული ხელისუფლებიდან დემოკრატიულად მისი გარდაქმნის შესაძლებლობა. მის ხელში მნიშვნელოვანი ძალაუფლება მოექცა. ის უძღვებოდა მთავრობის აღმასრულებელ ფრთას; უფლებამოსილი იყო გაძღოლოდა სამოქალაქო სამსახურსა და პოლიციასაც, დაეშალა საზოგადოებრივი ინსტიტუტები, გამოეყო ფინანსები და ა.შ.

მისი უსაზღვრო უფლებებით გამოწვეული უკმაყოფილება თანდათანობით იზრდებოდა, ჩნდებოდა პრეტენზია, რომ ის თავად იყო მთლიანი პოლიტიკური სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ არაფათი რჩებოდა სახალხო გმირად და პალესტინური ბრძოლის სიმბოლოდ, თვითმმართველობის წლებში მისი ლეგიტიმურობა კითხვის ქვეშ დგებოდა. პარლამენტის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, ის იყო დიქტატორი, მაგრამ განათლებული დიქტატორი, რომლისთვისაც არ არსებობდა კანონი; თუმცა, მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, როგორც შემდგომ აღმოჩნდებოდა ხოლმე, იყო ყველაზე მართებული. მიუხედავად ამისა, არაფათის პოპულარობა თანდათან ეცემოდა.

ძალაუფლების ცენტრალიზაცია და მიკერძოება კარგად აისახებოდა მთავრობის შემადგენლობაზე. სამინისტროებისა და სამთავრობო დეპარტამენტების თანამშრომლები პირდაპირ ინიშნებოდნენ პრეზიდენტის მიერ. ხელისუფლება დაკომპლექტებული იყო, უმთავრესად, ფათჰის წარმომადგენლებით. პალესტინის ხელისუფლება მუდმივად ასოცირებული იყო პგოსთან.

იასირ არაფათმა, რომელიც პგოს თავმჯდომარე იყო, 1996 წ. აბსოლუტური უმრავლესობით მოიგო პეას საპრეზიდენტო არჩევნები[18]. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო პალესტინელი მოსახლეობის უკმაყოფილება. პალესტინის ხელისუფლების თითქმის 80% ადგილობრივი პალესტინელებით იყო დაკომპლექტებული, მაღალი თანამდებობები კი პგოს იმ წარმომადგენლებს ეკავათ, რომლებიც დევნილნი იყვნენ პალესტინის ტერიტორიიდან და დაბრუნდნენ პეას ჩამოყალიბების შემდეგ. ბევრისთვის ისინი ბიუროკრატიისა და კორუფციის წყაროს წარმოადგენდნენ.

იყო მცდელობა, რომ მთავრობის შემადგენლობაში შეერიათ ტრადიციული ელიტის, დასავლეთი ნაპირისა და ღაზას სხვადახვა რეგიონის წარმომადგენლები. არაფათის მთავრობა ხშირად დაუდანაშაულებიათ ძალაუფლების არაკომპეტენტურად გადანაწილებაში. მან შექმნა ათზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების უშიშროების სამსახური განსხვავებული მექანიზმებით – "გათიშე

[18]არჩევნების შესახებ იხ.: 42, 5-16; 254, 17-22. არაფათს ჰყავდა მხოლოდ ერთი მეტოქე - სამიჰა ხალილი.

და იბატონე”-ს სქემის მიხედვით. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსა და დაჯგუფებებს შორის უთანხმოება უზრუნველყოფდა მისთვის კონტროლისა და ძალაუფლების შენარჩუნებას.

პალესტინის საკანონმდებლო საბჭო (**პსს**) პალესტინის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი მოვლენა იყო – ის წარმოადგენდა პოლიტიკურ ორგანოს, რომელიც ეფუძნებოდა არჩევნებს და, შესაბამისად, ჰქონდა ლეგიტიმურობის ახალი ფორმა. საბჭოს წევრები არ ერიდებოდნენ რეჟიმის მკაცრ კრიტიკას, კორუფციისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის მხილებას. ამის გამო, კონფლიქტი ინტერესებსა და ღირებულებებს შორის აქტუალური გახდა ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო ფრთებს შორის. აღმასრულებელი ფრთა იგნორირებას უკეთებდა კანონმდებლების რეკომენდაციებს, მათ მიმართ ანგარიშვალდებულებას. საკანონმდებლო საბჭოს გავლენა საგრძნობლად დაეცა. მიუხედავად ამისა, ბევრს საბჭო მიაჩნდა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძვლად.

პსსს ირჩევს დასავლეთი ნაპირის, ღაზას სექტორისა და აღმ. იერუსალიმის (1967 წლის 4 ივნისის საზღვრებში) არაბული მოსახლეობა. პსსის თავმჯდომარის პოსტი რიგ შემთხვევებში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრემიერ-მინისტრისა. სწორედ **პსს**ის თავმჯდომარე დროებით ცვლის **პეას** პრეზიდენტს მისი სიკვდილის, ანდა გადადგომის შემთხვევაში.

პსსის პირველი სხდომა ჩატარდა ღაზაში, 7 მარტს, 60 ქვეყნის სტუმრების თანდასწრებით. საბჭომ თავის სპიკერად აირჩია აჰმად კურაი‘ი (იგივე აბუ ‘ალა, ოსლოში ისრაელელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში პალესტინის დელეგაციის ხელმძღვანელი). საბჭო წელიწადში ორჯერ ატარებს ოთხთვიან სესიებს. სპიკერს აქვს უფლება, მოიწვიოს საგანგებო სხდომაც (384ა). **პსს**ის პირველმა მოწვევამ მუშაობა დაასრულა 2006 წ. 13 თებერვალს. მან უკანასკნელად მიიღო კანონი, რომელიც ანიჭებს **პეას** პრეზიდენტს უფლებას ერთპიროვნულად დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები და შეუძლია გაუქმოს პარლამენტის ნებისმიერი დადგენილება.

1994 წ. პალესტინის ხელისუფლების ჩამოყალიბებიდან იასირ არაფათის სიკვდილამდე - 2004 წ. ბოლოს პალესტინაში მხოლოდ ერთი არჩევნები ჩატარდა. ყველა სხვა არჩევნების გადადება სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა. ერთადერთი საპრეზიდენტო და საკანონმდებლო არჩევნები 1996 წ. გაიმართა. შემდეგის ჩატარება 2001 წლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ მას *ალ-აკსას ინთიფადამ* შეუშალა ხელი. არაფათის სიკვდილის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები 2005 წლის 9 იანვარს დაინიშნა და მასში მაჰმუდ აბასმა 62.3% ხმით გაიმარჯვა. მისი კონკურენტი იყო მუსტაფა ბარღუტი – დამოუკიდებელი კანდიდატი.

3. პალესტინის ავტონომიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტები

პალესტინის ეკონომიკა[19] მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისრაელზე. პალესტინელთათვის ისრაელში მუშაობას მიმზიდველს ხდიდა გეოგრაფიული სიახლოვე, მეტი სამუშაო ადგილები, გაცილებით მაღალი ანაზღაურება და სხვ. *ალ-აკსას ინთიფადას* დაწყებამდე ისრაელში მუშაობდა დაახლოებით 146 ათასი პალესტინელი, პალესტინის დასაქმებული მოსახლეობის დაახლოებით 22%. მათი ხელფასები 70-75%-ით აღემატებოდა პალესტინის ტერიტორიაზე დასაქმებულთა ხელფასებს.

1999 წ. ისრაელში პალესტინელთა მიერ გამომუშავებული შემოსავალი პალესტინის ერთიანი შიდა პროდუქტის 20%-ს შეადგენდა. ისრაელის შრომის ბაზარი იყო და რჩება ბევრი პალესტინელისათვის დასაქმების მეტად მნიშვნელოვან წყაროდ. არსებული მონაცემებით, 1990-იანი წლების დასაწყისში, ისრაელის დასახლებებში მუშაობის ოფიციალური უფლება ჰქონდა ღაზას სექტორის და დასავლეთი ნაპირის დაახლოებით 180 ათას პალესტინელ მუშას და კიდევ 60 ათასს ჰქონდა ესა თუ ის არალეგალური შემოსავალი ისრაელის საწარმოებში. სხვა სიტყვებით, პალესტინის სამუშაო ძალის დაახლოებით 38% იღებდა ტრადიციული არსებობის ალტერნატიულ წყაროს, რაც გაცილებით შემოსავლიანი იყო.

[19] პალესტინის ეკონომიკური განვითარების საკითხებზე იხ.: 112, 14-32; 59, 46-53; 60, 79-91; 217, 64-82; 167, 37-46. 224a, 20-34; 174; 119, 237-255; 167, 39-46; 53, 48-56.

ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიების ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ გამოიწვია გაჩენა პალესტინელი ვაჭრების ფენისა, რომელიც დაკავებული იყო ისრაელიდან საქონლის იმპორტზე. გარდა ამისა, ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიების მზარდმა ეკონომიკურმა ინტეგრაციამ განაპირობა ისრაელიდან თანდათან გატანა მსუბუქი, კვების, ტყავის და ფეხსაცმელების მრეწველობის დარგებისა, რომლებიც მუშაობდნენ ისრაელელი მეწარმეების დაკვეთით პალესტინის ტერიტორიებზე.

1967 წ. შემდეგ განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა საფეიქრო მრეწველობა. 1996 წ.-ის პალესტინის ტერიტორიებზე მოქმედებდა 1533 საფეიქრო ფაბრიკა, რომლებშიც, ეკონომიკური სიტუაციის მიხედვით, დასაქმებული იყო 13-დან 25-ათასამდე ადამიანი. საუკეთესო პერიოდებში, ეს უზრუნველყოფდა საერთო საშინაო პროდუქტის დაახლოებით 25%-ს.

უფრო მცირე ჯგუფს ქმნიდნენ პალესტინელი მეწარმეები, რომლებმაც შეძლეს შეექმნათ წარმოების დასრულებული ციკლი. ყველაზე მსხვილები მათ შორის იყვნენ ჰასუნა – რამალაჰში (საამშენებლო მასალები), ჰადადი – ჯენინში (სასოფლო-სამეურნეო იარაღები), მასრუჯი – იერუსალიმში (ფარმაცევტიკა), ჯუნაიდა – ხებრონში (კვების მრეწველობა). მართალია, დასახელებული საწარმოები არ იყვნენ ძალზე დიდები (საწარმოთა 90 პროცენტის დაქირავებულ მუშათა რაოდენობა არ აღემატებოდა 10 კაცს), მაგრამ ისინი უზრუნველყოფდნენ პალესტინის სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილის (10%-ზე მეტის) დაკავებას (20, 5-17).

პალესტინის ეკონომიკის სექტორული შემადგენლობა თითქმის უცვლელი იყო 1994-99 წლებში. მნიშვნელოვანი წინსვლა იყო ფინანსურ სექტორში. ასევე გაიზარდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სექტორი, ხოლო სოფლის მეურნეობა, წარმოება და ვაჭრობა კი შემცირდა. საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა მშენებლობას. 1999 წლისთვის ის იყო საერთო ეროვნული პროდუქტის 14,3%.

პალესტინის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს მონაცემებით, 1994-99 წწ. საერთო ეროვნული პროდუქტის ზრდა 8,3%-ს შეადგენდა, რაც აღემატებოდა მოსახლეობის 5%-იან ზრდას. თითქმის გაორმაგდა ინვესტიციები. ფინანსური

სექტორიც გაფართოვდა, გაძლიერდა საბანკო საქმიანობა და შეიქმნა პალესტინის ფასიანი ქაღალდების ბირჟა. 2001 წლიდან, *ალ-აკსას ინთიფადას* და კონფლიქტის ესკალაციის შემდეგ, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ისრაელი დასავლეთ ნაპირისა და ღაზას სექტორისთვის წამყვანი სავაჭრო პარტნიორი იყო; სწორედ ისრაელზე მოდიოდა პალესტინის ექსპორტის 90%-ზე მეტი. რაც შეეხება იმპორტს - მიუხედავად იმისა, რომ პალესტინის ტერიტორიებზე იმპორტირებული საქონლის ნაწილი შეიძლება იყოს ისრაელს გარეთ შექმნილი, ის, უმეტეს შემთხვევაში, ისრაელის გავლით შემოდიოდა. პალესტინის სტატისტიკის ცენტრალური ბიურო მიუთითებს, რომ პალესტინის ეკონომიკა დამოკიდებულია იმპორტზე.

პალესტინის ავტონომიის საერთო საშინაო პროდუქტი 1999 წლისთვის შეადგენდა დაახლოებით 5 მლრდ დოლარს (45, 65). აქედან, 9,7% მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე, 19% - მანუფაქტურულ წარმოებაზე, 9,5% - მშენებლობაზე, დაახლოებით 30% – ვაჭრობაზე და კერძო მომსახურებაზე, დაახლ. 12% საზოგადოებრივ მომსახურებასა და საზოგადოებრივ სექტორზე.

დამატებით, ისრაელში საშუალოდ 140 ათასზე მეტი პალესტინელი გამოიმუშავებდა დაახლოებით 1 მლრდ დოლარს და საერთო ეროვნული შემოსავალი აღწევდა დაახლოებით 6,1 მლრდ დოლარს. ამდენად, პალესტინის 3 მლნ მცხოვრების გათვალისწინებით, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1999 წლისთვის იყო 2 ათასი დოლარი. ამ მხრივ, მსოფლიო ბანკის საშემოსავლო კლასიფიკაციის სისტემით, პალესტინა იყო საშუალო შემოსავლის ქვეყნების ბოლოში. შედარებისთვის, 1999 წ. ისრაელში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი იყო 16 ათასი, ხოლო აშშ-ში – დაახლოებით 34 ათასი დოლარი (45, 66-67). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ისრაელის ხელისუფალთა მიერ მიღებულმა ზომებმა - პალესტინელთა გადაადგილების შეზღუდვამ და საზღვრების ხშირმა ჩაკეტვამ - გამოიწვია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შემცირება. 2000 წლისთვის, პალესტინის ავტონომიის შექმნიდან 5 წლის შემდეგ, ის ოსლოს შეთანხმების პერიოდთან შედარებით 10%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლიდან – 2000 წლის მესამე კვარტლამდე პალესტინას გაეწია მნიშვნელოვანი

საგარეო დახმარება, დაახლოებით 3 მლრდ დოლარი, ცხოვრების სტანდარტი იქ იყო უფრო დაბალი, ვიდრე ადრე (45, 66).

პალესტინის საშინაო ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება წარმოებას. 1994-99 წლებში ექსპორტი შიდა ეროვნული პროდუქტის 20%-ს თუ შეადგენდა, მაშინ როდესაც, იმპორტი 70-85%-ს აღწევდა. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პალესტინის ხელისუფლების მოთხოვნილებების ზრდამ და საზოგადოებრივმა მოხმარებამ.

ოსლოს ხელშეკრულების დადების შემდეგ, ეკონომიკის სწრაფ აღმასვლასთან ერთად, იზრდებოდა კომერციული ბანკების მუშაობის სპექტრი და მასშტაბი. ამ პერიოდში კერძო ბანკების დეპოზიტები 133%-ით გაიზარდა და 2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. თითქმის გაორმაგდა საბანკო სესხების რადენობა. საზღვარგარეთ დარიცხულ ფულს ბიზნესმენები ისევ პალესტინაში იზიდავდნენ, ოჯახებიც იბრუნებდნენ უცხოურ ბანკებში, სეიფებსა და სახლებში გადამალულ ფულს.

ფინანსურ სისტემას აკონტროლებს და არეგულირებს პალესტინის სავალუტო ხელისუფლება, რომელიც 1994 წ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ პალესტინის სავალუტო ხელისუფლებას მეტად ფართო უფლებები აქვს – მან უნდა უზრუნველყოს ბანკების ლიცენზირება, მათი საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა, მიმოქცევაში ისრაელის შეკელის შენარჩუნება და ა.შ., მას არ შეუძლია საკუთარი ვალუტის გამოშვება. ამიტომ ინფლაციის კონტროლი მის უფლებამოსილებაში არ შედის და მისი შეზღუდული სავალუტო საშუალებები ლიმიტირებულია რეზერვებისა და ვალდებულებების შესრულების გაკონტროლებით.

პალესტინის სავალუტო ხელისუფლების ძირითადი ფუნქცია ბანკის, მისი კაპიტალის ადექვატურობის მანიშნებლისა და დეპოზიტორთა უფლებების გაკონტროლებაა. არის პალესტინის ფასიანი ქაღალდების გაცვლის სააგენტოც, რომელიც ნაბლუსში მდებარეობს და სადაც ხდება აქციებისა და ფასიანი ქაღალდების გაცვლა. საინტერესოა ის, რომ *ალ-აკსას ინთიფადას* დროს დეპოზიტების რაოდენობის კლება უმნიშვნელო იყო. ამას, პირველ რიგში, თავად ბანკების მუშაობა უწყობდა ხელს. როგორც კი საკომენდანტო საათები და

შეზღუდვები უქმდებოდა, არასამუშაო საათებსა და დასვენების დღეებშიც კი ისინი მზად იყვნენ მომსახურებოდნენ კლიენტებს. პეას თანამშრომლებს ხშირად აძლევდნენ ხელფასებს ავანსად. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში დასავლეთი ნაპირის მცხოვრებლებს ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდათ, ვიდრე ღაზელებს. ამ უკანასკნელთ ბევრად ნაკლები ქონება (მიწა, სამკაული) და პალესტინელ ექსპატრიატებთანაც ნაკლები კავშირი ჰქონდათ, რომ მათგან დახმარება მიეღოთ.

დასავლეთი ნაპირის მოქალაქეებს მეტი უნარ-ჩვევები და განათლება აქვთ, ისინი საზღვარგარეთაც მუშაოებენ და ოჯახებსა და ახლობლებს ფულს უგზავნიან. ღაზელები, უმეტესად, ისრაელში გადასვლით ირჩენდნენ თავს. მაგრამ ღაზელები უფრო აქტიურად აკეთებდნენ საბანკო დეპოზიტებს, რაც შეიძლება იმითაა გამოწვეული, რომ მათ უფრო მეტად ეშინოდათ ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ განხორციელებული ჩხრეკისა და თავდასხმებისა და ამის გამო ცდილობდნენ ნაკლები ფული შეენახათ სახლებში.

1994 წ. პალესტინის ადმინისტრაციასა და ისრაელის მთავრობას შორის ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, ისრაელმა პალესტინის მხარეს გადასცა პალესტინელი მუშა-ხელის მიერ გადახდილი პირდაპირი გადასახადები (შრომის, ჯანმრთელობის, ა.შ.).

ისრაელი პალესტინის ხელისუფლების ნაცვლად კრეფდა გადასახადებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, პეას მთლიანი შემოსავლების დაახლოებით ორ მესამედს შეადგენდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ისრაელმა სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკური ბერკეტები მიიღო პალესტინის საწინააღმდეგოდ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი ინფრასტრუქტურის ფიზიკური განადგურებაა. გადასახადების აკრეფა საკმაოდ კარგად სრულდებოდა *ალ-აკსას ინთიფადას* დაწყებამდე, მაგრამ ვითარება შემდეგ მკვეთრად შეიცვალა.

საგადასახადო შემოსავლების შეგროვება კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო პალესტინის ეკონომიკისათვის. პალესტინის ხელისუფლებამ ეს მოახერხა. მისთვის უფრო რთული იყო საზოგადოებრივი ხარჯების გაკონტროლება, განსაკუთრებით, ხელფასების განსაზღვრა. ხელფასებზე გამოყოფილი ფონდები სხვა ხარჯებს ავიწროვებდა და პეას დონორებსა და

არასამთავრობო ორგანოზაციებზე უწევდა დაყრდნობა, რათა უზრუნველეყო ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი სამსახური და ინვესტიცია. მიუხედავად ამისა, ინთიფადას დაწყებამდე **პეა** საკმაოდ წარმატებული იყო შემოსავლების გადასახადების შეგროვებაში. **პეამ** შეძლო გადასახადების ადმინისტრირების შესაძლებლობების გაძლიერება და ისრაელთან შეთანხმებული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შიდა გადასახადების მობილიზაციას უზრუნველყოფდა. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ გადასახადებიდან **პეა** მთელი საბიუჯეტო შემოსავლის 60%-ს იღებდა.

ამასთან ერთად, **პეამ** ჩამოაყალიბა კარგად მოქმედი საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემა, გადასახადების გადამხდელთა ორგანო, საგადასახადო სასამართლო და ა.შ. საბიუჯეტო შემოსავლის სტრუქტურა 2000 წლამდე თითქმის უცვლელი იყო.

პეას ინსტიტუტების როლის ობიექტურმა გაძლიერებამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყოველდღიური საზოგადოებრივი მოთხოვნების რეალიზაციაში – საერთაშორისო დახმარების პროგრამასთან ერთად – და შიდა რესურსების მობილიზაციაში, განაპირობა **პეას** გადაქცევა ეკონომიკური რესურსების გამანაწილებლად და სამუშაოს მთავარ მიმცემად.

1998 წ.-ის მიწურულის მონაცემებით, **პეას** ბიუჯეტიდან ხელფასს უხდიდნენ 115 ათას მოსამსახურეს, რაც ღაზას სექტორის სამუშაო ძალის 30% და მთლიანად, დასავლეთი ნაპირის ჩათვლით, – 17% იყო. ამასთან, **პეას** სერიოზული პრობლემები ჰქონდა სახელმწიფო ფონდების განაწილებასთან დაკავშირებით. ეს კარგად ჩანდა ხელფასებთან მიმართებაში. საზოგადოებრივ სექტორში დასაქმება 1996 წლიდან 2000 წლამდე 50%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც არასახელფასო ხარჯები გაიზარდა მხოლოდ 10%-ით. 1999 წლისთვის სახელფასო ფონდის მთლიანი წილი **პეას** ხარჯებში 55%-მდე ავიდა. არსებული გარღვევების შესავსებად **პეა** იყენებდა დონორი საზოგადოების მიერ გამოყოფილ თანხებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რჩევებით, **პეამ** დაიწყო ხარჯების შემცირება. ის ცდილობდა კონცენტრაცია გაეკეთებინა უფრო მნიშვნელოვან სოციალურ სექტორებზე, თავიდან აეცილებინა შემდგომი სესხები. მიუხედავად

ამისა, სახელმწიფო სამსახურში დასაქმების დონე არა თუ შემცირდა, გაიზარდა კიდეც.

2000 წლისთვის, ალ-აკსას ინთიფადას დაწყებამდე, პალესტინის ავტონომიის ეკონომიკა იყო ერთ-ერთი სწრაფად მზარდი რეგიონში. მეწარმეები და ინვესტორები იმედოვნებდნენ სამშვიდობო პროცესის წარმატებას და 90-იანი წლების ბოლოს აბანდებდნენ კაპიტალებს ავტონომიის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. დასავლეთ ნაპირზე და ღაზაში დაიწყო საზღვარგარეთიდან ეროვნული კაპიტალის დაბრუნება – წლიურად 200 მლნ დოლარი, რამაც შეადგინა პალესტინის თითქმის მთელი წლის საერთო საშინაო პროდუქტი (45, 65; 128a, 11).

საერთაშორისო ექსპერტების დასკვნით, 2000 წლისათვის დაძლეულ იქნა სტრუქტურული კრიზისი, რაც გამოიწვია პალესტინის მეურნეობის განცალკევებამ ისრაელისგან. ეს მაშინვე პოზიტიურად აისახა კაპიტალების მოძრაობის ბალანსზე. კაპიტალების ყოველწლიურმა შემოსავალმა მიაღწია 200 მლნ დოლარს. საერთო საშინაო პროდუქტის ზრდის ტემპი წლიურად 4 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მისმა აბსოლუტურმა მოცულობამ მიაღწია 4,4 მლრდ-ს (128a, 11;). აქტიურად ვითარდებოდა ისეთი დარგები, როგორიცაა მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, საფინანსო მომსახურება და საინფორმაციო ტექნოლოგიები. დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში ინფლაცია, საშუალოდ, 5,4% იყო. საერთაშორისო დონორების დახმარებამ (დანია, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი, ისრაელი, იტალია, იაპონია, ნიდერლანდები, ნორვეგია, საუდის არაბეთი და სხვა არაბული ქვეყნები, თურქეთი, აშშ, მსოფლიო ბანკი და სხვ.) 1994-98 წლებში შეადგინა 2,5 მლრდ დოლარი (60, 79; 59, 47).

თავი III

ისლამური რადიკალიზმი - ჰამასი და პალესტინის ხელისუფლება 1994-99 წლებში

1. ჰამასის შექმნა

hamasი ნაწილია *მუსლიმი ძმების*[20] ორგანიზაციისა, რომელიც XX ს. 80-იან წლებამდე მთავარი ისლამური მოძრაობა იყო პალესტინაში. *მუსლიმი ძმების* [2, 140] ეს ორგანიზაცია, რომელიც 1928 წ. ჩამოაყალიბა ეგვიპტელმა რელიგიურმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ჰასან ალ-ბანამ, მთლიანად უარყოფს დასავლურ პრინციპებს და ეფუძნება პანისლამიზმის იდეებს, მიზნად ისახავს ისლამის გავრცელებასა და ისეთი საზოგადოების აშენებას "ისლამური სამართლიანობის პრინციპებზე", სადაც მკაცრად იქნებოდა დაცული ყურანისა და შარიათის ნორმები (10, 39-40].

მუსლიმი ძმების პირველი კონტაქტი პალესტინელებთან 1935 წ. დამყარდა, ჰასან ალ-ბანას ძმის, 'აბდ არ-რაჰმან ალ-ბანას მეშვეობით, ხოლო ორგანიზაციის პირველი განყოფილება 1945 წ. გაიხსნა იერუსალიმში (40, 6]. ისრაელის მიერ ღაზას სექტორისა და იორდანეს დასავლეთი ნაწილის ოკუპაციას (1967 წ.) თანდათან მუსლიმი ძმების აქტივიზაცია მოჰყვა. მათ მოახერხეს თავიანთი მოღვაწეობის ლეგალიზაცია და 1973 წ. დააარსეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია *ალ-მუჯამმა'ა ალ-ისლამია*/ისლამური ასოციაცია (170, თავი I).

ასოციაციის წევრები, თავდაპირველად, თავს არიდებდნენ ისრაელის საოკუპაციო არმიასთან შეტაკებებს და იფარგლებოდნენ ფართო საქველმოქმედო

---

[20] არსებობის მთელ მანძილზე *მუსლიმი ძმები* სოლიდარობას უცხადებდნენ პალესტინის პრობლემების გადაწყვეტას, მუდმივად მოანაწილეობდნენ მათ ბრძოლებში და ისრაელის სახელმწიფოს დასამხობად წარმოებულ კამპანიაში. პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატის პერიოდში, 1936 და 1939 წლებში ანტიებრაული გამოსვლების დროს, საძმო მხარს უჭერდა ჰაჯ ამინ ალ-ჰუსეინს - იერუსალიმის მუფთის და არაბული უმაღლესი კომიტეტის ხელმძღვანელს. თავის მხრივ, II მსოფლიო ომის დროს, ჰაჯი ამინ ალ-ჰუსეინი მხარს უჭერდა ნაცისტურ გერმანიას ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ მყოფ პალესტინაში მცხოვრები ებრაელების წინააღმდეგ და ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროპაგანდისტი იყო; ის მოქმედებდა გერმანიის მხარეზე არაბების მისამხრობად და მებრძოლი რაზმების ჩამოსაყალიბებლად, ნაცისტური პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც ებრაელი ხალხის განადგურებას ისახავდა მიზნად. იხ.: 115, 1132-1133.

საქმიანობით. საწყის ფაზაზე მას, ისევე როგორც შემდეგ **ჰამასს**, აქტიურად უჭერდა მხარს შამირის მთავრობა იმ იმედით, რომ ისლამური ორგანიზაცია შეასუსტებდა და შეარყევდა **პგო**ს ავტორიტეტს. მაგრამ თანდათან გამოიკვეთა მათი სხვა მიზნებიც და 1984 წ. ისრაელის უშიშროების სამსახურმა განაცხადა, რომ ასოციაცია იყო საყრდენი ძირგამომთხრელი ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა პალესტინის ისლამური სახელმწიფოს აშენებას ისრაელის სახელმწიფოს ნანგრევებზე.

ასოციაციის ოფისებში აღმოაჩინეს იარაღი, ორგანიზაციის ლიდერები დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს. შეიხმა იასინმა განაცხადა, რომ იარაღი თავდაცვისთვის იყო გამიზნული, რაც სასამართლომ სარწმუნოდ არ მიიჩნია. იასინს ცამეტი წლით, ხოლო სხვა დამნაშავეებს ცხრიდან თორმეტ წლამდე პატიმრობა მიესაჯა. 1985 წ. ისრაელ-პალესტინელთა შორის პატიმრების ურთიერთგაცვლის შეთანხმების საფუძველზე იასინი, სხვა პალესტინელ პატიმრებთან ერთად, გაათავისუფლეს. იასინი მუსლიმურ საზოგადოებაში წამყვან ფიგურად დარჩა, თუმცა ასოციაციის ფორმალური ლიდერი *მუსლიმი ძმების*ს ერთ-ერთი აქტივისტი, ფარმაცევტი იბრაჰიმ ალ-იაზური იყო. მიუხედავად ამისა, ისრაელის ხელისუფლებმა არ გააუქმეს ასოციაცია. ისრაელის კანონმდებლებს ეს ორგანიზაცია მიაჩნდათ ერთ-ერთ მეამბოხე სამხედრო დაჯგუფებად, რომელსაც, *ისლამური ჯიჰადი*ს მსგავსად, პალესტინელთა შორის უთანხმოება და განხეთქილება შეჰქონდა.

1987 წ. დეკემბერში, ისრაელის მიერ (1967 წ. ივნისის ექვსდღიანი ომის შედეგად) ოკუპირებულ ღაზას სექტორსა და მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე დაიწყო პალესტინელ არაბთა ამბოხი - *ინთიფადა* ისრაელის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. დემონსტრაციები, გაფიცვები, ისრაელის საქონლის ბოიკოტი და არეულობები (ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გარეშე), მიუხედავად ისრაელის ხელისუფალთა საპასუხო მკაცრი ღონისძიებებისა, 1993 წლამდე გრძელდებოდა. *ინთიფადას* ხელმძღვანელობდა იატაკქვეშეთში მოქმედი *გაერთიანებული ეროვნული ხელმძღვანელობა* (**გეხ**). მასში წარმოდგენილნი იყვნენ დელეგატები ისრაელის ხელისუფალთა მიერ აკრძალული **ფათჰ**იდან - იასირ

არაფათის დაჯგუფებიდან, პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტიდან, პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტიდან და პალესტინის კომუნისტური ორგანიზაციიდან. **ᲒᲔᲮი** გამოსცემდა პროკლამაციებს, მოსახლეობას აძლევდა სათანადო ინფორმაციასა და დირექტივებს. მას ჰქონდა კავშირი **ᲞᲒᲝ**სთან თუნისში. **ᲒᲔᲮ**-თან თანამშრომლობდა პალესტინის ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაცია *ისლამური ჯიჰადი*, მაგრამ არ ემორჩილებოდა მას და ინარჩუნებდა მოქმედების თავისუფლებას.

ინთიფადას (ამბოხების) დაწყებამ დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში *მუსლიმი ძმები* უპრეცედენტო პრობლემის წინაშე დააყენა. წლების განმავლობაში, სოციალურ და საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონცენტრაციის შემდეგ, მოძრაობის ლიდერებმა აღმოაჩინეს, რომ ჩამორჩნენ იმ პროცესებს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. მათი ორგანიზაციის მნიშვნელობა ეჭვის ქვეშ დადგა. ამ ტენდენციას უფრო საგრძნობს ხდიდა ისლამურ ბანაკში *მუსლიმი ძმების* მეტოქის - *ისლამური ჯიჰადის* გავლენის ზრდა. *მუსლიმი ძმების* ორგანიზაციის წევრებმა ასპარეზი, ძალაუნებურად, ამ მეამბოხე ორგანიზაციას დაუთმეს, რამაც მათი ხელმძღვანელობის ავტორიტეტის საგრძნობი დაცემა გამოიწვია. *ისლამური ჯიჰადის* მიერ *მუსლიმი ძმების* წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა გამოწვეული იყო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტსა და ეროვნულ ბრძოლაში საძმოს პასიური პოზიციით.

მუსლიმმა ძმებმა აუცილებლად ჩათვალეს პალესტინელი ხალხის მხარდაჭერის დაბრუნება. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად, ჩამოყალიბდა *ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა*, არაბულად *ჰარაქათ ალ-მუკავამა ალ-ისლამია*, რომლის აბრევიატურაა **ᲰᲐᲛᲐᲡი**[21]. მისი ხელმძღვანელი გახდა *ალ-მუჯამმა'ა ალ-ისლამია*ს ყოფილი ლიდერი, ისრაელის საპატიმროდან განთავისუფლებული შეიხი აჰმედ იასინი. ეს მოხდა 1987 წ. 14 დეკემბერს. იასინთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ 'აბდ ალ-'აზიზ არ-რანტისი და მაჰმუდ

[21] ამავე დროს, **ᲰᲐᲛᲐᲡი** არაბულად ნიშნავს "ენთუზიაზმს", "გულმოდგინებას". თავად **ᲰᲐᲛᲐᲡი** თავის სახელს განმარტავს როგორც "ძალასა და მამაცობას" (340, 14).

ალ-ზაჰარი, რომლებიც შემდგომ ᲰᲐᲛᲐᲡის წამყვანი ფიგურები და მისი ოფიციალური წარმომადგენლები გახდნენ.

ᲰᲐᲛᲐᲡის მუშაობის ტაქტიკა ეყრდნობოდა ისლამური ფუნდამენტალიზმის პრინციპებს. მისი მიზანი *ინთიფადა*ში პირდაპირი მონაწილეობის მიღება და მისთვის ისლამური აზროვნების მორგება იყო. დამკვირვებლებს მიაჩნდათ, რომ *ინთიფადა*ს დაწყება სპონტანური იყო და რომ ᲰᲐᲛᲐᲡის დამაარსებლები, ისევე როგორც სხვა ოპოზიციური ჯგუფები, მაგალითად ᲠᲒᲝ, ცდილობდნენ დემონსტრაციებზე კონტროლის მოპოვებას [40, 10].

ისრაელთან შეიარაღებულ ბრძოლაში თავიანთი დაგვიანებული გამოჩენის გასამართლებლად, ᲰᲐᲛᲐᲡის ხელმძღვანელობა იხსენებდა იმ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელსაც მუსლიმური საძმო პალესტინელთა შორის ეწეოდა და ეს შეიარაღებული ბრძოლის ტოლფასად მიაჩნდა. ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ ანტიისრაელური საქმიანობის დაწყებამდე აუცილებელი იყო ისრაელის კორუმპირებული გავლენის აღკვეთა და მუსლიმთა ფასეულობების დაცვა. სწორედ ამას უწყობდა ხელს მეჩეთების მშენებლობა, მოსახლეობის მობილიზაცია და გაერთიანება, ისლამური სულისკვეთების პრინციპების გაღრმავება. ᲰᲐᲛᲐᲡის აზრით, მხოლოდ ამ სულისკვეთებითა და რწმენით გაძლიერებული პალესტინის საზოგადოება შეძლებდა ძირითადი მიზნების მიღწევას. ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენლის განცხადებით, სწორედ *ინთიფადა*ს წინა წლებში მოხდა ხალხის გაერთიანება ერთიან ისლამურ ბანაკში; ეს ბანაკი მალე პოლიტიკურად გაძლიერდა და ჩამოაყალიბა ის აზროვნება, რომელმაც ხელი შეუწყო *ინთიფადა*ს დაწყებას (368, I თავი].

*ინთიფადა*ს დაწყების მეორე წლიდან ᲰᲐᲛᲐᲡი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ძალადობის ესკალაციაში თვით პალესტინელი საზოგადოების შიგნით. პალესტინელთა წინააღმდეგ ძალადობა ᲰᲐᲛᲐᲡის სამხედრო ფრთის საქმიანობის უმთავრესი ასპექტი იყო. მსხვერპლს ის ადამიანები წარმოადგენდნენ, ვინც ისრაელთან თანამშრომლობაში იყო ეჭვმიტანილი ან ისეთ ამორალურ საქმიანობაში იყო გახვეული, როგორიცაა პროსტიტუცია, ნარკობიზნესი ან პორნოგრაფიის გავრცელება.

ᲰᲐᲛᲐᲡᲘ წარმოიქმნა როგორც ᲞᲒᲝს მთავარი ოპოზიცია; ორგანიზაცია, რომელმაც კითხვის ქვეშ დააყენა ᲞᲒᲝს პრეტენზია, ყოფილიყო პალესტინელი ხალხის ერთადერთი წარმომადგენელი. ᲰᲐᲛᲐᲡის ისტორია *ინთიფადას* (1987-1992 წწ.) დროს არის ნაერთი მისი ბრძოლისა ისრაელის წინააღმდეგ და ᲞᲒᲝსთან მუდმივი ქიშპობისა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობაზე გავლენის მოსაპოვებლად. *ინთიფადას* წლებში ᲞᲒᲝსა და ᲰᲐᲛᲐᲡს შორის დაპირისპირება ორი ძირითადი საკითხის გამო ხდებოდა. ერთი სახალხო ამბოხების მოსამზადებელი ყოველდღიური საქმიანობა იყო, მეორე - პალესტინის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჩარჩოები. მკაფიო იდეოლოგიური და ორგანიზაციული ხასითის შესანარჩუნებლად ᲰᲐᲛᲐᲡი არ ცნობდა *ინთიფადას* გაერთიანებულ ეროვნულ სამხედრო ხელისუფლებას (ᲒᲔᲡᲮ), რომელიც გაიგივებული იყო ᲞᲒᲝსთან. ის მცირე კავშირი, რომელიც არსებობდა ᲰᲐᲛᲐᲡსა და ᲒᲔᲡᲮს შორის, იყო იასირ არაფათის მოადგილის, ხალილ ალ-ვაზირის (აბუ ჯიჰადის) დამსახურება.[22] მოგვიანებით, ᲰᲐᲛᲐᲡი დაშორდა ამბოხების ხელმძღვანელობას და *ინთიფადა* გადააქცია კონკურენციის ასპარეზად ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

ინთიფადას წლებში (1987-93) მოხდა რელიგიურ და ეროვნულ ბანაკებს (ᲞᲒᲝს სახით) შორის კონფლიქტის წარმოშობა. რელიგიური ბანაკის ქმედება, მხარდაჭერა მოეპოვებინა ხალხის მასებში *ინთიფადას* საწყის ეტაპებზე, დამაჯერებელი იყო. ეს ხდებოდა ბრწყინვალე ისლამური რიტორიკის წყალობით: ისლამისტი ლიდერების უმეტესობა სრულყოფილად ფლობდა ყურანის ენას, სწავლობდა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. ღაზას სექტორსა და დასავლეთ ნაპირზე მოსახლე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ პალესტინელებს ხიბლავდა ისლამისტი შეიხების თითქმის ასკეტური ცხოვრების წესი. მასების ცნობიერებისათვის სოციალური თანასწორობის ისლამური ლოზუნგები მარტივი და ხელმისაწვდომი იყო. ამასთან, რელიგიურმა ბანაკმა შექმნა საბავშვო დაწესებულებებისა და ღარიბთა თავშესაფრების ფართო ქსელი,

[22] აბუ ჯიჰადი მოკლეს 1988 წლის 16 აპრილს (340).

რითაც მიიმხრო პალესტინელთა ყველაზე გაჭირვებული ფენა. სწორედ ისინი გახდნენ დასაყრდენი ისლამისტი ექსტრემისტებისათვის (368, I თავი).

ᲰᲐᲛᲐᲡი კანონიერად ითვლებოდა 1989 წ. 28 სექტემბრამდე, *ინთიფადას* დაწყებიდან ორი წლის შემდეგაც კი. მიუხედავად იმისა, რომ ᲰᲐᲛᲐᲡს ბრალად ედებოდა ძალადობის მრავალი აქტის განხორციელება, ისრაელის ხელისუფლებას სჯეროდა, რომ ᲰᲐᲛᲐᲡის დაშლას მისი ლეგალურად შენარჩუნება ჯობდა. ეს საკმაოდ საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ თავად ᲰᲐᲛᲐᲡის ქარტია თავის მთავარ მიზნად ისრაელის განადგურებას აცხადებდა. ისრაელის ასეთი მხარდაჭერა ᲰᲐᲛᲐᲡისადმი შეუმჩნეველი არც პალესტინელებს დარჩათ და ᲞᲒᲝს წარმომადგენლებს ის არაერთხელ დაუდანაშაულებიათ ისრაელთან თანამშრომლობაში (215, 141).

ᲰᲐᲛᲐᲡ-ის ზოგიერთი წარმომადგენელი საკმაოდ ღიად უარყოფდა ისრაელთან კავშირის არსებობას. მუჰამედ ნაზზალმა, ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენელმა იორდანიაში, ინტერვიუში უარყო ის აზრი, რომ ისრაელმა შექმნა ᲰᲐᲛᲐᲡი, თუმცა აღიარა, რომ ᲰᲐᲛᲐᲡს მეტი შესაძლებლობა მისცეს გაზრდილიყო, ვიდრე ᲞᲒᲝს (215, 141).

ინთიფადას ადრეულ წლებში, ᲰᲐᲛᲐᲡი შეეცადა შეექმნა ბრძოლის ისეთი ფორმები, რომლებიც მის იმიჯს ჩამოაყალიბებდა, მაგალითად, დემონსტრაციები, ქვების სროლა, თავდასხმები, ქუჩის ძალადობის ძირითადი ფორმები. ამგვარ, თუნდაც არაორგანიზებული ხასიათის საქმიანობასთან ერთად, რომელიც დაფუძნებული იყო მასების მონაწილეობაზე, შეიარაღებული კამპანია წარიმართებოდა მეზობელი ქვეყნებიდანაც. *ინთიფადას* პირველ წლებში ᲰᲐᲛᲐᲡის როლი ძალადობაში მაინც მცირე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადა აქტიურად იყენებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს და მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ ისრაელის უშიშროების ძალებთან შესატაკებლად. შეიარაღებული ბრძოლის მოწინავე ნაწილი იყო ᲤᲐᲗᲰი. მაგრამ 1992 წ. ბოლოს ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადების საქმიანობა გაიზარდა, როგორც რაოდენობრივად, ისე ძალადობის მასშტაბითაც.

1992 წ. დეკემბერში ისრაელელი მესაზღვრე პოლიციელის მკვლელობის შემდეგ, დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში დააპატიმრეს ᲰᲐᲛᲐᲡისა და *ისლამური ჯიჰადის* დაახლოებით 15,000 აქტივისტი. ᲰᲐᲛᲐᲡის მხარდამჭერი გარემოს საბოლოოდ შესასუტებლად უპრეცედენტო ზომა იქნა მიღებული - 416 პალესტინელი, რომელთა უმეტესობა ᲰᲐᲛᲐᲡის წევრი იყო, ლიბანში გააძევეს. ისრაელის ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა ისიც კი განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო სამშვიდობო პროცესისა და ᲞᲒᲝᲡ გასაძლიერებლად. სინამდვილეში, ამგვარი ღონისძიება მიზნად ისახავდა ისრაელის საზოგადოების დამშვიდებას. დეპორტაციის სწრაფი განხორციელება მოხდა არაორდინარული ზომებით. კანონიერი სასამართლო განიხილვების თავიდან ასაცილებლად, რაც დეპორტაციების დაგვიანებას გამოიწვევდა, ამ პროცედურას "დროებითი გადაადგილება" დაერქვა. უმაღლესმა სასამართლომ "გადაადგილებულთ" გადაწყვეტილების გაპროტესტების უფლება მისცა ისრაელის საზღვრებს გარეთ სამოცი დღის განმავლობაში. თითქმის ყველა დეპორტირებული იყო ᲰᲐᲛᲐᲡის სამოქალაქო ინფორმაციის, პოლიტიკური და რელიგიური ინფრასტრუქტურის წევრი (მაგალითად, ოფიციალური წარმომადგენელები, ფინანსური შემოწირულობების გამნაწილებლები, პოლიტიკური კამპანიების მწარმოებლები და სხვ.), მაგრამ არც ერთი მათგანი პირდაპირ არ მონაწილეობდა ტერორისტულ თავდასხმებში.

ისრაელის ხელისუფალთ სჯეროდათ, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ᲰᲐᲛᲐᲡის ცენტრალური ფიგურების ჩამოშორებით, ისინი დარტყმას მიაყენებდნენ ᲰᲐᲛᲐᲡს და შეამცირებდნენ მის გავლენას. მაგრამ ᲰᲐᲛᲐᲡის სამოქალაქო და პოლიტიკური სტრუქტურების წევრების დაპატიმრებას მათზე გავლენა - ყოველ შემთხვევაში, პირდაპირი და დაუყოვნებელივი - არ მოუხდენია. მიუხედავად მუდმივი დარტყმებისა, ამ ტერორისტული რაზმების ნეიტრალიზაცია შეუძლებელი აღმოჩნდა. ᲰᲐᲛᲐᲡის ან მისი დოქტრინით შთაგონებულ პირთა მიერ განხორციელებული თითოეული თავდასხმა კიდევ ერთხელ მოწმობდა ამ ორგანიზაციის ძალასა და გავლენას.

2. ჰამასის ორგანიზაციული სტრუქტურა. ლიდერები

ჰამასის სტრუქტურული ევოლუცია ასახავს გარემოსთან მისი ადაპტაციის პროცესს, რომელიც განისაზღვრა ორგანიზაციის ზრდითა და მისი ბაზების გავრცელებით. ჰამასის მიზანი - ისრაელის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ფართო მხარდაჭერას პოულობდა. ჰამასი სახალხო მოძრაობა გახდა (2; 14, 206-8; 18, 173-74; 25, 1; 10, 767-68; 21, 19-3). პგრ-ს აქტივისტების მსგავსად ჰამასის ლიდერებმა პროკლამაციების გავრცელება დაიწყეს. პირველი ასეთი დოკუმენტი *ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის* სახელწოდებით, 1988 წ. 11 თებერვალს გავრცელდა. მოძრაობის პროკლამაციები *ინთიფადას* პირველ თვეებში ინტენსიურად ვრცელდებოდა.

1988 წ. 18 აგვისტოს ჰამასმა გამოაქვეყნა თავისი ქარტია [24, 141; 15, 267-291]. სწორედ აგვისტოში შეიხმა იასინმა ღაზას სექტორში შეკრიბა ექვსი თანამოაზრე: ექიმი ‘აბდ ალ-‘აზიზ არ-რანტისი, იბრაჰიმ ალ-იაზური, შეიხი სალიჰ შიჰადა, ‘ისა ან-ნაშარი, მუჰამედ შამ‘ა და ‘აბდ ალ-ფათაჰ დუხანი [8, 10] და მათ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის იდეა გაანდო. ღაზა დაიყო ექვს სექტორად, რომლებიც მოექცნენ თითოეული ამ პირის პასუხისმგებლობის ქვეშ. მათ დაუყოვნებლივ შექმნეს ჰამასის უჯრედები და დაიწყეს წევრების მოზიდვა. 1988 წ. იანვარში შეიხმა იასინმა მოიწვია ჯამილ ჰამამი დასავლეთ ნაპირზე *მუსლიმი ძმების* ორგანიზაციიდან და შესთავაზა, შეერთებოდა მის მოძრაობას. ჰამამი დასთანხმდა და თანდათანობით ჰამასის არსებობა შესამჩნევი გახდა დასავლეთ ნაპირზეც, რომელიც, ასევე, პასუხისმგებლობის სექტორებად დაიყო.

ჰამასის საქმიანობის ცენტრები იყო მეჩეთები, სადაც ხდებოდა შეხვედრები, დემონსტრაციები, პროკლამაციების გავრცელება და ტერორისტული თავდასხმების მზადებაც კი. 1987 წლიდან 1989 წლის 18 მაისამდე, დაპატიმრებამდე, იასინი ჰამასს ცენტრალიზებულად მართავდა [368, I თავი]. ის აკონტროლებდა პროკლამაციების ტექსტებს და მათ გავრცელებას, ფინანსების შეგროვებას, რომლებიც, მოთხოვნებისამებრ, გადაეცემოდა რეგიონალურ ხელმძღვანელებს და *ინთიფადას* დროს დაღუპულ პირთა ოჯახებს. ამასთან, იასინი მოქმედებდა საკონსულტაციო საბჭოს (*მაჯლის შურა*) მეშვეობით, რომლის წევრები

ცხოვრობდნენ პალესტინის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის იყვნენ მუსა აბუ მარზუკი - ჰამასის პოლიტიკური ბიუროს მეთაური იორდანიაში, მუჰამედ ნაზზალი - ჰამასის წარმომადგენელი იორდანიაში და ‘იმად ალ-‘ალამი - ჰამასის წარმომადგენელი თეირანში. 1989 წ. მ. აბუ მარზუკის ინიციატივით შეიქმნა ჰამასის მცირერიცხოვანი (6-8 კაცი) პოლიტბიურო, და მობილური სტრუქტურა.

თავდაპირველად, ჰამასი სამ დამოუკიდებელ უჯრედად ჩამოყალიბდა. პოლიტიკური ფრთა, რომელშიც იასინის უახლოესი მოკავშირეები გაერთიანდნენ (შანაბი, იაზური, ‘აბდ ალ-‘აზიზ არ-რანტისი, აზ-ზაჰარი) ავრცელებდნენ პროკლამაციებს, აგროვებდნენ ფულს (განსაკუთრებით სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან), იზიდავდნენ ახალ წევრებს, თანამშრომლობისკენ მოუწოდებდნენ მეჩეთებს. დაზვერვის აპარატი, რომელიც ცნობილი იყო *ალ-მაჯდის* (დიდება) სახელით, ჩამოყალიბდა შიდა პოლიტიკის შესაქმნელად. მოგვიანებით, ის შეუერთდა სამხედრო ფრთას. ჰამასი ოპერირებდა სხვადასხვა ფრთის საშუალებით, რაც ისრაელელებისთვის შეუძლებელს ხდიდა მათში შეღწევას.

შემდეგ ჰამასი გაფართოვდა, ორგანიზაციაში შეიქმნა ადმინისტრაციული, საქველმოქმედო, საინფორმაციო და პოლიტიკური, უშიშროების და სამხედრო ფრთები და მოვლენების ერთეულები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი ქვედანაყოფები. ადმინისტრაციული ფრთა კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის საქმიანობას; საქველმოქმედო საქმიანობა ხორციელდება ჰამასის თანამოაზრე ისლამურ ცენტრებთან თანამშრომლობით. საინფორმაციო და პოლიტიკური ფრთა, რომელმაც მოქმედება დაიწყო *ინთიფადას* დაწყებისა და ჰამასის შექმნისთანავე, პასუხისმგებელი იყო ჰამასის პუბლიკაციებზე - ბიულეტენების, სხვადასხვა ინფორმაციისა და კვლევითი მასალის ჩათვლით.

სამხედრო ფრთა, რომლის მთავარ მიზანს ისრაელის ოკუპაციასთან ბრძოლა წარმოადგენდა, ყველაზე აქტიური იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სამხედრო ფრთის ფარგლებში 80-იან წლებში ჩამოყალიბდა ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის[23]

[23] ‘იზზ ად-დინ ალ-კასამი იყო შეიარაღებული წინააღმდეგობის პირველი ლიდერი თანამედროვე პალესტინის ისტორიაში. მოკლეს ინგლისელებმა 1935 წ. (8,6).

ბრიგადები, რომელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ლიდერი და სულისჩამდგმელი იყო იაჰია აიაში.

თავდაპირველად, ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადების მებრძოლთა ვინაობა მათ სიკვდილამდე უცნობი რჩებოდა. სხვადასხვა უჯრედი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, რაც მათი რეგენერაციისთვის უაღრესად ხელსაყრელი იყო – მოკლული წევრების სხვებით შეცვლა მარტივად ხდებოდა. 2005 წ. 3 სექტემბერს, ღაზას სექტორის დასახლებებიდან ისრაელის გასვლის შემდეგ კი, ბრიგადების ხელმძღვანელობამ პირველად, თავისი არსებობის მანძილზე, საჯაროდ დაასახელა თავისი ლიდერების სახელები და ფუნქციები როგორც თავის ინტერნეტის ვებ-გვერდზე, ისე პალესტინელთათვის დაბეჭდილ ბიულეტენებში. ესენია: მუჰამედ დაიფი (რომელიც ისრაელის ძალების ხუთ თავდასხმას გადაურჩა) – მთავარსარდალი, აჰმედ ჯაბერი და მარვან ‘ისა – მუჰამედ დაიფის თანაშემწეები, რაიდ საიდი – ღაზას სექტორის მთავარსარდალი, აჰმად ალ-ღანდური – ჩრდილო ღაზას სექტორისა და ჯაბალიას ლტოლვილთა ბანაკის სარდალი, მუჰამედ აბუ შამალა – სამხრეთ ღაზას სექტორის სარდალი, მუჰამედ ალ-სანვარი – ხან იუნისის სარდალი.

უშიშროების ფრთა პასუხისმგებელი იყო ურთიერთობაზე იმ პალესტინელებთან, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ისლამის პრინციპების დარღვევაში. მის სამიზნეებს წარმოადგენდნენ პალესტინელები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ისრაელთან თანამშრომლობა [25, 5; 22, თავი I, ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა]. ბევრი ეჭვმიტანილი იქნა მოტაცებული და დაკითხული. ზოგჯერ ბრალდებები სიკვდილით დასჯის მიზეზიც კი ხდებოდა.

მოვლენების ერთეულის დანიშნულება *ინთიფადა*ში მონაწილეობა და მისი ესკალაცია იყო. ეს გულისხმობდა გაფიცვების, სამოქალაქო არეულობებისა და დემონსტრაციების ინიციატივასა და ორგანიზაციას, ქუჩების ჩახერგვას, ეროვნული და რელიგიური წარწერების გაკეთებას კედლებზე, იმ ოჯახების დახმარებას, რომლებმაც დანაკარგი განიცადეს აჯანყების დროს, ასევე ისრაელის უსაფრთოხების ძალებთან შეტაკებაში დაღუპული პალესტინლების დაკრძალვას.

ორგანიზაციის სხვადასხვა ფრთა ერთმანეთის საქმიანობაში არ ერეოდა. ეს ხელს უწყობდა ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის დაცვას ისრაელის უსაფრთხოების ძალებისაგან, შემდგომში კი პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციისაგან (პეა), რომელიც 1994 წ. ივნისში ჩამოყალიბდა. მოგვიანებით ეს ასევე გახდა ერთ-ერთი ის ფაქტორი, რომელსაც შეეძლო **ჰამას**ის შიგნით უთანხმოების გამოწვევა. პოლიტიკური და სამხედრო ფრთა გახდნენ ნახევრად დამოუკიდებლები, თავიანთი პოლიტიკური ლიდერების დაცვის მიზნით. ამის გამოყენება მოგვიანებით სცადა არაფათმა **ჰამას**ში მეტი უთანხმოების შესატანად, როცა მოლაპარაკებებს აწარმოებდა პოლიტიკურ ფრთასთან და იმავდროულად ებრძოდა სამხედრო ფრთას - 'იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადებს.

ჰამასის ლიდერები. **ჰამას**ის ორგანიზაციის ყველა ლიდერის და აქტივისტის იდენტიფიკაცია, ცხადია შეუძლებელია. კონსპირაცია დაცულია, მაგრამ არის რამდენიმე პიროვნება, რომელთა სახელები საყოველთაოდ ცნობილია ახლო აღმოსავლეთში.

შეიხი აჰმედ იასინი - **ჰამას**ის დამაარსებელი. დაიბადა 1938 წ. ღაზას სექტორის სამხრეთში, ალ-მაჯდალის რაიონის სოფ. ალ-ჯურაში (329). 1948 წ. ომის შემდეგ მისმა ოჯახმა თავი შეაფარა ღაზას. ბავშვობის ასაკში დაემართა დამბლა და დაინვალიდდა. დაასრულა კაიროს 'აინ-შამსის უნივერსიტეტი, მუშაობდა ისლამის მასწავლებლად და ხატიბად (მქადაგებლად) ღაზას მეჩეთებში. გახდა ყველაზე პოპულარული ხატიბი ღაზაში ისრაელის ოკუპაციის (1967-1993) წლებში. როგორც ზემოთ ითქვა, 1984 წ. ისრაელის ხელისუფლებამ ის დააპატიმრა და 13 წელი პატიმრობა მიუსაჯა. გაათავისუფლეს 1985 წ. 1987 წ. აჰმედ იასინმა დააარსა **ჰამას**ი. 1989 წ. 18 მაისს ისრაელის ხელისუფლებმა ისევ დააპატიმრეს ის და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სრულიად პარალიზებული შეიხი იასინის მდგომარეობა ციხეში გაუარესდა, დაკარგა მხედველობა მარჯვენა თვალში, გაუარესდა მარცხენა თვალში და სხვ. გაათავისუფლეს 1997 წ. 1 ოქტომბერს ისრაელ-იორდანიის შეთანხმების საფუძველზე. იორდანიამ, მის სანაცვლოდ, გაათავისუფლა ორი ისრაელელი აგენტი, დაპატიმრებულნი **ჰამას**ის

პოლიტიკური ბიუროს თავმჯდომარე ხალიდ მიშ'ალზე წარუმატებელი თავდასხმის დროს ამანში.

ისრაელმა და ჰემამ არაერთხელ მიუსაჯეს მას შიდა პატიმრობა, თუმცა ყოველ ჯერზე მას ათავისუფლებდნენ, უმეტესად, მხარდამჭერთა დაჟინებული მოთხოვნით და ხანგრძლივი დემონსტრაციების შემდეგ. 2003 წ. 13 ივნისს ისრაელის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ სავსებით შესაძლებელი იყო იასინი ისრაელის პოლიციის სამიზნე გამხდარიყო (329). სამი თვის შემდეგ, ისრაელის საჰაერო ძალებმა დაბომბეს ღაზას სექტორში სწორედ ის შენობა, სადაც იმყოფებოდა იასინი, მაგრამ იგი გადარჩა და მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. აჰმედ იასინი მოკლეს 2004 წ. 22 მარტს დილის ლოცვიდან გამოსვლისას. მას ისრაელის ვერტმფრენიდან ესროლეს ჭურვი. ისრაელის განცხადებით, ეს იყო ჰამასის მიერ ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებული თვითმკვლელთა აფეთქებების სამაგიერო აქცია. ოპერაციის მთელ პროცესს ყურადღებას ადევნებდა არიელ შარონი ვერტმფრენში დაყენებული ვიდეო გადამცემის საშუალებით. მიუხედავად მკვეთრად უარყოფითი საერთაშორისო გამოხმაურებისა, მან კმაყოფილებით განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფომ დარტყმა მიაყენა მის მნიშვნელოვან მტერს.

შეიხი აჰმედ იასინი შეცვალა **'აბდ ალ-'აზიზ არ-რანტისიმ,** რომელიც იყო ჰამასის წარმომადგენელი ღაზაში. ის დაიბადა 1947 წ. 23 ოქტომბერს სოფ. იაბნაში - აშკელონსა და იაფას შორის. 1948 წ. ომის შემდეგ, როცა ექვსი თვის იყო, მისმა ოჯახმა თავი შეაფარა ღაზას სექტორს და დასახლდა ხან-იუნისის ლტოლვილთა ბანაკში. საშუალო განათლება მიიღო ღაზაში, უმაღლესი სამედიცინო განათლება - ალექსანდრიის უნივერსიტეტში; 1972 წ. აქვე მიიღო მაგისტრობაც პედიატრიაში. 1976 წ. დაბრუნდა ღაზაში, სადაც მუშაობდა ნასერის საავადმყოფოში - ხან-იუნისის მთავარ სამედიცინო ცენტრში. იყო ისლამური კომპლექსის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის, ღაზას არაბული მედიცინის და პალესტინის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების წევრი. კითხულობდა ლექციებს მეცნიერების სფეროში ღაზას ისლამურ უნივერსიტეტში მისი გახსნის დღიდან - 1978 წ.; დააპატიმრეს 1983 წ., რადგანაც უარი განაცხადა, გადაეხადა

გადასახადები ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებისათვის. 1988 წ. 15 იანვარს ხელმეორედ დააპატიმრეს 21 დღით. გახდა ჰამასის ერთ-ერთი დამაარსებელი 1987 წ.; 1988 წ. 4 მარტს ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებამ ის კვლავ დააპატიმრა 30 თვით, ანტიისრაელურ საქმიანობაში მონაწილეობის ბრალდებით. გაათავისუფლეს 1990 წ. 4 სექტემბერს. 1990 წ. 14 დეკემბერს კვლავ დააპატიმრეს 1 წლით. 1992 წ. 17 დეკემბერს ჰამასის და *ისლამური ჯიჰადის* 416 აქტივისტთან ერთად დეპორტირებულ იქნა სამხრეთ ლიბანში. გახდა დეპორტირებულთა წარმომადგენელი მარჯ აზ-ზუჰურის ბანაკში. 1993 წ., უკან დაბრუნების შემდეგ, ის კვლავ დააპატიმრეს. არ-რანტისი არაერთხელ დააკავა თვით პმამ პალესტინის ხელისუფლებისა და არაფათის კრიტიკის გამო.. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე ისრაელის წინააღმდეგ ცეცხლის და თავდასხმების შეწყვეტისა. 1997 წ. შეიხ იასინის ღაზას სექტორში დაბრუნების შემდეგ, ის მჭიდროდ თანამშრომლობდა მასთან ჰამასის იერარქიული სტრუქტურისა და კადრების ერთობის აღსადგენად. სალაჰ შეჰადეს და იბრაჰიმ მაკადმეს მკვლელობის შემდეგ ის გახდა ჰამასის ძირითადი წარმომომადგენელი, პოლიტიკური ხელმძღვანელი და სულიერი ლიდერი და განსაზღვრავდა და წარმართავდა მოძრაობის საქმიანობას. ჰამასის ლიდერად არ-რანტისიმ ოთხი კვირა დაჰყო. იასინის დასაფლავებაზე დასწრების შემდეგ ის იმალებოდა. მოკლეს 2004 წ. 17 აპრილს, როცა ღაზაში დაბრუნდა ოჯახის მონახულების შემდეგ - ისრაელის თავდაცვის ძალებმა მის მანქანას ჭურვი ესროლეს (323).

ხალიდ მაშ'ალი - ჰამასის პოლიტიკური ბიუროს თავმჯდომარე, ამჟამად მოძრაობის ლიდერი, დაიბადა 1956 წ. სილვადში (რამალაჰთან), სადაც მიიღო დაწყებითი განათლება. 1967 წ. გადასახლდა ქუვეითში, სადაც ცხოვრობდა 1990 წლამდე, სპარსეთის ყურის კრიზისის დაწყებამდე. უმაღლესი განათლება მიიღო ქუვეითის უნივერსიტეტში, სადაც ხელმძღვანელობდა პალესტინის ისლამურ ჯგუფს. 1990 წ. გაემგზავრა იორდანიაში და ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. ის მოიაზრებოდა ჰამასის იორდანიის ქვეოფისის ხელმძღვანელად. სწორედ აქ, 1997 წ. 25 აპრილს, მაშ'ალი გადაურჩა სიკვდილს, როცა მასზე თავდასხმა განახორციელეს ისრაელის მოსადის აგენტებმა. 1999 წ. აგვისტოში, აშშ-ის

სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაითის ვიზიტის წინ, კლინტონის ადმინისტრაციის ზეწოლით, იორდანიამ გამოსცა მისი დაპატიმრების ბრძანება. მაშ'ალი იყო პალესტინის ხელისუფლების და პრეზიდენტ იასირ არაფათის კრიტიკოსი, ხშირად უარყოფდა მის დირექტივებს ისრაელის წინააღმდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, თუმცა, დაესწრო არაფათის დაკრძალვას კაიროში 2004 წ. 12 ნოემბერს (366).

დრ. მუსა მუჰამედ აბუ მარზუკი – ჰამასის პოლიტიკური ბიუროს წევრი. დაიბადა 1951 წ. ღაზაში, სადაც მიიღო საშუალო განათლება. 1977 წ. დაასრულა კაიროს 'აინ-შამსის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი. 1981 წლამდე მუშაობდა მენეჯერად არაბთა გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთ ქარხანაში. 1981 წ. გაემგზავრა აშშ-ში, სადაც 1991 წ. დაიცვა დისერტაცია სამრეწველო მანქანათმშენებლობაში. 1991 წ. აირჩიეს ჰამასის პოლიტიკური ბიუროს თავმჯდომარედ. 1992-1995 წწ. ცხოვრობდა იორდანიაში. 1995 წ. გაემგზავრა აშშ-ში, სადაც ბრალდების გარეშე დააპატიმრეს ნიუ-იორკში, ჯონ კენედის აეროპორტში. 1997 წ. იანვარში, ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალთა მოთხოვნით და აშშ-ის ფედერალური სასამართლოს დადგენილებით, მოხდა მისი ექსტრადიცია იმ ბრალდების საფუძველზე, რომ აძლევდა ბრძანებებს ჰამასის სამხედრო ფრთას და ურიცხავდა მას ფულს. მაგრამ ისრაელს შეეშინდა, რომ აბუ მარზუკის დაპატიმრება გამოიწვევდა ჰამასის შურისმაძიებელ თავდასხმებს და საბოლოოდ 1997 წ. მაისში მისი დეპორტაცია მოხდა იორდანიაში, ამ ქვეყნის ხელისუფალთა თანხმობით. 1999 წლიდან მას იორდანიის დატოვებაც მოუწია, იორდანიის მიერ ჰამასის საქმიანობის აკრძალვის გამო. 2004 წ. აშშ-ში კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს ტერორისტულ საქმიანობაში (342).

იბრაჰიმ ღუშა - ჰამასის წარმომადგენელი. დაიბადა იერუსალიმში 1936 წ. 26 ნოემბერს. საშუალო განათლება მიიღო იერუსალიმში. 1950 წ. შეუერთდა იერუსალიმის ისლამურ მოძრაობას, იყო ეგვიპტეში პალესტინელი სტუდენტების ლიგის ისლამისტი აქტივისტი. 1961 წ. დაასრულა კაიროს უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი. 1961-62 წწ. მუშაობდა ინჟინრად იორდანის ველზე, 1962-66 წწ. - ქუვეითში, მუნიციპალიტეტში, 1966-71 წწ. - იორდანიაში მდ. იარმუკზე

ხალიდის კაშხლის პროექტში. შემდეგ ისევ ქუვეითში, კოშკების პროექტში - 1972 წლამდე. 1972-78 წწ. იყო მენეჯერი მეფე ტალალის კაშხლისა იორდანიაში. 1978-89 წწ. გახსნა საკუთარი საინჟინრო ოფისი. 1989 წლიდან მთლიანად ჩაება **ჰამასის** საქმიანობაში. 1992 წ. გამოცხადდა მის წარმომადგენლად. არის **ჰამასის** პოლიტიკური ბიუროს წევრი (342).

მაჰმუდ აზ-ზაჰარი – დაიბადა 1945 წ. ღაზაში. სწავლობდა ეგვიპტეში, კაიროს 'აინ შამსის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1976 წ. დაბრუნდა ღაზაში, რათა ლექციები წაეკითხა ახლადშექმნილი ისლამური უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სწორედ იქ შეუერთდა ის *მუსლიმი ძმების* ადგილობრივ დაჯგუფებას. 1988 წელს სწორედ აზ-ზაჰარი ჩაუდგა **ჰამასს** სათავეში არ-რანტისისთან ერთად მას შემდეგ, რაც შეიხ იასინს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ის ასევე გახდა ორგანიზაციის არაოფიციალური წარმომადგენელი **პგ**ოში 1990 წ.; 1992 წ. აზ-ზაჰარი, მისი ძმა ფადელი და არ-რანტისი იყვნენ იმ 400 ისლამისტ აქტივისტს შორის, რომლებსაც დეპორტაცია გაუკეთა ისრაელმა. უკან დაბრუნებულს არაერთხელ მოუხდა შეტაკება პალესტინის ხელისუფლებასთან, რის გამოც რამდენჯერმე დააპატიმრეს. 2003 წ. 10 სექტემბერს მასზე უშედეგო თავდასხმა მოაწყო ისრაელის სპეცსამსახურმა, დაბომბა მისი სახლი, სადაც დაიღუპნენ მისი 25 წლის ვაჟი და მცველი. იასინისა და არ-რანტისის მკვლელობის შემდეგ **ჰამასი** საიდუმლოდ ინახავდა ახალი ლიდერის ვინაობას, რათა დაეცვა მისი სიცოცხლე. 2006 წ. იანვარში, როცა პალესტინის არჩევნებში გაიმარჯვა ამ ორგანიზაციამ, პალესტინური წყაროების თანახმად, **ჰამასის** ახალი ლიდერი სწორედ აზ-ზაჰარი გახდა ისმაილ ჰანიასა და საიდ ას-საიამთან ერთად (374).

ისმაილ ჰანია – დაიბადა 1962 წ. ღაზას დასავლეთით, შათის ლტოლვილთა ბანაკში. 1987 წ. *ინთიფადას* დაწყების დროს, დაამთავრა ღაზას ისლამური უნივერსიტეტი და ჩაერთო ისლამურ მოძრაობაში. რამდენჯერმე დააპატიმრეს ისრაელის ძალებმა. 1992 წ. მოხვდა ლიბანში დეპორტირებულთა შორის. ღაზაში დაბრუნების შემდეგ დაინიშნა ისლამური უნივერსიტეტის დეკანად. 1997 წ. ისრაელის მიერ შეიხ იასინის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ჰანია

გახდა მისი თანაშემწე და სულიერ ლიდერთან ახლო ურთიერთობის გამო დიდი პოპულარობა მოიპოვა **ჰამასის** მხარდამჭერებში. იყო **ჰამასის** წარმომადგენელი პალესტინის ხელისუფლებაში. ისრაელმა რამდენჯერმა სცადა მისი განადგურება. აზ-ზაჰარის მსგავსად, **ჰამასი** საიდუმლოდ ინახავდა მის ვინაობას იასინისა და არ-რანტისის მკვლელობის შემდეგ, რათა ხელი შეეშალა ისრაელისთვის, რომ არ მოეკლათ იგი. ჰანია გახდა მაჰმუდ აზ-ზაჰარისა და საიდ ას-საიამთან ერთად 2006 წ. იანვრის პალესტინის საკანონმდებლო არჩევნებში **ჰამასის** კანდიდატების ეროვნული სიის ლიდერი. ჰანიას პოზიცია ნაკლებად რადიკალურია და მისი საარჩევნო სიის სათავეში ყოფნა პალესტინელთა უმრავლესობის გულის მოსაგებად იყო განსაზღვრული (390).

იბრაჰიმ ალ-მაკადმე - ჰამასის ლიდერი ღაზას სექტორში, მისი სამხედრო ფრთის ერთ-ერთი დამფუძნებელი. დაიბადა 1951 წ. სოფ. იბნაში, იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით. ისრაელის ოკუპაციის დაწყების შემდეგ მისი ოჯახი გადავიდა ჯერ ბუეიჯის ლტოლვილთა ბანაკში, ხოლო მოგვიანებით – ჯაბალიაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ალ-მაკადმე სტომატოლოგიას სწავლობდა ეგვიპტეში, სადაც გაეცნო *მუსლიმი ძმების* იდეოლოგიას. ღაზაში დაბრუნების შემდეგ ის აქტიურად ჩაერთო პალესტინის ისლამური ორგანიზაციების საქმიანობაში. 1984 წ. დააპატიმრეს იარაღის შენახვისა და მისი გადაცემის გამო პალესტინელი მებრძოლებისთვის. 1992 წ. ციხიდან გაანთავისუფლების შემდეგ დაიწყო დანტისტად მუშაობა ღაზაში, *შიფას* საავადმყოფოში, ამასთან, ის აგრძელებდა თავის საქმიანობას **ჰამასში**. არაერთხელ დააპატიმრა **პეამ** კორუფციაში დადანაშაულებით, ოსლოს ხელშეკრულების კრიტიკისა და ისარელის წინააღმდეგ თავდასხმებისაკენ მოწოდების გამო. დაიღუპა 2003 წ. 8 მარტს, სამ თანაშემწესთან ერთად, როცა ისრაელის სამხედრო ძალებმა მისი მანქანა ვერტმფრენიდან დაბომბეს (355).

მუჰამედ ნაზალი. **ჰამასის** წარმომადგენელი იორდანიაში. წარმოშობით ქ. კალკილიიდან (დასავლეთი ნაპირის ჩრდილოეთ ნაწილში), დაიბადა 1963 წ. ამანში. საშუალო განათლება მიიღო ქუვეითში. სწავლობდა პაკისტანში, ყარაჩის უნივერსიტეტში. არის მაგისტრი ქიმიაში. ადრეულ ასაკში დაუკავშირდა ისლამურ

მოძრაობას, იყო პაკისტანში ემიგრანტი სტუდენტების აქტივისტი, პაკისტანის მუსლიმი სტუდენტების კავშირის გენერალური მდივანი, რომელიც აერთიანებდა ყველა ისლამისტ ემიგრანტ სტუდენტს. 1989 წლიდან ჩაება ჰამასის საქმიანობაში. არის ჰამასის პოლიტიკური ბიუროს წევრი და 1992 წლიდან ჰამასის წარმომადგენელი იორდანიაში (342).

ჯამალ 'აბდ არ-რაჰმან მანსური. ჰამასის ლიდერი დასავლეთ ნაპირზე. დაიბადა 1960 წ. 25 თებერვალს, ნაბლუსის მახლობლად, ბალატას ბანაკში. აქვს ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში. იყო ჰამასის წარმომადგენელი დასავლეთ ნაპირზე, იყო ჰამასის დელეგაციის წარმომადგენელი პალესტინის ხელისუფლებასთან დიალოგის დროს. რვაჯერ დააპატიმრეს ისრაელელებმა და რამდენჯერმე პემამ (342).

'იმად ალ-ალამი - ალექსანდრიის უნივერსიტეტის სამოქალაქო მშენებლის ბაკალავრი. 1988 წ. 28 სექტემბერს ისრაელის ხელისუფლებმა დააპატიმრეს ჰამასის მიერ სხვების წაქეზებისა და ანტიისრაელური საქმიანობის ორგანიზების ბრალდებით. ერთ-ერთი ბრალდება იყო ისიც, რომ "ეწეოდა ინფორმაციულ საქმიანობას ჰამასის მიღწევათა უკვდავსაყოფად". გაათავისუფლეს 1990 წ. 27 სექტემბერს. 1991 წ. ისრაელის ხელისუფლებმა მოახდინეს მისი დეპორტაცია ლიბანში. არჩეულია ჰამასის პოლიტიკური ბიუროს წევრად (342).

სალაჰ შიჰადა - ჰამასის სამხედრო ფრთის ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაიბადა 1953 წ. 24 თებერვალს ღაზას სანაპირო ბანაკში. 1948 წ. ომის შემდეგ მისი ოჯახი იაფადან გადასახლდა ღაზაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა ალექსანდრიის სოციალური სამსახურის უმაღლეს ინსტიტუტში, სადაც ჩაერთო ისლამისტურ მოძრაობაში და გააგრძელა ეს ღაზაში დაბრუნების შემდეგ. მუშაობდა სინაიზე, არაშში სოციალურ საქმეთა ზედამხედველად. როცა 1979 წ. ეგვიპტემ დაიბრუნა ისრაელის მიერ ოკუპირებული არაში, ის გადავიდა ღაზაში სოციალურ საქმეთა ზედამხედველად. 1982 წლიდან მუშაობდა ღაზას უნივერსიტეტის სტუდენტთა საქმეების დეპარტამენტში. 1984 წ. ისრაელელებმა 2 წლით დააპატიმრეს ანტისიონისტური საქმიანობის ბრალდებით. 1986 წლიდან, გათავისუფლების შემდეგ, მუშაობდა ღაზას ისლამური უნივერსიტეტის

სტუდენტთა საქმეების დეპარტამენტის დირექტორად, ვიდრე ისრაელის ხელისუფლებმა, *ინთიფადას* შეჩერების მიზნით, არ დახურეს ეს უნივერსიტეტი. 1988 წ. აგვისტოში ის კიდევ ერთხელ დააპატიმრეს. ისრაელელთა რწმენით, სალაჰ შიჰადამ შექმნა ჰამასის პირველი სამხედრო ორგანო - *პალესტინელი მუჯაჰიდი*, რომელსაც ბრალად ედებოდა სამხედრო უჯრედების ჩამოყალიბება, იარაღის ტარება და ისრაელის სამხედრო ობიექტებზე თავდასხმები. 1996 წ. იაჰია აიაშის მკვლელობის შემდეგ მუჰამედ დეიფთან და ადნან ალ-ღულთან ერთად ის გახდა ამ მიმართულების ლიდერი. *ალ-აკსას ინთიფადას* დროს, ისრაელმა ის დაადანაშაულა ისრაელის ჯარისკაცებისა და ღაზას სექტორის მშვიდობიანი მოსახლეობის საწინააღმდეგო საქმიანობის დაგეგმვაში. ისრაელის ინფორმაციით, ის მონაწილეობდა ღაზას სექტორში კასამის ჭურვებისა და შინ დამზადებული იარაღის, ასევე სხვა სახის სამხედრო დანადგარების შემოტანაში. 2002 წ. 22 ივლისს ისრაელის თავდაცვის ძალებმა ერთტონიანი ბომბი ჩამოაგდეს იმ სახლში, სადაც შაჰადე იმყოფებოდა. დაიღუპა 15-მდე ადამიანი, მათ შორის შაჰადე, მისი მეუღლე და 9 შვილი (398).

მუჰამედ დეიფი - ჰამასის სამხედრო ფრთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ის კასამის ჭურვის ერთ-ერთ შემქმნელად ითვლება. დეიფი ისრაელის დამნაშავეთა სიის დასაწყისში იყო რამდენიმე წლის მანძილზე. ის გადაურჩა ისრაელის ხუთ თავდახმას, თუმცა სერიოზულად დასახიჩრდა (380).

ადნან ალ-ღული - ჰამასის სამხედრო ფრთის ლიდერის მუჰამედ დეიფის თანაშემწე. ითვლება ჰამასის ბომბების ერთ-ერთ შემქმნელად. ჰამასს შეუერთდა 1988 წ. იყო იაჰია აიაშის (იხ. ქვემოთ) თანაშემწე და მისი გარდაცვალების შემდეგ აიაშის ადგილი დაიკავა ორგანიზაციაში. *ალ-აკსას ინთიფადას* საწყის ეტაპზე მან შექმნა ე.წ. კასამის ჭურვი, აწყობდა სხვადასხვა იარაღსაც, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს, რომლებსაც შეიხი იასინი ხშირად იყენებდა ჰამასის თავდასხმებში ისრაელის ჯარებისა და ებრაელი ახალმოსახლეთა წინააღმდეგ, ასევე, თავდაცვისათვის. მოკლეს 2003 წ. 26 სექტემბერს. (325)

ᲰᲐᲛᲐᲡის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ორ აქტივისტს, რომლებიც მოკლეს ისრაელის სპეცსამსახურებმა და რომლებიც მოწამეებად (*შაჰიდ*) გამოცხადდნენ. ესენია: იაჰია ‘აიაში და ‘იმად ‘აკილი.

იაჰია ‘აიაში, მეტსახელად ინჟინერი (დაიბადა 1966 წ. ნაბლუსის მახლობლად), ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადების ლიდერი, იყო ასაფეთქებელი საშუალებების დამზადების სპეციალისტი და ითვლებოდა პასუხისმგებლად იმ აფეთქებებზე, რომლებიც თვითმკვლელებმა მოაწყვეს ხებრონის მეჩეთში ებრაელი ექსტრემისტის ბარუხ გოლდსტეინის მიერ ჩატარებული ტერორისტული აქტის შემდეგ. მოკლეს 1996 წ. 5 იანვარს, ბეთ ლაჰიაში, ღაზას სექტორში. მის დაკრძალვას ნახევარ მილიონზე მეტი პალესტინელი ესწრებოდა. შურისძიების მიზნით ალ-კასსამის ბრიგადებმა მოაწყეს თვითმკვლელთა აფეთქებები, რის შედეგადაც დაიღუპა 70 და დაიჭრა ასობით ისრაელელი (342).

‘იმად ‘აკილი – ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადების ლიდერი ღაზაში (დაიბ. 1971 წ. ღაზას სექტორის ჯაბალიას ბანაკში), 1991 წ. გახდა კავშირის ოფიცერი ალ-კასამის ბრიგადების პირველი სამხედრო ჯგუფის - *მოწამეთა ჯგუფის* წევრებსა და ბრიგადების ხელმძღვანელობას შორის. ეს ჯგუფი, ძირითადად, ხოცავდა სიონისტებთან კოლაბორაციონისტებს, აგროვებდა მათ იარაღს, რომელთაც შემდეგ იყენებდა ისრაელის საოკუპაციო პატრულებსა და ჯარისკაცებზე თავდასხმებისას. 1992 წ. შექმნა რამდენიმე სამხედრო უჯრედი და ეწეოდა სამხედრო საქმიანობას დასავლეთ ნაპირზე. მოკლეს 1993 წ. 24 ნოემბერს (342).

დაფინანსების წყაროები. ᲰᲐᲛᲐᲡის მრავალმხრივი დაფინანსება (338) წლიურად 25-30 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. მთავარი დონორები იყვნენ ირანი [20, 15][24], საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები[25], ასევე, სხვადასხვა

[24]ჰ.კაშანის მტკიცებით, პალესტინის ორი რადიკალური ისლამისტური ჯგუფი *ალ-ჯიჰად ალ-ისლამი* და ᲰᲐᲛᲐᲡი თანამშრომლობდნენ ირანთან, რომელიც მხარს უჭერდა მათ ოპერაციებს ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. დაუდასტურებელი მონაცემებით, 90-იან წლებში ისინი ირანიდან იღებდნენ წლიურად 10 მლნ დოლარს.

[25]საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნების ფინანსური დახმარება ᲰᲐᲛᲐᲡისა და *ისლამური ჯიჰადისადმი* იყო მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით, 1991 წ., სპარსეთის ყურის ომის შემდეგ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ამ სახელმწიფოების ძალისხმევა, დაეშოშმინებინა საკუთარი

საქველმოქმედო ორგანიზაცია, მათ შორის "დახმარებისა და განვითარების წმინდა მიწის ფონდი"[26], «ისლამური ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესი», «მსოფლიო ისლამური ორგანიზაცია» საუდის არაბეთიდან, ლონდონში დაფუძნებული ინტერპალი[27], გერმანიაში დაფუძნებული "ალ-აკსას ფონდი», "პალესტინელთა დახმარების საქველმოქმედო კომიტეტი"(CBSP), "პალესტინელთა დახმარების ასოციაცია" (ASP)[28], ავსტრიის პალესტინელთა ასოციაცია, "დახმარებისა და განვითარების სანაბილის ასოციაცია"[29] და სხვ. (12; 20, 15).

3. ჰამასის იდეოლოგია, მიზნები და სტრატეგია

ჰამასის დაარსებიდან რამდენიმე თვეში მისმა ლიდერებმა წამოიწყეს ინტენსიური პროპაგანდა პალესტინის ხალხის მასების მობილიზაციისათვის. იდეების გავრცელების ძირითადი საშუალება იყო პროკლამაციები. მალე, 1988 წ. 18

ფუნდამენტალისტური ჯგუფები [20, 15, შენ.15; 19, 49]. ჰამასის და *ისლამური ჯიჰადის* ურთიერთობის შესახებ იხ. 15, 125-129.

[26]"დახმარებისა და განვითარების წმინდა მიწის ფონდი" პალესტინის ისლამური ასოციაციის შვილობილი ორგანიზაციაა. ის კალიფორნიის შტატში შეიქმნა 1988 წელს. 1992 წლიდან მან რიჩარდსონში, ტეხასის შტატში გადაინაცვლა და 2000 წელს 13 მლნ აშშ დოლარი მოიზიდა. 2001 წ., მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია უარყოფდა ჰამასთან ყველანაირ კავშირს, აშშ-მა დახურა მისი აქტივები. ფედერალური გამოძიების ბიუროს მონაცემებით, ფონდის დამაარსებელი და მთავარი აღმასრულებელი შუქრი აბუ ბაქერი დიდი ხნის განმავლობაში იყო შენიშნული ჰამასთან თანამშრომლობაში. ბიუროს განცხადებით, ფონდი თვითმკვლელი ტერორისტებისა და მათი ოჯახების მთავარი ფინანსური მხარდამჭერი იყო.

[27]ინტერპალის მთავარი ოფისი (განთავსებული გაერთიანებულ სამეფოში) საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც იყო უმთავრესი საშუალება ჰამასისთვის გამოყოფილი ფონდების დასაფარად. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ის იყო ჰამასის ფონდების მოზიდვის კოორდინატორი. მისი საქმიანობა მოიცავდა სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლს, ახალი მიმართულებების შექმნას, ფინანსების მართვას, საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის წარმართვას. მის მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციებია, მაგალითად, "ალ-აკსას ფონდი", "სანაბილის ასოციაცია" (ინტერპალის წარმომადგენელი ლიბანში) და სხვ.

[28]CBSP და ASP ჰამასისთვის ფონდების მოზიდვის მთავარი წყაროები საფრანგეთსა და შვეიცარიაშია. 80-90-იან წლებში ჩამოყალიბებული CBSP თანამშრომლობდა სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში, ასევე, ლტოლვილთა ბანაკებთან იორდანიასა და ლიბანში. მისი შვილობილი ორგანიზაცია ASP შვეიცარიაში შეიქმნა 1994 წ. ის აგროვებდა დიდ თანხებს მეჩეთებიდან და ისლამური ცენტრებიდან და შემდეგ მათ ჰამასის ქვეორგანიზაციებს გადასცემდა. ამ ორი ორგანიზაციის პრეზიდენტი იყო ხალედ ალ-შული.

[29]სანაბილის ასოციაცია, რომელიც განთავსებულია სიდონში - ლიბანში, მჭიდროდ თანამშრომლობს მსგავსი საქმიანობის სხვა ორგანიზაციებთან. ჰამასის პოლიტიკური ლიდერის თხოვნით, 2001 წ. აგვისტოდან სანაბილმა, თავისი როლის უფრო გასაზრდელად, ოფისების გახსნა დაიწყო ლიბანის ყველა პალესტინურ ბანაკში. თანდადანობით ორგანიზაციამ სააპლიკაციო ფორმების შევსება მოსთხოვა იმ ღარიბ ოჯახებს, რომლებსაც დახმარება გაუწია, განსაკუთრებით კი მათ, ვინც თანამშრომლობდა ისლამურ მოძრაობასთან (*ალ-ჰარაქა ალ-ისლამია*) და ჰამასთან. ამგვარი მუშაობით სანაბილმა მნიშვნელოვნად გაზარდა ბანაკებში თავისი გავლენის მასშტაბები.

აგვისტოს, შეიქმნა ᲰᲐᲛᲐᲡის ქარტიაც (281, 85-113, 127, 267-291; ქვემოთ, გვ. 140-161 - დანართი). ეს არის ამომწურავი მანიფესტი შესავლის, ხუთი თავის, 36 მუხლისა და ეპილოგისაგან. ქარტიაში წარმოდგენილია ᲰᲐᲛᲐᲡის ძირითადი მიზნები - *ჯიჰადის* საშუალებით ისრაელის სახელმწიფოს განადგურებისა, ახსნილია ორგანიზაციის იდეოლოგიური წყაროები, თვალსაზრისი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის შესახებ, დამოკიდებულება ᲞᲒᲝᲡ მიმართ, ბრძოლის წარმოების სტრატეგია და ა.შ.

ᲰᲐᲛᲐᲡის იდეოლოგია პანარაბული ისლამური რელიგიური იდეალების და პალესტინის ეროვნული მოძრაობის სინთეზია. იგი იზიარებს *მუსლიმი ძმების* თვალსაზრისს, რომელიც უარყოფს ნებისმიერ დასავლურ ფასეულობასა და კომუნიზმის პრინციპებს (340, 8). მისი "უმაღლესი მიზანია ისლამი, ნიმუში – მოციქული, ხოლო ყურანი მისი კონსტიტუციაა".

ქარტიის მე-6 მუხლით (127, 270), ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა გამორჩეული პალესტინური მოძრაობაა, რომელიც ერთგულია ალლაჰის და რომლის ცხოვრების წესიც არის ისლამი. ის იბრძვის იმისთვის, რომ ალლაჰის დროშა ფრიალებდეს მთელ პალესტინაზე. ქარტიის მე-11 მუხლით პალესტინის ტერიტორია არის ისლამური *ვაკფი*[30], განკუთვნილი მომავალი მუსლიმური თაობებისთვის, ვიდრე არ დადგება განკითხვის დღე. არავის შეუძლია, უარი თქვას მასზე ან მის რომელიმე ნაწილზე, მიატოვოს ის ან რომელიმე მისი ნაწილი. პალესტინა ისლამური მიწაა და რადგანაც ასეა, პალესტინის განთავისუფლება ყველა მუსლიმის პირადი მოვალეობაა (მე-13 მუხლი). 'აბდ ალ-'აზიზ არ-რანტისის განცხადებით: "პალესტინის მიწა ისლამური რწმენის ნაწილია და ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატაბმა ის ყველა მუსლიმის მიწად გამოაცხადა. ამგვარად, არც ერთ ადამიანსა ან ჯგუფს არ აქვს მისი გაყიდვის და დათმობის უფლება".

ᲰᲐᲛᲐᲡის თვალსაზრისით, პალესტინის სახელმწიფო განთავსდება ხმელთაშუა ზღვიდან მდ. იორდანემდე (*მინ ან-ნაჰრ ლი-ლ-ბაჰრ*), მისი ცხოვრების წესი ისლამის პრინციპებზე იქნება დამყარებული. ეს საპირისპიროა იმისა, რასაც

[30] *ვაკფი* ქონებაა, რომლის განსხვისება არ შეიძლება და გამიზნულია გარკვეული მიზნებისთვის. ყველაზე ფართო მნიშვნელობით - ის მუსლიმების მიერ დაპყრობილი ყველა მიწაა, საიდანაც იხდიან ხარაჯას მუსლიმებისთვის.

ПФО სთავაზობს პალესტინელებს: პატარა, ვიწრო სახელმწიფოს გაურკვეველი სტატუსით. მაგრამ **ХАМАС**ის წარმოდგენა პალესტინის სახელმწიფოს სტატუსზე მაინც რეალობით იყო გაჯერებული. შეიხ იასინის განცხადებით, მიუხედავად მისი სურვილისა, რომ პალესტინის სახელმწიფოს ცხოვრების წესი ისლამის პრინციპები ყოფილიყო, იგი უმრავლესობის სხვაგვარ, თუნდაც მისი სურვილის საწინააღმდეგო, გადაწყვეტილებასაც მიიღებდა (368, 24).

ХАМАСის ქარტიაში ვკითხულობთ, რომ მისი მიზანია პალესტინის მიწის თითოეულ ნაწილზე ისლამის გავრცელება. ამის განსახორციელებლად საჭიროა შეიარაღებული ბრძოლა სიონისტების წინააღმდეგ. მან აღიარა პალესტინის ეროვნული მოძრაობის არსებობა, რითაც მისი იდეოლოგია რამდენადმე დაუპირისპირდა *მუსლიმი ძმების* უნივერსალურ რელიგიურ მიზნებს. 60-იანი წლებიდან *მუსლიმმა ძმებ*მა უარყვეს ტერიტორიული ნაციონალიზმი და ქადაგებდნენ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს იდეას (368, 15). **ХАМАС**ის ლიდერები აცნობიერებდნენ იმ წინააღმდეგობას, რომელიც მათ შორის გაჩნდა. ამიტომაც პალესტინის განთავისუფლებას რელიგიური მნიშვნელობა მიანიჭეს და ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ჭეშმარიტი მუსლიმის მოვალეობად გამოაცხადეს. ეს უნდა ყოფილიყო არა მარტო პოლიტიკური ბრძოლა, არამედ მუსლიმური საზოგადოების ძირითადი ფასეულობებისა და იმ მსოფლიო წესრიგის აღდგენა, რომლის სათავეშიც ისლამია.

ХАМАСის ქარტია არ ცნობს ისრაელს. მის პრეამბულაში დამოწმებულია ჰასან ალ-ბანას სიტყვები: ისრაელი იარსებებს და გააგრძელებს არსებობას მანამდე, ვიდრე ისლამი არ გაანადგურებს მას, ისევე, როგორც მისი წინამორბედნი მოსპო.

ისრაელისა და ებრაელების მიმართ ქარტია რადიკალურად უარყოფით და ანიტისემიტურ ტერმინოლოგიას იყენებს. ებრაელები დახასიათებულია როგორც ბოროტი ძალა, რომლებიც თავიანთი ბოროტი მიზნების მისაღწევად მანიპულირებენ ფართო ძალებით, დააგროვეს დიდძალი და მნიშვნელოვანი სიმდიდრე, თავიანთი ფულით დაამყარეს კონტროლი მსოფლიოს მედიაზე. ისინი იდგნენ საფრანგეთის რევოლუციის და კომუნისტური და სხვა ცნობილი რევოლუციების უმეტესობის უკან. თავიანთი ფულით შექმნეს საიდუმლო

ორგანიზაციები - როგორიცაა მასონების, როტარის კლუბები, რომლებიც გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რათა გაანადგურონ საზოგადოებები და განახორციელონ სიონისტური ინტერესები. ისინი იდგნენ I მსოფლიო ომის უკან და შექმნეს ერთა ლიგა, რომლის საშუალებითაც შეეძლოთ ემართათ მსოფლიო. ებრაელებმა მოიპოვეს ბალფურის დეკლარაცია. ისინი იდგნენ II მსოფლიო ომის უკან, რაზედაც გააკეთეს დიდი ფული. არცერთი ომი არსად არ მიმდინარეობს ისე, რომ მათი ხელი ამ საქმეში არ ერიოს. სიონიზმის გეგმებს ბოლო არა აქვს და პალესტინის შემდეგ ისინი ოცნებობენ ექსპანსიაზე ნილოსიდან ევფრატამდე. როცა ისინი დაასრულებენ ათვისებას იმ ტერიტორიისა, რომელზედაც დაადეს ხელი, დაელოდებიან ახალ ექსპანსიას (32-ე მუხლი).

ჰამასის ლიდერებმა სცადეს, ებრაელებისთვის ჩამოერთმიათ უფლება პალესტინაზე და განაცხადეს რომ ისტორიულ თვალსაწიერში დღევანდელ ებრაელებს, რომლებიც თავს დაესხნენ პალესტინას, კავშირი არა აქვთ იმ ებრაელებთან, ისრაელის ნამდვილ შვილებთან, რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ პალესტინაში (368, 22).

ქარტია მოუწოდებს ებრაელთა ხოცვისაკენ. განკითხვის დღე მანამდე არ დადგება, ვიდრე მუსლიმები არ დაამარცხებენ ებრაელებს და არ დახოცავენ მათ. მერე, როცა ებრაელები დაიმალებიან კლდეებში და ხეების მიღმა, ეს კლდები და ხეები დაიძახებენ: "მუსლიმებო! ებრაელი იმალება ჩვენს უკან, მოდით და მოკალით ის" (მე-7 მუხლი).

ქარტია *ჯიჰადის*კენ[31] - საღვთო ომისკენ მოუწოდებს ყველა მუსლიმს. იმ დღიდან, რაც მტერი დაეუფლა მუსლიმთა ტერიტორიის ნაწილს, *ჯიჰადი* გახდა პირადი მოვალეობა ყოველი მუსლიმისა. ებრაელთა ოკუპაციის წინაშე აუცილებელია აღიმართოს *ჯიჰადის* დროშა (ქარტია, მე-15 მუხლი). მათი რიგები შემჭიდროვდება, მებრძოლები სხვა მებრძოლებს შეუერთდებიან და მასები

[31]*ჯიჰადი* ("გულმოდგინება, მონდომება") - ომი სარწმუნოებისათვის, საღვთო ომი. ეტიმოლოგიურად ჯიჰადი განსაზღვრული მიზნისკენ მიმართული ძალისხმევაა; მუსლიმურ სამართალში მისი დოქტრინის თანახმად და ისტორიული ტრადიციით, ჯიჰადი არის სამხედრო მოქმედება ისლამის გავრცელების მიზნით და მის დასაცავადაც. ეს თვალსაზრისი გამომდინარეობს ისლამის უნივერსალურობის ფუნდამენტალური პრინციპებიდან: მან უნდა მოიცვას მთელი მსოფლიო, თუ საჭიროა – ძალითაც (12, 226; 22, 66-67; 261, 518-19).

ისლამურ სამყაროში ყველგან გამოვლენ პასუხად მოწოდებისა, შეასრულონ თავიანთი ვალი და ხმამაღლა იტყვიან: ვაცხადებთ *ჯიჰადს*. ეს მოწოდება მიაღწევს ზეცას და ექნება გამოხმაურება, ვიდრე არ დადგება განთავისუფლება, არ დამარცხდებიან დამპყრობლები და მათ არ გარდმოევლინება ალლაჰის გამარჯვება (33-ე მუხლი).

ჯიჰადი თითოეული მუსლიმის პირადი და მთელი არაბული სამყაროს მოვალეობაა. პალესტინა ისლამური მიწაა. ამგვარად, მისი განთავისუფლება ყველა მუსლიმის ვალია.

პალესტინის განათავისუფლება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა თითოეული პალესტინელი, არაბი და მუსლიმი გაერთიანდება და თავის ძალისხმევას ისრაელის წინააღმდეგ მიმართავს. ამასთან, ისლამური განათლება უნდა გაუძღვეს წინ *უმმას* (მუსლიმურ თემს), მეცნიერებს, ჟურნალისტებსა და მასწავლებლებს, რათა განადგურდეს ის იდეოლოგიური ნაშთები, რომლებიც შემოიტანეს ორიენტალისტებმა და ქრისტიანმა მისიონერებმა.

ანტისემიტურ გამოსვლებთან ერთად, ქარტია ისლამურ შემწყნარებლობის იდეას ქადაგებს: სამ მონოთეისტურ რელიგიას შეუძლია ჰარმონიული თანაარსებობა ისლამური კანონების ქვეშ. "ისლამის მფარველობით სამი რელიგიის - ისლამის, ქრისტიანობისა და იუდაიზმის წარმომადგენლებს შეუძლიათ ერთმანეთის გვერდით ცხოვრება. უსაფრთხოება იარსებებს მხოლოდ ისლამის ჩრდილქვეშ" (166, 48-53).

დიდი როლი ენიჭებათ მუსლიმ ქალებს. ქარტიის მე-12 მუხლის მიხედვით, მტერთან ომი ყველა მუსლიმის, ქალისა თუ კაცის, ვალია. ქალს შეუძლია იბრძოლოს მტრის წინააღმდეგ ქმრის ნებართვის გარეშეც, თუმცა შემდგომ, მე-17 და მე-18 მუხლების თანახმად, ქალის უმთავრესი მოვალეობა მაინც ოჯახის მოვლა, ეკონომიკა, ბიუჯეტის გაფლანგვის თავიდან აცილება და ჭეშმარიტი მუსლიმების აღზრდაა (215, 153). ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუსლიმი გოგონების განათლებას, რათა ისინი იქცნენ შესაფერის დედებად, კარგად გააცნობიერონ თავიანთი მოვალეობები განმათავისუფლებელ ომში.

ქარტიაში ცალკე თავი ეხება დამოკიდებულებას **პგო**ს მიმართ. **ჰამას**ისა და *მუსლიმი ძმების* ოფიციალური წარმომადგენლები აღიარებდნენ **პგო**ს წვლილს პალესტინელი ხალხის მომავლისათვის ბრძოლაში. გამოხატავდნენ მადლიერებას იმის გამო, რომ **პგო**მ მოახერხა პალესტინელების ერთიან დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბება, რითაც მათი გადაგვარების გეგმები ჩაუშალა ისრაელს. **პგო**ს კიდევ ერთი დამსახურება ისაა, რომ მან მოახერხა საკუთარი მიწებიდან განდევნილი პალესტინელების გადაქცევა ერთიან ერად, რომელმაც დიდი გამოცდილება მოიპოვა ისრაელთან დაპირისპირებაში და მასთან ბრძოლაში. **ჰამას**ის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ ისინი პატივს სცემდნენ **პგო**ს საქმიანობას პალესტინის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ არ ცნობდნენ მის უზენაესობასა და უპირატესობას.

ყოველივე ამის მიუხედავად, **ჰამას**სა და **პგო**ს შორის მუდმივი დაპირისპირება არსებობდა. ეს გამოწვეული იყო მათი განსხვავებული წარმოდგენებით ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მომავლის შესახებ.

ჰამასი წინააღმდეგია ნებისმიერი სახის მოლაპარაკებისა. სამშვიდობო ინიციატივები და ე.წ. სამშვიდობო გადაჭრა-მოგვარება და საერთაშორისო კონფერენციები ეწინააღმდეგება ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის პრინციპებს. ეს კონფერენციები სხვა არაფერია, თუ არა საშუალება, დანიშნონ ურწმუნოები ისლამის მიწებზე არბიტრებად... არ არსებობს პალესტინის პრობლემის გადაჭრა *ჯიჰადის* გარდა. ინიციატივები, წინადადებები და საერთაშორისო კონფერენციები მხოლოდ დროის ხარჯვა და უსარგებლო საქმიანობაა. მე-13 მუხლით, ყველა ინიციატივა და საერთაშორისო კონფერენცია დროის ტყუილი ხარჯვა და ფუჭი თამაშია. ამგვარად, პალესტინელი მორწმუნის მოვალეობაა, გაჰყვეს სამშობლოს განთავისუფლების ერთადერთ ჭეშმარიტ გზას - შეიარაღებულ ბრძოლას.

ჰამასის ქარტია გმობს ისრაელ-ეგვიპტის საზავო ხელშეკრულებას. ეგვიპტე ჩამოშორდა სიონიზმთან ბრძოლის რიგებს კემპ-დევიდის გამცემლური ხელშეკრულების ხელმოწერით. სიონისტები ცდილობენ სხვა არაბული ქვეყნებიც ჩაითრიონ მსგავს შეთანხმებებში, რათა ჩამოაშორონ ბრძოლის რიგებს. სიონიზმის

წინააღმდეგ ბრძოლის რიგების დატოვება დიდი ღალატია და წყეულიმც იქნება ის, ვინც ჩაიდენს ამას (32-ე მუხლი).

ᲰᲐᲛᲐᲡის საქმიანობის კიდევ ერთი კურსია *და'ვა*, მოწოდება ისლამის სულისკვეთებით მუსლიმური საზოგადოების ისლამიზაციისკენ სოციალური მობილიზაციის გზით. მისი სტრატეგია მაშინ უნდა იქნას გამოყენებული, როცა *ჯიჰადი* შეუსაბამო ან სარისკოა. *და'ვას* დახმარებით უნდა მომზადდეს *ჯიჰადის* საფუძველი.

ᲰᲐᲛᲐᲡის სტრატეგიის ფესვები მოიძიება კონცეფციაში *საბრ* (368), რაც ნიშნავს მოთმინებას, ამტანობას. *საბრი* უფლებას და რეკომენდაციასაც იძლევა, რომ დროებით შეჩერდეს *ჯიჰადი*, ვიდრე ვითარება არ მომწიფდება საბოლოო მიზნის მისაღწევად (რაც მთელ ისლამურ ტერიტორიაზე ისლამური კანონების გავრცელებას ითვალისწინებს). *საბრ*მა, რომელიც *მუსლიმი ძმების* სტრატეგიაც იყო, განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ᲰᲐᲛᲐᲡისათვის, რომელსაც საკუთარი თავი უკანასკნელ ისლამურ მოძრაობად მიაჩნდა და რომელიც ებრძოდა უცხოურ, არაისლამურ ზეგავლენას.

საბრი უზრუნველყოფს საბოლოო და დროებითი მიზნების მისაღწევად ვადების ჩამოყალიბებას. იგი, ასევე, აკანონებს ბალანსის გადანაცვლებას ძალადობრივ და არაძალადობრივ საქმიანობას შორის. იგი *ჯიჰადის* შეჩერებისა და არაძალადობრივი კამპანიის უფლებას იძლევა. *ჯიჰადიცა* და *და'ვაც* გამიზნულია გარდამავალი მიზნის მისაღწევად და გრძელვადიანი, იდეოლოგიური სტრატეგიის გასავითარებლად.

ᲰᲐᲛᲐᲡისთვის პალესტინელთა და ისრაელს შორის სამშვიდობო პროცესის ჩაშლა მხოლოდ გარდამავალი მიზანია უფრო დიდი მიზნის - პალესტინის მთელ ტერიტორიაზე ისლამის კანონების გავრცელების მიღწევის გზაზე. იდეოლოგიური მიზნების მიღწევა შეიძლება ბრძოლის სხვადასხვა მეთოდით. ყველა ისინი ერთი მთლიანი სტრატეგიის კუთვნილებაა.

ᲰᲐᲛᲐᲡის ყველა მცდელობა, მიეღწია ᲠᲔᲐᲡთან თანხმობისათვის, უნდა ჩაითვალოს არსებული მდგომარეობის ადექვატურ ქმედებად. ᲰᲐᲛᲐᲡთან ᲠᲔᲐᲡ შემრიგებლური პოზიცია და გადადგმული ადაპტაციური ნაბიჯები გამიზნული

იყო ჰამასის საფრთხის ნეიტრალიზაციისათვის. ამ ნაბიჯებში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოძრაობის სამხედრო ფრთის წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლა. ამის წყალობით პლამ მართლაც შეძლო შეიარაღებული ბრძოლის შეჩერება და უფრო მეტიც, ხალხის თვალში მისი ავტორიტეტის დაცემა. ამ პირობებში პლასთან შეთანხმება და თავისი სოციალური და პოლიტიკური მიზნების ისლამის დროშის ქვეშ მშვიდობიანი გზით განხორციელება ჰამასმა აუცილებლად მიიჩნია.

მეამბოხე ორგანიზაციის სტრატეგიის განვითარების უკეთ გასაგებად აუცილებელია ანალიზი მისი იდეოლოგიისა და იმ გარემოსი, სადაც ის არსებობს და იბრძვის, ასევე, თავად ორგანიზაციის ხელმძღვანელების პირადი და პარტიული ინტერესების გაანალიზება. სტრატეგიის გადახედვა აუცილებელია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსოლიდაციისათვის და ზოგჯერ ეს გადამწყვეტია მისი გადარჩენისათვის. ხშირად მკაცრი და სწრაფი დაწოლა აიძულებს ორგანიზაციას დრამატული ცვლილებები შეიტანოს თავის სტრატეგიაში.

მეამბოხე ორგანიზაციებისათვის განხილვის ცენტრალური თემაა კამათი იმის თაობაზე, თუ ბრძოლის რომელ ფორმებს მიენიჭოს პრიორიტეტი - ძალადობრივს თუ არაძალადობრივს. იდეოლოგიასა და სტრატეგიას შორის კავშირი უფრო ნათელი ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციები ცდილობენ, თავიანთი მიზანი და არსებობა ყველასთვის ცნობილი გახადონ. ძალადობა კი მაქსიმალურად ეფექტური გზაა იმისთვის, რომ აიძულო საზოგადოება და მოწინააღმდეგეები, აღიარონ მოძალადის არსებობა. შეიარაღებულ ბრძოლას მეტი შანსი აქვს უფრო დიდი გამოხმაურობა ჰპოვოს, ვიდრე - მშვიდობიან გზას. მაგრამ შიდაორგანიზაციულმა და საგარეო ვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების მიერ ძალადობის გამოყენების მიმართ რადიკალურად უარყოფითი დამოკიდებულება. სახელის, საზოგადოების მხარდაჭერისა და საგარეო აღიარების მოპოვების შემდეგ ძალადობასთან დაკავშირებული საქმიანობის სარგებლობა იჩრდილება მასთან დაკავშირებული რისკით. ასეთ ეტაპზე უნდა მოხდეს მისი პოლიტიკური კურსის გადასინჯვა. ორგანიზაციის განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე კი თავად ორგანიზაციის შენარჩუნება ხდება მთავარი სტრატეგიული მიზანი, რაც საკმაოდ რთულია ხოლმე. ყოველივე ეს იწვევს პრაგმატიზმს და

ბრძოლის შენელებას, რაც, ჩვეულებრივ, გამოწვეულია ბრძოლის არაძალადობრივ მეთოდზე მზარდი კონცენტრაციით.

ბრძოლის შენელებას ხშირად აღიქვამენ როგორც იდეოლოგიური მიზნებიდან დაშორებას, რაც იძლევა საფუძველს, წარმოიქმნას შიდაორგანიზაციული კრიტიკა და დაძაბულობა. ასეთი გადანაცვლება მოწინააღმდეგეების მიერ შეიძლება აღქმულ იქნეს სისუსტის ნიშნადაც. იდეოლოგიასა და პრაქტიკას შორის არსებული უთანხმოების გადასაწყვეტად ორი ძირითადი გზა არსებობს. პირველია - ამ უთანხმოების გამართლება იდეოლოგიური პლატფორმის ფარგლებში. მაგალითად, *საგრ*ის ფილოსოფია სწორედ ამას ითვალისწინებს. მეორე - მთავარ მიზანს, *ოცნებას* გამოყოფს ორგანიზაციის გადაუდებელი მოთხოვნებისაგან. მეორე მეთოდი უფრო რთული შესამჩნევია პროცესში. ხშირად ორგანიზაციის ლიდერები, რომლებიც დგებოდნენ პოლიტიკის კურსის შეცვლის აუცილებლობის წინაშე, ამ ცვლილებას მიაწერდნენ მთავარ სტრატეგიას, ამასობაში კი ახალი პოლიტიკური კურსის შემოღებას ცდილობდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც პოლიტიკურ საქმიანობაზე მზარდი აქცენტი, ისე შეიარაღებული ბრძოლის ესკალაცია, განისაზღვრება ორგანიზაციის შესაძლებლობების, მოთხოვნებისა და გარემოს დაწოლას შორის ბალანსის მიხედვით. მაგრამ ეს ბალანსი მყარი არასდროსაა.

შიდაორგანიზაციული ფაქტორები, რომლებიც გადაჯაჭვული იყო საგარეო მოთხოვნებთან, ᲰᲐᲛᲐᲡის პოლიტიკური კურსის ცვლილებისას ხშირად იყო ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. *ინთიფადას* საწყის გზაზე *მუსლიმი ძმების* მიერ ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ განაპირობა პრიორიტეტების ცვლილება *და'ვასა* და *ჯიჰადს* შორის. ისრაელთან პირდაპირმა კონფრონტაციამ მოახდინა მოძრაობის სტრუქტურისა და საქმიანობის ტრანსფორმაცია. თავად ᲰᲐᲛᲐᲡის შექმნა, ცვალებადობა საქმიანობის სხვადასხვა კურსს შორის, შეიძლება განისაზღვროს როგორც გრძელვადიანი, მოთმინებით აღსავსე სტრატეგია.

ᲰᲐᲛᲐᲡის იდეოლოგიასა და სტრატეგიას შორის ცვლილებები კარგად აისახა მათ პროკალამაციებსა და ბროშურებში. ᲰᲐᲛᲐᲡის საქმიანობის ყველაზე დამახასიათებელი თვითმკვლელთა აფეთქებები გახდა. ის, თუ რატომ აირჩია

ორგანიზაციამ ეს ხერხი თავისი ბრძოლის მიზნების მისაღწევად, რიგი კვლევა-ძიების მიზეზი გახდა. ზოგიერთის აზრით, პალესტინელი თვითმკვლელები ასეთ ნაბიჯზე რელიგიური მოსაზრებების გამო მიდიან; სხვებს მიაჩნიათ, რომ მათ გარკვეული ფსიქოლოგიური ნაკლი აქვთ; თუმცა ალი უეინის მიხედვით, ეს სტრატეგიულად მომგებიანი ტაქტიკაა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ჩვეულებრივი ბრძოლის წარმართვისას, ისრაელი ჰამასს მარტივად გაანადგურებდა. ისრაელს რეგიონში ყველაზე ძლიერი სამხედრო აღჭურვილობა აქვს: 100-200 ბირთვული ერთეული, ატომური იარაღი. მისი მაღალი დონის ტექნოლოგიური მომზადება ჰამასს არანაირ შანსს არ უტოვებს. სწორედ ამიტომ განაცხადა ჰამასის გენერალურმა მდივანმა რამადან შალაჰმა, რომ «ჩვენი მტერი ფლობს ყველაზე მაღალი დონის იარაღს მსოფლიოში და მისი ჯარი მეტად მაღალი სტადარტების მიხედვითაა გაწვრთნილი. ჩვენ არაფერი გვაქვს, რომლითაც შეგვიძლია ჩვენს წინააღმდეგ მიმართული მკვლელობებისა და ძარცვის აღკვეთა, თუ არა მოწამეობის იარაღი. ეს მეტად მარტივია და მხოლოდ ჩვენი სიცოცხლის ფასი გვიჯდება. “ადამიანი-ბომბების” დამარცხება შეუძლებელია, თუნდაც ბირთვული ბომბების საშუალებით (270a).

1993 წ. აპრილსა და 2004 წ. სექტემბრის განმავლობაში ჰამასმა თვითმკვლელთა 27 აფეთქება განახორციელა, რომელმაც 120 ადამიანი იმსხვერპლა. 2000 წ. სექტემბრიდან 2004 წ. ნოემბრამდე კი მან თვითმკვლელთა 112 აფეთქება მოაწყო, რომელმაც 474 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მეორე, თითქმის ორჯერ მცირე პერიოდში ჰამასმა ოთხჯერ მეტი ადამინის სიცოცხლე შეიწირა. ზოგიერთის მოსაზრებით (270a), სწორედ ამ ტაქტიკის გაძლიერებამ აიძულა ისრაელის ძალები 1994 წ., დაეტოვებინათ ღაზა, ხოლო 1995 წ. – დასავლეთი ნაპირი. ზოგიერთის აზრით კი, ღაზას სექტორიდან ისრაელის დასახლებების დაშლაც სწორედ პალესტინის წინააღმდეგობის გამარჯვება იყო (270a).

საინტერესოა, თუ რატომ იყენებს ჰამასი თვითმკვლელთა აფეთქებების სტრატეგიას უფრო ხშირად, ვიდრე სხვა პალესტინური ორგანიზაციები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ჰამასის მხარდმჭერთა რიცხვი გაცილებით

აღემატება სხვა ორგანიზაციების წევრთა რაოდენობას. მაგალითად, *პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტში* მუდმივად არის 800-მდე წევრი, მაშინ როდესაც ჰამასს ჰყავს დინამიურად მზარდი მხარდამჭერები, რომელთა რიცხვი ათობით ათასს აღემატება. ჰამასისთვის უფრო მარტივია ისეთი პირების მოძებნა, ვინც მზადაა სიცოცხლე გაწიროს, ეს კი უფრო რთულია, თუნდაც *პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტისთვის* (270a). სხვა პალესტინურ ორგანიზაციებთან შედარებით, ჰამასის მხარდამჭერთა მრავალრიცხოვნობა მისი საქმიანობის წარმატებას განაპირობებს.

პალესტინელთა უმრავლესობის აზრით, სწორედ ჰამასის დამსახურებაა ისრაელისგან მნიშვნელოვანი ტერიტორიული დათმობების მიღება. თვითმკვლელთა აფეთქებების გარდა ჰამასს აქვს სოციალური, სკოლებისა და ჯანდაცვის სამსახურის კარგად განვითარებული ქსელი, მაშინ როდესაც სხვა ორგანიზაციები მსგავს საქმიანობას არ ეწევა.

აღსანიშნავია, რომ ჰამასის თვითმკვლელთა მხარდაჭერა მოსახლეობაში 2000 წ. შემოდგომამდე არ აღემატებოდა 33%-ს. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაიზარდა სამშვიდობო პროცესისადმი მოსახლეობის იმედგაცრუების გამო (270a).

4. ჰამასის საშინაო და საგარეო კავშირები

ა. ჰამასი და *ისლამური ჯიჰადი*. ჰამასი თავის ქარტიაში მიუთითებს, რომ პატივს სცემს ყველა იმ დაჯგუფებას, რომელიც ალლაჰის მორჩილია და იბრძვის პალესტინის განთავისუფლებისათვის. ის მათ მხარდაჭერასაც აღუთქვამს, თუმცა, სინამდვილეში, ხშირ შემთხვევაში, მისი დამოკიდებულება სხვა პალესტინური ორგანიზაციების მიმართ ხასიათდებოდა ქიშპითა და კონკურენციით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰამასის ურთიერთობა *ისლამურ ჯიჰადთან.* ორივე მიმდინარეობას ბევრი იდეოლოგიური და პოლიტიკური მსგავსება ჰქონდა და ხშირად გაჩენილა კიდეც კითხვა, თუ რატომ არ გაერთიანდენ ისინი (127, 125)[32].

[32] 1987 წ. *ისლამური ჯიჰადის* ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრმა, შეიხ აბდ ალლაჰ ალ-შამიმ კითხვაზე, თუ რა განსხვავებაა *ისლამურ ჯიჰადსა* და ჰამასს *შორის,* მან უპასუხა, რომ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მათი პრიორიტეტი მასებისთვის საკუთარი დოქტრინების თავზე

ისლამური ჯიჰადი (*ჰარაქათ ალ-ჯიჰად ალ-ისლამი ალ-ფილისტინია*)[33], რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე გასაიდუმლოებული პალესტინური სამხედრო ტერორისტული ორგანიზაციაა, იბრძვის ისლამის განწმენდისათვის და არაბი ოპორტუნისტი მთავრობების წინააღმდეგ. *ისლამური ჯიჰადი* მოქმედების მასშტაბით ვერ შეედრება ᲰᲐᲛᲐᲡს, რომელსაც აქვს საკუთარი სკოლები, საავადმყოფოები, პალესტინელთა წრეში რეალური გავლენა მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე. *ისლამური ჯიჰადის* ბაზა დამასკოშია. მისი წევრები აბსოლუტურად ერთგულნი არიან იდეისა, შექმნან ისლამური პალესტინური სახელმწიფო. ეს დაჯგუფება მტრულადაა განწყობილი იმ არაბული სახელმწიფოებისადმი, რომელთაც აქვთ ნორმალური ურთიერთობა დასავლეთთან.

ისლამური ჯიჰადი შეიქმნა ეგვიპტეში, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, პალესტინელი სტუდენტების მიერ, რომლებიც გამოვიდნენ *მუსლიმი ძმების* ორგანიზაციის რიგებიდან ღაზას სექტორში. მისი დამაარსებლები იყვნენ ფათჰი შაკაკი, ‘აბდ ალ-აზიზ ‘უდა და ბაშირ მუსა, რომლებსაც იმედი გაუცრუვდათ *მუსლიმი ძმების* პოლიტიკის გამო პალესტინის საკითხში. *ისლამური ჯიჰადის* ჭეშმარიტი ორგანიზატორი, იდეოლოგი, პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელი გახდა ფათჰი შაკაკი (314a). ის დაიბადა 1951 წ. პალესტინაში, ქ. რაფიაჰში. გარდა უმაღლესი მათემატიკური განათლებისა, მან მიიღო სამედიცინო განათლებაც ზაკაზიკის უნივერსიტეტში (ეგვიპტე), სადაც, ფუნდამენტალისტთა გავლენით, დაიწყო *ისლამური ჯიჰადის* საბაზო პრინციპების დამუშავება პალესტინასთან მიმართებაში.

ეგვიპტელ რადიკალებთან კავშირისა და სადათის მკვლელობის გამო 1981 წ. ოქტომბერში, შაკაკი გაასახლეს ღაზას სექტორში. ითვლება, რომ სწორედ ამის შემდეგ *ისლამურმა ჯიჰადმა* ფორმალურად დაიწყო თავისი ტერორისტული საქმიანობა. თავდაპირველად, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ᲞᲒᲝსთან, მაგრამ მერე, თანდათან დაშორდა მას და სხვა პალესტინურ დაჯგუფებებსაც.

მოხვევა კი არა, მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა იყო. მისი განცხადებით, კიდევ ერთი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მიიღონ თუ არა ისლამისტებმა მონაწილეობა საპარლამენტო და სხვა არჩევნებში.

[33] პალესტინაში ისლამური ჯიჰადის შესახებ იხ. 315; 302a; 116, 896-97; 140, 174-175; 395.

შაკაკიმ და მუსამ წარმოადგინეს იდეოლოგიური კონცეფცია, რომელიც გახდა ახალი ორგანიზაციის საფუძველი. პირველი ამოცანა, რაც დაისახა მიზნად შაკაკიმ, იყო შეიარაღებული საღვთო ომის გზით ებრაული სახელმწიფოს სრული განადგურება: პალესტინის ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას ისლამური სახელმწიფო და ყველა, ვინც უარს იტყვის მიიღოს ისლამი, იძულებით იქნება გასახლებული პალესტინის ფარგლებს გარეთ, ანდა - განადგურებული.

ისლამური ჯიჰადი გახდა პირველი ტერორისტული ორგანიზაცია უახლეს ისტორიაში, რომელმაც საჯაროდ და ღიად გამოაცხადა საღვთო ომი – *ჯიჰადი* ებრაელთა წინააღმდეგ[34]. *ისლამური ჯიჰადის* საქმიანობის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას ახორციელებენ მუსლიმი მოლები ღაზას ოცზე მეტ მეჩეთში. თავიანთ ქადაგებებში ისინი იზიდავენ ახალ მომხრეებს და მოუწოდებენ თავგანწირვისაკენ. ირანის ისლამური რევოლუციის გავლენით შაკაკიმ დაწერა წიგნი "ხომეინი – ისლამური ალტერნატივა და გადაწყვეტა", რომელიც გახდა მუსლიმი ახალგაზრდების სახელმძღვანელო.

ისლამურ ჯიჰადს არა აქვს სოციალურ-ეკონომიკური პლატფორმა და არ მიისწრაფვის, გახდეს მასობრივი ან პოლიტიკური მოძრაობა. ᲰᲐᲛᲐᲡისგან განსხვავებით, ის სამხედრო ორგანიზაციაა, რომელშიც შედის, დაახლოებით, 300-400 წევრი. მის ტერორისტულ აქციებს ახორციელებს "ალ-კასამის (არაბ. კასამ ნიშნავს "ფიცს") ბრიგადის" მებრძოლები. ეს ბრიგადა, *ᲘᲖᲖ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადების* მსგავსი საბრძოლო სტრუქტურაა. *ალ-კასამის* რაზმებში შედიან, უპირატესად, ფანატიკოსი ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან თავი გაწირონ პალესტინაში ისლამის გასამარჯვებლად. *ისლამური ჯიჰადი* მოქმედებს, ძირითადად, ისრაელის ტერიტორიაზე. ამავე დროს, მისმა მებრძოლებმა თავი გამოიჩინეს იორდანიასა და ლიბანშიც.

1987 წ. ტერორისტული აქტების წაქეზებისათვის შაკაკი 4 წლით დააპატიმრეს, მაგრამ 1988 წ. აგვისტოში გაასახლეს ლიბანში. მასთან ერთად ლიბანში გასახლებულმა ათეულობით პალესტინელმა გაიარა ტერორიზმის ნამდვილი სკოლა. შაკაკიმ მოახდინა რეორგანიზაცია თავისი ჯგუფისა, განამტკიცა

[34]ფათჰი შაკაკი წერდა: "სიონიზმის წინააღმდეგ ჯიჰადის გაგრძელება ჩვენი წმინდა მოვალეობა და ჩვენი ცხოვრების აზრია. ჩვენ დავხოცავთ ისრაელელებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი".

კავშირები ირანთან, *ჰიზბ ალლაჰთან* - ლიბანში. შემდეგ ის გადავიდა სირიაში, საიდანაც დაიწყო ტერაქტების ხელმძღვანელობა.

ისლამური ჯიჰადი ტონს აძლევდა *ინთიფადას*. ფიქრობენ, რომ ისრაელის სპეცსამსახურმა ჩაიდინა შეცდომა, როცა გაასახლა მისი ლიდერები და *ისლამურ ჯიჰადს* მოქმედების თავისუფლება მისცა.

მუსლიმური საძმოდან გამოყოფის შემდეგ *ისლამურ ჯიჰადსა* და ჰამასს შორის არც თუ თბილი ურთიერთობა დამყარდა. *ისლამურმა ჯიჰადმა* მალე შეძლო ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება, ჰამასი კი უფრო გვიან მოსულად ჩათვალა, რომელიც მისი სამხედრო საქმიანობით მოპოვებული წარმატებებით სარგებლობდა. ჰამასს, თავის მხრივ, მიაჩნდა, რომ საძმოს მიერ მასებში წარმართული საქმიანობა იყო უფრო მნიშვნელოვანი. ორივე ორგანიზაცია არ ცნობდა ერთმანეთს და *ინთიფადას* წარმატებას საკუთარ დამსახურებად თვლიდა. მათმა ქიშპობამ ბოლოს ძალადობრივი ხასიათიც მიიღო და 1992 წ. აპრილში შეტაკებაში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შემდეგ ერთობლივი კომუნიკე გამოსცეს უთანხმოების აღმოფხვრის მიზნით, დაძაბულობა მაინც დარჩა. ამის მანიშნებელი იყო ისიც, რომ როდესაც ამ ინციდენტიდან რვა თვეში ისრაელმა სამხრეთ ლიბანში დეპორტაცია გაუკეთა 413 პალესტინელს, *ისლამური ჯიჰადის* მომხრეებმა იქ ცალკე ბანაკი გაშალეს.

ჰამასი *ისლამურ ჯიჰადს* ზემოდან დაჰყურებდა, როგორც უმცროს ძმას. მისი აზრით, ეს ორგანიზაცია მას უნდა შეერთებოდა. ეს საკითხი არაერთხელ იდგა დღის წესრიგში. 1993 წლის შემდეგ ამ ორ ორგანიზაციას შორის სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა «დამეგობრებისა» და გაერთიანების შესახებ. ჰამასის სურვილი იყო სრული გაერთიანება, *ისლამური ჯიჰადი* კი უპირატესობას მზარდ თანამშრომლობასა და ერთიანი ფრონტის შექმნას ანიჭებდა. მაგრამ ყოველგვარი შემოთავაზება და გეგმა ქაღალდზე დარჩა და არ განხორციელდა.

მდგომარეობა შეიცვალა 1994 წლიდან, როცა შაკაკიმ გამოაცხადა, რომ ისრაელის წინააღმდეგ ტერაქტებისთვის მოამზადა 70 თვითმკვლელი, რომელთა დარტყმის სამიზნე იყო ისრაელი. ღაზას სექტორში მას ჰყავდა 20, ხოლო

იორდანეს დასავლეთ ნაპირზე – 10 მებრძოლი. ამას მოჰყვა სერია ტერაქტებისა: დივერსია იერუსალიმში 1994 წ. ოქტომბერში, რის შედეგადაც დაიღუპა 23 ისრაელელი, 1994 წ. ნოემბერში აფეთქება სამხედრო პოსტისა ნეცარიმში (ღაზა), რომლის მსხვერპლიც იყო 3 ოფიცერი და 1 სამოქალაქო პირი და სხვ. 1995 წ. აპრილში 8 ჯარისკაცი დაიღუპა, როცა *ისლამური ჯიჰადის* ტერორისტ-თვითმკვლელის დანაღმული მანქანა შეეჯახა ავტობუსს. ამავე დროს, **ჰამას**მაც დაიწყო ტერორისტ-თვითმკვლელთა სტრატეგიის განხორციელება, რის საფუძველზეც დაიწყო *ისლამურ ჯიჰადთან* დაახლოება და ერთობლივი ტერაქტების კოორდინაცია. კლასიკური მაგალითი თანამშრომლობისა იყო 1995 წ. 22 იანვარს ბეით-ლიდში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტერაქტი ისრაელის არსებობის ისტორიაში, რომლის დროსაც მოიკლა 19 და დაიჭრა 34 ისრაელელი ჯარისკაცი. ბომბი მოამზადა **ჰამას**ის აქტივისტმა იაჰია აიაშმა. ის 1997 წ. იქნა ლიკვიდირებული ისრაელის უშიშროების სამსახურის მიერ, რომელმაც სხვებზეც სასტიკად იძია შური. დაიჭირეს, დახოცეს ისინი, ვისაც ჰქონდა კავშირი ამ აქტთან, მათ შორის შაკაკის გარემოცვიდანაც. თავად შაკაკი იმალებოდა დამასკოში, სირიის სპეცსამსახურების დაცვის ქვეშ. საბოლოოდ, ის 1995 წ. 27 ოქტომბერს მოკლეს მალტაზე[35].

ისლამური ჯიჰადის ლიდერი გახდა ‘აბდ ალლაჰ შალაჰი ღაზადან, რომელსაც არ ჰქონდა შაკაკის ქარიზმა. *ისლამური ჯიჰადის* პოზიციები დასუსტდა, თუმცა ტერაქტები გააგრძელა. კიდევ უფრო გაგრძელდა დაახლოება **ჰამას**თან, რომელიც მას აღარ თვლიდა თავის კონკურენტად.

ოსლოს შეთანხმების შემდეგ გაიზარდა დაპირისპირება არაბულ სახელმწიფოებში. სირიის დაწოლით შეიქმნა წინააღმდეგობის ახალი ფრონტი, ე.წ. “ათთა კავშირი”, რომლის მუდმივი წევრიც *ისლამური ჯიჰადი* გახდა (259, 60-76). **ჰამას**ისგან განსხვავებით, მას ერთადერთი მსხვილი დამაფინანსებელი ჰყავს – ირანი: ძირითადი ფულადი დახმარება მოდიოდა ირანიდან, თვიურად 400 ათასი დოლარი. როგორც წესი, ისინი ირიცხებოდა შაკაკის პირად ანგარიშზე შვეიცარიის

[35]გავრცელებული ხმებით, *ისლამური ჯიჰადის* ლიდერი მოკლეს *მიცვაჰ ელოჰიმის* (“ღვთის რისხვა”) ნახევრადლეგალური ჯგუფის წევრებმა. ეს ჯგუფი შეიქმნა 1972 წ., იმ მიზნით, რომ სასამართლოს განაჩენის გარეშე გაენადგურებინათ პალესტინელი და სხვა ტერორისტები, რომლებსაც დანაშაული მიუძღოდათ ისრაელელი მოქალაქეების მკვლელობაში.

ბანკებში და მისი სიკვდილის შემდეგ ამ ანგარიშების გამოყენება გახდა შეუძლებელი. ნაბლუსში პალესტინის კვლევის ცენტრის მონაცემებით, ისლამურ ჯიჰადს მხარს უჭერს დასავლეთი ნაპირის 3 და ღაზას სექტორის 5%.

ბ. ჰამასი და არაბული ქვეყნები. პალესტინის საქმეებში ჰამასის გავლენის ზრდამ არაბულ ქვეყნებსა და რეგიონში სხვა რეჟიმებს მასთან ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა უჩვენა. თუმცა ჰამასს მანამდე უნდა გადაელახა რიგი სირთულეებისა. პირველი წინაღობა, რომელიც მას დახვდა, იყო მუსლიმურ საძმოსა და ამ რეჟიმებს შორის ისტორიულად დაძაბული ურთიერთობა, რისი დავიწყებაც გართულდა. ასევე გაძნელდა თვით მშობელ ორგანიზაციასთან მორიგება. ვერც არაბული რეჟიმები აღიქვამდნენ ზუსტად, თუ რამდენად იყო ჰამასი *მუსლიმი ძმების* იდეებზე დამოკიდებული. ამასთან, ისინი შიშობდნენ, რომ ჰამასისთვის ღიად მხარდაჭერა წააქეზებდა მათ ქვეყნებში არსებულ ისლამურ დაჯგუფებებს, რომელთა მოქმედების გეგმა მათ საკუთარ მიზნებსა და ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა (127, 148).

მართალია, ჰამასს არ განუცხადებია ღიად, რომ ჰქონდა პრეტენზია, ყოფილიყო პგოს ალტერნატივა, მაგრამ მისი საქმიანობა სწორედ ამას წარმოაჩენდა. არაბულ სამყაროს ჰქონდა მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულება იმის შესახებ, რომ პგო იყო პალესტინელი ხალხის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენელი. მათ უფრო მარტივად შეეძლოთ ურთიერთობა მასთან, ვიდრე – ჰამასთან, რადგან ისინი უფრთხოდნენ იმის საშიშროებას, რომ ვინმე მათ პგოს ალტერნატივის შექმნაში დაადანაშაულებდა. ჰამასის ისეთი ძლიერი მხარდამჭერიც კი, როგორიც იყო სუდანი, მას პგოსთან შეკავშირებას ურჩევდა (127, 148).

ჰამასი არც სამშვიდობო ინიციატივებს თანხმდებოდა, რომლებიც არაბული სახელმწიფოების მიერ იყო მიღებული, როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის საშუალება. სამშვიდობო მოლაპარაკებების ბოიკოტი და მოწოდება ომისკენ არ შეესაბამებოდა საერთაშორისო მოლოდინსა და მიზნებს (127, 150). ჰამასის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა ისიც, რომ მისი და სხვა ისლამური ორგანიზაციების

საქმიანობა ტერორისტულად ჩაითვალა, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში აიკრძალა (127, 150).

ᲰᲐᲛᲐᲡი უარს ამბობდა ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის სხვა არაბულ ქვეყნებში ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, მისი წარმომადგენლები მხოლოდ იშვიათად თუ გადიოდნენ სხვა სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან და საზოგადოებასთან შესახვედრად. ეს თავშეკავება გამომდინარეობდა იქიდან, რომ ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერებს არ სურდათ პალესტინელთა მობილიზაცია თავშესაფარ ქვეყნებში, რათა ამას არ გამოეწვია მათი დაპირისპირება და შეტაკებები მასპინძელი სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან. ამასთან, ბრძოლა კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო პალესტინის შიგნით და არა მის ფარგლებს გარეთ. მართალია, ასევე აუცილებელი იყო სამშობლოს ფარგლებს გარეთ მყოფთა მობილიზაცია და მათი ძალისხმევის გაერთიანება, მაგრამ ეს ადგილობრივ ისლამურ დაჯგუფებებს უნდა განეხორციელებინათ (127, 151).

შიდა დოკუმენტების მიხედვით, ᲰᲐᲛᲐᲡის დამოკიდებულება არაბულ და ისლამურ მხარეებთან მიმართებაში ემყარება ექვს პოლიტიკურ პრინციპს (*სიასათ ᲰᲐᲛᲐᲡ ალ-მარჰალი ა*) (127, 154):

1. ᲰᲐᲛᲐᲡს სურს დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები ყველა არაბულ და ისლამურ სახელმწიფოსთან, მიუხედავად მათი იდეოლოგიური და პოლიტიკური ორიენტაციისა;

2. ᲰᲐᲛᲐᲡი არ ერევა არაბული და ისლამური სახელმწიფოების შიდა საქმეებში; ასევე უარყოფს მათ ჩარევას ორგანიზაციის პოლიტიკაში, პოზიციებსა და შიდა საქმეებში;

3. ᲰᲐᲛᲐᲡი არ ებრძვის არცერთ არაბულ თუ ისლამურ მხარეს; შესაბამისად არ აპირებს შეტევა მიიტანოს მათზე;

4. ᲰᲐᲛᲐᲡს პალესტინა მიაჩნია მტერთან ბრძოლისათვის შესაფერის ასპარეზად. მოძრაობა ცდილობს ეს ბრძოლა არ გადაიტანოს ოკუპირებული პალესტინის ფარგლებს გარეთ. თუმცა, ᲰᲐᲛᲐᲡი არ კიცხავს *ჯიჰადის* ისეთ აქტებს, რომლებიც პალესტინის გარეთ იქნება სიონისტური ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული;

5. ჰამასს სურს, ნათელი გახდეს, რომ თუ ის კავშირს ამყარებს რომელიმე მხარესთან, ეს მიზნად ისახავს მხოლოდ მხარდაჭერის გაზრდას ისრაელთან ბრძოლაში და არაა მიმართული რომელიმე ორგანიზაციისა ან რეჟიმის წინააღმდეგ;

6. ჰამასი არ გაწევრიანდება სხვა ჯგუფში და არ დაუშვებს, რომ მისმა ურთიერთობამ რომელიმე არაბულ ან ისლამურ მხარესთან დააზარალოს სხვა მხარე (127, 154).

ამ პრინციპებზე დაყრდნობით, მოძრაობა შეეცადა არაბულ სახელმწიფოებთან ოფიციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მან თავისი წარმომადგენლები გააგზავნა იორდანიაში, ლიბანში, ლიბიაში, კატარში, საუდის არაბეთში, სუდანში, სირიასა და იემენში, სადაც ისინი ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

1992 წ. ჰამასმა, ნაზალის ხელმძღვანელობით, ამანში თავისი წარმომადგენლობა გახსნა. მალე მოძრაობის პოლიტიკური საქმიანობის ცენტრმაც ამანში გადაინაცვლა, რომელიც ჰამასის ოფიციალური წარმომადგენლის, პროფესიით ინჟინრის, იბრაჰიმ ღუშას ბაზა გახდა. მაგრამ ჰამასის პოზიცია იორდანიაში არასაიმედო იყო; ის დამოკიდებული იყო რეჟიმისა და ისლამური ბანაკის ურთიერთობაზე, რომელსაც სამეფოში, 80-იანი წლების ბოლოდან, მზარდი პოლიტიკური გავლენა ჰქონდა. მონარქიის პოზიციის მერყეობას შეეძლო ევნო ჰამასისთვის.

იორდანიის გარდა, ჰამასს პოლიტიკური და საკომუნიკაციო ბაზები ჰქონდა სუდანში, ირანსა და ალჟირში. ორგანიზაციის კავშირები ამ ქვეყნებში არსებულ ისლამურ მიმდინარეობასთან ფინანსური დახმარების მიღებასაც მოიცავდა. როგორც იორდანიაში, ისე ამ ქვეყნებში ჰამასი დიდ სიფრთხილეს იჩენდა და აშკარად თავს იკავებდა მათ შინაურ საქმიანობაში ჩარევისაგან.

ჰამასის ორგანიზაციული ინფრასტურქტურა დამოკიდებულია დაფინანსების საშინაო და საგარეო წყაროებზე. ა.რაშადის თანახმად, პროჰამასელი ისლამისტები მუსლიმურ საძმოსთან კოორდინაციაში აგროვებდნენ ზაქათს (მუსლიმთა შემოსავლის 2,5%-ს ადგილობრივი კომიტეტების მეშვეობით). გარდა

ამისა, ჰამასს აქვს თავისი პროექტები (თაფლის, ყველის, ტანსაცმლის საწარმოები), რომელთაც მოაქვთ შემოსავალი, მაგრამ იმ ფართო საქმიანობისთვის, რომელსაც ის აწარმოებდა, საჭირო იყო გაცილებით მნიშვნელოვანი თანხები, რაც დამოკიდებული იყო ძირითადად სპარსეთის ყურის ქვეყნების, განსაკუთრებით, საუდის არაბეთის და ადგილობრივი ისლამური ასოციაციების შემონაწირებზე. ყოველივე ეს, ადგილობრივ შეგროვებული ფონდების ჩათვლით, ძირითადად, გამოიყენებოდა საგანმანათლებლო, სოციალური და საქველმოქმედო ინსტიტუტების დასაარსებლად, რაც საშუალებას აძლევდა ჰამასს, ჩართულიყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივ მოსახლეობაზე გავლენის მოპოვება იყო ისლამურ და ეროვნულ ბანაკებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლის მთავარი მიზანი.

ბევრს წერდნენ ჰამასის კავშირებზე საუდის არაბეთთან. ორგანიზაციის ჩამოყალიბების დროს ჟურნალისტები თვლიდნენ, რომ ჰამასი იყო ჯგუფი, რომელსაც მხარს უჭერდა საუდის არაბეთი. არაფათის განცხადებით, ჰამასმა ირანიდან მიიღო 20-დან 30 მილიონამდე დოლარი და ეს ციფრი არაერთხელ იქნა გამეორებული მედიაში. ფაქტია, რომ 1990 წ. სპარსეთის ყურის კრიზისში ერაყისადმი პგრ-ს მხარდაჭერამ, ჰამასისთვის ფინანსური თვალსაზრისით დადებითი შედეგი გამოიღო. ჰამასი და საუდის არაბეთი მანამდე მოკავშირეები არ ყოფილან. მართალია, საუდის არაბეთი ისლამურ კანონებს ემორჩილებოდა, მაგრამ მისი საგარეო პოლიტიკა დასავლეთზე იყო ორიენტირებული. ჰამასის ლიდერები კი ყოველთვის მტრულად იყვნენ განწყობილნი მუსლიმური სახელმწიფოების ამერიკული "ჯვაროსნული ოკუპაციის" და ანტიერაყული კოალიციის მიმართ, რომელშიც საუდის არაბეთი მთავარ როლს თამაშობდა. კრიზისის დროს ჰამასმაც მოაწყო პროერაყული დემონსტრაციები, მაგრამ მისი პოზიცია პგრ-ზე უფრო თავშეკავებულად მიიჩნიეს, ალბათ იმიტომ, რომ ამ მოძრაობის ლიდერები ხშირად გამოდიონენ ერაყის სეკულარული რეჟიმის კრიტიკით. პგრ კი არაორაზროვნად მიემხრო ერაყს.

სპარსეთის ყურის კრიზისის დროს ჰამასმა პირველად გაგზავნა ოფიციალური წარმომადგენელი პალესტინის ტერიტორიების გარეთ ისლამური

მოძრაობებისა და დაჯგუფებების დელეგაციაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის მიზანი იყო კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარება. ᲰᲐᲛᲐᲡი მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას უნდა დაეცვა საკუთარი ორგანიზაციის პრინციპები, არ გაენაწყენებინა სპარსეთის ყურის მოსახლეობა და, ამასთან, არ დაპირისპირებოდა მასების უპირობო და ემოციურ მხარდაჭერას ერაყის მიმართ (განსაკუთრებით პალესტინასა და იორდანიაში).

თავდაპირველად, ᲰᲐᲛᲐᲡი შეეცადა ნეიტრალური დარჩენილიყო და მხოლოდ რიტორიკული განცხადებებით შემოფარგლულიყო, რომლებიც გმობდა რეგიონში დასავლეთის ძალების ინტერვენციას. მაგრამ მალე, გარე ძალების ზეწოლით, ის იძულებული იყო უფრო კონკრეტული პოზიციითაც გამოსულიყო. მის პრესრელიზში ითქვა, რომ ის გაოცებული იყო, ისევე, როგორც სხვა მუსლიმები, ერაყის სამხედრო ინტერვენციით. ᲰᲐᲛᲐᲡის მოთხოვნა იყო, რომ უცხოეთის ჯარები გასულიყვნენ, სადავო საზღვრებზე ჩამდგარიყო არაბული ერთობლივი რაზმები, ხოლო საკუთარი ქვეყნის ბედი გადაეწყვიტათ თავად ქუვეითელებს (127, 163).

ერაყის ჯარების გაყვანის მოთხოვნა ᲰᲐᲛᲐᲡისთვის მეტად გაბედული ნაბიჯი იყო იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობისა და ხალხთა მასების განწყობის გათვალისწინებით. ასეთი პოზიცია, იმ დროისთვის, მეტად სარისკო და არაპოპულარული იყო, რადგან ხალხის უმრავლესობა პალესტინასა და იორდანიაში ერაყს უჭერდა მხარს. ᲰᲐᲛᲐᲡის განცხადებით, ეს პოზიცია შეესაბამებოდა მის პრინციპს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების თავზე მოხვევა არ უნდა მოხდეს ძალით. თუმცა ეს, დიდწილად, მისი პრაგმატული აზროვნების შედეგი იყო. მან მოახერხა თავისი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის შენარჩუნება (127, 164). ამასთან, ᲞᲒᲝს დასჯის მიზნით, საუდის არაბეთმა ᲰᲐᲛᲐᲡს ფინანსური დახმარება გაუზარდა (47,58). ᲰᲐᲛᲐᲡმა გამოყოფილი თანხები თავისი სოციალური მომსახურების გასაუმჯობესებლად და პალესტინელებისთვის ძირითადი ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად გამოიყენა (404, 3).

საუდის არაბეთის მიერ ᲰᲐᲛᲐᲡის მხარდაჭერა კრიზისის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა, როდესაც ᲞᲒᲝმ არაბულ სახელმწიფოებთან შემრიგებლური

ნაბიჯები გადადგა და ანტიერაყულ კოალიციას შეუერთდა. 1991 წ. ოქტომბერში სამშვიდობო პროცესის დაჩქარების შემდეგაც, საუდის არაბეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიური ინსტიტუტების მხარდაჭერა დიდ როლს თამაშობდა ისლამური ბანაკის გაძლიერებაში.

სპარსეთის ყურის კრიზისის დასრულებისა და მადრიდის სამშვიდობო პროცესის დაწყების შემდეგ, სირიამ განაცხადა, რომ თანახმა იყო ორმხრივი მოლაპარაკებები ეწარმოებინა ისრაელთან. ამის პასუხად, ირანმა თავი ოპოზიციის ბანაკის ხელმძღვანელად გამოაცხადა. იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო რადიკალური ისლამური მიმდინარეობებისთვის და არ გაეძლიერებინა **პგო**ს ოპოზიცია, მან მხარი დაუჭირა **ჰამას**ის საქმიანობას.

გ. ჰამასი და ირანი. **ჰამას**ს განასკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ირანთან (395), რომელსაც ყველასგან გამორჩეული პოზიცია ეკავა პალესტინის საკითხისა და ისლამური დაჯგუფებების მიმართ.

ირანის ისლამური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, თავდაპირველად, **პგო**სთან მეტად მეგობრული და თბილი ურთიერთობები დამყარდა. 1979 წ. არაფათი პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა თეირანში, სადაც მას ტრიუმფალური დახვედრა მოუწყეს. ამას შემდეგ პალესტინის საელჩოს გახსნა მოჰყვა იქ, სადაც შაჰის მმართველობის დროს ისრაელის საელჩო იყო განთავსებული. მაგრამ, ერაყსა და ირანს შორის ომის დაწყებასათან ერთად, **პგო**სა და ირანს შორის ურთიერთობაც გაუარესდა, რადგან **პგო**ს მხარდაჭერა უფრო ერაყისკენ იხრებოდა. ამასთან, იზრდებოდა ირანის ინტერესები ლიბანში, განსაკუთრებით, *ჰიზბ ალლაჰ*თან თანამშრომლობა, თანდათან კონტაქტები დამყარდა პალესტინელ ისლამისტებთანაც ლიბანში (127, 177).

ირანმა სრულიად უარყო მოლაპარაკებები და პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების გზა და მთლიანად მის ოპონენტებს დაუჭირა მხარი. მადრიდის კონფერენციამდე 8 დღით ადრე, 1991 წ. 22 ოქტომბერს თეირანში გაიმართა შეხვედრა, რომელმაც დაგმო მადრიდის კონფერენცია. 19 ოქტომბერს პალესტინის წინააღმდეგობის ორგანიზაციები შეიკრიბნენ პალესტინის ხალხის ისლამური რევოლუციის მხარდამჭერ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც შექმნეს ე.წ. ათი

წევრის (*ფასა'ილ*) კავშირი (127, 177). ამასთან, ირანის პარლამენტმა გამოსცა «პალესტინელი ხალხის ისლამური რევოლუციის მხარდამჭერი კანონი», საბანკო ანგარიშით, რომელიც ფინანსდებოდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შემონაწირებიდან (127, 178).

ᲰᲐᲛᲐᲡისა და ირანის ურთიერთობები თანდათანობით განვითარდა და მნიშვნელოვან ფაზაში 1990 წ. სპარსეთის ყურის კრიზისის დროს შევიდა. პირველად, თავისი არსებობის ისტორიაში, ᲰᲐᲛᲐᲡმა ოფიციალური წარმომადგენლები გაგზავნა რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ირანში. 1992 წ. თებერვალში ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენლობა გაიხსნა თეირანში, ოთხი თვის შემდეგ, როცა იქ გაიმართა კონფერენცია მშვიდობიანი გზით პრობლემის მოგვარების წინააღმდეგ. ᲰᲐᲛᲐᲡის ოფისის გახსნა მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ირანი აღიარებდა მის ცენტრალურ როლს პალესტინის ოპოზიციაში (127, 178).

თეირანში ᲰᲐᲛᲐᲡის ოფისის გახსნის შემდეგ ᲞᲒᲝ მუდმივად ადანაშაულებდა მას უცხო მთავრობების მიმართ ლოიალობაში. აშშ და დასავლეთი აშკარად გამოვიდნენ ირანისა და ᲰᲐᲛᲐᲡის თანამშრომლობის წინააღმდეგ. ისრაელმა წამოიწყო პოლიტიკური და მედიაკამპანია, რომელიც ირანს ადანაშაულებდა ტერორიზმის დაფინანსებაში ᲰᲐᲛᲐᲡისა და *ისლამური ჯიჰადის* მაგალითზე. მაგრამ ყველაზე ძლიერ ანტიკამპანიას ᲞᲒᲝ ეწეოდა. ᲞᲒᲝმ თანდათან მოახერხა ᲰᲐᲛᲐᲡის და ირანის ურთიერთობის გადაჭარბებულად წარმოჩენა და არაბული სახელმწიფოების თვალში მისი დისკრედიტაცია.

1992 წ. არაფათმა განაცხადა, რომ ᲰᲐᲛᲐᲡი ირანისგან ყოვლწლიურად 30 მლნ აშშ დოლარამდე იღებდა. ეს ᲰᲐᲛᲐᲡმა კატეგორიულად უარყო, თუმცა არაფათის სიტყვები არაერთხელ დაიწერა არაბულსა და დასავლეთის პრესაში. ასევე გახმაურდა თუნისში ხელმოწერილი ტექსტის შინაარსი, სადაც ირანი ᲰᲐᲛᲐᲡს პალესტინელი ხალხის ერთადერთ ლეგიტიმურ წარმომადგენლად აღიარებდა. ეს ტექსტი ეგვიპტურმა გაზეთმა *ალ-აჰრამმა* შემდეგი სათაურით გამოაქვეყნა: "წაიკითხეთ სრული დეტალები ირანის შეთქმულების შესახებ პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ». ᲰᲐᲛᲐᲡმა ეს ფაქტი კვლავ კატეგორიულად უარყო და ᲞᲒᲝ იაფფასიან ტყუილებში დაადანაშაულა (127, 179).

ბრალდებები, რომ ჰამასს ირანი აფინანსებდა, ა. რაშადის თანახმად, დაიწყო 1989 წ., როცა ისრაელმა პირველად ჩათვალა, რომ ჰამასი სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ, აგრძელებს რაშადი, ჰამასს არ უთხოვია მხარდაჭერა რომელიმე მთავრობისთვის. მისი ფინანსური რესურსები დამოკიდებულია ინდივიდუალურ ფილანტროპებზე და ორგანიზაციებზე. უკანასკნელთა შორის არიან საერთაშორისო მუსლიმური საძმო, ინდოეთის კონტინენტის ისლამური ორგანიზაციები, ისლამური ჯგუფები თურქეთში, მალაიზიასა და ავღანეთში. იბრაჰიმ ღუშას განცხადებით კი, ჰამასი ზომიერ მხარდაჭერას იღებს, აგრეთვე, სპარსეთი ყურის მრავალი ქვეყნის მუსლიმთაგან, საუდის არაბეთიდან, ირანიდან, იორდანიიდან, იემენიდან და სხვ. (393, 3), მაგრამ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის მიხედვით, ჰამასსა და ირანს შორის პოლიტიკური დაახლოება დაიწყო 1991 წ. მიწურულს, რასაც შემდეგ მოჰყვა პრაქტიკული ნაბიჯებიც. 1992 წ. ოქტომბერში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიწვია ჰამასის დელეგაცია მუსა აბუ მარზუკის და იბრაჰიმ ღუშას ხელმძღვანელობით.

პალესტინური წყაროების მიხედვით, ირანელები ჰამასს, ყოველწლიურად, 30 მლნ დოლარს და ირანში, ლიბანსა და სუდანში მოსამზადებელ ბანაკებში ჰამასის 3 ათასი აქტივისტის წვრთნას დაჰპირდნენ (395, 4 - The Hamas-Iranian Connection). 1992 წ. ყუმში ორ მხარეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ირანმა უფლება მისცა ჰამასს გაეხსნა თავისი ბიურო თეირანში და დახმარება აღუთქვა საკუთარი რადიოსადგურის მოწყობაში. ხელშეკრულებაში ღია დარჩა საკითხი შესაძლებლობისა, რომ ჰამასს თავისი ბრძოლა სამხრეთ ლიბანშიც გადაეტანა *ჰიზბ ალლაჰთან* თანამშრომლობის გზით. როგორც მოსალოდნელი იყო, პგო ამ ხელშეკრულების მკაცრი კრიტიკით გამოვიდა.

ჰამასის ხელმძღვანელობამ უარყო ინფორმაცია, თეირანთან მისი სამხედრო კავშირის (მებრძოლების მომზადების) შესახებ და ისრაელის მხარესაც ასეთი რამ ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნია (395, 6). ჰამასის წარმომადგენელმა ამანში განაცხადა, რომ ამგვარი ცნობები უსაფუძვლო იყო და მიზნად ისახავდა ორგანიზაციის დამოუკიდებლობის იმიჯის შელახვას. ერთადერთი, რაც

რეალურია, ისაა, რომ თეირანში გაიხსნა ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენლობა პალესტინიდან დეპორტირებული ‘იმად ალ-‘ალამის მეთაურობით.

ᲰᲐᲛᲐᲡის განცხადებით, ირანი მისი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ დათმობს არაბ სახელმწიფოებთან პოზიტიურ ურთიერთობას. ის ცდილობს ბალანსის შენარჩუნებას მათ შორის. მიუხედავად იმისა, რომ ᲰᲐᲛᲐᲡს არ სურს არაბული ქვეყნების, განსაკუთრებით კი, სპარსეთის ყურის სახელმწიფოების განაწყენება, ირანთან ურთიერთობა მეტად ფასეულია მისთვის. ირანის მიმართ მადლიერების გრძნობა, პატივისცემა და მხარდაჭერა ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენლებმა არაერთხელ გამოხატეს (127, 180).

1992 წ. დეკემბერში ისრაელის მიერ ასობით ᲰᲐᲛᲐᲡელი აქტივისტის სამხრეთ ლიბანში გასახლებამ განაპირობა კავშირი ᲰᲐᲛᲐᲡსა და *ᲰᲘᲖᲑ ᲐᲚᲚᲐᲰს* შორის. ირანის მიერ ზურგგამაგრებულმა *ᲰᲘᲖᲑ ᲐᲚᲚᲐᲰმა*, ლიბანის მთავრობის აკრძალვის მიუხედავად, დახმარება აღმოუჩინა დეპორტირებულებს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის ზეწოლამ ᲰᲐᲛᲐᲡზე განაპირობა მისი ბირთვისა და საქმიანობის ცენტრის რეგიონის გარეთ გადანაცვლება. ᲰᲐᲛᲐᲡის ლიტერატურა იბეჭდება აშშ-სა და ბრიტანეთში, გერმანიაში, ნორვეგიასა და კვიპროსში. პოლიტიკური საქმიანობა, რომელსაც ᲰᲐᲛᲐᲡის ოფისებიდან აწარმოებდნენ ირანელი დევნილები და პალესტინელები, დასავლეთში, ძირითადად, ფინანსების მოპოვებას, ორგანიზაციულ სამუშაოებს და პროპაგანდას ითვალისწინებდა. ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება აშშ-ში, რომლის ხელმძღვანელობა, ოკუპირებულ ტერიტორიებთან კოორდინაციით, უძღვებოდა ᲰᲐᲛᲐᲡის საქმიანობას, ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ირანთან ერთად, არაბულ-ამერიკული საზოგადოებაც მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა ᲰᲐᲛᲐᲡის დაფინანსებაში. წლების განმავლობაში ორგანიზაციის საგარეო ხელმძღვანელობამ ძლიერი პოზიციები და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე არჩევანის უფლება მოიპოვა. სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით საგარეო ხელმძღვანელობასა და ტერიტორიებზე ᲰᲐᲛᲐᲡის მთავარ ხელმძღვანელობას შორის გარკვეული უთანხმოებები წარმოიქმნა. ერთ-ერთი ასეთი თემა იყო ᲰᲐᲛᲐᲡისა და ᲞᲔᲡის ურთიერთობა.

ჰამასი ცდილობდა, პირდაპირი კავშირები დაემყარებინა ისლამური სამყაროს მთავრობებთან. ის მუდმივად ეხმაურებოდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ისლამურ ქვეყნებში, მაგალითად ავღანეთში, ბოსნიაში, ჩეჩნეთსა და ქაშმირში. მაგრამ ის აქაც ისეთ პრობლემებს წააწყდა, როგორც არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობისას. ესენი იყო: მუსლიმური საძმოს ისტორიული ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან; რეგიონალური და საერთაშორისო კონსენსუსი სამშვიდობო მოლაპარაკებების მხარდაჭერისა და სამხედრო ინტერვენციის უარყოფის შესახებ; დასავლეთის, განსაკუთრებით, აშშ-ის კამპანია «ისლამური ტერორიზმის» წინააღმდეგ; **პგრ**ს აღიარება, როგორც პალესტინელი ხალხის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენლისა; თავად **ჰამასი**ს ადმინისტრაციული და ორგანიზაციული სისუსტე, რაც გამოიხატებოდა ისეთი კადრების ნაკლებობაში, რომლებიც ჩამოაყალიბებდნენ და შეინარჩუნებდნენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამას ემატებოდა ისიც, რომ რიგ ისლამურ ქვეყნებში (მაგალითად, ინდონეზია, მალაიზია) მხოლოდ შეზღუდული ცოდნა და მხარდაჭერა ჰქონდათ პალესტინის საქმის მიმართ (127, 176).

დ. ჰამასი და *ჰიზბ ალლაჰი*. 90-იანი წლებიდან დაიწყო თანამშრომლობა **ჰამასსა** და **ჰიზბ ალლაჰ**ს შორის (337). *ჰიზბ ალლაჰი* - რადიკალური შიიტური დაჯგუფებაა, რომელიც 1982 წ. ჩამოყალიბდა ლიბანში. მისი მიზანია ლიბანში ირანული ყაიდის, არაისლამური ელემენტებისაგან თავისუფალი ისლამური რესპუბლიკის შექმნა; ასევე, ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლა სამხრეთ ლიბანში. მისი მთავარი მხარდამჭერია ირანი, თუმცა ზოგჯერ ირანისგან დამოუკიდებლად მოქმედებს.

ჰამასსა და *ჰიზბ ალლაჰ*ს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო იყო კადრების მომზადება ლიბანისა და სუდანის ტერიტორიაზე.

ისრაელის წყაროების თანახმად, ამჟამად ლიბანისა და პალესტინის ისლამურ მოძრაობებს შორის მნიშვნელოვანი არხებია შექმნილი ღაზაში იარაღის ტრანსპორტირებისათვის ზღვის საშუალებით. *ალ-აკსას ინთიფადას* დროს, ჰიზბ ალლაჰი ენერგიულად უჭერდა მხარს **ჰამასს** ფინანსური დახმარებით, თუ სხვა სახის ექსპერტიზის გაწევით (კონტრაბანდის გადატანით, აღჭურვილობის

მიწოდებით და ა.შ.). მისი დახმარებით **ჰამას**მა დაიწყო "კატიუშას" ტიპის საკუთარი იარაღის წარმოება (337). წლების განმავლობაში ორ დაჯგუფებას შორის თანამშრომლობა განმტკიცდა და მათი საქმიანობაც უფრო ურთიერთშეთანხმებული გახდა. 2004 წ. მარტში ბეირუთში შეხვედრისას, **ჰამას**სა და *ჰიზბ ალლაჰს* შორის დაიდო ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ, რომელზეც ხელი მოაწერეს *ჰიზბ ალლაჰ*ის გენერალურმა მდივანმა ჰასან ნასრალლაჰმა და **ჰამას**ის პოლიტიკური ფრთის ლიდერმა ხალედ მაშ'ალმა. არაბული დიპლომატიური წყაროების თანახმად, შეთანხმების პირობები ითვალისწინებს *ჰიზბ ალლაჰ*ის მხრიდან **ჰამას**ისთვის ფინანსური და საოპერაციო დახმარების გაზრდას.

2003-04 წლებში განმავლობაში *ჰიზბ ალლაჰ*ის მიერ **ჰამას**ის დაფინანსება მნიშვნელოვანდ გაიზარდა. ორმა დაჯგუფებამ რამდენიმე ტერორისტული აქტიც დაგეგმა და ერთად განახორციელა[36].

2004 წ. სექტემბერში გამოიცა **გაერო**ს 1559-ე რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა *ჰიზბ ალლაჰ*ისა და შეიარაღებული პალესტინური დაჯგუფებების, მათ შორის **ჰამას**ის, დაშლას. ამის საპასუხოდ ორივე დაჯგუფების ლიდერებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ ისინი კვლავაც გააგრძელებდნენ ტერორიზმს ისრაელის წინააღმდეგ. ხალედ მაშალის განცხადებით, **ჰამას**ის ურთიერთობა ჰიზბ ალლაჰთან მჭიდრო იყო: «საერთო მტრის დაპირისპირების ამ მარშში ჩვენ პარტნიორები ვართ. იმედი გვაქვს, რომ მთელი პალესტინა განთავისუფლდება ისევე, როგორც ეს სამხრეთ ლიბანში მოხდა (367)".

ე. **ჰამასი და დასავლეთი**. მოძრაობის ჩამოყალიბებიდან, დაახლოებით სამი წლის შემდეგ, **ჰამას**ის მიდგომა საერთაშორისო პოლიტიკის მიმართ შეიცვალა, უფრო დახვეწილი და შეგნებული გახდა. მან გადახედა თავის დამოკიდებულებას ისრაელის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების მიმართ. ქვემოთ მოყვანილი 12 პუნქტი აღწერს **ჰამას**ის თვალსაზრისს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ.

1. **ჰამას**ის ნებისმიერი კავშირი უცხო სახელმწიფოებთან და

[36]2004 წ. მარტში ჰიზბ ალლაჰმა და **ჰამას**მა ერთად განახორციელეს ტერორისტ-თვითმკვლელის აფეთქება ისრაელის აშდოდის პორტზე, რომლის დროსაც ისრაელის 10 მოქალაქე დაიღუპა.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მიუხედავად არსებული პოლიტიკური და იდეოლოგიური წინაპირობებისა, ემსახურება პალესტინელ ხალხს, მის საქმესა და უფლებებს.

2. პოლიტიკური ურთიერთობების დასამყარებლად ჰამასი არ აიღებს თავის თავზე ისეთ პოლიტიკურ ვალდებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება მის მტკიცე ისლამურ და ნაციონალისტურ პრინციპებს.

3. ჰამასის ინტერესი, კონტაქტები და ურთიერთობა უცხო სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან განპირობებულია იმით, რომ ის ეძებს მათ მხარდაჭერასა და სიმპათიას; ეს არ არღვევს მის მთავარ ვალდებულებასა და სტრატეგიულ პოზიციებს.

4. უცხო ქვეყანასთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან ჰამასის ურთიერთობაზე დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენს ის, თუ რა პოზიციას დაიკავებს ეს მხარე პალესტინის საქმესთან დაკავშირებით.

5. ჰამასს პალესტინა მიაჩნია სიონისტური მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ველად და ერიდება კონფლიქტის უცხოურ მიწაზე გადატანას.

6. ჰამასს არ აქვს უთანხმოება სხვა უცხო ქვეყანასთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან და მისი მიზანი არაა სხვა ქვეყნების ინტერესებსა და სიმდიდრეზე თავდასხმა.

7. ჰამასი მიესალმება ნებისმიერ საერთაშორისო ძალისხმევას, რომლის მიზანია ისრაელის ოკუპაციისა და ტირანიის, პალესტინელ ხალხზე ჰეგემონიისა და რეპრესიული საქმიანობის აღმოფხვრა. ჰამასი, ასევე, მიესალმება ნებისმიერ საერთაშორისო დახმარებას, რომელიც გააუმჯობესებს ოკუპაციის ქვეშ მყოფი პალესტინელი ხალხის ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ პირობებს.

8. ჰამასი ეწინააღმდეგება ნებისმიერ რეზოლუციას, რომელიც პალესტინელ ხალხს ართმევს მის უფლებებს და ხელს უწყობს პალესტინელი ხალხის სიონისტური მტრის პოლიტიკისა და პოზიციების განმტკიცებას. თუმცა, მას არ სურს გაეროსთან დაპირისპირება.

9. ჰამასი სოლიდარობას უცხადებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მთელ მსოფლიოში და მხარს უჭერს ხალხის ლეგიტიმურ სურვილს,

გათავისუფლდეს ოკუპაციისა და კოლონიალიზმისგან.

10. ᲰᲐᲛᲐᲡი სოლიდარობას უცხადებს იმ ქვეყნებს, რომლებიც ზეწოლის ქვეშ არიან მათი სამართლიანი პოზიციების გამო; მოძრაობას სურს, მათი პოზიციები გააძლიეროს საკუთარი მხარდაჭერით.

11. ᲰᲐᲛᲐᲡის პრიორიტეტია ურთიერთობების განვითარება იმ ქვეყნებთან, რომლებსაც საერთაშორისო გავლენა აქვთ; თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის იგნორირებას უკეთებს სხვა ნაკლებმნიშვნელოვან სახელმწიფოებს.

12. ᲰᲐᲛᲐᲡი სოლიდარობას უცხადებს არაბულ და ისლამურ სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთი ლეგიტიმური პოზიციების გამო მსოფლიო ძალებისაგან ზეწოლის, ან საფრთხის ქვეშ არიან, თუმცა ᲰᲐᲛᲐᲡი არ შევა ამ ძალებთან კონფლიქტში.

ამგვარად, ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენლების განცხადებით, მოძრაობა ებრძვის მხოლოდ ისეთ "ლეგიტიმურ» სამიზნეებს, როგორებიცაა «ოკუპანტი» ძალები (127, 193).

1992 წ. ᲰᲐᲛᲐᲡ-ის ლიდერებისა და მხარდამჭერების დეპორტაცია სამხრეთ ლიბანში გარდამტეხი მომენტი იყო მოძრაობისთვის, რადგან სწორედ მისი დახმარებით გამოვიდა ის პოლიტიკური იზოლაციიდან. 413 ადამიანის დეპორტაციამ დაუსახლებელ ტერიტორიებზე, ზამთრის მძიმე პირობებში, საერთაშორისო საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. დევნილთა უმრავლესობა პალესტინის ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო, მათი საუბარი და არგუმენტები ᲰᲐᲛᲐᲡის, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის, იმიჯის საპირისპირო იყო. ახლო აღმოსავლეთსა და სხვა უცხოურ ქვეყნებში მათ სიმპათიისა და მხარდაჭერის მოპოვებაც კი შეძლეს. ისრაელის ნაბიჯის დაგმობის გამო ვაშინგტონში სამშვიდობო მოლაპარაკებებიც კი გადაიდო. ყურადღებამ გადაინაცვლა დეპორტირებულთა პრობლემის გადაწყვეტაზე.

ᲰᲐᲛᲐᲡი მოულოდნელად მოვლენათა ცენტრში აღმოჩნდა. მიუხედავად მისი ისლამური იდეოლოგიისა და ისრაელის სახელმწიფოს უარყოფისა, ᲰᲐᲛᲐᲡის აზრს ანგარიშს უწევდნენ მოლაპარაკებებზე. ᲰᲐᲛᲐᲡმა კონტაქტები დაამყარა უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრთან ამანში, მათი საელჩოების მეშვეობით (127, 194).

დასავლეთის სახელმწიფოებთან შეხვედრებისას, ჰამასი ცდილობდა, რომ კარგად წარმოეჩინა თავისი მიზნები, პოლიტიკა და მეთოდები. მისი განცხადებით, პალესტინელი ხალხის მიერ სამშობლოს დაკარგვის მიზეზის დიდი წილი აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს ეკისრებოდა. შესაბამისად, დასავლეთისგან ის ამ ზიანისა და დანაშაულის გამოსწორებას ითხოვდა (127, 194).

უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის გარდა, ჰამასს კავშირი ჰქონდა, აგრეთვე, კანადის, გერმანიის, იტალიის, იაპონიისა და ესპანეთის დიპლომატებთან. ამ შეხვედრების დროს ჰამასის წევრები განუწყვეტლივ ცდილობდნენ თავიანთი მიზნების წარმოჩენას და იმის ახსნას, რომ ისინი იბრძოდნენ საკუთარი ხალხისა და მიწის განთავისუფლებისათვის. ეს იყო ოკუპაციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რაც ლეგიტიმურად ითვლება რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების აქტებით, მათ შორის, გაერო-ს წესდებით და ჟენევის კონვენციით. პალესტინელი ხალხის უფლებების დაცვის საბაბით ჰამასის წარმომადგენლები ცდილობდნენ დასავლეთის სიმპატიის მოპოვებას (127, 195).

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აშშ-თან ურთიერთობა. 1993 წ. იანვარ-თებერვალში პირველად დამყარდა კონტაქტი ამ ორ მხარეს შორის. ჰამასის წევრების დეპორტაციის შემდეგ, აშშ-მა პირველად გამოხატა თავისი ინტერესი ჰამასის მიმართ; ამ უკანასკნელის აზრით, აშშ-ს სურდა მისი უფრო აქტიურად ჩართვა პოლიტიკურ სარბიელზე. აშშ მართლაც შეეცადა, ჰამასი ჩამოეშორებინა შეიარაღებულ ბრძოლას; თავის მხრივ, ჰამასი საკუთარ ისლამურ იდეოლოგიას ამაგრებდა. საბოლოო ჯამში, ორი თვის შემდეგ, აშშ-მა განაცხადა, რომ მათ ურთიერთობაში პროგრესი არ იგრძნობოდა, ამას დაემატა ისრაელის ზეწოლაც და მან ჰამასთან ურთიერთობა გაწყვიტა, რასაც ბევრი წინააღმდეგი გამოუჩნდა აშშ-ში. მათ მიაჩნდათ, რომ აშშ ამგვარად კარგავდა რეგიონში მთლიანი სურათის აღქმის საშუალებას (127, 196). და მაინც, ზოგადად, აშშ-ის პოზიცია 1993 წლის აპრილამდე გაურკვეველი იყო. ჰამასი თავს იკავებდა ამერიკელებზე თავდასხმებისგან და მისი საქმიანობის არეალი მხოლოდ ისრაელის სამიზნეებისკენ იყო მიმართული. ამის მიუხედავად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ის ჩართო ტერორისტთა დაჯგუფებების თავის ყოველწლიურ

სიაში. ამით დაიწყო აშშ-ის მიერ ჰამასის "დემონიზაციის» პოლიტიკა: ჰამასის წევრები გახდნენ, უბრალოდ, ტერორისტები; თავისუფლებისთვის მებრძოლთა სტატუსზე ლაპარაკი აღარ იყო. 1993 წ. მაისში კონგრესის კვლევითმა სამსახურმა გამოსცა ანგარიში სახელწოდებით: «ჰამასი: თავისუფლებისთვის მებრძოლები თუ ტერორისტები?», რომლის მიხედვითაც ამ ორგანიზაციის საქმიანობის ხასიათი საკამათო იყო. შემდგომ ვაშინგტონში პროისრაელური დაჯგუფებების ზეწოლის შედეგად ამ ნამუშევარში შეიცვალა პუნქტები და მათ შორის მისი სათაურიც (127, 197).

აშშ-ის დამოკიდებულება ჰამასის მიმართ უფრო და უფრო მტრული ხდებოდა მის ყოველ ახალ ოპერაციასთან ერთად.

1995 წ. საბანკო ანგარიშები გაუყინეს რიგ არაბ ამერიკელებსა და ისლამურ საზოგადოებებს, რომლებსაც ბრალად დასდეს ჰამასის დაფინანსება. 1996 წ. ივლისში დააპატიმრეს ჰამასის პოლიტიკური ბიუროს ხელმძღვანელი აბუ მარზუკი, რომელიც ნიუ იორკში კერძო ვიზიტით ჩავიდა; თუმცა მაისშივე გაათავისუფლეს შურისძიების თავიდან ასაცილებლად (127, 198).

აშშ-ის პოზიცია ჰამასის მიმართ განსაკუთრებით უკომპრომისო გახდა 1996 წ. თებერვლისა და მარტის ტერორისტული აქტების შემდეგ, როდესაც აშშ-მა აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს ისრაელის მიერ განხორციელებულ ყველა სადამსჯელო ოპერაციას. ასევე, 1997 წ. აშშ-მა აღკვეთა ჰამასისა და *ისლამური ჯიჰადის* მონაწილეობა პეას მიერ მოწყობილ ეროვნული დიალოგის კონფერენციაში. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა განაცხადა, რომ ჰამასი და *ისლამური ჯიჰადი* პალესტინელი ხალხის ყველაზე დიდი მტრები იყვნენ (127, 198).

თავად ჰამასის პოზიციაც მეტად შეურიგებელია. ერთ-ერთ განცხადებაში, 'აბდ ალ- 'აზიზ არ-რანტისიმ თქვა: «ჩვენ ვიცით, რომ ბუში ღმერთის, ისლამისა და მუსლიმი ხალხის მტერია. ამერიკამ ომი გამოუცხადა ღმერთს, [ისრაელის პრემიერ-მინისტრმა] შარონმა ომი გამოუცხადა ღმერთს, ხოლო ღმერთმა ომი გამოუცხადა ამერიკას, ბუშსა და შარონს». შესაბაბამისად, აშშ-ც ჰამასის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახდა.

ᲰᲐᲛᲐᲡის პირველი კავშირი დასავლეთთან დაიწყო 1991 წ. ბოლოს, როდესაც ისრაელის მიერ ისლამისტი აქტივისტების განდევნის შემდეგ მისი წარმომადგენლები შეხვდნენ დიპლომატებს აშშ-დან, ინგლისიდან, იტალიიდან და გერმანიიდან. მოძრაობის ლიდერებს მიაჩნდათ, რომ დასავლეთთან მეგობრული თუ არა, ნორმალური ურთიერთობა მაინც, მათი პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერები აღშფოთდნენ, თუმცა არ გაუკვირდათ, როცა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ᲰᲐᲛᲐᲡი ჩართო გლობალური ტერორიზმის შესახებ თავის ყოველწლიურ მოხსენებაში (393).

სახელმწიფო დეპარტამენტის ნაბიჯი დაემთხვა ისრაელის ბრალდებას, რომ ᲰᲐᲛᲐᲡმა თავისი ცენტრი აშშ-ის ტერიტორიაზე გადაიტანა. მოძრაობის ხელმძღვანელობამ ამერიკის მთავრობა დაადანაშაულა პროისრაელურ გავლენაში.

პროისლამური ლობისტების დაწოლის შედეგად აშშ-ის ტერიტორიაზე დაიწყო ოპერაციები ᲰᲐᲛᲐᲡის აქტივისტების დასაკავებლად. განსაკუთრებით მძაფრი თავდასხმებით გამოდიოდა ნიუ-იორკის სენატორი ალფონსო დ'ამატო, რომელმაც თითქმის სიტყვა- სიტყვით გაიმეორა ისრაელის ხელმძღვანელობის ფრაზები: «რადიკალური ისლამური ფუნდამენტალისტური დაჯგუფება დაფუძნებულია ღაზას სექტორში, მაგრამ მოქმედებს, აგრეთვე, იუდეასა და სამარიაში. ჩვენს შორისაც არსებობს ვრცელი ქსელი, რომელიც ეხმარება ᲰᲐᲛᲐᲡს ისრაელში ჩადენილ ტერორისტულ აქტებსა და მკვლელობებში". მან დაასახელა ჯგუფები ჩრდილოეთ ვირჯინიაში, დალასში, დეტროიტში, ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის შტატში, რომლებიც დიდ თანხებს ურიცხავდნენ ᲰᲐᲛᲐᲡს ღაზას სექტორში (393)".

1995 წ. იანვარში პრეზიდენტმა ქლინტონმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას "იმ ტერორისტული ორგანიზაციების აქტივების ბლოკირების შესახებ, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესს საფრთხეს უქმნიდნენ" და აკრძალა მათთან ფინანსური გარიგებები. ამ მითითების შემდეგ ᲰᲐᲛᲐᲡისათვის განკუთვნილი 800 000 აშშ დოლარის ღირებულების აქტივები გაყინეს (404).

ისრაელის მიერ სამი პალესტინელი ამერიკელის დაპატიმრების შემდეგ, რომლებსაც ᲰᲐᲛᲐᲡთან კავშირში ედებოდათ ბრალი, ყურადღება გამახვილდა აშშ-

ში მცხოვრებ ორგანიზაციის მხარდამჭერებზეც. რიგი პუბლიკაციებისა პრესაში მიანიშნებდა, რომ 1991-93 წწ. ჰამასის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაინცვლა აშშ-ში, რაც განაპირობა ისრაელის მიერ ორგანიზაციის იატაკქვეშეთის სტრუქტურის დანაწევრების წარმატებითმა მცდელობებმა. ეს იყო შედეგი ისრაელის მიერ ჰამასის აქტივისტების დაპატიმრებისა 1990 და 1993 წლებში. ამის შემდეგ ჰამასის ამერიკაში მცხოვრებმა მხარდამჭერებმა გადაწყვიტეს, განეახლებინათ მოძრაობის აქტივობა.

1993 წ. გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით, ჰამასის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცენტრი მდებარეობდა აშშ-ში, ვირჯინიის შტატში, სპრინგფილდის სამეცნიერო კვლევის გაერთიანებულ ასოციაციაში. ასოციაციის ხელმძღვანელი იყო აჰმად იუსუფი, ცნობილი აბუ აჰმადის სახელით; ორგანიზაციის პოლიტიკური ხელმძღვანელი - მუსა აბუ მარზუკი, კოდური სახელით - აბუ 'უმარი, ორგანიზაციის სამხედრო ხელმძღვანელი - აბუ ბადრის სახელით ცნობილი მუჰამედ კასამ სავალჰა. იგი ხშირად მოგზაურობდა აშშ-ში და ცხოვრობდა ლონდონში. სწორედ მან მოაწყო პალესტინელი ამერიკელის მუჰამედ აბდ ალ-ჰამიდ სალეჰის მოგზაურობა დასავლეთ ნაპირსა და ღაზაში.

ჰამასის ორი ეჭვმიტანილი აქტივისტი, სალეჰი და მუჰამედ ჰილმი ჯარადი (ილინოის შტატიდან) დააპატიმრეს 1993 წ. 25 იანვარს ისრაელში ორგანიზაციის რესტრუქტურიზაციის მცდელობისას. მათი ვიზიტის მოსამზადებლად ჩიკაგოს ბანკის ანგარიშიდან პალესტინაში 230 ათასი აშშ დოლარი გადაირიცხა. 16 დეკემბერს ისრაელში, ასევე, დააპატიმრეს ექიმი მაჰმუდ რუმაჰი ალ-ბარიჰადან, რომელსაც ბრალად დასდეს ამ ორი პიროვნებისთვის საბანკო ანგარიშების გახსნა. ჯარადმა და სალეჰმა ფული აღებისთანავე გაანაწილეს დასავლეთ ნაპირსა და ღაზაში. 100 ათასი დოლარი გადაეცა ძირითად სამხედრო ოპერატიულ დაჯგუფებებს ღაზას სექტორში, 60 ათასი – ჰამასის სამხედრო ფრთას რამალაჰში. დაპატიმრებისას ჯარადსა და სალეჰს აღმოუჩინეს 100 ათასი დოლარი. სალეჰის ოთახის გაჩხრეკისას აღმოსავლეთ იერუსალიმში ჰამასის საქმიანობის დეტალურად აღწერილი მასალები იპოვეს (133).

სალეჰმა განაცხადა, რომ ზემდგომმა პირებმა ამ მოგზაურობაზე 650 ათასამდე დოლარის დახარჯვის უფლება მისცეს. ფულის კვალის დასამალად მან 600 ათასი აშშ-ში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე გადარიცხა. სალეჰს, ასევე, ბრალად დასდეს 1992 წ. ვიზიტის დროს ლონდონში მცხოვრები ჰამასის სამხედრო ხელმძღვანელის, მუჰამმად კასამ სავალჰას ბრძანებით, ისრაელელებზე თავდასხმების მომზადება. მაშინ სალეჰმა ჰამასის აგენტს გადასცა 48 ათასი დოლარი იარაღის შესასყიდად, რომელიც შემდეგ ხებრონში ისრაელის ჯარისკაცებზე თავდასხმისას იქნა გამოყენებული. დაპატიმრების შემდეგ მუჰამედ სალეჰი ისრაელელ გამომძიებლებს გამოუტყდა, რომ მან ერთ კვირაში 130 ათასი დოლარი გადასცა ჰამასის აგენტებს. აქედან, 110 ათასი გამიზნული იყო იარაღის შესყიდვის, უსაფრთხო სახლების, ახალი წევრების მიმხრობისა და ლტოლვილთა დახმარებისათვის (223).

ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სალეჰი თავისი საქმიანობით ჰამასის სამხედრო ფრთის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ისრაელის გამომძიებლებთან საუბრისას სალეჰმა გამოამაჟღავნა თავისი დამოკიდებულება ისრაელისა და ტერორისტული თავდასხმების მიმართ, განაცხადა, რომ მტრის მკვლელობა «დადებითი ქმედება იყო" და მის მიზანს დასავლეთ ნაპირზე და ღაზაში მოგზაურობისას ორგანიზაციის სტრუქტურის საქმიანობისათვის მომზადება წარმოადგენდა (223).

მუჰამედ ჯარადი და მისი ოჯახი ბოლომდე უარყოფდნენ ჰამასთან კავშირს. მაგრამ, პრესის თანახმად, ჟურნალ *ალ-ზაითუნში*[37] მუდმივად ქვეყნდებოდა ჯარადის "წმინდა მიწის მეფუნთუშეებისა" და "სურსათის მაღაზიის" რეკლამა. ჟურნალისტმა, რომელმაც მოინახულა ეს მაღაზია, ასე აღწერა იგი: "მაღაზია - "წმინდა მიწის მეფუნთუშეები" და "სურსათის მაღაზია" ჩიკაგოს ცენტრში ჩრდილოეთ კედზის ქუჩაზე მდებარეობს. მისი კედლები დაფარულია პგო-ს დროშებით, *ინთიფადას* ტექსტებით, ჰამასის კომუნიკეებით, იერუსალიმის სურათებითა და ალ-აკსას მეჩეთის რელიეფებით. *ინთიფადას* ლოზუნგები ამშვენებს ყოველ კუთხეს. მთელი კედელია დათმობილი ექტრემისტული

[37] ჰამასის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ჟურნალი აშშ-ის ტერიტორიაზე (340, 7).

პალესტინური პროპაგანდის მასალებისთვის. ესენია: პლაკატები, ვიდეო კასეტები, ბროშურები და გაზეთები. ჰამასის სისტემაში გაერთიანებული მუსლიმების მსოფლიოში მოქმედების ხასიათი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ისინი მუშაობენ ამ ორგანიზაციის მხარდასაჭერად, მისი პრინციპების გასავრცელებლად და ჯიჰადის გასავითარებლად. ამგვარად, ჰამასი საერთაშორისო მოძრაობაა. კანონაღსრულების წყაროების მიხედვით, ჰამასის ორგანიზაციის მხარდამჭერი აქტივისტები ასეულობით ათას დოლარს აგროვებენ აშშ-ში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერდა ჩრდილოეთ ამერიკაში ჰამასის იდეების გავრცელებას, იყო "პალესტინის ისლამური ასოციაცია" (შემდეგ: პია)[38]. ჰამასის განწყობა ებრაელების მიმართ ნათლად იყო გამოხატული პიას გაზეთში *Palestine Monitor*, რომელიც ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა და აქვეყნებდა საუდის არაბეთის გაზეთებიდან გადმობეჭდილ ანტისემიტურ კარიკატურებს (340,9). *Palestine Monitor*-ში გამოქვეყნებული მასალები ასევე ხაზს უსვამდა სხვა ქვეყნებში (მაგალითად, ალჟირში, თუნისში, იორდანიასა და ეგვიპტეში) მიმდინარე ისლამური მოძრაობების საქმიანობას. პუბლიკაციების უმეტესი ნაწილი აღწერდა პალესტინელების ტანჯვას ისრაელის მმართველობის ქვეშ. ასეთი იყო, მაგალითად, პალესტინელი ბავშვების დაკავება, წინასწარი პატიმრობა და ფიზიკური შეურაცხყოფა. გამოყენებული იყო ნაწყვეტები პროპალესტინური ორგანიზაციების, მაგ. ვაშინგტონში პალესტინის ადამიანთა უფლებების საინფორმაციო ცენტრის, მიერ მანამდე გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან.

1998 წ. *ინთიფადას* დაწყების შემდეგ პიამ განაგრძო ჰამასის კომუნიკეების გავრცელება მათ ინგლისურ თარგმანთან ერთად. 1990 წ. დასაწყისში გამოცემული ჰამასის ბროშურა აცხადებდა: ჰამასი ადასტურებს, რომ იგი დღეს მხოლოდ ებრაელ მტერს ებრძვის და [შიდა] კონფლიქტებიც მხოლოდ მის წინააღმდეგაა

[38] პია 1981 წ. ჩამოყალიბდა აშშ-ში, დალასში, ტეხასის შტატში. იგი გამოსცემს რამდენიმე გაზეთსა და ჟურნალს: *Palestinie Monitor*, *ალ-ზაითუნსა* და *ილა-ფილისტინ/პალესტინისაკენ*; ავრცელებს *ფილისტინ ალ-მუსლიმას/პალესტინა ისლამურია*. სწორედ პიამ გაავრცელა ჰამასის ქარტია და ღაზაში გამოცემული ჰამასის *ინთიფადას* ოფიციალური კომუნიკე.

გამიზნული[39]. იმავე კომუნიკეში დადებითი შეფასება მიეცა რუს ებრაელ ემიგრანტებზე თავდასხმას ისრაელში, რათა ამგვარად, ხელი შეეშალათ რუსი ებრაელების ემიგრაციისათვის პალესტინაში. მათ წინააღმდეგ თავდასხმების შესახებ მითითებები მოცემული იყო ამავე ბროშურაში: "1990 წ. 17-20 თებერვალი ჩათვალეთ საბჭოთა ებრაელთა ემიგრაციის წინააღმდეგ პროტესტის დაწყებად და ესკალაციად".

1989 წლიდან ПИА აღნიშნავდა შეიხ აჰმად იასინის დაპატიმრების ყოველ წლისთავს. 1990 წ. მაისში ПИАმ გამოქვეყნა პლაკატები იასინის გამოსახულებით მისი დაპატიმრებიდან ერთი წლის აღსანიშნავად (340, 10).

1992 წ. ოქტომბერში, ПИАს კომუნიკემ მოუწოდა ამერიკელი მხარდამჭერების გუნდს, გაეპროტესტებინა შეიხ იასინის საპატიმრო პირობები და გამოსულიყო ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოლაპარაკებების წინააღმდეგ: "ჩვენ მოგიწოდებთ, მოითხოვოთ, რომ შესაფერისი სამედიცინო ყურადღება მიექცეს ავადმყოფ პატიმრებს, მაგალითად შეიხ აჰმად იასინს.. მოვუწოდებთ პალესტინის დელეგაციას, შეაჩეროს ისრაელთან მოლაპარაკებები დაკავებულთა მიმართ არაჰუმანური დამოკიდებულების გამო". იმავე კომუნიკემ ინსტრუქცია მისცა ПИА-ს წევრებს, სოლიდარობა გამოეცხადებინათ ისრაელის ციხეებში მსჯავრდადებული პალესტინელი ტერორისტებისათვის, რომლებმაც 1992 წ. 27 სექტემბერს შიმშილობა გამოაცხადეს. ბროშურა მიძღვნილი იყო «ჩვენი მუსლიმი ძმებისადმი" და მოითხოვდა ამერიკელი მუსლიმების მხარდაჭერას მოშიმშილეებისათვის, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოლაპარაკებების შეჩერებას: “სანამ თქვენ მოლაპარაკებებზე ხართ, ჩვენ ვკვდებით"!

ისრაელის ციხეებში მოშიმშილეთა აქციის პარალელურად, ПИАმ 15 ოქტომბერი გამოაცხადა მარხვის ეროვნულ დღედ: "ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუსლიმს, ვიმარხულოთ და ვილოცოთ ალლაჰისათვის, რათა განვამტკიცოთ დაპატიმრებულთა ნებისყოფა, მათი პოზიციის შესანარჩუნებლად, ისრაელის ციხეებში უხეში მოქცევის წინააღმდეგ". ПИАმ, ასევე, მოითხოვა ფულადი

[39] ХАМАСის კომუნიკე №53, 1990 14 თებერვალი. ნათარგმნი და გავრცელებული ПИАს მიერ ჩრდილოეთ ამერიკაში.

დახმარების შეგროვება პატიმართა ოჯახებისათვის. ბროშურას ხელი მოაწერა პალესტინის ისლამური ასოციაციის საინფორმაციო ოფისმა ტეხასში.

1993 წ. 26 თებერვალს ძლიერმა აფეთქებამ ნიუ იორკში დაარღვია ცნობილი ცათამბჯენის - მსოფლიო სავაჭრო ცენტრის საფუძველი. დაიღუპა ექვსი და დაშავდა ათასზე მეტი ადამიანი. 50 ათასამდე იქნა ევაკუირებული დაზიანებული შენობებიდან. აფეთქების შედეგად წარმოიქმნა 120 მეტრამდე სიგანისა და ხუთი სართული სიღრმის ორმო, რომელმაც მთლიანად დაანგრია იქვე მდებარე მეტროს სადგური (274). გამოძიების ფედერალური ბიუროს განცხადებით, ეს იყო ყველაზე დიდი ასაფეთქებელი საშუალება, რომელიც კი ოდესმე უნახავთ. ექსპერტების შეფასებით, ბომბი 400 კგ-მდე იწონიდა (43). აფეთქებიდან რამდენიმე დღეში, ფედერალურმა გამომძიებლებმა დააპატიმრეს მუჰამედ სალამე, აშშ-ში არალეგალურად მცხოვრები 25 წლის იორდანელი. ეს მან იქირავა ყვითელი ფორდი, რომელიც გამოყენებული იქნა აფეთქების დროს. სალამე ორ სხვა დაკავებულ ეჭვმიტანილთან, ნიდალ აიადთან და ელ-გაბრონთან ერთად მონაწილეობდა დემონსტრაციებში ელ-საიიდ ნოსეირის მითითებით. მეოთხე ეჭვმიტანილი, რომელმაც მოასწრო პაკისტანში გაქცევა, ითვლებოდა ჰამასის ტერორისტული სექციის უფროსად (340, 17).

4. ჰამასი, სამშვიდობო პროცესი და პალესტინის ავტონომიის ეროვნული ადმინისტრაცია 1993-99 წლებში

ჰამასსა და პგოს შორის პალესტინის ეროვნულ მოძრაობაში ლიდერობისათვის ბრძოლა თავდაპირველად ძირითადი მიზნების მისაღწევად საჭირო გზების გარშემო ტრიალებდა. ყოველივე ეს უფრო გამწვავდა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში მნიშვნელოვანი მიღწევების გამო. სპარსეთის ყურის კრიზისის შემდეგ ჰამასი, ისევე, როგორც პგო, უნდა გამოხმაურებოდა აშშ-ის რეგიონალურ პოლიტიკურ პროცესს. მაგრამ, პგოსგან განსხვავებით, ჰამასს არ უნდოდა თავისი პრინციპების გადასინჯვა და ცდილობდა დაერწმუნებინა პგო, რომ მას შეეცვალა არჩეული გეზი.

მადრიდში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დასამყარებლად და ისრაელისა და იორდანია-პალესტინის

დელეგაციებს შორის მიმდინარე დიალოგმა კიდევ უფრო გააღრმავა დაძაბულობა რელიგიურ და ეროვნულ ბანაკებს შორის. ჰამასის პროკლამაციები გმობდნენ პალესტინის მონაწილეობას ამ "მიწის გამყიდველ კონფერენციაში».

ორ ბანაკს შორის ნაპრალი კიდევ უფრო გაღრმავდა ისრაელში 1992 წ. ივნისში შრომის პარტიის გამარჯვებისა და პოლიტიკურ პროცესში შემდგომი პროგრესის პერსპექტივის გამოჩენის შემდეგ. 1993 წლის 13 სექტემბერს თეთრ სახლში ხელმოწერილმა პრინციპების დეკლარაციამ (149, 111-132;. 151, 19-36. 264, 2-6; 110, 97-124), რომელიც მიღწეულ იქნა პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგად, ისრაელის და პალესტინელი ხალხის თანაცხოვრების საფუძველი შექმნა. ჰამასმა, თავის მხრივ, მას ძალადობის ესკალაციით უპასუხა. ჰამასის ყველაზე გადაუდებელი სტრატეგიული მიზანი სამშვიდობო პროცესის ჩაშლა გახდა. ყოველივე ამის პარალელურად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახდა ისრაელის მიერ პგოს დადანაშაულება ჰამასთან კავშირში.

პალესტინის ოფიციალური პირები ეწინააღმდეგებოდნენ ჰამასისთვის ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას. ხშირად მას ისრაელზე ზეწოლისათვის იყენებდნენ. ფათჰის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის 'აბბას ზაქაის განცხადებით, ჰამასის თავდახმები აძლიერებენ პალესტინის პოზიციას; მათი აღკვეთა საშიში იქნებოდა, რადგან შეთანხმების პრინციპები ისე არ შესრულდებოდა, თუ არ იქნებოდა ისრაელზე ზეწოლის რამე საშუალება (388).

"პრინციპების დეკლარაციის" ხელმოწერის შემდეგ, ჰამასის წინაშე ალტერნატივა გაჩნდა: დარჩენილიყო ერთგული თავისი იდეოლოგიისა, რომელიც უარყოფდა ისრაელთან მშვიდობიან თანაარსებობას, ან მიეღო პრაგმატული ზომები, რათა არ დაეკარგა დასაყრდენი პალესტინის საზოგადოებაში. ჰამასის პასუხი ოსლოს პროცესზე გამოიხატა:

1. სხვა პალესტინელ დაჯგუფებებთან ერთად პროტესტის ფართო ფრონტის ჩამოყალიბებით;

2. ისრაელის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის გაძლიერებით და

3. პეაში ადგილების მოპოვების მცდელობით.

ᲰᲐᲛᲐᲡის პოლიტიკის ეს სამი ფაზა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყო, თუმცა სხვადასხვა დროს მათზე აქცენტი იცვლებოდა. ოსლოს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე შეიარაღებული ბრძოლის გაძლიერების მცდელობა ᲰᲐᲛᲐᲡის სტრატეგიის მთავარ ნაწილად იქცა და ის თან სდევდა ამ შეთანხმების განხორციელების პირველ ეტაპს.

სამშვიდობო პროცესის მოწინააღმდეგე პალესტინელი ჯგუფების ფრონტის დაარსების მცდელობას ბევრი სირთულე ახლდა. სხვადახვა ორგანიზაციას სურდა სამშვიდობო პროცესის ჩაშლა, მაგრამ უარს ამბობდა გარკვეული ზომების მიღებაზე. შიდა განსხვავებების მიუხედავად, გადაწყდა, გაერთიანებული ფრონტის შექმნა, რომელიც ხელს შეუშლიდა ოსლოს ხელშეკრულების განხორციელებას. ეს გადაწყვეტილება მიიღეს 1993 წ. ოქტომბერში დამასკოში გამართულ კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ათი რადიკალური ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამგვარად ჩამოყალიბებულ ორგანოში – "დემოკრატიულ და ისლამურ ეროვნულ ფრონტში" შევიდნენ შემდეგი ორგანიზაციები: ᲰᲐᲛᲐᲡი, პალესტინის *ისლამური ჯიჰადი*, პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი ნაიფ ჰავათმას ხელმძღვანელობით, სახალხო ფრონტი - აჰმად ჯიბრალის ხელმძღვანელობით და სხვა ხუთი უფრო პატარა დაჯგუფება. ათმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ისინი არ ცნობდნენ ᲠᲒᲝს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს ოსლოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და აპირებდნენ, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ᲠᲒᲝს სხვა ღონისძიებებისათვისაც. ისლამურ ჯგუფებსა და მემარცხენე ფრონტებს შორის იდეოლოგიური განსხვავებების გამო გართულდა საერთო სტრატეგიის შემუშავება. 1994 წ. დასაწყისში მხარეები შეთანხმდნენ პლატფორმაზე, რომელიც ეფუძნებოდა ᲠᲒᲝს 1974 წ. პალესტინის ქარტიას და "ეტაპების სტრატეგიას". პლატფორმის მიხედვით, პალესტინა განთავისუფლდებოდა ეტაპობრივად, ვიდრე არ განხორციელდებოდა საბოლოო მიზანი - პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბება ზღვიდან მდინარემდე. მაგრამ მემარცხენე ფრონტებში ყოველთვის არსებობდა იდეოლოგიური ნაპრალი: მათ სურდათ რელიგიისა და სახელმწიფოს და, ასევე, ფუნდამენტალისტური ᲰᲐᲛᲐᲡის განცალკევება, რომელიც მიზნად ისახავდა შარიათის სახელმწიფო კანონად

გამოცხადებას. ᲰᲐᲛᲐᲡის მცდელობამ - ემუშავა ოსლოს ხელშეკრულების წინააღმდეგ ყველა მოწინააღმდეგე დაჯგუფებასთან კოალიციაში, არ გაამართლა და ეს აშკარა გახდა ფრონტის შექმნიდან რამდენიმე თვეში.

ოსლოს ხელშეკრულების პირველი ეტაპის განხორციელების გართულებამ ᲰᲐᲛᲐᲡს იმედი მისცა, რომ სამშვიდობო პროცესი ჩაიშლებოდა, მაგრამ 1994 წ. 4 მაისს ხელი მოეწერა შეთანხმებას ღაზას სექტორიდან და იერიქონიდან ისრაელის გასვლის შესახებ. პალესტინის პოლიცია სწრაფად განთავსდა ისრაელის მიერ დაცლილ ტერიტორიებზე. არაფათი თბილად მიიღო ღაზას მოსახლეობამ, სადაც, მისი განცხადებით, მისი მუდმივი ადგილსამყოფელი იქნებოდა. ამ მოვლენებმა ᲰᲐᲛᲐᲡი გაურკვევლ მდგომარეობაში ჩააყენა, გამოიწვია უთანხმოება, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე ფრონტში - პარტნიორებს შორის.

ᲰᲐᲛᲐᲡი დარწმუნებული იყო, რომ პალესტინის ავტონომია იყო სიონისტურ მტერთან თანაარსებობის შეთანხმების შედეგი. სიონისტები დათანხმდნენ ამ თვითმმართველობის შექმნას, რათა მიეღწიათ თავიანთი უახლოესი და შორეული მიზნებისათვის. ავტონომიური ხელისუფლება იყო ოსლოს შეთანხმების მძევალი, ოკუპაციის და მისი შედეგების ლეგალური საბურველი.

ᲰᲐᲛᲐᲡი თვლიდა, რომ სიონისტებმა თავიდან აიცილეს კონფრონტაცია მოძრაობასთან იმით, რომ ამოეფარნენ ავტონომიის ხელისუფლებას. ამასთან, ᲰᲐᲛᲐᲡი იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ ავტონომიის ხელისუფლებასთან დაპირისპირება წყალს სიონისტების წისქვილზე ასხამდა. ᲞᲔᲐᲡთან თანამშრომლობა კი აშკარად ეწინააღმდეგებოდა ᲰᲐᲛᲐᲡის სტრატეგიულ მიზანს - მიეღწია დომინირებული მდგომარეობისთვის პალესტინის პოლიტიკაში ისლამის დროშის ქვეშ. ᲞᲔᲐᲡ ფორმალური სტატუსის ცნობა ნიშნავდა ისრაელის აღიარებას, თუნდაც მხოლოდ ნაწილობრივ და დროებით. ამასთან, რაიმე თანამშრომლობა ᲞᲔᲐᲡთან, თუ შეჩერდებოდა *ჯიჰადი* - ისრაელთან შეიარაღებული დაპირისპირება, იყო შეუძლებელი. შემრიგებლურ პოზიციაზე გადასვლა ძირს უთხრიდა ᲰᲐᲛᲐᲡის მოძრაობის იდეოლოგიურ საფუძველს და ხალხის სიმპათიას მის მიმართ. მაგრამ პოლიტიკური სიტუაციიდან გარიყვაც იმავე საფრთხეს ქმნიდა. ამგვარად, ᲰᲐᲛᲐᲡი მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1994 წ. 18 ოქტომბერს ღაზაში, მეჩეთთან, ჰამასის მიმდევრებსა და პალესტინის პოლიციას შორის უპრეცედენტო სერიოზული ინციდენტი მოხდა. ზოგიერთმა მლოცველმა ცეცხლი გაუხსნა პოლიციას მას შემდეგ, რაც მათ მეგაფონები წაართვეს. პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნა. თექვსმეტი ადამიანი დაიღუპა, ორასამდე დაიჭრა. ჰამასმა განაცხადა, რომ მისმა მიმდევრებმა პოლიციას მხოლოდ ქვები დაუშინეს. ამ ინციდენტმა გამოიწვია ურთიერთბრალდებები. შემდეგ ორივე მხარემ გადაწყვიტა სიტუაციის განმუხტვა, რათა მომავალში თავიდან აეცილებინა მსგავსი ინციდენტები. გავლენიანმა ისრაელელმა არაბებმა და ღაზელებმა მედიატორების როლი იკისრეს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებლი იყო ქუჩებში ყველა შეიარაღებული პროვოკაციული მანიფესტაციის აკრძალვა. ჰამასმა აღიარა პალესტინის პოლიციის, როგორც საზოგადოებაში იარაღის ტარების მონოპოლიური უფლების მქონე უზენაესობა.

ამ ეტაპზე პემამ თვალი დახუჭა ისრაელის წინააღმდეგ ჰამასის საქმიანობაზე. პემა-ს წამყვანმა ფიგურამ, ნაბილ შაასმა, გაზეთ *ალ-კუდს*თან ინტერვიუში განაცხადა, რომ პემას არ შეეძლო ისლამური ოპოზიციის განიარაღება, რადგანაც არ სურდა ყოფილიყო ისრაელის "კატის თათი"; ამასთან, პემას იმედი ჰქონდა, რომ ჰამასის გამუდმებული თავდასხმები დააჩქარებდა ისრაელის გასვლას ტერიტორიებიდან. თავის მხრივ, ჰამასის ლიდერები ხვდებოდნენ, რომ პემას ტოლერანტული პოლიტიკა მათ მიმართ მხოლოდ დროებითი იყო.

ჰამასის შიგნით იყო სურვილი, პემასთან საერთო ენის გამონახვის თაობაზე. *ალ-კუდს*ისთვის ციხიდან მიცემულ ინტერვიუში შეიხმა აჰმედ იასინმა მოუწოდა ჰამასს, რომ პემასთან მოლაპარაკებები გაემართა თანამშრომლობის ფორმულის მისაღწევად. არაფათისადმი წერილში იასინმა მხარი დაუჭირა იდეას, რომ მათ შორის დადებულიყო ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ჰამასისა და პემას ურთიერთობას მყარ საფუძველს შეუქმნიდა და აღკვეთდა ძალადობას. ამასობაში პემამ ჰამასის წინააღმდეგ სასწრაფო ზომები მიიღო: დააპატიმრა და სასამართლოს გადასცა მისი ლიდერები. მართალია, ისინი მალე გაანთავისფლეს, მაგრამ ამ ნაბიჯმა დიდი დარტყმა მიაყენა ჰამასის ინფრასტრუქტურას.

ტერორიზმი, ანუ შეიარაღებული ბრძოლა, ᲰᲐᲛᲐᲡის ტერმინოლოგიით - *ჯიჰადი* ᲰᲐᲛᲐᲡის სტრატეგიის არსებითი ნაწილი იყო. იგი ასევე წარმოადგენდა ოსლოს პროცესზე დაუყოვნებლივ პასუხს. ამ ეტაპზე, *ჯიჰადი* თვითმკვლელობის, თავგანწირვის (*ისთიშჰადის*) დონემდე ავიდა. თვითგანწირვის კამპანიის ინიციატივა მოდიოდა სამხედრო ფრთის 'იზზ ად-დინ ალ-კასამის რიგებიდან. ორგანიზაციის პროკლამაციების მიხედვით, მხოლოდ მისი ინიციატივის შემდეგ დაუჭირა მხარი ᲰᲐᲛᲐᲡის ხელმძღვანელობამ ამ კურსს (368,24). თავდასხმების ტალღასა და სამშვიდობო პროცესის განვითარებას შორის კავშირი აშკარა იყო. მაგალითად, ის თავდასხმები, რომლებიც ᲰᲐᲛᲐᲡმა განახორციელა აფულასა და ჰადერაში 1994 წ. აპრილში, წინ უსწრებდა ისრაელისა და ᲠᲒᲝ-ს შორის ხელშეკრულების ხელმოწერას კაიროში. ეს თავდასხმები იყო პასუხი იმავე წლის 25 თებერვალს ებრაელი ექსტრემისტის ბარუხ გოლდსტეინის მიერ ხებრონის მეჩეთში 29 მუსლიმის მკვლელობასა და 125-ის დაჭრაზე. რამათ-განსა და იერუსალიმში 1995 წ. ივლისსა და აგვისტოში განხორციელებული თავდასხმებიც, შესაბამისად, დაემთხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევნების ჩატარების შესახებ მოლაპარაკებებს, რომლებიც იყო ოსლო II-ის ხელშეკრულების ნაწილი.

თვითმკვლელი თავდამსხმელების უმრავლესობა ღაზას სექტორიდან იყო, დაუქორწინებლები, 18-25 წლის ასაკის, საშუალო განათლებით. მათ რიგებში უმაღლესდამთავრებულნიც იყვნენ. მათი ერთი ნაწილი სხვა აქტივისტებმა აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგათ. მეორე ნაწილი მოხალისე იყო. ზოგიერთმა მათგანმა მეგობრებსა და ნათესავებს გაუზიარა საკუთარი სურვილი *ისთიშჰადისა*, მაგრამ არ გაამხილეს დეტალები. მათი პირადი მოტივაცია და გადაწყვეტილება, განეხორციელებინათ თვითმკვლელობის აქტები, გამოწვეული იყო რელიგიური თავგანწირვით. ᲰᲐᲛᲐᲡის ან *ისლამური ჯიჰადის* ხელმძღვანელობა თავდამსხმელებს აგზავნიდა უკანასკნელი მისიით და სიკვდილის შემდეგ მარადიული სამოთხის დაპირებებით. თვითმკვლელები თავდასხმის და სისხლიანი აქტის დროს გაიძახოდნენ: "ალლაჰი ყველაზე დიდია" (*ალლაჰუ აქბარ*).

თავდასხმებთან ერთად, ᲰᲐᲛᲐᲡის სამხედრო ფრთა იტაცებდა და ხოცავდა ისრაელელ ჯარისკაცებს, როგორც ეს მოხდა 1994 წ. ივლისსა და ოქტომბერში.

ბოლო შემთხვევაში ჰამასმა ისრაელის ხელისუფლებასთან «ნერვების ომი» გააჩაღა, მოითხოვდა პალესტინელი პატიმრების გაცვლას მათ მიერ აყვანილი მძევლების სანაცვლოდ. ისრაელის სპეცსამსახურის ცდა, გაეთავისუფლებინა მძევალი, წარუმატებლად და უკანასკნელის მოკვლით დასრულდა.

ჰამასის გაძლიერებულ ტერორისტულ კამპანიას ისრაელის ხელისუფლებამაც დამსჯელი ზომებით უპასუხა. მან ჩაკეტა ოკუპირებული ტერიტორიები, დააწესა კომენდანტის საათი და შეზღუდა მწვანე ხაზის საზღვრებში სამუშაოებზე გასვლის შესაძლებლობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჰამასის ხელმძღვანელობა მივიდა დასკვნამდე, რომ ხალხის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად საჭირო იყო პლასთან დათმობებზე წასვლა, თუნდაც უარის თქმა შეიარაღებულ ბრძოლაზე.

1995 წ. 7 ოქტომბერს ჰამასის ოთხი აქტივისტი ღაზას სექტორიდან ხართუმში შეხვდა ორგანიზაციის საგარეო ხელმძღვანელობას შიდაორგანიზაციული უთანხმოებების შემცირების მიზნით. ამ მისიას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. ღაზაში გავრცელებული პროკლამაციის მიხედვით, ეს პირები არ იყვნენ ორგანიზაციის წარმომადგენლები და, ამგვარად, არ ჰქონდათ უფლება, რომ პლასთან ფორმალური კავშირის დამყარების სურვილი გამოეხატათ. ისინი ღაზაში 11 ოქტომბერს დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ მათი მისია ჯერ არ იყო დასრულებული. დამასკოში გამოცემული კომუნიკე იუწყებოდა, რომ ერთადერთი საკითხი, რომელიც გადაწყდა, იყო ჰამასის სურვილი პლასთან მოლაპარაკებების დაწყებისა. გამოიცა ასლი ხელშეკრულების პროექტისა, რომელიც მათ შორის უნდა დადებულიყო. ძირითადი საკითხები შეეხებოდა ჰამასის მიერ ისრაელის წინააღმდეგ შეიარაღებული ოპერაციების შეწყვეტას იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც პლა აკონტროლებდა და პლას მიერ ჰამასის დაპატიმრებული წევრების განთავისუფლებას.

ხელშეკრულების დადების შეთავაზების შემდეგ გამწვავდა უთანხმოება მოძრაობის რიგით წევრებსა და წამყვან ეშელონებს შორის. აღმოჩნდა, რომ მოძრაობის საგარეო ხელმძღვანელობა, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა პლას პირობების უარყოფას, კარნახობდა მოძრაობის ოფიციალურ კურსს. საგარეო

ხელმძღვანელობას შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: მუსა აბუ-მარზუკი - იორდანიაში ჰამასის ოფისის თავმჯდომარე; იბრაჰიმ ღუშა და ‘იმად ალ-‘ალამი, ჰამასის წარმომადგენელი თეირანში[40].

პმასთან მოლაპარაკები მაინც დაიძრა. 1995 წ. ოქტომბერში ცხრა ჰამასელი აქტივისტი დასავლეთი ნაპირიდან ჯამილ ჰამამის ხელმძღვანელობით ჩავიდნენ ღაზაში. ისინი შეხვდნენ იასირ არაფათსა და ხართუმიდან დაბრუნებულ დელეგაციას. პგრ-ს წყაროებით, ჰამასის დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ მათი მიზანი იყო პმასთან ურთიერთგაგების მონახვა და პალესტინელი ხალხის ერთიანობის შენარჩუნება. მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გავრცელებული პროკლამაციის მიხედვით, მოძრაობის განწყობა ოსლოს პროცესის მიმართ ურყევი დარჩა და ის არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა შეირაღებული ბრძოლის შეწყვეტას.

1995 წ. 7 დეკემბერს ის დელეგაცია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ისე - საზღვარგარეთიდან, კაიროში შეხვდნენ პმას წარმომადგენლებს. პმას 15-კაციან დელეგაციას ხელმძღვანელობდა სალიმ ზა’ნუნუ, პმას თავმჯდომარე; ჰამასის 13-კაციან დელეგაციას - იორდანიაში მოქმედი ჰამასის პოლიტიკური ბიუროს წევრი ხალიდ მაშ‘ალი. მოლაპარაკებების დროს პმამ წამოაყენა წინადადება, რომ ჰამასს მონაწილეობა მიეღო საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებში, შეეწყვიტა ტერორი და გამხდარიყო პოლიტიკური პარტია. ჰამასის დელეგატებმა უარი თქვეს ამ წინადადებაზე. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ “მოძრაობის პოზიციაა ბოიკოტი გამოუცხადოს არჩევნებს, რომელიც შედეგია ოსლოს გამცემლური ხელშეკრულების დადებისა, და უარი თქვას მასში ნებისმიერი სახით, ან არაპირდაპირი ფორმით მონაწილეობაზე, არის საბოლოო, გადაწყვეტილი და შეუცვლელი პოზიცია”. პასუხად ბრალდებისა, რომ ჰამასის ხელმძღვანელობა თითქოს აქეზებდა თავის წევრებს და მიმდევრებს თავისუფალ კანდიდატებად მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, ამ განცხადებაში ეწერა: ყველა ის ე.წ. კანდიდატი, რომელიც პრესის ინფორმაციის თანახმად, მონაწილეობს არჩევნებში, არ წარმოადგენს ჰამასის

[40]მოგვიანებით მუსა აბუ მარზუკი აშშ-ის ჰამასის ფილიალის პოლიტიკური ხელმძღვანელი გახდა. მისი კოდური სახელი იყო აბუ ‘უმარი. 1995 წ. დააპატიმრეს აშშ-ში (340, 6).

მოძრაობას, არ მოქმედებს მისი სახელით, კურთხევით ან თანხმობით.” ხალიდ მაშ‘ალმა განაცხადა, რომ “ჯიჰადი ისრაელის წინააღმდეგ კვლავ გაგრძელდება”.

ჰამასმა მართლაც ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს (168, 1-26), რომელშიც არაფათის მომხრეებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს. ამასთან, მოძრაობის ლიდერებს არ სურდათ პეასთან ურთიერთობების უფრო გამწვავება. ჰამასმა განაცხადა, რომ ბრძოლის გაგრძელების ფიცი პეას ავტორიტეტის შესალახად არ გაკეთდა. უფრო მეტიც, დადო პირობა, ეღიარებინა მომავალი არჩევნების შედეგები და არ მოეწოდებინა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისთვის, უარი ეთქვათ ხმის მიცემაზე.

დიალოგი განახლდა 1996 წ. დასაწყისში. ამ დროისთვის პეამ მიზნად დაისახა დაერწმუნებინა ჰამასი, რომ თავი შეეკავებინა შურისძიებისაგან იაჰია აიაშის მკვლელობის გამო. მხარეები თითქმის შეთანხმდნენ კიდეც, მაგრამ 1996 წ. 25 თებერვალს იერუსალიმში ავტობუსის აფეთქებამ მოლაპარაკებები ჩიხში მოაქცია და ძლიერ დაძაბა ურთიერთობები მხარეთა შორის. ამ ინციდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აზრთა სხვადასხვაობა ჰამასის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადას შორის.

ტერორიზმის შედეგი იყო ოკუპირებული ტერიტორიების სრული ჩაკეტვა და ადგილობრივი კომენდანტის საათები, რაც ისრაელის ხელისუფლების ჩვეული პასუხი იყო ტერორისტულ აქციებზე; ეს ისრაელის მოსახლეობას უსაფრთხოების მცირედით მეტ შეგრძნებას აძლევდა, ხოლო დახურული ტერიტორიების ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებდა და პალესტინელთა შორის მღელვარებასა და სასოწარკვეთას ავრცელებდა (331). ტერორიზმის შედეგები მხოლოდ ხალხის მასებზე არ ვრცელდებოდა. მან განაპირობა სამშვიდობო პროცესის რიტმის შენელება. ამ კონტექსტში ტერორიზმსა და პოლიტიკურ სფეროს შორის კავშირი ნათელი გახდა.

1994 წლის ოქტომბერში ‘იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადის მიერ ისრაელელი ჯარისკაცის მოტაცებისა და მკვლელობის გამო ისრაელმა დროებით შეაჩერა მოლაპარაკებები პგოსთან კაიროში. 1996 წ. თებერვალ-მარტში თავდასხმების სერიის შემდეგ, ისრაელის შრომის პარტიამ, შიმონ პერესის

ხელმძღვანელობით, გადაწყვიტა გადაევადებინა ხებრონიდან ისრაელის სამხედრო ძალების გაყვანა. დისლოკაციის შეცვლა განხორციელდა მხოლოდ 1997 წ. იანვარში, ПЕАსა და 1996 წ. ახლადარჩეულ ლიკუდის მთავრობას[41] შორის დადებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით. ХАМАСმა თვითმკვლელთა თავდასხმების კამპანია გამოაცხადა შურისძიებად იაჰია აიაშის მკვლელობის გამო.

ისლამური ტერორიზმი მთავარი საკითხი იყო დღის წესრიგში 1996 წ. მაისში ისრაელის საარჩევნო კამპანიის დროს მხარეთა შეხვედრაზე. იბრაჰიმ ღუშას თანახმად, ХАМАСი მუშაობდა, რათა გავლენა მოეხდინა ისრაელის ხალხის მასებზე, დახმარებოდა მათ ლიკუდის პარტიას გამარჯვებაში და ამით ოსლოს პროცესი ჩაეშალა. ამ თვალსაზრისით, არჩევნების შედეგები ХАМАСის ლიდერებისა და მისი მიმდევრების დროებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ შეიარაღებული ბრძოლა ХАМАСისთვის არახელსაყრელ საქმიანობაში გადაიზარდა. მოძრაობა მუდმივად განიცდიდა ФАТХის დარტყმებს, რომელსაც სურდა, აღმოეფხვრა ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხე და განეახლებინა ოსლოს პროცესი.

ХАМАСთან არაფათის გარკვეული თამაშის ნიშანი იყო ХАМАСის ხელმძღვანელობის მიწვევა 1999 წ. 26 აპრილის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა იმ წელს პალესტინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადება. შეიხმა აჰმედ იასინმა განაცხადა, რომ ეს იყო პირველი მიპატიჟება ХАМАСისა ამგვარ შეხვედრაზე. მან თქვა, რომ, მართალია, არ ეთანხმებოდა არაფათს იმის თაობაზე, თუ რა სახის სახელმწიფო უნდა შექმნილიყო, მაგრამ მისი ცალმხრივი გამოცხადება გაანთავისუფლებდა პალესტინელებს ოსლოს პროცესისაგან (334).

28 აპრილს, ХАМАСის ხელმძღვანელობამ გამოთქვა იმედი, რომ ПГОსთან ურთიერთობა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ასევე ცხადყო, რომ არ მომხდარა

[41]ლიკუდის მემარჯვენე ბლოკმა ბენიამინ ნეთანიაჰუს ხელმძღვანელობით გაიმარჯვა 1996 წ. 29 მაისის არჩევნებში. შრომის პარტიამ, შ. პერესის მეთაურობით, მიიღო 34, ხოლო ლიკუდმა - 32 ადგილი. ამან აიძულა ნეთანიაჰუ, შეექმნა კოალიცია, რომელიც აერთიანებდა სამ ორთოდოქსული, ულტრაორთოდოქსული და ორ მემარჯვენე-ცენტრისტულ პარტიებს. პარლამენტის 120 ადგილიდან კოალიციას ეკუთვნოდა 68.

არსებითი ცვლილება მის პოზიციაში ისრაელზე შეიარაღებულ თავდასხმებთან, ოსლოს ხელშეკრულებასთან, ПმАსთან და არაფათთან დაკავშირებით (371).

მალე ვითარება შეიცვალა. ერთი თვის შემდეგ, 24 მაისს გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პალესტინის პოლიციამ დააპატიმრა ისრაელის მიერ შვიდი წლის მანძილზე ძებნილი, ჰАმАსის სამხედრო ფრთის 'იზზ ად-დინ კასამის ბრიგადის წევრი, საედ არაბიედი. დააკავეს მისი თანაშემწეც, ხალილ საქანი, პროჰАმАსური გაზეთის *არ-რისალას* რედაქტორი ღაზი ჰამედი და სხვ. (384).

ჰАმАსის მიერ სამშვიდობო პროცესისა და ახლო აღმოსავლეთის რეჟიმების გამუდმებულმა კრიტიკამ გაღიზიანება გამოიწვია. ამის გამოხატულება იყო წინა წლის 30 აგვისტოს, იორდანიაში, მეფე აბდ ალლაჰის ბრძანებით, ამანში, ჰАმАსის შტაბბინის დახურვა, რასაც მოითხოვდა ისრაელი. დააპატიმრეს ჰАმАსის 15 აქტივისტი. 22 სექტემბერს ამანის აეროპორტში დააკავეს ირანიდან დაბრუნებული ჰАმАსის სამი ლიდერი: ხალიდ მაშ'ალი, იბრაჰიმ ღუშა და მუსა აბუ მარზუკი. დაპატიმრებულ ჰАმАსელთა საერთო რიცხვმა 24-ს მიაღწია. მალე იორდანიამ გააძევა აბუ მარზუკი, იმ საბაბით, რომ მას არ ჰქონდა ამ ქვეყნის მოქალაქეობა. ნოემბერში პატიმართა უმრავლესობა გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ შეწყვეტდნენ საქმიანობას ჰАმАსის სახელით, ხოლო ოთხი პიროვნება: ხალიდ მაშ'ალი, იბრაჰიმ ღუშა, 'იზზათ რუშუკი და სამი ხატერი 21 ნოემბერს გააძევეს ქვეყნიდან. ისინი შეიფარა კატარმა (363).

ჰАმАსი ამაყობდა თავისი გმირული საქმიანობით. მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით 1998-94 წწ. ჰАმАსის აქტივისტებმა ისრაელის წინააღმდეგ განახორციელეს 85 ოპერაცია. 1993 წ. 13 სექტემბრიდან (ოსლოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან) 1996 წ. 31 დეკემბრამდე ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაიღუპა 202 ადამიანი – მათ შორის 132 მშვიდობიანი მოქალაქე და 70 უშიშროების ძალების მოსამსახურე. დაიჭრა 979, მათ შორის 614 მშვიდობიანი მოქალაქე და 365 უშიშროების ძალების მოსამსახურე. 128 მოკლულიდან 80 ჰАმАსის, ხოლო 48 – *ისლამური ჯიჰადის* თვითმკვლელის თავდასხმის მსხვერპლი გახდა. საყურადღებოა დახოცილ ისრაელელთა პროპორციაც ოსლოს ხელშეკრულების დადების შემდეგ *ინთიფადას* დაწყებიდან დაღუპულთა საერთო

რიცხვთან. 366-დან 202 მოკლეს 1987-96 წლებში, ხელშეკრულების ხელმოწერის პარალელურად (368, 26).

თავი IV

სამშვიდობო პროცესი, პალესტინის ავტონომია და ჰამასი 2000-05 წლებში

1. სამშვიდობო პროცესი ჩიხში

იმისთვის, რომ შექმნილიყო პალესტინელებთან ნდობის ვითარება და გამორიცხულიყო პალესტინის ავტონომიისთვის აღმოსავლეთი იერუსალიმის გადაცემის საკითხი, 2000 წ. 15 მაისს ქნესეთმა მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება, გადაეცათ პალესტინის ავტონომიისათვის იერუსალიმის მახლობლად სოფ. აბუ-დისი და კიდევ 2 სოფელი. ბარაკმა განაცხადა, რომ არაფათის გამოსვლები, რომლებშიც ის აღნიშნავდა, რომ პალესტინის მომავალი დედაქალაქი უნდა ყოფილიყო ალ-კუდსი/იერუსალიმი, გულისხმობდა პალესტინის ავტონომიის დედაქალაქის შექმნას აბუ დისში.

2000 წ. 12 ივლისს აშშ-ში, კემპ-დევიდში, დაიწყო მოლაპარაკებები, ბარაკის და არაფათის ხელმძღვანელობით, ისრაელისა და პალესტინის დელეგაციებს შორის (260, 228-229; 124, 75-97; 191, 116-123) საბოლოო ხელშეკრულების დასადებად. მოლაპარაკებებში მონაწილეობდა პრეზიდენტი ქლინტონი, რომელმაც ყველა ღონე იხმარა, რათა მხარეები შეთანხმებულიყვნენ (200, 30-33).

ბარაკი წავიდა დიდ დათმობებზე. ისრაელი მზად იყო გადაეცა პალესტინის ავტონომიისათვის იუდეას, სამარიას და ღაზას სექტორის 98 პროცენტი, მათ შორის იორდანეს ველი, სადაც 5 წელი კვლავ იქნებოდა შენარჩუნებული ისრაელის სამხედრო კონტიგენტი. ისრაელი იტოვებდა თავის კონტროლქვეშ ტერიტორიის 2 პროცენტს, რისთვისაც პალესტინის ავტონომიას გადაეცემოდა თანაბარი ტერიტორია ნეგევში. ისრაელს უნდა მოეხდინა ებრაელთა დასახლებების კომპლექსის ლიკვიდაცია ღაზას სექტორში და დასახლებების მნიშვნელოვანი ნაწილისა - იუდეასა და სამარიაში. მაგრამ მხარეებმა ვერ შეძლეს, მიეღწიათ კომპრომისისთვის იერუსალიმთან დაკავშირებით.

ისრაელის დელეგაცია მზად იყო, ეცნო პალესტინის ავტონომიის კონტროლი ტაძრის მთაზე, მაგრამ არაფათი მოითხოვდა ქალაქის ყველა არაბული რაიონის

ჩართვას პალესტინის ავტონომიაში და აღმოსავლეთ იერუსალიმის გამოცხადებას პალესტინის ავტონომიის დედაქალაქად.[42]

ვერ გამოინახა კომპრომისი ლტოლვილთა თაობაზეც.

პალესტინის დელეგაცია მოითხოვდა, რომ ისრაელში დაბრუნებულიყვნენ 1948 და 1967 წლების ლტოლვილები და რომ ისრაელს ოფიციალურად ეცნო მათი უფლება დაბრუნებაზე, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ისრაელის ყველა პოლიტიკური ძალა. მათი არგუმენტირებული თვალსაზრისით, ლტოლვილთა დაბრუნება ისრაელში გამოიწვევდა სახელმწიფოს ეთნიკური სახის შეცვლას. მიუხედავად ამისა, ბარაკი თანახმა იყო, ეცნო 1948 წ. ლტოლვილების უკან დაბრუნების უფლება. ნახევარი მილიონი ლტოლვილი განსახლდებოდა პალესტინის ავტონომიაში, ხოლო შეზღუდული რაოდენობა (5 ათასი კაცი ყოველწლიურად - 20 წლის მანძილზე) - ისრაელის ტერიტორიაზე. მაგრამ არაფათი მოითხოვდა ყველა ლტოლვილის დაბრუნებას და რომ ისრაელს ეღიარებინა პასუხისმგებლობა ამ პრობლემის გაჩენის გამო, რაც ისრაელისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სამშვიდობო პროცესი კიდევ ერთხელ შევიდა ჩიხში და შეწყდა 2000 წ. ივნისის ბოლოს.

კემპ-დევიდის მოლაპარაკებების დროს, ისლამურ ორგანიზაციებსა და თავად ფათჰის შიგნით არსებული უთანხმოებების გამო, არაფათი მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. აშკარა იყო, რომ ეს ორგანიზაციები არ დასჯერდებოდნენ მხოლოდ ნაწილობრივ დათმობებს და მან უკან დახევა არჩია. მისმა ორჭოფობამ და არშემდგარმა მშვიდობამ პალესტინის მოსახლეობაში იმედგაცრუება და სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია.

გაღრმავდა უნდობლობა არაფათის მიმართ, როგორც ისრაელის, ისე თავად პალესტინელებს შორის. კიდევ ერთხელ დაიწყო ძალადობა, რომელიც, პალესტინელთა აზრით, ბრძოლის საუკეთესო იარაღი აღმოჩნდა. თუ კემპ-დევიდის მოლაპარაკებების შემდეგ პალესტინის მოსახლეობის 52% უჭერდა მხარს ძალადობას, ერთ წლის შემდეგ მხარდამჭერთა რაოდენობა 86% გახდა. პალესტინის ხელმძღვანელობამ, ისრაელელთა აზრით, გადაწყვიტა, მოეხდინა

[42] იერუსალიმის მნიშვნელობის შესახებ ამ შემთხვევაში იხ. 144, 82-87.

პროვოცირება სამხედრო შეტაკებისა და აეძულებინა ისრაელი მიეღო ყველა მისი წინადადება. ამის საბაბი გახდა 2000 წ. 28 სექტემბერი (320).

2. პალესტინის ავტონომია *ალ-აკსას ინთიფადას* წლებში

ა. ინთიფადას გამომწვევი მიზეზები. *ალ-აკსას ინთიფადა*[43] (არაბ. انتفاضة الاقصى), ამბოხი, ძალადობის ტალღა, დაიწყო პალესტინელ არაბებსა და ისრაელელებს შორის 2000 წ. სექტემბრის ბოლოს. მას უწოდებენ მეორე *ინთიფადასაც*. ბევრი პალესტინელი *ინთიფადას* თვლის განმათავისუფლებელ ბრძოლად უცხოელთა ოკუპაციის წინააღმდეგ, მაშინ როცა ისრაელელები მიიჩნევენ მას ტერორისტული კამპანიად[44]. 2000 წლის 29 სექტემბრიდან 2005 წლის 15 იანვრამდე ინთიფადას შედეგად დაიღუპა 3223 პალესტინელი მშვიდობიანი მოქალაქე და სამხედრო პირი. ისრაელელთაგან მსხვერპლი შეადგენდა 959-ს (286).

ალ-აკსას ინთიფადას დაწყების თარიღად ითვლება 2000 წ. 28 სექტემბერი, როცა ისრაელის ოპოზიციური ლიკუდის ბლოკის ლიდერი არიელ შარონი ეწვია ტაძრის მთას (ებრ. ჰარ ჰებაით), ან ალ-ჰარამ აშ-შარიფს ძველ იერუსალიმში. აქ, ოდესღაც, იყო პირველი და მეორე ებრაული ტაძარები და იუდაიზმის მიხედვით, იქნება მესამე და საბოლოო ტაძარი მესიის მოვლინების დროს. აქ არის, აგრეთვე, ორი მთავარი მუსლიმური მეჩეთი - კლდის გუმბათი (*ალ-მასჯიდ ას-სახრა*) და ალ-აკსა და ეს ადგილი, მექას და მედინას შემდეგ, მესამე წმინდა ადგილია ისლამში (მას ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქრისტიანობისთვის).

არიელ შარონი ალ-აკსას მეჩეთის ტერიტორიაზე შევიდა და იქ 45 წუთი დაჰყო, რამაც არაბთა მასობრივი აღშფოთება გამოიწვია; ძალადობა და შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის იმყოფებოდა მეჩეთის ტერიტორიაზე.

მართალია, მეორე *ინთიფადას* დაწყება სწორედ შარონის ვიზიტს დაემთხვა, ზოგიერთი მიმომხილველის თანახმად, ის პალესტინის ხელისუფლებამ და იასირ

---

[43] ამ საკითხზე იხ.: 211, 68-81. 123, 5-25; 240, 141-49; 241, 131-42; 242, 127-130; 330; 356;

[44] ალ-აკსას ინთიფადას ანალიზის შესახებ: 105, 150-175; 227, 37-38; 123, 5-25; 55, 54-67; 218, 8-16; 260, 231-254; 267, 21-40.

არაფათმა წინასწარ დაგეგმეს. ამასთან დაკავშირებით, ხშირად არის ციტირებული პალესტინის კომუნიკაციების მაშინდელი მინისტრის იმად ფალუჯის განცხადება, რომ ძალადობა დაიგეგმა შარონის ვიზიტამდე გაცილებით ადრე, ივლისში, კემპ-დევიდის სამიტიდან არაფათის დაბრუნების შემდეგ, როცა მან უარყო აშშ-ის პრეზიდენტის წინადადებები (399).

ოპტიმიზმის გარკვეულ ილუზიას ჰქმნიდა ლიბანიდან ისრაელის გასვლა 2000 წ. მაისში და რომ *ჰიზბ ალლაჰის* წინააღმდეგობა შეიძლება ყოფილიყო მაგალითი სხვა არაბებისთვის, რომლებიც საკუთარი უფლებების აღდგენას ცდილობდნენ. ყოველ შემთხვევაში ასეთი განცხადება გააკეთა PGOს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფარუკ კადუმიმ (330). უფრო მეტიც, 2000 წ. 13 სექტემბრიდან მოყოლებული, პალესტინის ფათჰის წევრებმა განახორციელეს რიგი თავდასხმებისა ისრაელის სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეებზე, რაც ოსლოს პირობების დარღვევა იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ისრაელის სააგენტომ *Palestinian Media Watch* პალესტინის ოფიციალური სატელევიზიო არხი დაადანაშაულა იმაში, რომ 2000 წ. ზაფხულში, კემპ-დევიდის მოლაპარაკების შეფერხების პარალელურად, ის უფრო და უფრო ხდებოდა გასამხედროებული.

პარალელურად, იყო ცდები გაემართლებინათ ა. შარონის ვიზიტი. შარონმა ალ-აკსას მიდამოების დათვალიერების მიზეზად დაასახელა ებრაელი არქეოლოგების საჩივარი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მუსლიმებმა შეურაცხყვეს და დააზიანეს სოლომონის ტაძრის არქეოლოგიური ნაშთები მეჩეთის სარემონტო სამუშაოების დროს (330). განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების ასოციაციის დირექტორი ი. ბოდანსკი წიგნში "მშვიდობის დიდი ფასი". ის წერს: "ქლინტონის შემოთავაზება შეიცავდა გარანტიებს იმისა, რომ ებრაელებს ექნებოდათ უფლება, წვეოდნენ ტაძრის მთას და ელოცათ იქ და მის გარშემო. თუ შარონი დარწმუნდებოდა, რომ ებრაელებისთვის ტაძარის მთა იყო თავისუფლად ხელმისაწვდომი, ისრაელის ნაციონალისტ მემარჯვენეებს ნაკლები შანსი ექნებოდათ სამშვიდობო პროცესის შესაჩერებლად (55a, 354)".

მას შემდეგ, რაც შარონმა გამოთქვა სურვილი, წვეოდა ტაძრის მთის (ალ-აკსას მეჩეთის) ტერიტორიას, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბარაკმა სცადა მოლაპარაკება პალესტინის ხელისუფლებასთან, რათა მათთვის ეს ვიზიტი მისაღები ყოფილიყო. ბარაკი დაარწმუნეს, რომ თუ შარონი თავს შეიკავებდა მეჩეთში შესვლისაგან ან საზოგადოებრივ ადგილებში ლოცვისაგან, ეს არ გამოიწვევდა რეაქციას. ამის შემდეგ ბარაკს ეს თვით არაფათმა დაუდასტურა. მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო. როცა შარონი და ლიკუდის პარტიის მემარჯვენე წევრებისაგან შემდგარი დელეგაცია ათასზე მეტი მძიმედ შეიარაღებული მცველის თანხლებით მივიდა ტაძრის მთაზე და 45 წუთი დაჰყო ალ-აკსას მეჩეთში, ახალგაზრდების ჯგუფმა მათ ქვები დაუშინა.

შარონმა არ ილოცა, არ გააკეთა რაიმე სახის განცხადება, რაც შეიძლება ყოფილიყო მუსლიმთათვის შეურაცხმყოფელი, სიმშვიდე შეინარჩუნა მაშინაც კი, როცა ქვების სროლის ქვეშ დაბრუნდა გოდების კედელთან და განუცხადა ჟურნალისტებს: “მე მოვედი აქ როგორც ადამიანი, რომელსაც სჯერა ებრაელების და არაბების თანაარსებობისა. მე მჯერა, რომ შეგვიძლია ვაშენოთ და განვვითარდეთ ერთად. ეს იყო მშვიდობიანი ვიზიტი. განა წაქეზებაა, რომ ისრაელელი ებრაელი მოვიდა ებრაელი ხალხის ყველაზე წმინდა ადგილზე?!” (55a, 354; 330).

მიუხედავად იმისა, რომ შარონის ვიზიტი წინასწარ იყო შეთანხმებული პალესტინის ხელისუფლებასთან, თავიდანვე იყო იმის ნიშნები, რომ ამას ურთიერთობის დაძაბვა მოჰყვებოდა, შარონმა კარგად იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა მის ნაბიჯს. არაკეთილმოსურნეებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ მას სურდა არა მშვიდობის დამყარება და რწმენა პალესტინელი და ებრაელი ხალხის თანაარსებობისა, არამედ (განსაკუთრებით მოახლოებული არჩევნების წინ) იმის დემონსტრაცია, რომ არ შეეგუებოდა პალესტინელი ხალხის მოთხოვნებსა და პრეტენზიებს და მტკიცედ განახორციელებდა თავის გეგმასა და პროგრამას.

ინთიფადას და ძალადობის მიზეზები შეისწავლა ჯორჯ მიტჩელის (აშშ-ის ყოფილი სენატორის) საგამოძიებო კომისიამ. ისრაელის მთავრობამ განაცხადა, რომ ძალადობის დამაჩქარებელი იყო 2000 წ. 25 ივლისს კემპ-დევიდის

მოლაპარაკებების ჩაშლა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარება იმისა, რომ პალესტინელებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა სამშვიდობო პროცესის ჩიხში შეყვანაზე. ამ თვალსაზრისით, პალესტინის ძალადობა დაგეგმილი იყო პალესტინის ხელისუფლების მიერ და მიზნად ისახავდა პალესტინელთა მხრიდან მსხვერპლის პროვოცირებას, რათა დაებრუნებინათ დიპლომატიური ინიციატივა".

პგო, მიტჩელის იმავე ანგარიშის თანახმად, უარყოფდა, რომ *ინთიფადა* წინასწარ იყო დაგეგმილი. მიტჩელის ანგარიშში აღნიშნული იყო ასევე, რომ **პგო**ს თვალსაზრისით, ისრაელმა არეულობას უპასუხა მომიტინგეთა წინააღმდეგ გადაჭარბებული ძალადობის გამოყენებით. **პგო**ს აზრით, ეს ქმედება გამოხატავდა ისრაელის სიძულვილს პალესტინელთა სიცოცხლისა და უსაფრთხოებისადმი.

გამოძიებით მიტჩელის კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ შარონის ვიზიტმა არ გამოიწვია *ალ-აკსას ინთიფადა*, თუმცა მისი ვიზიტის დრო ცუდად იქნა შერჩეული და აშკარა იყო, რომ ექნებოდა პროვოკაციული ეფექტი. მოხსენების დასკვნით, არც იმის საფუძველი არსებობს, რომლითაც დამტკიცდებოდა, რომ პალესტინის ხელისუფლებას ჰქონდა განსაზღვრული გეგმა, როგორ დაეწყო ძალადობის კამპანია პირველივე შესაძლებლობისთანავე ან იმის საფუძველი დავასკვნათ, რომ ისრაელის ხელისუფლებას ეპასუხა ასევე ძალადობით.

27 სექტემბერს პალესტინელმა ტერორისტებმა ღაზაში მოკლეს 19 წლის ისრაელელი დავიდ ბირი. ისრაელის წყაროები ამ თარიღს მიიჩნევენ *ინთიფადას* დასაწყისად. მაგრამ, დამკვირებელთა უმრავლესობას მაინც მიაჩნია, რომ ინთიფადას გამომწვევი მიზეზი მაინც იყო შარონის ვიზიტი. არ ვიქნებით შორს სიმართლისაგან, თუ ვიტყვით, რომ ინთიფადა და მისი თანმდევი ძალადობა განაპირობა უნაყოფო მოლაპარაკებებმა. არცერთი მხარე არ იყო მზად, რომ დაესრულებინა სამშვიდობო პროცესი, გადაეჭრა იერუსალიმის, პალესტინელ ლტოლვილთა და ებრაული დასახლებების საკითხები. საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად და საკუთარი სიმართლის დამამტკიცებლად რჩებოდა მხოლოდ ძალადობა.

არაბულ სამყაროში რელიგიური ინტეგრაციის მომხრეები მიესალმნენ ახალ *ინთიფადას*. "მადლობა, შარონ, ალ-აკსას მეჩეთის შებღალვამ და ყველაფერმა იმან,

რაც მას მოჰყვა, დაგვიბრუნა ისტორია ჩვენ - მის ჭეშმარიტ მბრძანებლებს და შემოქმედებს". ისინი ეუბნებოდნენ თავიანთ პალესტინელ თანამოზარეებს, რომ კვლავ დგება "იერუსალიმის განმათავისუფლებლის სალაჰ ად-დინ აიუბის დრო" და ჰამასს ამ მხედართმთავრის არმიას ადარებდნენ. შარონს მადლობას ეუბნებოდნენ იმის გამო, რომ "ალ-აკსას შებღალვამ დაუბრუნა ამ ადგილს პირველი მუსლიმური კიბლას მნიშვნელობა", ისრაელის პოლიტიკის წყალობით არაბულმა სამყარომ, როგორც იქნა, მიიღო სტიმული "თვითგაერთიანებისა". ეს სტიმული იყო მრისხანება იმ მოქალაქეებისა, რომლებიც შედიან ამ რეგიონალურ თანამეგობრობაში. ეჭვქვეშ დადგა არაბ-ისრაელელთა სამშვიდობო პროცესის შედეგები, რომლებიც შეუქცევადად ჩანდა. ახლო აღმოსავლეთში მოუწოდებდნენ კონფრონტაციისაკენ სახელმწიფოთაშორისო დონეზე, რასაც თან სდევდა ამ შემთხვევაში გარდაუვალი აქტები ტერორისა და ბრმა მტრობისა (24, 111-145).

ძალადობის ესკალაცია სწრაფად მოხდა და ინთიფადას პირველ 6 დღეში ისრაელის სამხედრო ძალებმა და პოლიციამ მოკლეს 61 და დაჭრეს 2657 პალესტინელი. ცოტა ხანში ისრაელმა ტაქტიკა შეცვალა და დაიწყო ე.წ. «ლიკვიდაციის პოლიტიკა», რომლის სამიზნე კონკრეტული პირები - აქტივისტები იყვნენ. რამდენიმე თვეში 12-მდე პალესტინელი ლიდერი, მათ შორის ჰამასელიც, მოკლეს (193, 123-140).

4 ოქტომბერს ბარაკი და არაფათი მადლენ ოლბრაიტის შუამავლობით ერთმანეთს შეხვდნენ პარიზში, რათა შეეწყვიტათ ძალადობა. მაგრამ მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდა. დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში სისხლისღვრის შესახებ ხელშეკრულება არ იქნა ხელმოწერილი. არაფათმა მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებრიობას, ჩაეტარებინა უკანასკნელი დღეების ამბების დამოუკიდებელი გამოძიება, მაგრამ ბარაკი არ დათანხმდა. მან უარი თქვა, აგრეთვე გაფრენილიყო ეგვიპტეში მოლაპარაკებების გასაგრძელებლად (29, 573-74; 286) და დაბრუნდა ისრაელში; მან მოუწოდა არაფათს გაეგრძელებინა სამშვიდობო მოლაპარაკებები, ან არადა დამდგარიყო ძალადობის ესკალაციის პირისპირ.

5 ოქტომბერს ჰამასმა გამოაცხადა 6 ოქტომბერი "მრისხანების დღედ". ეს იმას ნიშნავდა, რომ ალ-აკსას და პალესტინის ავტონომიის და ისრაელის სხვა

მეჩეთებში უნდა დაწყებულიყო სერიოზული არეულობები (30, 575). თავის მხრივ, საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი ისრაელის პოლიცია. გადაიკეტა საზღვრები დასავლეთ ნაპირთან და ღაზას სექტორთან, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღეს იერუსალიმში.

7 ოქტომბერს პრეს-კონფერენციაზე თელ-ავივში ბარაკმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთი იდგა თავისი ისტორიის ახალ ზღურბლზე. მან მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა არაფათის ადმინისტრაციას და გააფრთხილა პალესტინის ლიდერი, რომ თუ 48 საათში არ მიიღებდა ზომებს წესრიგის დასამყარებლად მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, ისრაელი იტოვებდა უფლებას, განეხორციელებინა ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებები.

7 ოქტომბერს **გაერო**ს უშიშროების საბჭომ საგანგებო სხდომაზე დაგმო ისრაელი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული ზომების მიღების გამო (164, 912). 8 ოქტომბერს არაფათი შეხვდა **პგო**ს აღმასრულებელ კომიტეტს, **ჰამას**ის და ისლამური ჯიჰადის წარმომადგენლებს, რათა ემოქმედათ კოორდინირებულად ბარაკის მუქარის წინააღმდეგ.

9 ოქტომბერს არაფათმა პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. **ჰამას**მა განაცხადა, რომ განაახლებდა ტერორისტულ აქტებს ისრაელის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა "ეროვნული ერთობა", პალესტინის ეროვნული და ისლამისტური ძალების შემადგენლობით. *ინთიფადა*, რომელიც *ალ-აკსას* სახელით გახდა ცნობილი, გამოირჩეოდა სისასტიკით. ალ-აკსას *ინთიფადა* ნიშნავდა ახალ ფაზას დამოუკიდებლობისათვის პალესტინელთა ხანგრძლივ ბრძოლაში.

12 ოქტომბერს ორი ებრაელი რეზერვისტი შემთხვევით მოხვდა რამალაჰში, სადაც ისინი დააპატიმრეს. პალესტინელთა ბრბომ შტურმით აიღო პოლიციის განყოფილება, ჯარისკაცები ცემით მოკლეს და მათი ცხედრები ქუჩაში დაყარეს. ამის საპასუხოდ ისრაელმა საჰაერო ოპერაციები განახორციელა პალესტინის ხელისუფლების წინააღმდეგ, კერძოდ, არაფათის შტაბ-ბინაზე (164, 912), რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ახლო აღმოსავლეთის მორიგი კრიზისის თავიდან ასაცილებლად, ძალადობის შეჩერების მიზნით, 17-20 ოქტომბერს შარმ აშ-შეიხში არაფათის, ბარაკის, აშშ-ის პრეზიდენტის ბილ ქლინტონის, ეგვიპტის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის და იორდანიის მეფის აბდ ალლაჰის მონაწილეობით ჩატარდა მორიგი სამიტი. მაგრამ არც მას ჰქონდა პოზიტიური შედეგი. მხარეები თითქოსდა შეთანხმდნენ, რომ შეეჩერებინათ სისხლისღვრა, მაგრამ ვითარება პალესტინაში არათუ მოწესრიგდა, არამედ უფრო გამწვავდა. ბარაკმა ხელახლა დააპატიმრა 60 ისლამისტი მებრძოლი, რომლებიც ᲞᲔᲐᲛ გაათავისუფლა ოქტომბრის დამდეგს. არაბული სახელმწიფოების ლიგამ საგანგებო სამიტზე კაიროში 21-22 ოქტომბერს მკაცრად დაგმო ისრაელის აქციები პალესტინელთა წინააღმდეგ. ბარაკმა უპასუხა იმით, რომ ისრაელმა გამოაცხადა "ტაიმ-აუტი" სამშვიდობო პროცესში. ნოემბრის დასაწყისში ქლინტონმა დანიშნა კომისია ხუთი წევრის შემადგენლობით, აშშ-ის ყოფილი სენატორის, ჯ. მიტჩელის ხელმძღვანელობით, პალესტინაში ძალადობის გამოძიების მიზნით.

2000 წ. ნოემბერ-დეკემბერში ინთიფადა გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში ისრაელსა და პალესტინელებს შორის. პალესტინის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობაც უფრო მძიმე და სასტიკი გახდა, რამაც საერთაშორისო ორგანიზაციების უკმაყოფილება გამოიწვია.

9 დეკემბერს ბარაკი გადადგა, პრემიერ-მინისტრის არჩევნებში 2001 წ. თებერვალში არიელ შარონმა გაიმარჯვა. დაიწყო პალესტინელთა "დამიზნებით მკვლელობები", ისრაელის ჯარებმა ღაზას სექტორის უმეტესი ნაწილი დაიკავეს. საპასუხოდ პალესტინელებმაც გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა; იმატა შეირაღებულმა თავდასხმებმა და თვითმკვლელთა აფეთქებებმა. 2001 წ. ოქტომბერში პალესტინელებმა ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით პირველად გაუშვეს კასამის რაკეტა - ᲰᲐᲛᲐᲡის აქტივისტების მიერ შექმნილი იარაღი, რომელსაც ეს სახელი შეერქვა 'იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადის პატივსაცემად. მისი პირველი ვარიანტი შექმნა ნიდალ ფათჰი რაბაჰ ფარაჰათმა. რაკეტები, ჩვეულებრივ, ისრაელის ქალაქებზე თავდასხმისთვის გამოიყენება, თუმცა 2004 წლის 28 ივნისამდე, მისი გაუმჯობესებული ვარიანტის გაშვებამდე,

ებრაელთათვის სერიოზული ზიანი არ მიუყენებია. რაკეტის ფრენის რადიუსი 3 კმ-ს ვერ გასცდა. მას თავიდან ირონიით შეხვდნენ ისრაელში, მაგრამ სულ ცოტა ხანში, 2002 წ. თებერვალში პალესტინელებმა გამოუშვეს უფრო ძლიერი კასამ-2, რომლის რადიუსი 7 კმ-მდე გაიზარდა. თანდათანობით, კასამის ჭურვების რადიუსი 10 კმ-მდე გაიზარდა, რითაც უკვე სერიოზული საფრთხე შეუქმნა მოსაზღვრე დასახლებებს. გაიზარდა მათი ასაფეთქებელი ნივთიერებების შემცველობაც და მიმომხილველები ალაპარაკდნენ იმაზეც, რომ ამ რაკეტებით ტერორისტები გაანადგურებდნენ ისრაელს (287)[45].

თავდაპირველად ისრაელი აცხადებდა, რომ მალე იპოვიდა მისი ჰაერშივე განადგურების საშუალებას, თუმცა ოთხი წლის თავზეც ეს შეუძლებელია. რთულია, ჰაერში მოხდეს ასეთი მოკლემანძილიანი ჭურვების განადგურება და ერთადერთი გზა საამისოდ მათი დამზადების ადგილების პოვნა და ამგვარად განადგურებაა.

2001 წ. 7 მაისს ისრაელის თავდაცვის ძალებმა დააკავეს გემი, რომელზეც პალესტინელთათვის განკუთვნილი დაახლოებით 10 მლნ აშშ დოლარის ღირებულების იარაღი იყო. ამას დიდი სკანდალი მოჰყვა, რადგან ეს ტვირთი სწორედ პალესტინის ხელისუფლებისათვის იყო განკუთვნილი. მსგავსი გემი ირანიდან Karine A დააკავეს, აგრეთვე, 2002 წ. იანვარში ამჯერად ისრაელმა და ბუშის ადმინისტრაციამ თავად არაფათი დაადანაშაულეს კონტრაბანდაში.

დასაწყისში *ინთიფადას* ჰქონდა საყოველთაო "ბრძოლის» ხასიათი, რომელსაც აშკარად უწყობდა ხელს პალესტინის ხელისუფლება. ამით ისლამურ დაჯგუფებებსა და **პგო**ს შორის არსებული სხვაობა განეიტრალდა: **პგო**ც და პალესტინური ორგანიზაციებიც მუდამ ამბობდნენ, რომ მათი მიზანი პალესტინის მიწის განთავისუფლება იყო, **პგო** ამას მშვიდობიანი მოლაპარაკებებით გეგმავდა, ხოლო **ჰამას**ი და *ისლამური ჯიჰადი* კი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ისრაელთან სამშვიდობო პროცესს. არაფათის ადრინდელმა განცხადებებმა (ოსლოს

[45] სხვა პალესტინურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა ასევე შექმნეს შინნაკეთი ჭურვები, თუმცა ისინი ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე **ჰამას**ის კასამის ჭურვები. ესენია: პალესტინის ისლამური ჯიჰადის *ალ-კუდსი*, საზოგადოებრივი წინააღმდეგობის კომიტეტები *ნასერი*, თანზიმის *სერაია* და *სხვ.* მედიაში ხშირად ყველა პალესტინურ ჭურვს *კასამ*ს უწოდებენ.

ხელშეკრულებაში), რომ ისინი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ ძალადობას, უკვე აშკარად დაკარგეს ძალა (403).

წამყვან პოლიტიკურ და სამხედრო ძალებს ამბოხებისა წარმოადგენდნენ კადრები, რომლებიც ეკუთვნოდნენ არაფათის ფათჰის ორგანიზაციას, ანდა მის განშტოებას – *თანზიმს*. თანდათან *ინთიფადა* უფრო სხვა პალესტინური დაჯგუფებების კონტროლს დაექვემდებარა (330). ჰამასი და *ისლამური ჯიჰადი* ალ-აკსას *ინთიფადას* მიიჩნევდნენ არაჩვეულებრივ შესაძლებლობად, რომ კიდევ ერთხელ წარმოეჩინათ თავიანთი თავი, ტერორიზმის ძალა და ხაზი გაესვათ სამშვიდობო მოლაპარაკებების წარუმატებლობისათვის. მართლაც, ძალადობის ესკალაცია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ნებისმიერი სახის სამშვიდობო მოლაპარაკებასა და გადაწყვეტილებას.

ალ-აკსას ინთიფადას დროს ჰამასის ურთიერთობა პალესტინის ხელისუფლებასთან მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჰამასმა კვლავ დაიწყო უფრო აქტიური მუშაობა ხალხზე მეტი გავლენის მოსაპოვებლად, პგიოს ლეგიტიმურობის კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებლად და პოლიტიკური ჰეგემონიის თავად მოსაპოვებლად. ამისთვის საუკეთესო დრო იყო კემპ დევიდის სამიტის შემდგომი წარუმატებლობები, პალესტინის ხელისუფლების შიგნით არსებული კორუფცია და ინფრასტრუქტურის რღვევა. ამასობაში, ჰამასმა არაერთი ტერაქტი მოაწყო[46]. ერთ-

---

[46] ალ-აკსას ინთიფადას დროს ჰამასის მიერ განხორციელებული ზოგიერთი ტერაქტია:

- დელფინაირუმის ტერაქტი 2001 წლის 1 ივნისს თელ-ავივში, დაიღუპა 21 ადამიანი.
- სბაროს ტერაქტი 2001 წლის 9 აგვისტოს იერუსალიმში (ისლამურ ჯიჰადდთან ერთად), დაიღუპა 15.
- ბენ იეჰუდას ქუჩის ტერაქტი 2001 წლის 2 დეკემბერს იერუსალიმში, დაიღუპა 11.
- ჰაიფას ავტობუსის ტერაქტი 2001 წლის 2 დეკემბერს ჰაიფაში, დაიღუპა 15.
- კაფე მომენტის ტერაქტი 2002 წლის 9 მარტს რეჰავიაში, დაიღუპა 11.
- ებრაელთა აღდგომის ტერაქტი 2002 წლის 27 მარტს სასტუმრო პარკში ნეთანიაში, დაიღუპა 30.
- მატცა რესტორანის ტერაქტი 2002 წლის 31 მარტს ჰაიფაში, დაიღუპა 15.
- რიშონ ლეციონის ტერაქტი 2002 წლის 7 მაისს, დაიღუპა 16.
- პატის გზაჯვარედინის ტერაქტი 2002 წლის 18 ივნისს იერუსალიმში, დაიღუპა 19.
- იერუსალიმის 20 ნომერი ავტობუსის ტერაქტი 2002 წლის 21 ნოემბერს იერუსალიმში, დაიღუპა 11.
- ჰაიფას 37 ნომერი ავტობუსის ტერაქტი 2003 წლის 5 მარტს ჰაიფაში, დაიღუპა 17.
- იერუსალიმის ნომერი 2 ავტობუსის ტერაქტი 2003 წლის 19 აგვისტოს იერუსალიმში, დაიღუპა 23.
- აშდოდის პორტის ტერაქტი 2004 წლის 14 მარტს (ფათჰის ალ-აკსას მოწამეთა ბრიგადებთან ერთად), დაიღუპა 10.

ერთი იყო ებრაელთა აღდგომის დღესასწაულზე ნეთანიაში სასტუმროს პარკში განხორციელებული თვითმკვლელის აფეთქება 2002 წლის 27 მარტს, რომლის დროსაც 30 ადამიანი დაიღუპა. შემდეგი თვის განმავლობაში ისრაელის 130-ზე მეტი მოქალაქე შეეწირა თავდასხმებს. ამის პასუხად, 24 საათში ისრაელმა მობილიზაცია გაუკეთა 20,000 რეზერვისტს, შეიმუშავა და დაიწყო ოპერაცია *თავდაცვის ფარი.*

ოპერაცია "თავდაცვის ფარი" იყო ყველაზე დიდი სამხედრო ოპერაცია, რომელიც ისრაელმა დასავლეთ ნაპირზე განახორციელა 1967 წ. ომის შემდეგ. დამსჯელი ოპერაციები განსაკუთრებული სიმკაცრით ტარდებოდა ბეთლემში, ჯენინში, ნაბლუსსა და რამალაჰში. პალესტინის ტერიტორიის რამდენიმე ქალაქში დაწესდა კომენდანტის საათი, რომელიც სხვა პრობლემებთან ერთად, ხელს უშლიდა ასაკოვანი მოსახლეობისა და ავადმყოფების სამედიცინო მომსახურებას. ყველა სასწრაფო მანქანა მოწმდებოდა, განსაკუთრებით, მას მერე, რაც წითელი ნახევარმთვარის ერთ-ერთ სასწრაფო მანქანაში აღმოჩენილი იქნა ასაფეთქებელი ქამარი. ყველაზე დიდხანს – ხუთი კვირა კომენდანტის საათი გაგრძელდა ბეთლემში, სადაც შობის ეკლესიაში შეიარაღებულმა პალესტინელებმა მძევლად აიყვანეს ეკლესიის მსახურნი. ალყის მოხსნის შემდეგ ეკლესიაში მყოფ პალესტინელთა უმრავლესობა დასთანხმდა, რომ გადავიდოდნენ ღაზას სექტორში, ხოლო დანარჩენები კვიპროსში გაასახლეს. ოპერაციის შედეგად (1 მარტიდან მაისის შუა რიცხვებამდე), **გაერო**ს მონაცემებით, დაიღუპა 497 და დაიჭრა 1,447 პალესტინელი (396).

საერთოდ კი, 2000 წ. სექტემბრის მიწურულიდან - 2002 წ. ნოემბრის ჩათვლით, მოხდა 82 ტერაქტი. აქედან 55 ჩაიდინეს **ჰამას**ის წევრებმა, 41 ორგანიზაცია *თანზიმ*ში, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა იასირ არაფათს და 37 - ისლამურმა ჯიჰადმა.

ამ პერიოდში **ჰამას**ის ლიდერები უფრო აშკარად ალაპარაკდნენ **ჰამას**ის მიერ **პგო**-ს ალტერნატივის შექმნის შესახებ. ამისთვის ხშირად აკრიტიკებდნენ პალესტინის ხელისუფლებას იმაში, თუ როგორ მართავდა მას ხელთ არსებულ

▪ ბეერშიბას ტერაქტი 2004 წლის 31 აგვისტოს, ბეერშიბაში, დაიღუპა 16.

ტერიტორიას, უძღვებოდა *ინთიფადას*, მონაწილეობდა სამშვიდობო პროცესში და ა.შ. ხალიდ მაშ'ალის განცხადებით, «ნამდვილი ხელმძღვანელობა არ ემყარება ხალხის ტანჯვას და არ აიძულებს მათ უკან დახევას, აზრის შეცვლას, თეთრი დროშის ფრიალს, რათა ის დანებდეს იმ მიზეზით, რომ «ხალხს თავიდან ააცილოს ტანჯვა. ნამდვილი ხელმძღვანელობა ეუბნება მის ხალხს ობიექტურად და ღიად, რომ არ არის სხვა გზა თუ არა სიმტკიცე... თუ ჩვენ დავკარგავთ წინააღმდეგობას, დავკარგავთ ჩვენს თავს...» (403).

ᲰᲐᲛᲐᲡის ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ ხედავდნენ თავიანთ ამოცანას იმაში, რომ შეექმნათ ავტონომიის ტერიტორიაზე "დაუბრუნებლობისა" სიტუაცია იმ მდგომარეობისაკენ, რომელიც არსებობდა *ალ-აკსას ინთიფადას* დაწყებამდე, როცა, მათი აზრით, პოლიტიკურმა ელიტამ, რომელიც წარმოდგენილი იყო ავტონომიის ხელმძღვანელობით, მათი ხელმძღვანელი ᲤᲐᲗᲰით, უღალატა საკუთარი ხალხის ინტერესებს და დაიწყო ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი.

"დაუბრუნებლობის სიტუაციის" გზა, ᲰᲐᲛᲐᲡის აზრით, უნდა გადიოდეს "შეიარაღებული ოპერაციების ესკალაციაზე, რომელთა განსახორციელებლად უკვე შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება. მოძრაობის ხელმძღვანელები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ "მათი არჩევანი ყოველთვის მდგომარეობდა იმაში, რომ ხელი შეეწყოთ წინააღმდეგობის გაძლიერების აქტებისთვის". ახლა, როცა მოახლოვდა ეტაპი საბოლოო რეგულირებისა, ამ მოძრაობისთვის "შეიარაღებული ბრძოლის გზა – ერთადერთი საშუალებაა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისა", ხოლო "წინააღმდეგობის პარტიზანული მეთოდები –ყველაზე მისაღები მეთოდია ისრაელელებთან დასაპირისპირებლად".

პალესტინის ხელისუფლების კრიტიკა გამწვავდა. შეიხ აჰმედ იასინმა ის დაადანაშაულა ისრაელისა და აშშ-ის ინტერესების დაცვაში. მან განაცხადა, რომ აუცილებელია პალესტინელი ხალხისთვის უსაფრთხოების შესაქმნელად ისეთი ხელისუფლების არსებობა, რომელიც დაიცავს პალესტინელ ხალხს (403). ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერმა ღაზაში აზ-ზაჰარიმ. მან პირდაპირ თქვა, რომ ᲰᲐᲛᲐᲡი მზად იყო გაძღოლოდა

პალესტინელ ხალხს, რომ მას ჰქონდა ის საჭირო პოლიტიკური, ფინანსური და სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც საშუალებას მისცემდა თავად ეტვირთა ხელისუფლების მოვალეობები (400a). ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ᲞᲒᲝს, როგორც პალესტინელი ხალხის ერთადერთი წარმომადგენლის როლი.

თავის მხრივ, ᲞᲒᲝს წარმომადგენლები უარყოფდნენ ᲰᲐᲛᲐᲡის მოთხოვნებს პალესტინის ალტერნატიული ხელისუფლების ჩამოყალიბების შესახებ და ყოველ მხრივ ეწინააღმდეგებოდნენ ᲞᲒᲝს სტატუსის დაკნინებას. აბუ მაზენმა განაცხადა, რომ ᲞᲒᲝს სტატუსი განხილვას არ დაექვემდებარებოდა, თუმცა მიესალმებოდა მის რიგებში ᲰᲐᲛᲐᲡისა და *ისლამური ჯიჰადის* წარმომადგენლების შესვლას.

ᲰᲐᲛᲐᲡი, რომელიც სარგებლობდა ვითარების დესტაბილიზაციით, უარყოფდა კონსენსუსის რაიმე ფორმების შესაძლებლობას. ის ისწრაფოდა დაეკავებინა წამყვანი ადგილი ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესში და ექცია მეტოქეები სატელიტებად. ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერებმა მალევე უარყვეს თავიანთი სურვილი დაპირისპირებოდნენ პალესტინის ხელისუფლებას, მაგრამ ამის დაჯერება უკვე საკმაოდ ძნელი იყო.

მაჰმუდ აბასის განცხადებით, ᲰᲐᲛᲐᲡის საქმიანობა პალესტინის ოფიციალურ კურსს არ ეთანხმებოდა. მუდმივი ძალადობა ძირს უთხრიდა სამშვიდობო პროცესს, პალესტინის ხელისუფლებას და შესაბამისად ხალხს აკარგვინებდა ნდობას მის მიმართ. პალესტინის ხელმძღვანელობის განცხადებით, ᲰᲐᲛᲐᲡი ცდილობდა შეექმნა საფუძველი პალესტინის ხელისუფლების გასანადგურებლად, მაგრამ ისინი მათ ამის საშუალებას არ მისცემდნენ. ამ განცხადებების პასუხად, მუჰამედ ნაზალმა ᲰᲐᲛᲐᲡის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში (http://www.palestine-info.info/arabic/hamas/hewar/nazal1.htm) განმარტა, რომ მათ სურდათ არა პალესტინის ხელისუფლების ალტერნატიული ორგანოს შექმნა, არამედ მისი შიდაორგანიზაციული სტრუქტურის რეფორმა.

2001 წ. თებერვალში ა. შარონის მეთაურობით შექმნილმა ეროვნული ერთობის მთავრობამ დაიკავა მკაცრი კურსი პალესტინის ავტონომიის მიმართ და

სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებისათვის აუცილებელ პირობად მოსთხოვა მას მთლიანად შეეწყვიტა ტერორი.

ისრაელი იყენებდა სხვადასხვა ღონისძიებას მზარდი ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, მან შეწყვიტა პალესტინის ავტონომიისათვის ფულადი თანხების გადარიცხვა იმ გადასახადებიდან, რომელთაც იხდიდნენ ისრაელში სამუშაოდ მყოფი პალესტინელები. ტარდებოდა სხვადასხვა სამხედრო ღონისძიება, მათ შორის ყველაზე საშიში ტერორისტების ფიზიკური განადგურების და დაკავების მიზნით. ასე, მაგალითად, 2001 წ. 28 აგვისტოს მოკლეს პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აბუ ალი მუსტაფა აზ-ზუბაიდი[47]; 2002 წ. 15 აპრილს დააპატიმრეს ფათჰის ერთ-ერთი გავლენიანი ლიდერი მარვან ბარღუტი რამალაჰში – ალ-აკსას მოწამეთა ბრიგადებთან კავშირის ბრალდებით. 16 აპრილს ისრაელმა ხელახლა გახსნა საკონცენტრაციო ბანაკი ნეგევის უდაბნოში 6 ათასი პალესტინელისთვის. ღამით 22-დან 23 ივლისზე მოკლეს ჰამასის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ღაზას სექტორში სალაჰ შაჰადე (394b).

2001 წ. მეორე ნახევარი აღინიშნა *ინთიფადას* ესკალაციით. ისრაელის თავდაცვის არმიამ ჩაატარა რიგი ოპერაციებისა პალესტინის ავტონომიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე; ავიაცია ბომბავდა ტერორისტული ორგანიზაციების შტაბებს, იარაღის დასამზადებელ სახელოსნოებს, პალესტინის პოლიციის შენობებს და სხვ. ისრაელის ჯარისკაცები აფეთქებდნენ გვირაბებს, რომელთა გავლით ეგვიპტიდან შემოჰქონდათ იარაღი. ანგრევდნენ ტერორისტების სახლებს, საიდანაც ხორციელდებოდა ტერაქტები. 18-20 ოქტომბერს ისრაელის არმიამ ხელახლა დაიკავა ჯენინი, ნაბლუსი, რამალაჰი, ბეთლემი, ბეით ჯალა, კალკილია და ტულქარამი. აშშ-მა დაგმო ისრაელის აქციები პეას მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე და მოსთხოვა ისრაელს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ისინი. ისრაელი იძულებული გახდა გამოეყვანა ჯარები, მაგრამ

[47] საპასუხოდ, პალესტინელმა აქტივისტებმა მოკლეს ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული ისრაელელი ექსტრემისტი რეჰავამ ზეევი, რომელიც მოითხოვდა პალესტინელთა გასახლებას იორდანიაში.

შეინარჩუნა კონტროლი პმას მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების უდიდეს ნაწილზე.

ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა 2002 წ. 3-დან 4 იანვარს, ღამით, ეიალეთიდან 50 კმ-ზე დააკავეს გემი "Karin-A", რომელსაც გადმოჰქონდა იარაღი და ტყვია-წამალი, მათ შორის ნაღმსატყორცნი რეაქტიული ბომბები, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, პალესტინის პოლიციისათვის ტერორისტული აქტებისათვის გამიზნული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები; გემზე იყვნენ პალესტინის ავტონომიის სამხედრო პოლიციის ოფიცრები. ისრაელმა ბრალი დადო არაფათს ირანთან და ჰიზბ ალლაჰთან ალიანსში.

პალესტინელი ტერორისტების აქციების საწინააღმდეგოდ 2002 წ. ზამთარში და გაზაფხულზე "დამცავი ფარისა" და "გადამწყვეტი გზის" სამხედრო ოპერაციების დროს, ისრაელის არმიამ დაიკავა დასახლებული პუნქტები იუდეასა და სამარიაში. ჩატარდა ტერორისტების მასობრივი დაპატიმრებები, მარტში მოახდა არაფათის რეზიდენციის ბლოკირება რამალაჰში (ისრაელელებმა ხელთ იგდეს მთელი ადმინისტრაციული კომპლექსი და ალყაში მოაქციეს არაფათის კანცელარია).

1 აპრილს ისრაელის ტანკები შევიდნენ ნეთანიაში, რამალაჰის მახლობლად, შემდეგ – ბეით ჯალაში, ბეთლემში, კალკილიაში, სალფიტში, ტულკარამში, ნაბლუსში და ჯენინში, დაიწყეს ქუჩების გაკონტროლება და აიძულეს მოსახლეობა, ჩაკეტილიყვნენ სახლებში. რიგ დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით, ჯენინში, ისრაელის ჯარისკაცები წააწყდნენ პალესტინელი მებრძოლი სასტიკ წინააღმდეგობას. ისინი აწარმოებდნენ ბრძოლებს საცხოვრებელ უბნებში, რადგანაც იცოდნენ, რომ მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად, ისრაელელები არ დაიწყებდნენ მშვიდობიან მოსახლეობის დაბომბვას. არიელ შარონს სურდა, (2002 წ. 21 აპრილის განცხადებაში) გაეძევებინა არაფათი რამალაჰიდან, მაგრამ აშშ-ის ადმინისტრაციამ არ დართო მას ნება არც არაფათის გაძევების და არც პალესტინის ავტონომიის განადგურებისა და იმ ტერიტორიების ხელახლა დაეკავების, რომლებიც პმას ნომინალურ კონტროლს ექვემდებარებოდა.

2002 წ. 9 აპრილს შეტაკებების დროს დაიღუპა ისრაელის თავდაცვის არმიის სარეზერვო-სადესანტო ბრიგადის 14 სამხედრო მოსამსახურე. ისრაელის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეში, უკიდურესი მემარჯვენეების გამოკლებით, ძლიერდებოდა იმის რწმენა, რომ საჭირო იყო "გამიჯვნა" პალესტინის ავტონომიისგან, რადგანაც ბლოკპოსტები პალესტინა-ისრაელის დამაკავშირებელ მთავარ გზატკეცილებზე, იყო არასაკმარისი ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტების შეღწევის თავიდან ასაცილებლად.

2002 წ. დამდეგს ისრაელის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ,აეშენებინა 360 კილომეტრიანი (დაახლოებით, 230 მლნ დოლარის ღირებულების) კედელი პალესტინა-ისრაელის საზღვარზე, რამაც პალესტინელთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტის ლიდერის ტაისირ ხალიდის განცხადებით, "ეს არის უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც მთელი სიცხადით უჩვენებს ისრაელის რასისტული ხელისუფლების სურვილს, რომ განახორციელოს თავისი ძველი ოცნება, შეცვალოს დემოგრაფიული სიტუაცია იერუსალიმში ებრაელთა სასარგებლოდ, მოახდინოს მისი იუდიზაცია და ამით მოათაოს ყოველგვარი საუბარი წმინდა ქალაქის სტატუსზე (306)." 2002 წ. 26 ივნისს იერუსალიმში ტერორისტული აქტის შემდეგ (როცა დაიღუპა 26 ისრაელელი) ისრაელის არმიამ მოახდინა ოკუპაცია მთელი დასავლეთი ნაპირისა და საშინაო პატიმრობაში მოაქცია მისი 600 ათასი მცხოვრები.

ბ. კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გზა. ახალი სამშვიდობო ინიციატივა. "საგზაო რუკა". სამხედრო ღონისძიებების გარდა, ისრაელი ეძებდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზებს. ჯერ კიდევ 2000 წ. ოქტომბერში შარმ აშ-შეიხში ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლების შეხვედრის დროს, ისრაელის მხარემ შესთავაზა პალესტინელებს, შექმნილიყო კომისია კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების გამოსაძიებლად და მისი თავიდან აცილების საშუალებების შესამუშავებლად.

კონფლიქტის მოგვარებას შეეცადა მიტჩელის საერთაშორისო კომისია. კომისიის 2001 წ. 30 აპრილის ანგარიშში წარმოდგენილი იყო მოქმედების შემდეგი გეგმა: ძალადობის შეწყვეტა, ტერორის დაგმობა, ძალისხმევა ურთიერთნდობის

განმტკიცებისა და მოლაპარაკებების განახლებისათვის. ამ გეგმის რეალიზაციის მიზნით, ისრაელმა გამოაცხადა ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა და მოუწოდა პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობას, იგივე გაეკეთებინა და დაეწყო მოლაპარაკებები. მაგრამ ტერორი არ შესუსტდა. მიუხედავად ამისა, ისრაელი დადებითად მოეკიდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ჯ. ტენეტის მისიას, რომელიც 2002 წ. ზაფხულში ეწვია ახლო აღმოსავლეთს, რათა ხელი შეეწყო მიტჩელის გეგმის რეალიზაციისათვის. ისრაელმა წამოაყენა გეგმის შესრულების გრაფიკი, მაგრამ პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობამ არ გამოიჩინა ძალისხმევა ტერორის და ანტიისრაელური და ანტისემიტური პროპაგანდის შესაწყვეტად.

2003 წ. 30 აპრილს აშშ-ის ელჩმა ისრაელში დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს გადასცა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის საბოლოო რეგულირების ახალი გეგმა, "საგზაო რუკა" (214, 83-99). მისი მიზანი იყო 2005 წლამდე პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის საბოლოო და საყოველთაო მოწესრიგება, როგორც ეს იყო გამოცხადებული ჯორჯ ბუშის სიტყვაში 2002 წ. 24 ივნისს და მოწონებული ევროკავშირის, რუსეთის და გაეროს მიერ 2002 წ. 16 და 17 სექტემბერს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეხვედრების შედეგად გაკეთებულ განცხადებებში. ოთხეული იღებდა ვალდებულებას, დახმარება გაეწია გეგმის რეალიზაციისათვის, მათ შორის მხარებს შორის კომუნიკაციის დროსაც.

მხარეებს შორის მოლაპარაკებების გზით მიღწეულ შეთანხმებით შეიქმნებოდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული და სიცოცხლისუნარიანი პალესტინის სახელმწიფო, რომელიც მშვიდობით და უშიშრად იარსებებდა ისრაელის და სხვა სახელმწიფოების გვერდით. დაასრულებოდა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და 1967 წ. დაწყებული ოკუპაცია, თანახმად გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მიიღეს მადრიდის კონფერენციაზე და პრინციპისა "მიწა მშვიდობის ნაცვლად", **გაერო**ს უშიშროების საბჭოს 242, 338 და 1937 რეზოლუციებისა და სხვა მხარეთა მიერ ადრე მიღწეული სხვა შეთანხმებებისა.

გეგმა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 2 წელიწადში, შეიცავდა სამ მთავარ ეტაპს. პირველ ეტაპზე (შესრულების ვადა – 2003 წ. მაისი) განზრახული იყო ტერორიზმის და ძალადობის დასრულება, პალესტინელთა ცხოვრების ნორმალიზება, პალესტინელთა ტერიტორიებზე ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესება და პალესტინის სახელისუფლო სტრუქტურების აღდგენა. პირველ ეტაპზე პალესტინელებს მოეთხოვებოდათ "ძალადობის აქტების დაუყოვნებლივი და უპირობო შეწყვეტა". ივარაუდებოდა, რომ ისრაელი გაიყვანდა თავის ჯარებს პალესტინის ტერიტორიებიდან, რომლებიც ხელახლა დაიკავა 2000 წ. 28 სექტემბრის ამბების შემდეგ.

მეორე ეტაპის (2003 წ. ივნისი-დეკემბერი) მთავარი მიზანი იყო დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა "დროებითი საზღვრებით და სუვერენიტეტის ატრიბუტებით". აშშ-ს, რუსეთს, ევროკავშირს და **გაერო**ს უნდა მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია პალესტინის ეკონომიკური აღდგენის მიზნით. პალესტინის სახელმწიფოს შექმნის პროცესს გააკონტროლებდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები.

მესამე ეტაპზე (2004-2005 წწ.) – რომელიც იყო საბოლოო სტადია პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გეგმისა, უნდა მომხდარიყო "კონსოლიდაცია რეფორმებისა და სტაბილიზაცია პალესტინის სახელისუფლო სტრუქტურებისა, ეფექტური მუშაობა პალესტინის უშიშროების სამსახურებისა და პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებები პალესტინის მუდმივი სტატუსის შესაქმნელად 2005 წ." მოწვეული იქნებოდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც დამტკიცდებოდა ისრაელსა და პალესტინას შორის მიღწეული შეთანხმებები საბოლოო საზღვრების, იერუსალიმის სტატუსის, ლტოლვილების[48] და დასახლებების შესახებ. მოსალოდნელი იყო, რომ არაბული სახელმწიფოები დაამყარებდნენ ნორმალურ ურთიერთობებს ისრაელთან. ამ ეტაპზე მთლიანად დასრულდებოდა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი (214, 83-99; 165, 594; 290; 247, 142-148; 248, 150-154; 294; 298; 299; 300; 305; 307;).

[48] 2002 წლისთვის პალესტინელი ლტოლვილების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესახებ სპეციალური მოხსენება ეკუთვნის **გაერო**ს გენერალურ კომისარს ლტოლვილთა საკითხებში (262).

ა. შარონმა გამოხატა პრინციპული თანხმობა, მიეღო პრეზიდენტ ჯ. ბუშის მიერ შემოთავაზებული "საგზაო რუკა". მისაღები იყო ის პალესტინის ხელმძღვანელობისთვისაც.

დ. მაჰმუდ აბასი პალესტინის ავტონომიის პრემიერ-მინისტრი. *ალ-აკსას ინთიფადას* შედეგად, პალესტინის ავტონომიის მმართველობის სისტემა მოიშალა. უმუშევრობამ მიაღწია 50%-ს; პალესტინის ეკონომიკის და სახელმწიფო სტრუქტურების აღსადგენად საჭირო იყო მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები. ისრაელი და აშშ იმედოვნებდნენ, საგზაო რუკის რეალიზაციისათვის მოეზიდათ ევროპის ქვეყნებიც, საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები. აშშ იზიარებდა ისრაელის თვალსაზრისს, რომ თუ არაფათს დარჩებოდა სრული ხელისუფლება პალესტინის ავტონომიაში პრინციპული რეფორმები შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციამ უარი თქვა ისრაელის მოთხოვნაზე, ქვეყნიდან გაეძევებინა არაფათი. აშშ-ს აზრით, რაღაც დროით, მას კიდევ უნდა შეესრულებინა პალესტინის ავტონომიის ნომინალური მეთაურის მოვალეობა, მაგრამ სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გარეშე.

პალესტინის ავტონომიის ფინანსური სისტემის მოწესრიგების მიზნით, ამერიკის წარმომადგენლები მოითხოვდნენ ავტონომიის ფინანსთა მინისტრად საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრის ს. ფასედის დანიშვნას. გარდა ამისა, აშშ, ისრაელი და ევროკავშირი მოითხოვდნენ სტრუქტურული რეფორმების ჩასატარებლად პალესტინის ავტონომიაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღებას, რომლისთვისაც არაფათს უნდა გადაეცა თავისი უფლებამოსილების დიდი ნაწილი.

ყველაზე უფრო მისაღებ ფიგურად ამ პოსტზე აშშ, ევროკავშირი და ისრაელი თვლიდნენ **პგოს** აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივანს მაჰმუდ აბასს (აბუ მაზენს[49]) – ოსლოს შეთანხმების არქიტექტორს და

[49] აბუ მაზენი (აბუ მაზინი) ქუნიას ტიპის, მამობის აღმნიშვნელი არაბული სახელია, სადაც აბუ ნიშნავს მამას, რომელიც წინ უძღვის უპირატესად უფროსი ვაჟის, ამ შემთხვევაში აბასის უფროსი ვაჟის სახელს. ამავე დროს, ის იქცა მაჰმუდ აბასის მეტსახელად პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობაში. პალესტინელი ლიდერები, ჩვეულებრივ, ასეთ მეტსახელებს ატარებდნენ. მაგალითად, ფათჰის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სალაჰ ხალაფი ცნობილი იყო აბუ აიადის, ხოლო იასირ არაფათი - აბუ ამმარის სახელით.

სამშვიდობო კვარტეტის მიერ შემოთავაზებული საგზაო რუკის ერთ-ერთ ყველაზე აქტიური დამცველს. სწორედ მაჰმუდ აბასი იყო ის პალესტინელი პოლიტიკოსი, რომელმაც მოუწოდა პალესტინელებს, შეეწყვიტათ ინთიფადას მილიტარიზაცია და პირველად მოუწოდა, აგრეთვე, პალესტინელ მებრძოლებს, შეეწყვიტათ თვითმკვლელთა ტერორისტული აქტები ისრაელში "რათა არ მიეცათ საბაბი ისრაელისთვის, კიდევ ერთხელ დაექვემდებარებინა თავისი კონტროლისთვის უფრო მეტი პალესტინური ტერიტორია" (158, 74-78; 164, 920).

2003 წ. 10 მარტს პალესტინის საკანონმდებლო საბჭომ დაამტკიცა კანონპროექტი პალესტინის ავტონომიაში პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების თაობაზე, ხოლო 11 მარტს მაჰმუდ აბასი დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე. მას დაევალა სამ კვირაში ჩამოეყალიბებინა მთავრობა[50]. პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებაში შევიდა: მინისტრების დანიშვნა, მინისტრების მოვალეობების განაწილება და მათი ბიუჯეტის განსაზღვრა; პალესტინის უშიშროების სამსახურების და ფინანსების დეპარტამენტის გაკონტოლება. ახალი მთავრობის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბულ ვითარებაში. მხოლოდ აშშ-ის, ევროკავშირის, ეგვიპტისა და რუსეთის არაფათზე მასირებული დაწოლის შემდეგ

[50] მაჰმუდ აბასი დაიბადა 1935 წ. პალესტინაში, ქ.საფადში, 1948 წ. ოჯახთან ერთად გადასახლდა სირიაში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ დამასკოს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი და მიიღო მაგისტრის ხარისხი. 1954 წ. მან სირიაში შექმნა პალესტინის საზოგადოება; 50-იანი წლების მიწურულს ცხოვრობდა კატარში, სადაც დაკავებული იყო პალესტინის განთავისუფლების მოძრაობაში ხალხის მოზიდვით. ის არაფათთან ერთად ერთ-ერთი დამაარსებელია ფათჰის - პალესტინის განთავისუფლების მოძრაობისა. 1968 წელს გახდა პალესტინის ეროვნული საბჭოს წევრი. 1980 წ. აირჩიეს პგოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად (ეროვნული და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად). ისრაელის ლიდერებთან, ძირითადად საიდუმლო მოლაპარაკებების გზით, აბასმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოსლოს ხელშეკრულების დადებაში, მას ოსლოს არქიტექტორიც ეწოდა. დაწერა წიგნი ოსლოს მოლაპარაკებების შესახებ (278; 19). აბასი არაფათს ახლდა (და იყო მისი მოადგილე) 1993 წ. სექტემბერში თეთრ სახლში " პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაციის" ხელმოწერის ცერემონიაზე. 1994 წლიდან ის ხელმძღვანელობდა პგოს მოლაპარაკებათა საქმეების დეპარტამენტს. აწარმოებდა იმ მოლაპარაკებებს, რომლებიც დასრულდა 1994 წ. 4 მაისს, კაიროში, ისრაელსა და პალესტინელებს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებით "ღაზას სექტორისა და იერიქონის რაიონის შესახებ» ("ღაზა და იერიქონი - თავდაპირველად"). 1995 წ. ივლისში, 48-წლიანი განშორების შემდეგ, აბასი პალესტინაში დაბრუნდა და ღაზაში დასახლდა. 1995 წ. 28 სექტემბერს, ვაშინგტონში, პგოს სახელით ხელი მოაწერა «ისრაელ-პალესტინის შუალედური ხელშეკრულება დასავლეთი ნაპირისა და ღაზას სექტორის შესახებ". 1996 წ. მაისში იყო საბოლოო სტატუსზე ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის მოლაპარაკებების პირველ სესიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1996 წ. მაჰმუდ აბასი აირჩიეს პგოს აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივნად და 1998 წ. არაფათმა ქლინტონს თითქოს უთხრა, რომ მისი მემკვიდრე სწორედ აბასი იქნებოდა (17, 337-356).

ჩამოყალიბდა ახალი კაბინეტი და 2003 წ. 29 აპრილს ის დაამტკიცა პალესტინის საკანონმდებლო საბჭომ. მაგრამ საკითხი არაფათსა და აბუ მაზენს შორის უფლებამოსილებათა რეალური გაყოფის შეასახებ გადაუჭრელი დარჩა.

მაჰმუდ აბასი აქტიურად შეუდგა თავის საქმეს, მაგრამ წააწყდა პალესტინის სამხედრო დაჯგუფებების მხრიდან მედგარ წინააღმდეგობას. თავი იჩინა იდეოლოგიურმა და სახელისუფლო ბრძოლამ. ჰამასი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მასთან ურთიერთობას და უარს აცხადებდა, დამორჩილებულიყო მის სანქციებსა და ბრძანებებს, რადგანაც ის ასოცირებული იყო ოსლოს პრინციპებთან, ძალადობის შეწყვეტასთან და ისრაელთან «გარიგებებზე» წასვლასთან. ამასთან ერთად, აბუ მაზენის დანიშვნა მოხდა აშშ-ის ზეწოლით, ეს კი პალესტინელთა შიდა საქმეებში ჩარევას ნიშნავდა, რაც ჰამასის განცხადებით, მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო (403).

ალ-აკსას *ინთიფადას* დროს, ჰამასის პოპულარობამ *ისლამურ ჯიჰადთან* ერთად პალესტინის მოსახლეობაში 30%-ს გადააჭარბა და ეს პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა აჰმედ იასინის მკვლელობის შემდეგ 2004 წლის 22 მარტს. ამავე დროს, ჰამასი ჯერ აშშ-ის, შემდეგ ევროკავშირის ტერორისტთა მხარდამჭერ ორგანიზაციათა შავ სიაში შევიდა. ჰამასი კიდევ უფრო დაშორდა არაბულ სამყაროს, ზოგიერთი ცნობით, საუდის არაბეთმა მთლიანად შეუწყვიტა დაფინანსება და შიიტური ისლამი დარჩა ჰამასის ძირითად დამაფინანსებლად.

ჰამასის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა განსაკუთრებით გაძლიერდა 2003 წლიდან, როგორც პეას და ისრაელის, ისე - დასავლეთის მხრიდან. აშშ-მა გაყინა ისლამური ორგანიზაციების საბანკო ანგარიშები, ზოგ შემთხვევაში, სასამართლო საქმეც კი აღძრა მათ წინააღმდეგ. ბუშის ადმინისტრაციამ გაყინა აქტივებიც ამერიკული ისლამური ფონდისა და ორი სხვა დაჯგუფებისა, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ჰამასის დაფინანსება. ასევე დახურეს "დახმარებისა და განვითარების წმინდა მიწის ფონდის" აშშ-ის ოფისები, რომლებმაც მხოლოდ 2000 წ. 13 მლნ აშშ დოლარი შეაგროვეს. ჰამასისთვის. ფედერალური გამოძიების ბიუროს ცნობით, ფონდის დამაარსებელი და ლიდერი ჰამასის წევრი იყო. აშშ-ის ხუთამდე ბანკში ფონდს გაეყინა 1.9 მლნ. აშშ

დოლარი. 2003 წლის 22 აგვისტოს პრეზიდენტმა ბუშმა დაასახელა ის ხუთი საქველმოქმედო ორგანიზაცია - CBSP, ASP, ინტერპალი, პალესტინის ასოციაცია ავსტრიაში, შემსუბუქებისა და განვითარების სანაბილის ასოციაცია (399), რომლებიც აფინანსებდნენ ჰამასს და ამ ორგანიზაციის ექვსი ლიდერი: შეიხი აჰმად იასინი, ‘იმად ხალილ ალ-‘ალამი, უსამა ჰამდანი, ხალიდ მიშ‘ალი, მუსა აბუ მარზუკი, ‘აბდელ ‘აზიზ არ-რანტისი - როგორც ტერორისტები. პრეზიდენტის განკარგულებით, მათ ამერიკაში გაეყინათ აქტივები და აეკრძალათ ამერიკის მოქალაქეებთან რაიმე სახის ტრანსაქციები.

მაჰმუდ აბასმა ვერ გაბედა, აშკარად დაპირისპირებოდა ისლამურ დაჯგუფებებს და აქტიურად შეეტია მათი ორგანიზაციებისათვის. მან ითხოვა ცეცხლის დროებითი შეწყვეტა მაინც, გმობდა ინთიფადას მილიტარიზაციას, ძალადობასა და კასამის ჭურვების გამოყენებას. მისი განცხადებით, «ინთიფადას მილიტარიზაცია სრული შეცდომა იყო, რადგანაც ომი დაიწყო ისრაელთან მის ყველაზე ძლიერ და არა სუსტ ნაწილში. ყველაზე ძლიერი, რაც ისრაელს აქვს – იარაღია, ეს კი ჩვენთვის ყველაზე სუსტი წერტილია” (401).

აბასი მხარს უჭერდა საგზაო რუკას, რაც ჰამასისთვის არ იყო სერიოზული არგუმენტი. მან საგზაო რუკა მიიღო არა როგორც მშვიდობის დამყარების დიპლომატიური გეგმა, არამედ როგორც პალესტინელთა წინააღმდეგობის აღკვეთისა და შეჩერების მცდელობა. მისი თვალსაზრისით, ყოველგვარი მოლაპარაკება იქნებოდა მსგავსი იმ წინა პროცესებისა, რომლებიც წარუმატებელი აღმოჩნდა პალესტინის პრობლების გადაწყვეტაში. მიუხედავად ამისა, ჰამასი მაინც წავიდა პალესტინის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე, რის შედეგადაც, 2003 წლის ივნისში, ჰამასმა და ისლამურმა ჯიჰადმა მართლაც გამოაცხადეს *ჰუდნა* (ცეცხლის შეწყვეტა).

შედარებითმა სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა. შეიარაღებული შეტაკებები განახლდა, როგორც კი ისრაელმა იერიში მიიტანა პალესტინელებზე. ნაბლუსთან მდებარე პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკში რეიდის შედეგად მოკლულ იქნა ჰამასის ერთ-ერთი ლიდერი აბდულა კავასმე. შურისძიებამ არ დააყოვნა – 19

აგვისტოს ᲰᲐᲛᲐᲡის აქტივისტმა თავი აიფეთქა იერუსალიმის გადატვირთულ ავტობუსზე, რის შედეგად დაიღუპა 23 ადამიანი (330).

ამის შემდეგ, ისრაელის თავდაცვის ძალებს ებრძანათ. დაეპატიმრებინათ ან მოეკლათ ᲰᲐᲛᲐᲡის ყველა ლიდერი ხებრონსა და ღაზას სექტორში. ავტობუსის ტერაქტის დამგეგმავები მართლაც ყველა დააპატიმრეს, ან მოკლეს. ᲰᲐᲛᲐᲡის ხელმძღვანელობა ხებრონში სერიოზულად შესუსტდა. გარდა ამისა, დამსჯელი სანქციები გატარდა ჯენინში, თულკარემსა და, განსაკუთრებით, ნაბლუსში. ნაბლუსის ბლოკადა სამ თვეზე მეტხანს გაგრძელდა, ნაზლეთ'ისსაში 60-ზე მეტი მაღაზია დაანგრიეს ბულდოზერებით, იმ მიზეზით, თითქოს ისინი ნებართვის გარეშე იყო აშენებული. ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერების განადგურების ოპერაციები უფრო მიზანმიმართული და დაუნდობელი გახდა. დააპატიმრეს და მოკლეს ბევრი ლიდერი თუ წამყვანი წევრი, აღკვეთეს დაგეგმილი ტერორისტული აქტები.

აბუ მაზენი ამაოდ ცდილობდა დაერწმუნებინა თანამოქალაქენი, რომ მათი მხრიდან ძალადობა საპასუხო ძალადობას გამოიწვევდა და ეს, საბოლოო ჯამში, პალესტინელებს უფრო ავნებდა. ის მოუწოდებდა ᲰᲐᲛᲐᲡისა და *ისლამური ჯიჰადის* აქტივისტებს, აღარ განეხორციელებინათ ტერორისტული აქტები, რაც ახალ მიზეზს აძლევდა ისრაელს, რომ იერიში მიეტანა პალესტინელებზე. ვინც ასეთ ნაბიჯს გადადგამდა, ის მოქმედებდა კრიმინალი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ (403). მაგრამ ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერებმა უგულებელყვეს ეს მოწოდება და მტკიცედ განაცხადეს, რომ სანამ ისრაელი განაგრძობდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, ისინი არ შეაჩერებდნენ თავდასხმებს (403).

მაჰმუდ აბასი წარუმატებელი აღმოჩნდა სამხედრო დაჯგუფებებთან ურთიერთობაში, მან ვერ შეძლო დაკისრებული მისიის შესრულება, ვერ დაიმორჩილა ისინი. ამას თან ერთვოდა რიგი უთანხმოებებისა არაფათთან (210, 128), რომლის მიმტევებელ პოზიციას ის არ ურიგდებოდა. 2003 წლის სექტემბერის დამდეგს აბუ მაზენი გადადგა, მის ნაცვლად დაინიშნა ᲠᲡᲡᲡ თავმჯდომარე აბუ 'ალა აჰმედ კურაი'ი (282; 288). აშკარა იყო, რომ ძალადობის აღკვეთა ამ ეტაპზე შეუძლებელი იქნებოდა. ისრაელმა სხვა ხერხს მიმართა, როგორც აღინიშნა, დაიწყო დასავლეთ ნაპირზე გამყოფი კედლის შენება.

ისრაელმა გააძლიერა კონტროლი კონტრაბანდაზეც. 4 წლის განმავლობაში რაფაში აღმოჩენილი იქნა ოთხმოცამდე გვირაბი, რომელთა საშუალებით ეგვიპტიდან ხდებოდა იარაღის, ამუნიციის, ლტოლვილთა, სიგარეტების, მანქანების ნაწილების, ელექტრო საქონლის, ვალუტის, ოქროს, ნარკოტიკებისა და ტანსაცმლის კონტრაბანდა. ისრაელის რეიდების დროს 1500-მდე სახლი განადგურდა, 16000-მდე ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

2004 წ. თებერვალში, ცალმხრივად, ისრაელის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, არიელ შარონმა განაცხადა თავისი გეგმის – ღაზას სექტორიდან ებრაული დასახლებების გადატანის შესახებ, რასაც ურთიერთსაპირისპირო რეაქცია მოჰყვა ისრაელში (310)[51]. მაგრამ ამას არ შეუჩერებია პალესტინური დაჯგუფებები, შეეწყვიტათ საკუთარი სამხედრო საქმიანობა. აშდოდის პორტში განხორციელებულ ტერაქტს ისრაელმა ღაზას სექტორში რეიდებით უპასუხა, რასაც ᲰᲐᲛᲐᲡის 70-მდე აქტივისტის განადგურება მოჰყვა.

2004 წლის 22 მარტს მოკლეს ᲰᲐᲛᲐᲡის ყველაზე გამორჩეული ლიდერი და დამაარსებელი შეიხი აჰმედ იასინი, ოდნავ მოგვიანებით კი მისი მემკვიდრეც აბდ ალ-აზიზ არ-რანტისიც (323)[52]. პალესტინელთა ტერაქტებს ამის შემდეგაც თან სდევდა ისრაელის სადამსჯელო ოპერაციები (ოპერაცია "ცისარტყელა", ოპერაცია "დასჯა", რომელთა შედეგად 100-მდე პალესტინელი დაიღუპა და ა.შ.).

---

[51] გავრცელდა თვალსაზრისი, რომ ისრაელის გასვლის შემდეგ ღაზას სექტორი გადაიქცეოდა ᲰᲐᲛᲐᲡის სახელმწიფოდ (311). ამასთან, ასევე გავრცელებული თვალსაზრისით, ისრაელი არ აპირებდა ომს ტერორისტებთან ღაზას სექტორის დაცლის დროს (319).

[52] აჰმედ იასინის მკვლელობის შემდეგ პალესტინაში გამოცხადდა ოფიციალური გლოვის დღე. 2004 წ. 17 სექტემბერს ისრაელის საჰაერო დარტყმის დაბომბვის შემდეგ, როცა ჰამასის 14-მდე წევრი დაიღუპა, პალესტინის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა აჰმედ კურაი'იმ განაცხადა: «მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას პასუხი მოჰყვება და ეს პასუხი გამართლებული იქნება". ისრაელისა და დასავლეთის ზეწოლის შედეგად, 1996 წ. (ისრაელში ტერორისტ-თვითმკვლელთა აფეთქებების სერიის შემდეგ) ᲐᲖᲝᲛ უაღრესად შეავიწროვა ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡ საქმიანობა და მისი წევრები დააპატიმრა, მაგრამ 2000-01 წლებში ყველა გაანთავისუფლა (388). ისრაელის განცხადებით, *ალ-აკსას ინთიფადას* დროს, პალესტინის ხელისუფლებამ ᲰᲐᲛᲐᲡს «მწვანე შუქი» მისცა ისრაელის წინააღმდეგ თავდასხმებისათვის. ისრაელის თავდაცვის მინისტრის, გენერალ შაულ მოფაზის ცნობით, «არაფათმა შეკრიბა ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერები, ჰკითხა მათ, თუ რატომ აღარ ხდებოდა გმირობები ისრაელში... და უთხრა: «თქვენ იცით, რაც უნდა გააკეთოთ"(388). მართლაც, ᲰᲐᲛᲐᲡსა და *ალ-აკსას მოწამეთა ბრიგადებმა* (იასირ არაფათის ᲤᲐᲗᲰᲘᲡ სამხედრო ფრთამ, რომელიც, ისრაელის განცხადებით, პალესტინის ხელისუფლების მიერ ფინანსდება), არაერთი ერთობლივი თავდასხმა განახორციელეს ისრაელის წინააღმდეგ და ერთობლივად აიღეს პასუხისმგებლობა ჩადენილ ტერორისტულ აქტებზე.

2005 წ. სექტემბერში დააპატიმრეს ᲰᲐᲛᲐᲡის არაერთი აქტივისტი, მათ შორის ღაზას სექტორში მედიის წარმომადგენელი სამი აბუ ზუჰრი (324), ზიად თამიმი – დასავლეთ ნაპირზე ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡ კოორდინატორი, ხალილ ალ-ბარზალი – დასავლეთ ნაპირზე, რამალაჰის რაიონში პატიმართა მხარდამჭერი საზოგადოების თავმჯდომარე (324) და სხვ.

3. **პალესტინის ეკონომიკა ინთიფადას წლებში.** მრავალი მიმომხილველის თანახმად, კონფლიქტი ხასიათდებოდა როგორც "ასიმეტრიული ომი" – არაპროპორციული დარტყმებით ორივე მხრიდან. კერძოდ, *ინთიფადას* მილიტარიზაციის პასუხად, საერთაშორისო საზოგადოების გაფრთხილებების მიუხედავად, ისრაელი არცთუ იშვიათად არაადეკვატურად რეაგირებდა მებრძოლების შეტევებზე, იწყებდა კოლექტიური ხასიათის დამსჯელ ღონისძიებებს (ბლოკადა, საზღვრების ჩაკეტვა[53], საკომენდანტო საათი) მთელი პალესტინელი მოსახლეობის წინააღმდეგ, ანგრევდა სამოქალაქო და სოციალური დანიშნულების ობიექტებს (სკოლები, საავადმყოფოები), ანადგურებდა სამეურნეო ინფრასტრუქტურას, საკომუნიკაციო ქსელს, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს. ამ აქციებმა უკვე *ინთიფადას* საწყის ეტაპზე გამოიწვია რღვევა პალესტინის ავტონომიის ეკონომიკისა, რომელიც შეიქმნა სამშვიდობო პროცესის წლებში და ვითარდებოდა საერთაშორისო დონორებისა და ინვესტორების აქტიური მონაწილეობით. უწყვეტმა სამხედრო ესკალაციამ, საერთაშორისო ექსპერტების აღიარებით, სოციალ-ეკონომიკური სიტუაცია პალესტინის ტერიტორიებზე დააყენა ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზე (45, 64-73; 220, 31-36).

ისრაელის არმიის სამხედრო ოპერაციების შედეგად, მის კონტროლს დაექვემდებარა დასავლეთი ნაპირის ქალაქების დიდი ნაწილი, მათ შორის რამალაჰი, ნაბლუსი, ტულქარამი, სალფიტი, ჯენინი, რომელთა მოსახლეობა ცხოვრობდა საკომენდატო საათის პირობებში ისე, რომ არ ჰქონდა საშუალება,

[53] საზღვრების ჩაკეტვა ჩვეულებრივი იყო 1993 წლიდან. 1993-96 წლებში ისრაელის ხელისუფლებამ ჩაკეტა საზღვრები ღაზას სექტორში 342 დღით, ხოლო დასავლეთ ნაპირზე – 291 დღით. ასე, რომ თითქმის ყოველი წლის მესამედი პალესტინელებს ეკრძალებოდათ მოძრაობა ღაზას სექტორის და დასავლეთი ნაპირის გარეთ პირადი თუ საქმიანი მიზნით (218, 8-16, 12). ეკონომიკური ეფექტი იყო უაღრესად მძიმე.

დაეტოვებინა საკუთარი სახლები. ოკუპირებულ რაიონებში ისრაელის არმიის დარტყმების შედეგად მოხდა პალესტინის ავტონომიის ძალოვანი სტრუქტურების დემონტაჟი. სამართალდამცავი ორგანოები გარეკეს. დაბრკოლებები შეექმნა საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს. ღაზას სექტორი და სხვა ქალაქებიც ჩაიკეტა და სისტემატურად იბომბებოდა. ის პუნქტები, რომლებიც რჩებოდნენ პეას კონტროლის ქვეშ, იყვნენ იზოლირებულნი. სრული კრახი განიცადა კაპიტალის, მიწის, საქონლისა და მომსახურების ადგილობრივმა შრომის ბაზრებმა.

პალესტინის დასახლებული პუნქტების ბლოკადამ პალესტინის არმიის მიერ სასტიკი დარტყმა მიაყენა პალესტინის ავტონომიის ეკონომიკას, რომელიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო საგარეო ვაჭრობაზე, ისრაელის ბაზარზე.

პალესტინის ეკონომიკა, რომელსაც არ გააჩნია რაიმე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები, შეიძლება განვითარდეს მხოლოდ და მხოლოდ იაფი და საკმაოდ არაკვალიფიციური სამუშაო ძალის ხარჯზე. ავტონომიის მეურნეობის 70% შედგება სექტორებისგან, რომლებშიც ადამიანის შრომის წილი ზედმეტი ღირებულების შექმნაში მაღალია (Palestinian Central Bureau of Statistics, Housing and Establishment Census, Establishment Report, 1997). ეს ეხება, უმთავრესად, ვაჭრობას, ტურიზმს, სატრანსპორტო მომსახურებას, ტელეკომუნიკაციებს, და საინფორმაციო ტექნოლოგიას, რომელიც შეიქმნა სამშვიდობო პროცესის წლებში. იმ გარემოებამ, რომ ადამიანებს არ შეეძლოთ სამუშაო ადგილებზე მისვლა ბლოკადისა და საკომენდანტო საათის გამო, ავტომატურად გამოიწვია წარმოების საყოველთაო დაქვეითება-დაცემა.

ბლოკადამ და ადგილობრივი მეურნეობის კოლაპსმა გამოიწვია უმუშევრობა პალესტინის ტერიტორიებზე და უკვე 2002 წ. მესამე კვარტალში მიაღწია 50%-ს (128a, 7-8). პალესტინელთა ერთმა ნაწილმა სამსახური დაკარგა ისრაელში, ხოლო მეორემ, უფრო დიდმა ნაწილმა (60%-მა) - საშინაო წარმოებაში; მაგალითად, მშენებლობის დარგში უმუშევრობა 49%-ით გაიზარდა. სხვა სექტორებში ეს რიცხვი გაცილებით დაბალი იყო. მაგალითად საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, სასტუმროებსა და რესტორნებში უმუშევრობა მხოლოდ 8%-ით გაიზარდა.

უმუშევრობის დონე, ჩვეულებრივ, ღაზას სექტორში უფრო მაღალი იყო, ვიდრე დასავლეთ ნაპირზე, ძირითადად სოფლის მეურნეობის როლის გამო. ღაზაში უმუშევრობამ თავის პიკს მიაღწია *ინთიფადას* დაწყების შემდეგ, მაშინ, როდესაც, დასავლეთ ნაპირზე თითქმის არაფერი შეცვლილა.

უმუშევრობის ზრდამ განაპირობა საშინაო მეურნეობების და შიდა მოხმარების შემოსავლების დაცემა. ეკონომიკური სიტუაციის გამკაცრება გახდა პალესტინის ტერიტორიებზე სიღარიბის უპრეცედენტო ზრდის მიზეზი. *ინთიფადას* პირველ ოთხ თვეში სიღარიბის ზღვარზე დაბლა (ერთ სულზე მოდიოდა დღეში 2 დოლარზე ნაკლები) მცხოვრებთა რაოდენობა გაიზარდა მოსახლეობის 21%-დან - 32%-მდე, 650 ათასიდან – 1 მილიონამდე (219, 143). მესამედი ღარიბი პალესტინელებისა ცხოვრობდა სამ არეალში – ხან-იუნუსში, ქ. ღაზასა და ხებრონში, რომლებიც ყველაზე უფრო დაზარალდნენ საზღვრის ჩაკეტვით. ეს ტერიტორიები პრაქტიკულად მთლიანად მოსწყდნენ ისრაელის სამუშაო და სავაჭრო ბაზრებს და დიდ პალესტინურ ქალაქებს, სადაც სიღარიბის ზღვარზე დაბლა ცხოვრობდა მოსახლეობის 40-51%.

2001 წ. ივლისისთვის სიღარიბის ზღვარზე დაბლა მცხოვრებთა რიცხვი გაორმაგდა, 1 მლნ-დან – 2,1 მლნ-მდე, რაც იყო მთელი მოსახლეობის 80% ღაზას სექტორში და 57% - დასავლეთ ნაპირზე. მსოფლიო ბანკის ეკონომისტთა თვალსაზრისით, ბლოკადის მოხსნის შემთხვევაშიც კი, სიღარიბის პროცენტი დიდად არ შეიცვლებოდა 2003-04 წლებშიც, დონორებს რომ გაეზარდათ დახმარება წლიურად 1 მლრდ დოლარით და 2004 წ. ბოლოსთვის სიღარიბის ზღვარზე მცხოვრებთა რაოდენობა დაეცემოდა მხოლოდ 52%-მდე (219, 143-146; 128a, 3).

მიუხედავად პრობლემებისა, *ინთიფადას* დროს საშუალო ხელფასი უცვლელი რჩებოდა; რეალური ხელფასიც სტაბილური იყო, რადგან ინფლაციის დონე მცირედით შეიცვალა. პალესტინის ტერიტორიებზე ისრაელის ახალი შეკელი გამოიყენებოდა თითქმის ყველა ფინანსური ოპერაციის დროს. ინფლაციის დონე კი ისრაელშიც საკმაოდ დაბალი იყო. სამაგიეროდ განსხვავდებოდა ინფლაციის დონე თავად ღაზას სექტორსა და დასავლეთ ნაპირს შორის.

პალესტინის ეკონომიკას სერიოზული საფრთხე შეუქმნა დასავლეთი ნაპირის საზღვარზე ბარიერის მშენებლობამ. 360 კმ-ის სიგრძის კედელი და ებრაული ახალშენები უფრო მეტად შეუშლის ხელს პალესტინელთა გადასვლას ისრაელში, შეაფერხებს ექსპორტს; ბარიერი ასევე განთავსდება ტერიტორიაზე, სადაც არაერთი ჭაა. მართალია, ამას არ ექნება გავლენა ისრაელსა და პალესტინას შორის წყლის განაწილებაზე, მაგრამ შეიძლება დააზიანოს საირიგაციო სისტემა კედლის გასწვრივ (108, 153-160; 153, 5-35;129, 1-30; 246, 146-48; 249, 139-142).

გადასახადების აკრეფა, რაც საკმაოდ კარგად სრულდებოდა *ალ-აკსას ინთიფადას* დაწყებამდე, 2000 წლის ბოლოსთვის 38%-ით შემცირდა. შემდეგ ის არაერთხელ გახდა პალესტინის ხელისუფლებაზე ისრაელის ზეწოლის საშუალება. ეს ორნაირად კეთდებოდა: ერთი მხრივ, უშუალოდ, როცა ისრაელის მთავრობა აღარ გადასცემდა **პეას** მისთვის განკუთვნილ გადასახადს, მეორე მხრივ, ხდებოდა თავისთავად – პალესტინელთა გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები ხელს უშლიდა ისრაელის ტერიტორიაზე მათ მუშაობას და, შესაბამისად, გადასახადების გადახდას. ჩვეულებრივ, უცხოელი დონორები აღშფოთებას გამოთქვამდნენ ისრაელის მთავრობის მიერ შემოსავლების გადაცემის დაყოვნების გამო. პალესტინელი მუშებისათვის ისრაელი იყენებდა და იყენებს სამუშაო საშვების სისტემას, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ მოკლე დროით გაიცემოდა. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ისრაელში შესვლის უფლებას იძლეოდა, ზოგიერთი კი – პალესტინელებს სამრეწველო ტერიტორიებზე უშვებდა, სადაც კომპანიები ამუშავებდნენ საწარმოებს უსაფრთხოების უმკაცრესი ზომების დაცვით. ისრაელში შესვლაზე შეზღუდვების დაწესება მნიშვნელოვან სიძნელეებს უქმნიდა პალესტინელ მუშა-ხელს, მისულიყო სამუშაო ადგილზე და ამცირებდა მის რაოდენობას. თუ 2000 წლამდე 146 ათასი პალესტინელი გადადიოდა ისრაელის ტერიტორიაზე, 2002 წ. მეორე ნახევარში ეს რიცხვი დაახლოებით 33 ათასამდე დაეცა. ამგვარად, დასავლეთ ნაპირისა და ღაზას სექტორის ეკონომიკა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ისრაელის მთავრობის მიერ დაწესებულ შეზღუდვებზე. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საზღვრების პერიოდული დაკეტვა, შიდა ბლოკადები და საკომენდანტო საათები, რომლებიც ადამიანებისა

და პროდუქციის გადაადგილებას კრძალავდა. ისრაელში პალესტინელთა მიერ გამომუშავებული წლიური შემოსავალი *ალ-აკსას ინთიფადას* დაწყების შემდეგ, დაახლოებით, 530 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია პალესტინის ტერიტორიებზე მოსახლეობის მხრიდან მსყიდველობითუნარიანობის და, შესაბამისად, საერთო მთლიანი საშინაო პროდუქტის შემცირება.

დაინგრა ასეულობით სახლი (31). დიდი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ, რომელიც იძლეოდა საერთო საშინაო პროდუქტის 82%-მდე. 2 წლის მანძილზე, 2002 წ. ივლისამდე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, დარგის ეკონომიკურმა დანაკარგებმა შეადგინა 770 მლნ დოლარი.

ღაზას სექტორსა და დასავლეთ ნაპირზე ისრაელის არმიამ გაანადგურა აჩეხა 772 425 ზეთისხილის ხე, ფინიკის პალმა, ციტრუსის ხე, ვაზი და სხვ. (219, 139). პალესტინის ავტონომიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშით, ზარალმა შეადგინა 107,590,000 დოლარი. განადგურდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 2200 ჰექტარი (http://www.pnic.gov.ps/arabic/agriculture/agri_w-2.html).

გაჩერდა სამშვიდობო პროცესის წლებში შექმნილი მრეწველობა. პალესტინის ავტონომიის მრეწველობის სამინისტროს მოხსენებით, *ინთიფადას* პირველ 21 თვეში მისმა დაცემამ შეადგინა 93%. ყოველდღიური პირდაპირი დანაკარგები შეფასებულია 1,4 მლნ, ხოლო 2 წლის მანძილზე (2002 წ. ივლისამდე) 900 მლნ დოლარით. (http://www.pnic.gov.ps/arabic/quds/arabic/studies/a/studies_04_5.html)

კონფლიქტი უაღრესად ნეგატიურად აისახა პალესტინის ტურიზმზე. ეკონომიკა ისეთი ქალაქებისა, როგორიცაა აღმ. იერუსალიმი, ბეთლემი, ხებრონი 30-50%-ით დამოკიდებული იყო მოსულ მომლოცველებზე. 2000 წ. სექტემბრიდან – 2002 წ. ივლისის ჩათვლით სექტორმა იზარალა 6000 მლნ დოლარით. დაბომბვისა და ქუჩის შეტაკებების დროს მატერიალური ზიანი მიიღო არქიტექტურის ძეგლებმა, ფეშენებლურმა სასტუმროებმა, სავაჭრო დუქნებმა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ.

მნიშვნელოვანდ დაზარალდა ექსპორტიც. შეზღუდვების დროს აიკრძალა როგორც ადამიანების, ასევე საქონლის გადაადგილება. გარდა იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ვნებდა თავად პროდუქციას, მას სხვა უარყოფითი გავლენაც

ჰქონდა. პროდუქციას ეკარგებოდა ნდობა, რადგანაც საზღვრების დაკეტვა არასისტემური იყო, მისი რეგულარული მიწოდება კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. გარდა ამისა, შეზღუდვები და შესამოწმებელი პუნქტები ზრდიდნენ ტრანსპორტირების ფასსაც.

ინთიფადას დაწყების შემდეგ ბევრი დაბრკოლება შეხვდა ბიზნეს-საქმიანობას. ბიზნესებისთვის გაცემული სესხების შეუსრულობლობის დონე 2000 წლისთვის უკვე მაღალი იყო და 11%-ს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით გაიზარდა ძალადობის ახალი ტალღის შემდეგ. 2001 წ. ბოლოს ის 14%-ზე, ხოლო 2002 წ. ბოლოს – 29%-ზე ავიდა. ბანკებმა ადეკვატურად უპასუხეს ამ პრობლემას და გაამკაცრეს სესხის გასაცემი პირობები. მათ ასევე ორიგინალური გამოსავალი მონახეს შეზღუდვებისა და საკომენდანტო საათებთან გამკლავებისა და თავიანთი თანამშრომლებისთვის თავშესაფრები მოაწყვეს. და მაინც, სახელმწიფო ფინანსები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

პალესტინის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს მონაცემებით, თუ 1994-99 წწ. თითქმის გაორმაგდა ინვესტიციები, გაფართოვდა ფინანსური სექტორი, გაძლიერდა საბანკო საქმიანობა და შეიქმნა პალესტინის ფასიანი ქაღალდების ბირჟა, 2001 წლიდან, *ალ-აკსას ინთიფადას* და კონფლიქტის ესკალაციის შემდეგ, ეს ყოველივე შეიცვალა. ინვესტიციები გაქრა, ხოლო საბანკო საქმიანობა მნიშვნელოვნად შეჩერდა. შეიქმნა საკმაოდ დიდი დეფიციტი სავაჭრო ბალანსში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო დახმარებამ და კერძო შემოწირულობებმა, თუმცა ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა არ მოხერხდა.

სრული კრახისგან სიტუაციას შველოდა მხოლოდ უცხოელი დონორების დახმარება - წლიურად 900 მლნ დოლარი, რაც აშკარად არ იყო საკმარისი ზარალის დასაფარად. ბიუჯეტის საშინაო შემოსავლები 2000-02 წწ. დაეცა 88 მლნ დოლარიდან – 20 მლნ დოლარამდე. მიუხედავად ამისა, პალესტინის საბანკო და ფინანსურმა სისტემამ საკუთარი ფუნქცია შეინარჩუნა. 2003 წლისთვის დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში 9 ადგილობრივი და უცხოური ბანკის 13 ფილიალი მოქმედებდა. იორდანიის ბანკების ფილიალებს, რომლებიც ყველაზე პოპულარული იყო პალესტინის ტერიტორიებზე, დეპოზიტების 68%-ს ჰქონდათ. ბანკები,

ძირითადად, სამი ვალუტით ოპერირებდნენ: შეკელით, იორდანული დინარითა და აშშ-ს დოლარით. თუმცა (1998 წ. მონაცემებით და შემდეგაც ეს მეტნაკლებად ასე დარჩა) დეპოზიტების გაკეთებისას პალესტინელები უპირატესობას ანიჭებდნენ ჯერ აშშ დოლარს (60%), შემდეგ იორდანიის დინარს (24%) და ბოლოს - ისრაელის შეკელს (14%). თუმცა ყოველდღიურ მოხმარებაში ყველაზე გავრცელებულია შეკელი.

მსოფლიო ბანკმა 2001 წ. აღნიშნა პალესტინის საერთო საშინაო პროდუქტის დაცემა 16%-ით, ხოლო მომდევნო 2002 წ. – 21%-ით. მისი აბსოლუტური მოცულობა შემცირდა 2,65 მლრდ დოლარამდე (თითქმის 2-ჯერ ორი წლის მაძილზე. გაეროს მონაცემებით, პალესტინის ავტონომიის ყოველწლიური დანაკარგი შეადგენდა 7 მლნ დოლარს. 2000 წ. ოქტომბრიდან - 2002 წ. აგვისტომდე საერთო ზარალი იყო 3,3 მლრდ დოლარი, საიდანაც 1,1 მოდიოდა ბოლო წლის პირველ სამ თვეზე (129,24.) თუ 2000 წლისთვის პალესტინის ავტონომიის ეკონომიკა იყო ერთ-ერთი სწრაფად მზარდი რეგიონში, *ინთიფადას* დაწყების შემდეგ ვითარება შეიცვალა. ისრაელის ხელისუფალთა მიერ მიღებულმა ზომებმა პალესტინელთა გადაადგილების შეზღუდვასთან დაკავშირებით და საზღვრების ხშირმა ჩაკეტვამ გამოიწვია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შემცირება.

ქ. ღაზაში მთავარ საცნობარო სამმართველოსთან არსებულმა პალესტინის ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრმა დაადასტურა, რომ პალესტინის ეკონომიკამ განიცადა დიდი ზარალი. 2000 წ. 29 სექტემბრიდან – 2003 წ. 31 მარტამდე. საერთო ზარალი შეადგენდა 12 მლრდ. 320 მლნ 734 ათას დოლარს. ეროვნული წარმოების დაცემის დონე – 57%, აგრარულ სექტორში – შემცირდა 75%-ით, ზარალი – 927 მლნ დოლარი; სამრეწველო სექტორში – 60%, ზარალი კი იყო – 1 მლრდ 200 მლნ დოლარი. სამშენებლო სექტორში – 80%-ით, ვაჭრობაში – 33%-ით, ტრანსპორტის სფეროში – 70%-ით. მკვეთრად დაეცა ექსპორტ-იმპორტი. ექსპორტი 60%-ით და იმპორტი – 35%-ით (296).

სახსრების მუდმივი დეფიციტის პირობებში **პეა** ინტენსიურად ეძებდა დაფინანსების სხვა წყაროებსაც. უცხოელი დონორები მართლაც საკმაოდ

მნიშვნელოვან თანხებს იძლეოდნენ პეას რეფორმების ტექნიკური მხარდაჭერისათვის. მთავარი დონორები იყვნენ არაბული ქვეყნები, შემდგომ კი - ევროკავშირი. არაბული სახელმწიფოები პალესტინის ბიუჯეტის თანხების 75%-ს გამოყოფდნენ. 2002 წ. ბეირუთის სამიტზე არაბული სახელმწიფოების ლიგამ გადაწყვიტა, რომ დონორ ქვეყნებს პალესტინისთვის ყოველთვიურად 55 მლრდ აშშ დოლარი გამოეყო. მთლიანი თანხა უნდა განაწილებულიყო ლიგაში ამ ქვეყნების წილის შესაბამისად. ამან შეამცირა, მაგალითად, სპარსეთის ყურის ქვეყნების წილი პეას ბიუჯეტში. სამაგიეროდ სხვა, შედარებით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ არაბულ ქვეყნებს დაევალათ მეტი. მათ კი, თავის მხრივ, არ შეასრულეს დაკისრებული ამოცანა. ამგვარად, 2002 წ. აპრილიდან მაისამდე გამოყოფილი შემონაწირები თითქმის განახევრდა.

ევროკავშირმა დაიწყო დამატებითი სახსრების გამოყოფა ისრაელის მიერ დაწესებული შეზღუდვების შემდეგ. 2000-02 წლებში პეასთვის გამოიყოფოდა, დაახლოებით, 10 მლნ ევრო. 2003 წლიდან თავი იჩინა პრობლემებმა. კორუფციასა და ტერორიზმში დადანაშაულების გამო რამდენჯერმე დაგვიანდა დახმარების გამოყოფა. მსოფლიო ბანკის ინიციატივითა შეიქმნა საბანკო ანგარიში, რომელშიც თავისი წვლილი შეიტანეს ჰოლანდიამ, გაერთიანებულმა სამეფომ, ფინეთმა, დანიამ, ევროკავშირმა და საერთაშორისო განვითარების სააგენტომ. 2003 წ. მისმა დაფინანსებამ 38 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ამასთან ერთად, ფინანსდებოდა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა ისეთი ძირითადი მომსახურების გაწევას, როგორიცაა წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგება.

2002 წ. მეორე ნახევრიდან სიტუაცია ოდნავ გაუმჯობესდა, რაც შეიძლება შეზღუდვების შემსუბუქების ბრალი იყო, ანდა განსაკუთრებით კარგი მოსავლისა - კერძოდ, ზეთისხილისა. 2002 წ. ბოლოდან დასაქმება დაახლოებით 18 პროცენტით გაიზარდა.

2006 წ. დამდეგს სპეციალისტები უკვე დაბეჯითებით საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს პალესტინის ავტონომიის ეკონომიკის სტაბილიზაცია (312).

ინტერნეტით გავრცელდა პალესტინის ცენტრალური ბანკის მეთაურის ჯორჯ აბდის განცხადება, რომ საბანკო სექტორს შეეძლო გადაეტანა კრიზისები, რომლებიც შეიძლება მოხდეს მომავალში. მართალია ქვეყნის ეკონომიკა კრიზისის ზღვარზეა, მაგრამ თავისი მასშტაბით ვერ შეედრება იმ საშინელ ძვრებს, რომლებიც წარსულში მოხდა. პალესტინის ეკონომიკის ზრდამ უკანასკნელ წლებში შეადგინა 6%, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია არაბულ სამყაროში. მან გამოთქვა რწმენა, რომ მიუხედავად ოკუპაციისა, ქვეყნის ეკონომიკას შეუძლია განვითარდეს. საბანკო სისტემის საერთო აქტივები შეადგენს 5,6 მლრდ-ს, კლიენტთა ანაბრები – 4,2 მლრდს, და თუ მას დაემატება ცენტრალური ბანკის ანაბრები სხვა ბანკებში, ეს თანხა გაიზრდება 4,7 მლრდ-მდე. ბანკების საერთო კაპიტალის 57% ლიკვიდური საშუალებებია და საბანკო სექტორს შეუძლია, შეასრულოს თავისი ფუნქციები. მისი დავალიანება 11%-ია, რაც არ არის ისეთი კრიტიკული, როგორიც მეზობელ არაბულ ქვეყნებში. ამიტომ საბანკო სექტორი სტაბილურია. წინასწარი შეფასებით, საბანკო სისტემის შემოსავალი მიმდინარე წელს შეადგენს 125 მლნ დოლარს, 40 მლნ დოლარით მეტს, ვიდრე გასულ წელს.

3. იასირ არაფათის გარდაცვალება. მაჰმუდ აბასი – პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტი

2004 წ. 11 ნოემბერს გარდაიცვალა იასირ არაფათი, პალესტინის ავტონომიის პირველი პრეზიდენტი. არაფათი პალესტინის ავტონომიის სიმბოლო გახდა და მისი სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა პალესტინელ არაბებს. მის ხელთ იყო სრული ძალაუფლება. პალესტინის სუვერენული სახელმწიფოს შესაქმნელად, მშვიდობის მაძიებლის იმიჯით, ის ისრაელთანაც კი დაჯდა მოლაპარაკებების მაგიდასთან (1993 წ. 13 სექტემბერი) და მშვიდობის ნობელის პრემიაც დაიმსახურა იცხაკ რაბინთან და შიმონ პერესთან ერთად, თუმცა საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ არაფათი იბრძოდა არა მარტო პალესტინის სახელმწიფოს შესაქმნელად, არამედ ისრაელის გასანადგურებლადაც. ამის გამო მან პალესტინელები დაუსრულებელ და დამქანცველ ბრძოლაში ჩართო და რამდენჯერმე მათთვის საკმაოდ კონსტრუქციულ წინადადებებზეც კი თქვა უარი (37, 62-68; 47).

არაფათის მოვალეობის შესრულება დაეკისრა მაჰმუდ აბასს (აბუ მაზენს). მანვე გაიმარჯვა 2005 წ. ის 9 იანვარს, პალესტინის ავტონომიის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარის - პრეზიდენტის არჩევნებშიც, რომელიც მცირე ხარვეზების მიუხედავად, საერთაშორისო დამკვირვებელთა აზრით, ნორმალურად ჩატარდა, სერიოზული დარღვევები არ დაფიქსირებულა და არც არჩევნების შედეგები დამდგარა ეჭვქვეშ. ამომრჩეველთა 2/3-მა ხმა მაჰმუდ აბასს მისცა. მისმა ერთადერთმა სერიოზულმა კონკურენტმა, დამოუკიდებელმა კანდიდატმა, 50 წლის მუსტაფა ბარღუტიმ მიიღო ხმების 19,8% (http://news.bbc.co.uk/1/hi/world/middle_east/4152657.stm).

არაფათისგან განსხვავებით, მაჰმუდ აბასმა არაერთხელ მოუწოდა პალესტინელებს, შეეწყვიტათ ძალადობა ისრაელელთა წინააღმდეგ და ამგვარად აღარ მიეცათ ისრაელისთვის საპასუხო ოპერაციების განხორციელების საბაბი. ის ისრაელთან მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომასა და "საგზაო რუკის" პირობების განხორციელებას გეგმავდა.

ადგილობრივი მოსახლეობა და საერთაშორისო საზოგადოება იმედის თვალით უყურებდა ამ არჩევნებს, როგორც ისტორიულ შესაძლებლობას ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის განახლებისათვის. შეიარაღებულმა ისლამურმა დაჯგუფებებმა ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს, თუმცა მაჰმუდ აბასის არჩევით, ჰამასისა და ისლამური ჯიჰადის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მზად იყვნენ ეთანამშრომლათ ახალ ხელისუფლებასთან, თუ ის მეტისმეტად აშკარა გარიგებებზე არ წავიდოდა ისრაელთან. აბასმა, თავის მხრივ, დაჯგუფებებს მოუწოდა, შეეწყვიტათ "ყველა შეიარაღებული აქცია, რომელიც ზიანს აყენებს ეროვნულ ინტერესებს და ისრაელს საბაბს აძლევს შეარყიოს პალესტინელი საზოგადოების სტაბილურობა". მან არც დაპირებები დაივიწყა და განაცხადა, რომ მისი მიზანია პალესტინის სახელმწიფოს შექმნა 1967 წლის ომამდელი საზღვრებით, რომლის დედაქალაქი იქნება იერუსალიმი და 1948 წლიდან დევნილი პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნება.

15 იანვარს მაჰმუდ აბასმა ოფიციალურად დაიკავა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურის თანამდებობა. არჩევნებში თავის გამარჯვებას მან

უწოდა “პალესტინელი ხალხის გამარჯვება” და მიუძღვნა ის “განსვენებული იასირ არაფათის სულს”. აბასმა დადო პირობა, რომ გააგრძელებდა “არაფათის კურსს ეროვნული ერთობის გასამტკიცებლად, ყველა პალესტინურ ძალასთან დიალოგის გასაღრმავებლად და ისრაელთან სამართლიანი ზავის მისაღწევად. აბასმა იერუსალიმს უწოდა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქი. ამასთან, მან განაცხადა თანხმობა, რომ გაეგრძელებინა მოლაპარაკებები ისრაელთან კონფლიქტის საბოლოოდ მოსაგვარებლად, მოუწოდა დაწყება საგზაო რუკის რეალიზაციისა და ერთდროულად - დიალოგისა საბოლოო რეგულირების შესახებ. მაჰმუდ აბასს არჩევნებისთანვე ელოდა სერიოზული გამოცდა.

13 იანვარს ისლამისტმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა განახორციელეს ტერაქტი ისრაელის მოქალაქეთა წინააღმდეგ. აბასი არ დარჩა უმოქმედოდ. მან პალესტინურ შეიარაღებულ დაჯგუფებებს მშვიდობისაკენ მოუწოდა და ვიდრე მათთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ისრაელის მოქალაქეებზე თავდახმის აღსაკვეთად სერიოზული ზომებიც მიიღო.

21 იანვარს ღაზას სექტორის პოლიციის უფროსს გენერალ-მაიორს საიბ ალ-აჯეზს მითითება მისცა, განელაგებინა 8 ათასი პოლიციელი სექტორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამის მიზანი იყო სარაკეტო ჭურვებით ისრაელის ტერიტორიის დაბომბვის აღკვეთა ეს გადაწყვეტილება მეტად გაბედული იყო. პალესტინის უშიშროების ძალების გამოყენება ისრაელზე ტერორისტული თავდასხმების აღსაკვეთად დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში. ეს ძალები რამდენიმე ათას შეიარაღებულ თანამშრომელს აერთიანებს, მაგრამ მანამდე ვერც ერთმა პალესტინელმა მაღალჩინოსანმა ვერ გაბედა და ვერ შეძლო, აეძულებინა ისინი, ებრძოლათ ადგილობრივი ტერორისტების წინააღმდეგ. ეს ვერც აბასმა მოახერხა 2003 წელს პრემიერ-მინისტრად ყოფნის ოთხი თვის განმავლობაში და იძულებული გახდა გადამდგარიყო. მაშინ მან ეს იასირ არაფათს დააბრალა, რომელმაც არ მისცა საშუალება, თავისუფლად ემოქმედა ტერორისტების წინააღმდეგ.

იმავდროულად, აბუ მაზენმა მოლაპარაკებები დაიწყო ჰამასთან და ისლამურ ჯიჰადთან. ყოველწლიურად ჰამასის საქმიანობის სპექტრი და მასშტაბი ფართოვდებოდა. მაგალითად, 2004 წ. მან 555 ტერორისტული აქტის განხორციელება სცადა, რაც მნიშვნელოვანი ზრდა იყო 2003 წ. 218 აქტთან შედარებით. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ შემცირდა თვითმკვლელთა აფეთქებები. ჰამასის პოპულარობა, ისლამურ ჯიჰადთან ერთად, 30%-ით გაიზარდა. იმავდროულად, ჰამასი ჯერ აშშ-ის, ხოლო შემდეგ - ევროკავშირის ტერორისტთა მხარდამჭერ ორგანიზაციათა შავ სიაში შევიდა. საუდის არაბეთმაც ჯერ შეამცირა, ხოლო შემდეგ მთლიანად შეწყვიტა მისი დაფინანსება. ჰამასის ძირითად დამფინანსებლად შიიტური ირანი დარჩა. ჰამასის პოპულარობა კიდევ ერთხელ გაიზარდა 2004 წლის 22 მარტს იასინის მკვლელობის შემდეგ. ჰამასმა და პემამ დაიწყეს ინტენსიური მოლაპარაკებები ჰამასისთვის პალესტინის ეროვნულ მთავრობაში შესვლის უფლების მისაცემად.

აბასის განცხადებით, დიალოგი მათთან გაგრძელდებოდა მანამდე, ვიდრე მხარეები საერთო პოზიციას არ შეიმუშავებდნენ. შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა დადეს პირობა, რომ ისრაელზე თავდასხმებს დროებით შეაჩერებდნენ. რაც მთავარია, 2005 წ. 21 იანვარს ჰამასმა პირველად, თავის ისტორიაში, აღიარა პალესტინის ავტონომია 1967 წლის საზღვრებში. ისრაელის Haaretz-ის მიხედვით, ორგანიზაციამ ყველას მოუწოდა, გაერთიანებულიყვნენ დამოუკიდებელი, სრულიად სუვერენული პალესტინური სახელმწიფოს შესაქმნელად, რომლის დედაქალაქიც იქნებოდა იერუსალიმი. ყოველივე ეს ჰამასის მხრივ იყო სერიოზული დათმობა. აქამდე ის, პირველ რიგში, მხოლოდ ისრაელის სრულ განადგურებას ისახავდა მიზნად. აბასმა ასევე მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწია ჰამასთან და ისლამურ ჯიჰადთან მათი პოლიტიკური უფლებების შესახებ. მედიატორების განცხადებით, აბასი რეგულარულად აცნობებდა ოპოზიციური დაჯგუფებების ლიდერებს სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების შესახებ, განსაკუთრებით ისრაელის მიერ ღაზას სექტორიდან დაგეგმილი გასვლის დეტალებს. 7 თებერვალს რამალაჰში მაჰმუდ აბასი შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს და შეხვედრის შემდეგ ერთობლივ

პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პალესტინის ადმინისტრაციამ მიაღწია შეთანხმებას ყველა პალესტინურ ორგანიზაციასა და დაჯგუფებასთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე (http://www.cursorinfo.co.il/novosti/2005/02/07/rice_abbas/).

მაჰმუდ აბასმა მოსახლეობას აღუთქვა კანონიერების აღდგენა და ქაოსის დასრულება, ასევე ცხოვრების დონის გაუმჯობესება და არალეგალური იარაღის კონფისკაცია; ის ეწინააღმდეგებოდა კორუფციას და ქალებს ჰპირდებოდა მათი როლის ამაღლებას. მან არაერთხელ გააკრიტიკა და დაგმო ტერორისა და ძალადობის გზა. სიტუაციის სტაბილიზაცია პალესტინის ავტონომიაში თავის უპირველეს მიზნად გამოაცხადა, რის გარეშეც ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებები არარეალური იქნებოდა.

2005 წ. თებერვალში შარმ აშ-შეიხის სამიტზე შარონმა და ᲰᲐᲛᲐᲡმა ორმხრივი მშვიდობა გამოაცხადეს ისრაელსა და პალესტინის ეროვნულ ხელისუფლებას შორის. თუმცა, ᲰᲐᲛᲐᲡმა და ისლამურმა ჯიჰადმა განაცხადეს, რომ ამ შეთანხმების დაცვა არ იქნებოდა სავალდებულო მისი წევრებისთვის.

მართლაც, ისრაელის დასახლების მახლობლად მოკლული პალესტინელის შურის საძიებლად 9-10 თებერვალს ᲰᲐᲛᲐᲡმა კასამის ჭურვებით (25-50 ჭურვით) შეტევა განახორციელა ნევე დეკალიმის დასახლებაზე. ამის პასუხად, აბასმა პალესტინის უსაფრთხოების ძალებს ოფიციალური ბრძანება მისცა, მომავალში აღეკვეთა ასეთი აქტები, თანამდებობიდან გადააყენა უსაფრთხოების ძალების მაღალჩინოსნები, დაიწყო *ისლამური ჯიჰადის* და ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერებთან მოლაპარაკებები. მიუხედავად ამისა, შეიარაღებული შეტაკებები გრძელდებოდა. შარმ აშ-შეიხის შეთანხმება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

13 ივლისს *ისლამური ჯიჰადის* თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა მორიგი ტერორისტული აქტი ნეთანიაში (289). ივლისში ღაზას სექტორი მოწმე გახდა სერიოზული უთანხმოებისა და ძალადობისა თავად პალესტინელებს შორის. ᲰᲐᲛᲐᲡი რამდენჯერმე დაუპირისპირდა მთავრობის უშიშროების ძალებს. მათ შორის, ასევე, რამდენჯერმე იქნა მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, თუმცა ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ᲰᲐᲛᲐᲡი პალესტინის ხელისუფლებისათვის.

მიმომხილველები წერდნენ იმის თაობაზე, რომ ᲰᲐᲛᲐᲡი ემზადებოდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად (293). იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო ისრაელელთა მშვიდობიანი გასვლა ღაზადან და თავისი კონტროლისთვის დაექვემდებარებინა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, მაჰმუდ აბასმა ᲰᲐᲛᲐᲡს შესთავაზა, შესულიყო მთავრობაში, რამაც ისრაელის ხელისუფალთა გაღიზიანება გამოიწვია (297), თუმცა ისრაელის საზოგადოებაში იყვნენ მომხრეები (ისევე როგორც მოწინააღმდეგეები) ᲰᲐᲛᲐᲡთან დიალოგისა (301). ისრაელის მთავრობამ კიდევ ერთხელ მოითხოვა ᲰᲐᲛᲐᲡის დაშლა, განიარაღება და მისი წევრების დაპატიმრება, მაგრამ ამ შემთხვევამ უჩვენა, რომ ეს თუ შეუძლებელი არა, არც ისე ადვილი იყო.

თითქმის ყველა შეტაკებაში ᲰᲐᲛᲐᲡის აქტივისტები უფრო წარმატებულნი იყვენენ, ვიდრე ᲞᲔᲐ. ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თუ მათ შეჩერებას შეეცდებოდნენ, თითოეულს აზღვევინებდნენ, იქნებოდა ეს ოფიცერი, პოლიციელი, უბრალო მოქალაქე (304). გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ მაჰმუდ აბასი, თავისის სისუსტის გამო, არაფათზე უარესი იყო (302).

მაჰმუდ აბასმა სხვა საშუალებითაც სცადა ᲰᲐᲛᲐᲡის საქმიანობის შეჩერება. მან ბეირუთში თავისი დესპანი გააგზავნა და *ᲰᲘᲖᲑ ᲐᲚᲚᲐᲰს* სთხოვა, შეეწყვიტა პალესტინური წინააღმდეგობის მხარდაჭერა და ამით ხელი შეეწყო შარმ აშ-შეიხის სამიტის დროს მიღწეული პირობების შესრულებისათვის. როდესაც ამ ნაბიჯმა სასურველი შედეგი არ გამოიღო, აბასმა სირიასაც მიმართა თხოვნით, ჩარეულიყო. მიუხედავად იმისა, რომ სირიას საკმაო გავლენა ჰქონდა *ᲰᲘᲖᲑ ᲐᲚᲚᲐᲰᲖე* და მის საქმიანობასაც ხშირად განსაზღვრავდა, ის ფაქტი, რომ ის მას არ აფინანსებდა, მნიშვნელოვნად ზღუდავდა, ამ მხრივ, მის შესაძლებლობებს (381).

ᲰᲐᲛᲐᲡის დამორჩილება არ მოხერხდა და მისი საქმიანობა მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სამშვიდობო პროცესის, ისრაელისა და ᲞᲔᲐს ურთიერთობის წარმატებას. მასმედია ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ᲰᲐᲛᲐᲡი ომისთვის ემზადებოდა (316).

ღაზას სექტორში ᲰᲐᲛᲐᲡᲘს ერთ-ერთმა ლიდერმა მაჰმუდ აზ-ზაჰარმა იტალიურ გაზეთ “Corriere della Sera”-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ

მისი ორგანიზაცია საბოლოოდ არასდროს შეეგუებოდა პალესტინის სახელმწიფოს ცნობას 1967 წლის საზღვრებში და რომ "ეს ვარიანტი შეიძლება ყოფილიყო პრობლემის დროებით გადაჭრა, ხუთი ან მაქსიმუმ ათი წლით, ხოლო საბოლოო ჯამში პალესტინა ხელახლა უნდა გახდეს ისლამური, ხოლო ისრაელი შორეულ პერსპექტივაში უნდა გაქრეს".

მაჰმუდ აბასი ამაოდ ცდილობდა სხვადასხვა გზით ᲰᲐᲛᲐᲡის ლიდერების დაყოლიებას მშვიდობის შენარჩუნებაზე. მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო, ხოლო დაპატიმრებებმა საპასუხო ძალადობა გამოიწვია.

არ მოხდა შარმ აშ-შეიხში მიღწეული შეთანხმების დაცვა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს იარაღის დაყრაზე. ისრაელმა განაგრძო მისი ლიდერების განადგურება[54] და განაცხადა, რომ მშვიდობის დამყარება რეგიონში მის სრულ დაშლამდე შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, ისრაელის მთავრობამ ისიც განაცხადა, რომ ყველანაირად შეუშლიდა ხელს ᲰᲐᲛᲐᲡის მონაწილეობას პალესტინის მუნიციპალურ არჩევნებში. ამის გაკეთება კი მას მარტივად შეეძლო სამხედრო ბლოკებისა და შესამოწმებელი პუნქტების შენარჩუნებით, რაც სერიოზულად დააბრკოლებდა მოსახლეობის გადაადგილებას და საარჩევნო უბნებამდე მისვლას.

სექტემბრის დასაწყისში ისრაელმა 400-მდე პალესტინელი დააპატიმრა, მათ შორის ცნობილი პირები, ორგანიზაციების ლიდერები, ᲰᲐᲛᲐᲡის ადგილობრივი და საკანონმდებლო არჩევნების კანდიდატები. პალესტინის ხელისუფლებამ ისრაელი შიდა საქმეებში უხეშ ჩარევაში დაადანაშაულა. დაგეგმარების მინისტრის ღასან ხატიბის განცხადებით, ისრაელის «ჩარევა» უფრო ართულებდა არსებულ ვითარებას, ხელს უშლიდა hamasის საზოგადოებაში ინტეგრაციას არაძალადობრივი გზით. მართლაც, ბევრის აზრით, ვინაიდან hamasი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად ძალადობას იყენებდა, მისთვის უფრო მეტად უნდა შეეწყოთ ხელი არჩევნებში მონაწილეობისათვის (372). მიუხედავად ყველაფრისა, ისრაელის მიერ განხორციელებული ზომები წარუმატებელი აღმოჩნდა. 2005 წლის დეკემბერში ᲰᲐᲛᲐᲡმა გაიმარჯვა

[54] 2005 წ. 1 ნოემბერს საჰაერო თავდასხმის შედეგად, ჯაბალიას ლტოლვითა ბანაკში, ისრაელელებმა მოჰკლეს ᲰᲐᲛᲐᲡის სამხედრო ფრთის ერთ-ერთი ლიდერი ფავზი აბუ ალ-კარა.

ადგილობრივ არჩევნებში ღაზას სექტორის 10 ქალაქში. მუნიციპალურ არჩევნებში მათ მოიპოვეს 75 ადგილი, მაშინ როცა ფათჰმა მოიპოვა მხოლოდ 30 ადგილი. ჰამასის ათასობით მხარდამჭერმა გადაკეტეს ღაზას ქუჩები და დიდი ზეიმი მოაწყვეს. ეს იყო მნიშვნელოვანი სიგნალი როგორც ისრაელის მთავრობის, ისე პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციისათვის, მომავალ საკანონმდებლო არჩევნებში ჰამასის შესაძლებელი დიდი წარმატებების შესახებ, რაც არ იქნა სერიოზულად გაცნობიერებული (350). არ იქნა გათვალისწინებული ისიც, რომ საზოგადოებრივი გამოკითხვით ჰამასს უკვე მხარს უჭერდა პალესტინელთა 57%, რომლისთვისაც მიუღებელი ხდებოდა ფათჰის კორუმპირებული ხელისუფლება.

2005 წელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სხვა მოვლენებითაც. 2005 წლის 12 სექტემბერს დასრულდა არიელ შარონის გეგმა ღაზას სექტორიდან ისრაელის დასახლებების გაყვანის თაობაზე. უკანასკნელმა ისრაელელმა ჯარისკაცმა დასტოვა ღაზა. შარონს მძლავრი ოპოზიცია გამოუჩნდა ლიკუდის პარტიაში ბენიამინ ნეთანიაჰუს სახით, რომელიც მოითხოვდა ახალ არჩევნებს პარტიის ახალი ლიდერის პოსტზე. 2005 წლის ნოემბერში შარონი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ლიკუდი და შექმნა ახალი პარტია *კადიმა*, რომელიც უკვე წლის მიწურულისთვის თავისი პოპულარობით წინ უსწრებდა ისრაელის დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს. მაგრამ, მოულოდნელმა მძიმე ავადმყოფობამ, შარონი ჩამოაშორა პოლიტიკურ სარბიელს.

ამ ვითარებაში ჰამასის პოლიტიკური აქტივობა კიდევ უფრო გაიზარდა. მისი აქტივობის რეალიზაცია მოხდა 2006 წლის 25 იანვარს. პსსს არჩევნებში hamasმა დიდი გამარჯვება მოიპოვა და უკან ჩამოიტოვა ფათჰი, რაც მასმედიამ "მოსალოდნელ მოულოდნელობად" მონათლა (313)[55]. ჰამასის გამარჯვებამ

[55] hamasის კანდიდატებმა, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ "ცვლილების და რეფორმის სიით", საკანონმდებლო საბჭოში 132 ადგილიდან დაიკავეს 74. ფათჰის მოძრაობამ მიიღო 45 ადგილი; (385;308; http://new.bbc.co.uk/go/pr/fr/-/2/hi/middle_east/4400594.stm). *ისლამურმა ჯიჰადმა* არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და მონაწილეობა არ მიიღო. 17 მარტს ჰამასმა შეიმუშავა თავისი სტრატეგია მომავალი მმართველობის განმავლობაში და ჩამოაყალიბა 12-პუნქტიანი პროგრამა (390). მოგვიანებით, 30 მარტს ჰამასმა მხოლოდ თავისი წევრებიდან ჩამოაყალიბა მთავრობა, რომლის პრემიერ-მინისტრიც გახდა ისმაილ ჰანია.

განაპირობა დაძაბულობის ესკალაცია ერთი მხრივ ᲤᲐᲗᲰთან[56], მეორე მხრივ კი ისრაელთან, რომლის მმართველი წრეების განცხადებით, ისინი არასოდეს წავლენ მოლაპარაკებებზე ისეთ მთავრობასთან, სადაც ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენლები იქნებიან. თუ გავითვალისწინებთ ᲰᲐᲛᲐᲡის შეურიგებელ დამოკიდებულებას ისრაელისადმი, სამშვიდობო პროცესის წარმატებით დასრულება პალესტინაში სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა.

ᲰᲐᲛᲐᲡმა გააგრძელა ისრაელთან შეურიგებელი კონფრონტაციის მეთოდებზე აქცენტირება. ეს იმ დროს, როცა მის წინაშე ბევრი ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა გადასაჭრელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხელისუფლებაში ᲰᲐᲛᲐᲡის მოსვლისას პალესტინის ავტონომიაში 2005 წლისთვის ბიუჯეტში 800 მლნ აშშ დოლარის დეფიციტი იყო, თითქმის ყოველი მეოთხე პალესტინელი - უმუშევარი, ხოლო მოსახლეობის 43%-ის სიღარიბის დონის დაბლა ცხოვრობდა. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რამდენი სირთულის გადალახვა დასჭირდება ᲰᲐᲛᲐᲡის მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობას პალესტინელი ხალხის ეკონომიკური ჩიხიდან გამოსაყვანად (308).

ᲰᲐᲛᲐᲡმა კარგად იცის, რომ ისრაელთან ბრძოლა მარტივი არაა. ისრაელის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დემილიტარიზებული დასავლეთი ნაპირი და ღაზას სექტორი, ისრაელის საზავო ხელშეკრულებები ეგვიპტესთან და იორდანიასთან, აშშ-ის მძლავრი სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა და თავად მისი მძლავრი სამხედრო პოტენციალი, რომელიც ბირთვულ იარაღსაც შეიცავს, თუმცა ამას თავად არ აღიარებს. ᲰᲐᲛᲐᲡი ვერასდროს შეძლებს ისრაელის სახელმწიფოს განადგურებას. ამისთვის შესაფერისი ძალები მას არ გააჩნია. მის არსენალში რჩება მხოლოდ მტკივნეული ტერორისტული აქტები. მშვიდობის დამყარება ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიებზე ათეულობით წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს მალე მოხდეს. მოვლენების მომავალი განვითარების პროგნოზირება ძნელია. მაგრამ აშკარაა, რომ ისრაელთან ᲰᲐᲛᲐᲡის მოლაპარაკებები და თანამშრომლობა თუ შეუძლებელი არა,

[56] მიუხედავად იმისა, რომ ᲤᲐᲗᲰმა აღიარა დამარცხება, ამასთან შერიგება მისთვის იოლი არ აღმოჩნდა. ურთიერთობა ᲰᲐᲛᲐᲡის მომხრეებთან და წევრებთან დაიძაბა. რამალაჰში საქმე ძალადობამდეც მივიდა (347).

ხანგრძლივი, რთული და მტკივნეული პროცესი მაინც იქნება, რაც გაურკვეველი ვადით გადაავადებს პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. მაგრამ 2006 წლის პალესტინის პოლიტიკური მოვლენების გაშუქება და შეფასება სცდება წინამდებარე ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

დასკვნები

1990-იანი წლების დამდეგს. სპარსეთის ყურის ომში ერაყის დამარცხებამ, ცივი ომის დასრულებამ და სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ხელსაყრელი პირობები შექმნა ახლო აღმოსავლეთში 80-იან წლებში შეწყვეტილი სამშვიდობო პროცესის განვითარებისათვის. ოსლოს შეთანხმებებმა (1992 წ.) და "პრინციპების დეკლარაციამ" (1993 წ.) გზა გაუხსნა პალესტინის ავტონომიის შექმნას და 1996 წ. პირველ დემოკრატიულ არჩევნებს პალესტინაში პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს და პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურის ასარჩევად. მაგრამ სამშვიდობო პროცესი, მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, არ დასრულდა. პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ჩამოყალიბდა და არ შედგა მოლაპარაკებები საბოლოო სტატუსზე.

იმედგაცრუება პალესტინის მოსახლეობაში გახდა *ალ-აკსას ინთიფადას* მიზეზი, რომელიც 2000 წ. 28 სექტემბერს დაიწყო, გამოიწვია დიდი მსხვერპლი და ავტონომიის სრული ეკონომიკური კოლაპსი. "საგზაო რუკამ", კონფლიქტის მოგვარების უკანასკნელმა მნიშვნელოვანმა ცდამ (2003 წ.), შედეგი არ გამოიღო.

სამშვიდობო პროცესის შეჩერებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისლამურმა რადიკალიზმმა, რომლის ლიდერი პალესტინაში არის ჰამასი ("ისლამური წინაღმდეგობის მოძრაობა"). ჰამასი დაუპირისპირდა არა მარტო ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებას, არამედ ავტონომიის სეკულარულ ხელისუფლებასაც. შეიარაღებული ბრძოლა და ტერორიზმი გახდა ჰამასისა და სხვა ისლამისტური ორგანიზაციების იარაღი ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში.

წლების მანძილზე ჰამასის შეურიგებელმა ბრძოლამ, მისი ლიდერების მოწამებრივმა სიკვდილმა და, იმავდროულად, ფართო საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მოღვაწეობამ, ჰამასს პოზიტიური იმიჯი შეუქმნა და პოპულარობა მოუპოვა პალესტინის ავტონომიის ტერიტორიებზე. ამით ის დადებითად განსხვავდება ავტონომიის კორუმპირებული ხელისუფლებისგან.

მიუხედავად დაბრკოლებებისა პალესტინის ავტონომიის და ისრაელის ხელისუფალთა მხრიდან, ჰამასმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 2006 წ. 25 იანვრის საკანონმდებლო არჩევნებში და 2006 წ. 30 მარტს ჩამოაყალიბა მთავრობა,

რომლის ყველა წევრი იყო ᲰᲐᲛᲐᲡის წარმომადგენელი. პრემიერ-მინისტრი გახდა ᲰᲐᲛᲐᲡის ერთერთი ლიდერი ისმაილ ჰანია.

ᲰᲐᲛᲐᲡის გამარჯვებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია ისრაელში. ისრაელის მხარის განცხადებით, მაჰმუდ აბასთანაც ითანამშრომლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ᲰᲐᲛᲐᲡთან კავშირს არ დაამყარებს. არც საერთაშორისო საზოგადოება ელოდა არჩევნების ამგვარ შედეგს. პირველი შოკის შემდეგ, აშშ-მა, ევროკავშირის რიგმა ქვეყნებმა და საერთაშორისო დონორებმა მოუწოდეს ᲰᲐᲛᲐᲡს, რომ უარი თქვას ძალადობაზე, აღიაროს ისრაელი და ადრე დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები. მაგრამ ᲰᲐᲛᲐᲡის ხელმძღვანელობა არ აპირებს კომპრომისზე წასვლას.

მოვლენების მომავალი განვითარების პროგნოზირება ძნელია. მაგრამ აშკარაა, ისრაელთან ᲰᲐᲛᲐᲡის შეურიგებელი სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია დიდ გავლენას მოახდენს უახლოეს მომავალში სამშვიდობო პროცესის მსვლელობაზე. მოსალოდნელია, რომ ის გაჭიანურდება, რაც გაურკვეველი დროით გადაავადებს პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

დანართი
ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის - ჰამასის ქარტია[57]

სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა მწყალობლისა,

თქვენ ხართ საუკეთესო თემი (*უმმა*), ადამიანთა საკეთილდღეოდ შექმნილი. თქვენ აკეთებთ იმას, რაც მოსაწონია და კრძალავთ მას - რაც გასაკიცხია. გწამთ ალლაჰის. წიგნის ხალხსაც (*აჰლ ალ-ქითაბ*) რომ სწამდეთ, უკეთესი იქნებოდა. მათ შორის არიან მორწმუნენი, მაგრამ უმეტესობა ურწმუნოა.

უმნიშვნელო უსიამოვნების მონიჭების გარდა, ვერაფერს დაგაკლებენ. ხოლო თუ თქვენს წინააღმდეგ იბრძოლებენ, უკუიქცევიან. შემწეობას ვერ ჰპოვებენ. სამარცხვინო იქნება მათი ხვედრი, თუ არ მიმართავენ მფარველობისთვის ალლაჰსა და მუსლიმებს. ალლაჰის რისხვა და სიღატაკეა მათ თავს დამტყდარი. და ეს იმიტომ, რომ უარყვეს ალლაჰის აიები და უმართებულოდ ხოცავდნენ მოციქულებს. იმიტომ, რომ იყვნენ მეამბოხენი და დამნაშავენი (ყურანი. 3:110-112)[58].

ისრაელი დაარსდება და გააგრძელებს არსებობას მანამდე, ვიდრე ისლამი არ გაანადგურებს მას, როგორც მანამდე გაანადგურა მისი წინამორბედნი (მოწამე იმამი ჰასან ალ-ბანა, ალლაჰიმც შეიწყალებს მას).

ისლამური სამყარო ცეცხლშია და თითოეული თქვენთაგანის ვალია დაასხათ წყალი, თუნდაც სულ ცოტაოდენი, რათა, შეძლებისდაგვარად, მეტი ცეცხლი ჩააქროთ; არ დაელოდოთ სხვებს (შეიხი ამჯად ალ-ზაჰავი, ალლაჰიმც შეიწყნარებს მას).

---

[57]როგორც აღვნიშნეთ, ქარტიის თარგმნისას გამოყენებულია მისი არაბული და ინგლისური ტექსტები: 280, 85-113; 68, 122-134; 127, 267-291.

[58]აქ და ქვემოთ ყურანის აიების ქართულად თარგმნის დროს გათვალისწინებულია ყურანის მ.ნ. ოსმანოვისეული რუსული თარგმანი (23).

შესავალი

დიდება ალლაჰს, ვის შემწეობასაც ვევედრებით, პატიებასა და რჩევას ვითხოვთ, ვისაც ვეყრდნობით. ჩვენ ვლოცულობთ და მშვიდობას ვითხოვთ ალლაჰის მოციქულის, მისი ოჯახის, მიმდევრებისა და მათთვის, ვინც მისი ქადაგებანი განავრცო და მის გზას მიჰყვა. კურთხეულ იყვნენ და მშვიდობა იყოს მათზე, სანამ არსებობს ზეცა და დედამიწა.

ო, ხალხო! უბედურებათა შუაგულიდან, ტანჯვის სირღმიდან, მორწმუნეთა გულებიდან და განწმენდილი ხელებიდან; ჩვენი მოვალეობების გაცნობიერებითა და ალლაჰის მითითების პასუხად, მოგიწოდებთ, კვლავ გავერთიანდეთ და შევკავშირდეთ. ჩვენ განათლებას ალლაჰის გზის თანახმად ვიღებთ და მტკიცე გადაწყვეტილებით ვცდილობთ, რომ მან დაიკავოს შესაფერისი როლი ჩვენს ცხოვრებაში, რათა გადავჭრათ სიძნელეები და გადავლახოთ ყველა ბარიერი. ამით აიხსნება ჩვენი მუდმივი მზადყოფნა, შევწიროთ ჩვენი სულები და ყველაზე უძვირფასესი [ქონება] ალლაჰს. ამგვარად ჩამოყალიბდა ჩვენი ბირთვი, რომელმაც რწმენისა და იმედების, სურვილებისა და ოცნებების, საშინაო თუ საგარეო საშიშროებისა და სიძნელეების, უკანდახევებისა და გამოწვევების მღელვარე ოკეანეში გაკაფა გზა.

როდესაც აზრი მომწიფდა, თესლი გაიზარდა და ნაყოფმა ფესვი გაიდგა რეალობის მიწაში დროებითი ემოციებისა და არასასურველი აჩქარებისაგან მოშორებით, აღმოცენდა ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა, რათა თავისი როლი ითამაშოს ალლაჰის გზაზე. ამის განსახორციელებლად მან ხელი ჩასჭიდა ყველა იმ მუჯაჰიდს, რომელთაც მიზნად დაუსახავთ პალესტინის განთავისუფლება. მუჯაჰიდთა სულები შეუერთდებიან ყველა მუჯაჰიდის სულებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე გაწირეს პალესტინის მიწაზე, მას შემდეგ, რაც ის დაიპყრეს მოციქულის - ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება - მიმდევრებმა დღევანდელ დღემდე.

ეს არის ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის ქარტია, რომელიც წარმოაჩენს მის სახეს, ახსნის მის პოზიციას, განმარტავს დანიშნულებას, განიხილავს მის იმედებს; მოუწოდებს მისი მიზნის მხარდაჭერის, დახმარებისა და მასში გაწევრიანებისაკენ. ჩვენი ბრძოლა ებრაელების წინააღმდეგ იმდენად ფართო და სახიფათოა, რომ მას სჭირდება ფართოდ მობილიზებული გულწრფელი ძალისხმევა; ეს არის ნაბიჯი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სხვა ნაბიჯები; რაზმს (*ალ-ქათიბა*), უცილობლად, მხარს დაუჭერს სხვა რაზმები და დაცალკევებული არაბული და ისლამური სამყაროს სხვა რაზმები; და ასე გაგრძელდება, ვიდრე მტერი არ დამარცხდება და ალლაჰის გამარჯვება არ გარდმოევლინება.

ამგვარად აღვიქვამთ მათ ჰორიზონტთან მიახლოებას *და თქვენ უეჭველად შეიტყობთ მის ჭეშმარიტებას რამდენიმე ხნის შემდეგ* (ყურანი, 38:88). *ალლაჰმა დაადგინა:"ჭეშმარიტად, გავიმარჯვებთ მე და ჩემი მოციქულები".* (ყურანი, 58 :21).

თქვი: «ასეთია ჩემი გზა. მე და ჩემი მიდევრები მოგიწოდებთ თქვენ ალლაჰისაკენ, შეგნებით. დიდება ალლაჰს! და არ ვეკუთვნი მათ, ვინც მრავალ ღმერთს აღიარებს" (ყურანი, 12:108)."

თავი I

მოძრაობის გაცნობა

იდეოლოგიური ასპექტები

მუხლი პირველი. ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა ისლამით ხელმძღვანელობს; აღმოცენდა მისი აზროვნებიდან, არსებობის, სიცოცხლისა და კაცობრიობის შესახებ მისი წარმოდგენებიდან და წარმოსახვიდან; მასვე მიმართავს ქცევის ნორმების განსასაზღვრად; მისი ნებისმიერი ნაბიჯი ისლამით არის შთაგონებული.

კავშირი ჰამასსა და *მუსლიმი ძმების* ასოციაციას შორის

მუხლი მეორე. ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა არის *მუსლიმი ძმების* ერთ-ერთი ფრთა პალესტინაში. *მუსლიმი ძმების* მოძრაობა საერთაშორისო

ორგანიზაციაა, ერთ-ერთი უდიდესი ისლამური მოძრაობა თანამედროვე ეპოქაში. იგი ხასიათდება ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ისლამის თეორიის ღრმა გაგებით, ზუსტი წარმოდგენითა და სრული შეგნებით. ესაა: წარმოდგენები და რწმენა, პოლიტიკა და ეკონომიკა, განათლება და საზოგადოება, იურისპრუდენცია და კანონი, ქადაგება და განათლება, ხელოვნება და ინფორმაცია, ფარული და ნათელი, და ცხოვრების ყველა სხვა მხარე.

სტრუქტურა და არსი

მუხლი მესამე. ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა შედგება იმ მუსლიმებისაგან, რომლებმაც თავი მიუძღვნეს ალლაჰს და თაყვანს სცემენ მას ჭეშმარიტი თაყვანისცემით. [როგორც დაწერილა]:»*მე შევქმენი ადამიანი და ჯინები მხოლოდ იმისთვის, რომ თაყვანო მცენ მე*" (ყურანი, 51 :56)

მათ იციან თავიანთი მოვალეობა ერთმანეთის, თავიანთი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ყველა ვალდებულებაში ეყრდნობიან ალლაჰს. მათ აღმართეს *ჯიჰადის* ალამი ტირანთა წინააღმდეგ, რათა გაანთავისუფლონ ქვეყანა და ხალხი [მჩაგვრელთა] სიბილწის, ჭუჭყისა და ბოროტებისაგან.

მაგრამ ჩვენ ვანადგურებთ ჭეშმარიტებით სიცრუეს და ის იმსხვრევა ნაწილ-ნაწილ, თითქოსდა საერთოდ არ არსებობდა (ყურანი, 21:18).

მუხლი მეოთხე. მოძრაობა მიესალმება ყველა მუსლიმს, რომელიც იზიარებს მის რწმენასა და ჩანაფიქრს, თავს მიუძღვნის მისი საქმიანობის არსს, შეინახავს საიდუმლოებებს და მიილტვის მის რიგებში გასაერთიანებლად, რათა აღასრულოს თავისი ვალი. ალლაჰი დააჯილდოებს მათ.

ჰამასის დროისა და სივრცის განზომილებები

მუხლი მეხუთე. ვინაიდან მოძრაობა ისლამს მიიჩნევს თავისი ცხოვრების წესად, მისი წარმოქმნის დრო უკავშირდება ისლამური მისიისა და ღვთისმოსავ წინამორბედთა დაბადების პერიოდს. ამიტომ მისი მიზანია ალლაჰი, ნიმუში - მოციქული, ყურანი კი - კონსტიტუცია. იგი ვრცელდება დედამიწაზე ყველგან, სადაც არიან ისეთი მუსლიმები, ვისაც ისლამი თავისი ცხოვრების წესად

მიაჩნიათ; ამგვარად, იგი აღწევს მიწის ყველაზე ღრმა წერტილსა და ზეცის უმაღლეს მწვერვალს.

ნუთუ არ იცი, რომ ალლაჰს იგავად მოჰყავს მშვენიერი სიტყვები, რომლებიც მსგავსია მშვენიერი ხისა, რომლის ფესვები მტკიცეა და ტოტები ზეცისაკენ მიისწრაფიან? მათი უფლის ნებით, ისინი მუდმივად ისხამენ ნაყოფს. ალლაჰი ადამიანებს მოუთხრობს იგავებს, - ეგებ გონს მოეგონ ისინი (ყურანი: 14:24-25).

სპეციფიკა და დამოუკიდებლობა

მუხლი მეექვსე. ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა გამორჩეული პალესტინური მოძრაობაა, რომელიც ალლაჰის ერთგულია, ისლამიდან მოიპოვებს თავისი ცხოვრების წესსა და იღწვის ალლაჰის დროშის აღსამართად პალესტინის მთელ ტერიტორიაზე. მხოლოდ ისლამის ჩრდილქვეშ შეუძლიათ თანაიარსებონ ყველა რელიგიის წარმომადგენლებმა სიცოცხლის უსაფრთხოების, საკუთრებისა და უფლებების დაცვის გარანტიით. ისლამის არარსებობისას წარმოიშვება კონფლიქტები, მეფობს ჩაგვრა, კორუფცია, გავრცელებულია ბრძოლა და ომი. ალლაჰმა შთააგონა მუსლიმი პოეტი მუჰამმად იკბალი[59], ეთქვა:

როცა რწმენა სუსტდება, არ არის უშიშროება,
არ არის ეს მსოფლიო მათთვის, ვისაც არა აქვს რწმენა.
მათ, ვისაც რელიგის გარეშე სურთ ცხოვრება,
გადაუწყვეტიათ სიცოცხლის დათმობა.

ჰამასის უნივერსალობა

მუხლი მეშვიდე. მოძრაობა უნივერსალურია იმ მუსლიმთა ძალისხმევით, რომლებიც ჰამასის იდეას ემორჩილებიან მსოფლიოს გარშემო, იღწვიან მისი გამარჯვებისათვის, პოზიციების განსამტკიცებლად და *ჯიჰადის* ხელშესაწყობად. ეს კი შესაძლებელია იმის გამო, რომ ჰამასის იდეები მკაფიოა, მისი დანიშნულება - კეთილშობილური და მიზნები - დიდებული.

[59]მუჰამედ იკბალი (1878-1938) იყო ინდოელი ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე, სამართლისმცოდნე და პოეტი, მუსლიმური ლიგის პრეზიდენტი

სწორედ ამ მხრივ უნდა მოხდეს ამ მოძრაობის აღქმა, შეფასება და გაცნობიერება. ვინც სათანადოდ არ აფასებს მის ღირებულებას, თავიდან იცილებს მის მხარდაჭერას, ან იმდენად ბრმაა, რომ უგულებელყოფს მის როლს, ის გამოწვევას უგდებს თვით ბედისწერას. ვინც გამიზნულად თუ შემთხვევით თვალს დახუჭავს არსებულ ფაქტებზე, მალე აღმოაჩენს, რომ გარემოცულია ცვლილებებით, მას საკუთარი პოზიციის გამართლების საშუალება აღარ ექნება. უპირატესობა ადრე მოსულებს მიენიჭებათ.

შენს ახლოსმყოფთა ჩაგვრა უფრო ძლიერი ტანჯვაა სულისთვის, ვიდრე ბასრი მახვილის დარტყმა.

ჩვენ გარდმოგივლინეთ შენ ეს [საღვთო] *წერილი, როგორც ჭეშმარიტება, დასამტკიცებლად იმისა, რაც ითქვა ადრეულ* [საღვთო] *წერილებში, დასაცავად დამახინჯებებისა. ასე რომ განსაჯე ისინი, თანახმად იმისა, რაც გარდმოავლინა ალლაჰმა, ნუ დათანხმდები მათ სურვილებს თავი აარიდო ჭეშმარიტებას, შენთან რომ მოვიდა. თითოეულ თქვენთაგნს დავუწესეთ რწმენის კანონები და მითითებები. ალლაჰს რომ ნდომოდა, შეგქმნიდათ ერთ თემად* [მორწმუნეებისა], *მაგრამ ეს გააკეთა იმისთვის, რომ გამოეცადეთ იმაში, რაც გიბოძათ. მაშ, მოინდომეთ, რომ ერთმანეთს აჯობოთ კარგ საქმეებში. ყველანი ალლაჰს დაუბრუნდებით და ის გაცნობებთ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რის თაობაზეც ერთმანეთში ვერ შეთანხმდით* (ყურანი, 5:48).

ᲰᲐᲛᲐᲡი *ჯიჰადის* ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია სიონისტურ ოკუპაციასთან კონფრონტაციაში. იგი უკავშირდება მოწამე ‘იზზ ად-დინ ალ-კასამისა და მისი *მუჯაჰიდი* ძმების მიერ საღვთო ომის დაწყებას 1936 წ. ის ასევე უკავშირდება პალესტინის *ჯიჰადის* სხვა რგოლს – *მუსლიმი ძმების ჯიჰადსა* და ძალისხმევას 1948 წ. ომის დროს, მათ სამხედრო ოპერაციებს 1968 წ. და შემდგომ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს რგოლები ერთმანეთს დაშორდა და მათ შორის დაბრკოლებები აღიმართა მათ მიერ, ვინც სიონისტურ ორბიტაში ტრიალებს და მიზნად ისახავს *მუჯაჰიდ*ების გზის ჩახერგვას, ᲰᲐᲛᲐᲡი მაინც ელის ალლაჰის აღთქმის განხორციელებას, რა დიდი დროც არ უნდა დასჭირდეს მას. მოციქული, მშვიდობა იყოს მასზე, ამბობს:

განკითხვის დღე არ დადგება, სანამ მუსლიმები არ შეებრძოლებიან ებრაელებს (და დახოცავენ მათ); სანამ ებრაელები არ დაიმალებიან კლდეებისა და ხეების უკან, რომლებიც იყვირებენ: ო, მუსლიმო! ჩემს უკან ებრაელი იმალება, მოდი და მოკალი იგი! ეს არ შეეხება ღარკადს, რომელიც ებრაული ხეა.

(ალ-ბუხარი და მუსლიმი - მუჰადდისები[60]) .

ჰამასის დევიზი

მუხლი მერვე. ალლაჰია მისი მიზანი, მოციქული - ნიმუში, ყურანი - კონსტიტუცია, *ჯიჰადი* - მეთოდოლოგია და ალლაჰისათვის სიკვდილი - ყველაზე ამაღლებული რწმენა.

თავი II

მიზნები

მუხლი მეცხრე. ჰამასის არსებობა დაემთხვა ისეთ პერიოდს, როცა ისლამი ცხოვრების რეალობას ჩამოშორდა. ამ მიზეზის გამო მოიშალა კონტროლი და ბალანსი, წარმოდგენები აირია, ღირებულებები შეიცვალა; ბოროტებამ გაიმარჯვა, ჩაგვრა და გაურკვევლობა მეფობს; მშიშრები ვეფხვებად გადაიქცნენ, მშობლიური მიწები უკანონოდ მიიტაცეს, ხალხმა ფესვები დაკარგა და მთელ მსოფლიოში დახეტიალობს. სიმართლე გაქრა და იგი სიცრუემ შეცვალა. არაფერი დარჩა თავის ადგილზე, რადგან, როცა ისლამი სცენიდან გაქრება, ყოველივე იცვლება. ეს არის არსებული მდგომარეობის მიზეზი.

რაც შეეხება მიზნებს: ესაა ბოროტების უარყოფა, მისი დამხობა და დამარცხება ისე, რომ სიმართლემ გაიმარჯვოს, სამშობლოს მიწები დაუბრუნდეთ [პატრონებს], მეჩეთებიდან ისმოდეს მოწოდება ლოცვისაკენ, განცხადებები მუსლიმური სახელმწიფოს აღდგენის შესახებ. ამგვარად, ხალხი და საგნები თავიანთ ჭეშმარიტ ადგილს დაუბრუნდება.

---

[60] ალ-ბუხარი (გარდ.870 წ.) და მუსლიმი (გარდ.875 წ.) ცნობილი მუჰადდისებია, ავტორები ჰადისთა (მოციქულ მუჰამადის შესახებ გადმოცემების) ყველაზე ავტორიტეტული კრებულებისა, რომელთაც ერთი და იგივე სახელწოდება - *ას-საჰიჰ* (არაბ. სწორი, მართალი) აქვთ.

ალლაჰი რომ არ აძლევდეს ერთ ხალხს საშუალებას, თავი დაიცვას სხვებისაგან, დაიღუპებოდა დედამიწა და ადამიანთა მოდგმა. მაგრამ ალლაჰი მოწყალეა სამყაროთა მკვიდრებისადმი (ყურანი, 2:251).

მუხლი მეათე. ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა, საკუთარი გზის გაკაფვის პარალელურად, ყველაფერს გააკეთებს სუსტების დასახმარებლად, ყველა ჩაგრულთა დასაცავად. ის ძალისხმევას არ დაზოგავს, რათა სიტყვითა და საქმით განავრცოს **სიმართლე და აღმოფხვრას** ბოროტება როგორც აქ, ისე - ნებისმიერ სხვა ადგილზე, სადაც ხელი მიუწვდება და მისი გავლენა ვრცელდება.

თავი III

სტრატეგია და მეთოდები

ჰამასის სტრატეგია: პალესტინა არის ისლამური ვაკფი

მუხლი მეთერთმეტე. ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობას სწამს, რომ პალესტინის მიწა თაობების მანძილზე ისლამური *ვაკფი* იყო და განკითხვის დღემდე მისი მთლიანად ან ნაწილობრივ დათმობა ან მიტოვება არავის შეუძლია. ამის უფლება არა აქვს არცერთ ცალკეულ არაბულ ქვეყანას, არც არაბულ ქვეყანათა კავშირს, არც ერთ არაბ მეფესა თუ პრეზიდენტს, ან ყველა მათგანს ერთად, არც რომელიმე ორგანიზაციას – პალესტინურსა, თუ უბრალოდ, არაბულს, არც ყველა მათ ერთობლიობას, რადგანაც პალესტინა ისლამური *ვაკფი* იყო თაობების მანძილზე და ასე დარჩება განკითხვის დღემდე. ვინ მისცემს თავს უფლებას, რომ ისაუბროს ისლამური თაობების სახელით განკითხვის დღემდე? ეს არის [მიწის] სტატუსი ისლამურ შარიათში, ეხება იმ მიწებს, რომლებიც ისლამმა ძალით დაიპყრო და შემდეგ *ვაკფ*ის მიწებად აქცია მუსლიმთა ყველა თაობისათვის განკითხვის დღემდე. ეს [ნორმა] ბატონობს მას შემდეგ, რაც მუსლიმური არმიების წინამძღოლებმა დაასრულეს სირიისა და ერაყის დაპყრობა და ჰკითხეს მუსლიმთა ხალიფას ომარ იბნ ალ-ხატტაბს აზრი დაპყრობილი მიწების შესახებ:»ეს მიწები უნდა გაიყოს ჯარებს შორის, დარჩეს მისი მოსახლეობის ხელში, თუ სხვა რაიმე გზით განაწილდეს?.» ხალიფა 'ომარ იბნ ალ-ხატტაბსა და ალლაჰის მოციქულის (ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება) მიმდევრებს შორის კონსულტაციების მერე გადაწყდა, რომ მიწა უნდა დარჩეს

მისი მფლობელების ხელში მისგან და მისი სიმდიდრისგან მეტი სარგებლის მისაღებად. მაგრამ მიწის კონტროლი და თავად მიწა მუსლიმთა ყველა თაობისათვის განკითხვის დღემდე, [სამუდამოდ] უნდა ყოფილიყო *ვაკფი*. ეს *ვაკფი* მარადიულია, ვიდრე იარსებებს ზეცა და დედამიწა. ისლამის ამ კანონის დარღვევის ნებისმიერი ნაბიჯი პალესტინასთან დაკავშირებით მიუღებელია და მის დამრღვევებზე აირეკლება.

ეს არის უეჭველი ჭეშმარიტება! მაშ ადიდე სახელი უფლისა შენის, დიდისა! (ყურანი, 56:95-96)

ერი და ნაციონალიზმი ჰამასის თვალსაზრისით

მუხლი მეთორმეტე. ჰამასს პატრიოტიზმი (*ვატანია*) მიაჩნია რელიგიური იდეოლოგიის ნაწილად. პატრიოტიზმში არაფერია უფრო მაღალი ან ღრმა, ვიდრე *ჯიჰადი* მტრის წინააღმდეგ, რომელიც მუსლიმთა მიწაზე დადგამს ფეხი. მტერთან ბრძოლა ხდება ყველა მუსლიმი მამაკაცის და ქალის ინდივიდუალური მოვალეობა; *ქალს ნება აქვს გავიდეს მტერთან საბრძოლველად ქმრის ნებართვის გარეშეც კი, ასევე ნება აქვს მონას - პატრონის ნებართვის გარეშე.*

მსგავსი [პრინციპი] არ მოიძებნება სხვა სისტემაში. ის სიმართლეა, რომლის ჭეშმარიტება უეჭველია. მაშინ, როდესაც სხვა ნაციონალისტურ მიმდინარეობებს აქვთ მატერიალური, ჰუმანური და ტერიტორიული მიზნები, ჰამასს, ამ ყოველივეს გარდა, ამოძრავებს მნიშვნელოვანი ღვთაებრივი ფაქტორებიც, რომლებიც აძლევს მას სულსა და ცხოვრებას, რითაც ის უკავშირდება სულის საწყისსა და სიცოცხლის წყაროს, და აღმართავს ღვთაებრივ დროშას, რომელიც მტკიცედ დააკავშირებს დედამიწას ზეცასთან.

როდესაც მოსე მოვიდა და გადააგდო თავისი კვერთხი, ჯადოქრობა და ჯადოქრები უსარგებლონი გახდნენ.

ჭეშმარიტება განირჩევა სიცრუისაგან. ვისაც არ წამს კერპებისა და წამს ალლაჰის, ის მოეჭიდა მაგარ შტოს, რომელიც არ გატყდება. ალლაჰს ესმის და მცოდნეა (ყურანი. 2:256).

ინიციატივები, მშვიდობიანი რეგულირება
და საერთაშორისო კონფერენციები

მუხლი მეცამეტე. [სამშვიდობო] ინიციატივები, ე.წ. მშვიდობიანი რეგულირება და საერთაშორისო კონფერენციები პალესტინის პრობლემის მოსაგვარებლად, ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის რწმენას უპირისპირდება. პალესტინის ნებისმიერი ნაწილის დათმობა რელიგიის ნაწილის დათმობას ნიშნავს; ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის ნაციონალიზმი რწმენის ნაწილია, მოძრაობა ასწავლის წევრებს, დაემორჩილონ მის პრინციპებს და *ჯიჰადის*თვის ბრძოლისას სამშობლოს მიწაზე ალლაჰის დროშა აღმართონ.

ალლაჰი არის ყოვლისშემძლე, თუმცა ხალხის უმრავლესობამ ეს არ იცის (ყურანი. 12:21).

დროდადრო ჩნდება საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის მოწოდება პრობლემის გადასაწყვეტად. ზოგი ამ აზრს იღებს, სხვები ამა თუ იმ მიზეზის გამო უარყოფენ მას, ითხოვენ სხვადასხვა პირობის შესრულებას, როგორც კონფერენციის მოწვევის ან მასში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას. მაგრამ ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელიც იცნობს კონფერენციაში [შესაძლო] მონაწილე მხარეებს, მათ წარსულ და ახლანდელ პოზიციებს მუსლიმთა პრობლემის მიმართ, არ სჯერა, რომ ამ კონფერენციებს ძალუძთ მოთხოვნების დაკმაყოფილება, უფლებების აღდგენა ან ჩაგრულთათვის სამართლის მოპოვება. ეს კონფერენციები არაფერია თუ არა გზა, დანიშნონ ურწმუნოები, როგორც არბიტრები ისლამის მიწებზე. როდის ყოფილა, რომ ურწმუნოები სამართალიანად მოქცევიან მორწმუნეებს?

იუდეველები და ქრისტიანები არასდროს იქნებიან შენით კმაყოფილნი, თუ არ გაჰყვები მათ მოძღვრებას. თქვი: მხოლოდ ალლაჰის გზაა პირდაპირი გზა და თუ შენ გაჰყვები მათ სურვილებს მას შემდეგ, რაც შენ გარდმოგევლინა ღვთაებრივი ცოდნა, ალლაჰი აღარ იქნება შენი დამცველი და მფარველი (ყურანი. 2:120)

არ არსებობს პალესტინის პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზა, თუ არა *ჯიჰადი*. ინიციატივები, წინადადებები და საერთაშორისო კონფერენციები მხოლოდ

დროის ტყუილ-უბრალოდ ხარჯვაა, ბავშვური თამაში. პალესტინელი ხალხი მეტად კეთილშობილია იმისთვის, რომ თავისი მომავლით, უფლებებითა და ბედით ითამაშოს.

როგორც ჰადისი გადმოგვცემს: *სირიის ხალხი ალლაჰის მათრახია მის მიწაზე; მათი მეშვეობით ალლაჰი შურს იძიებს მათზე, ვისაც მოისურვებს. არ ეგების, რომ თვალთმაქცებმა გაიმარჯვონ ჭეშმარიტ მორწმუნეებზე. ისინი აღესრულებიან ჭმუნვასა და მწუხარებაში* (აჰმედი და ტაბარი[61]).

სამი წრე

მუხლი მეთოთხმეტე. პალესტინის განთავისუფლების პრობლემა სამ წრეს უკავშირდება: პალესტინურს, არაბულსა და ისლამურს. ამ სამი წრიდან თითოეულმა უნდა ითამაშოს თავისი როლი სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები. რომელიმე ამ წრის უგულებელყოფა უდიდესი შეცდომა იქნება და უცოდინრობის უსაზღვრო გამოვლენა. პალესტინა ისლამური მიწაა, სადაც პირველი ყიბლა და მესამე ყველაზე წმინდა ადგილი მდებარეობს. ეს ასევე ის ადგილია, სადაც მოციქული, ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, ამაღლდა.

დიდება მას, ვინც ღამით მონა მისი გადაიყვანა მასჯიდ ალ-ჰარამიდან მასჯიდ ალ-აკსამდე, რომლის სანახებიც ვაკურთხეთ, რათა ენახა ჩვენი საოცრებები. ჭეშმარიტად ის ისმენს და ხედავს (ყურანი, 17:1).

აქედან გამომდინარე, ამ მიწის განთავისუფლება პირადი მოვალეობაა, რომელიც ყველა მუსლიმს ეკისრება. ამის საფუძველზე უნდა განიხილოს ეს პრობლემა ყველა მუსლიმმა; ეს უნდა შეიცნოს ყველა მუსლიმმა; როდესაც ამ პრობლემას ამ მხრივ მიუდგებიან, როცა სამი წრის მთლიანი პოტენციალის მობილიზაცია მოხერხდება, მაშინ ახლანდელი გარემოებები შეიცვლება და განთავისუფლების დღე მოახლოვდება.

უეჭველია, მათ გულებში შიში თქვენდამი უფრო ძლიერია, ვიდრე ალლაჰისადმი, ვინაიდან ისინი ხალხია, რომელსაც არა გაეგება რა (ყურანი.59:13).

---

[61]იგულისხმებიან აჰმედ იბნ ჰანბალი (გარდ. 855 წ.) და ატ-ტაბარი (გარდ. 912 წ.), რომელთაც აქვთ შედგენილი ჰადისების კრებულები.

პალესტინის განსათავისუფლებლად მიმართული *ჯიჰადი* ყველას პირადი ვალდებულებაა

მუხლი მეთხუთმეტე. როდესაც ჩვენი მტრები ისლამურ მიწებს ხელყოფენ, *ჯიჰადი* ყველა მუსლიმის ვალდებულება ხდება. ებრაელთა მიერ პალესტინის ოკუპაციასთან საბრძოლველად ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, თუ არა *ჯიჰადის* დროშის აღმართვა. ეს კი მოითხოვს ისლამური აზროვნების მომზადებას მასებს შორის, ყველა - ადგილობრივ, არაბულ და ისლამურ დონეებზე. ჩვენ უნდა გავავრცელოთ *ჯიჰადის* სულისკვეთება [ისლამურ] *უმმას* შორის, დავეცეთ მტერსა და შევუერთდეთ *ჯიჰადის* მებრძოლთა რიგებს.

'ალიმები, ასევე განმანათლებლები და მასწავლებლები, ცნობილი პირები, მედიის წარმომადგენლები, განათლებული მასები, განსაკუთრებით კი ისლამური მოძრაობის ახლაგაზრდა და უფრო უხუცესი წევრები უნდა ჩაერთონ შეგნების ამ აღზევებაში. ვერ გავექცევით ფუნდამენტური ცვლილებების შეტანას საგანმანათლებლო კურსში, რათა გავწმინდოთ იგი იმ იდეოლოგიური შემოტევის კვალისაგან, რომელიც შემოიტანეს ორიენტალისტებმა და მისიონერებმა. ეს შემოტევა დაიწყო სალაჰ ად-დინ აიუბის მიერ ჯვაროსანთა ლაშქრების დამარცხების შემდეგ. ჯვაროსნები მიხვდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ მუსლიმთა დამარცხება თუ ამისთვის არ მოამზადებდნენ იდეოლოგიურ საფუძველს, რომელიც დააბნევდა მუსლიმთა აზროვნებას, შეურაცხყოფდა მათ მემკვიდრეობას, დაამცირებდა იდეალებს. ამას შემდეგ სამხედრო შემოტევა მოჰყვებოდა. ეს იქნებოდა იმპერიალისტური შეჭრის სამზადისი, როგორც სინამდვილეში [გენერალმა] ალლენბიმ განაცხადა იერუსალიმში შესვლისას: «ახლა ჯვაროსნული ლაშქრობები დასრულდა». გენერალი გორუ დადგა სალლაჰ ად-დინის საფლავზე და განაცხადა: "ჩვენ დავბრუნდით, ო, სალლაჰ ად-დინ!» იმპერიალიზმი წამყვანი ფაქტორი იყო იდეოლოგიური შემოტევის მოსამზადებლად და მისი ფესვების გასაღრმავებლად, იგი ახლაც ამ მიზნისათვის იღწვის. ყოველივე ამან გზა გაუხსნა პალესტინის დაკარგვას. ჩვენ უნდა ჩავუბეჭდოთ ტვინში მუსლიმთა თაობებს, რომ პალესტინის პრობლემა რელიგიურია, ის ამგვარად უნდა განვიხილოთ. პალესტინაშია ისეთი წმინდა ისლამური ადგილი, როგორიცაა აკსას მეჩეთი,

რომელიც სანამ ზეცა და დედამიწა არსებობს, დაკავშირებულია მასჯიდ ალ-ჰარამთან (მექა) და ალლაჰის მოციქულის, ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, მოგზაურობასთან და მის ამაღლებასთან.

ალლაჰის გზაზე ერთი დღე ცხოვრება უკეთესია ქვეყანაზე და ყოველივეზე, რაც მასშია. სამოთხეში ერთ-ერთი თქვენთაგანის მათრახისხელა ადგილიც კი უკეთესია ვიდრე მთელი ქვეყანა და ყოველივეზე, რაც მასშია. [უფლის] თაყვანისმცემლების სვლა ალლაჰის გზით უკეთესია მთელ ქვეყანაზე და რაც მასშია (გადმოცემულია ბუხარის, მუსლიმის, თირმიზისა და იბნ მაჯის მიერ[62]).

ვფიცავ მას, ვისაც საკუთარ ხელში უჭირავს მუჰამედის სული! მე ჭეშმარიტად მსურს საომრად წასვლა ალლაჰის გულისთვის! მე ვიბრძოლებ და მოვკლავ, ვიბრძოლებ და მოვკლავ, ვიბრძოლებ და მოვკლავ (გადმოცემულია ბუხარისა და მუსლიმის მიერ).

მუხლი მეთექვსმეტე. ჩვენ უნდა მივცეთ ისლამური განათლება ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ ისლამურ [ახალგაზრდა] თაობებს, რომელიც დაფუძნებული იქნება რელიგიურ მითითებებზე, ალლაჰის წიგნის კეთილსინდისიერ შესწავლაზე; სარწმუნო წყაროებიდან სამოციქულო ტრადიციის, ისლამური ისტორიისა და მემკვიდრეობის შესწავლაზე ექსპერტებისა და მეცნიერების მეთვალყურეობის ქვეშ, რათა ამოვიცნოთ ის გზები, რომლებიც შეესაბამება მუსლიმთა ჭეშმარიტ წარმოდგენებსა და რწმენას; ასევე აუცილებელია მტრის, მისი მატერიალური და ადამიანური პოტენციალის შეგნებული შესწავლა, რათა აღმოვაჩინოთ მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, გავიცნოთ ის ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ და მის გვერდით დგანან. იმავდროულად, ჩვენ უნდა ვიყოთ მიმდინარე მოვლენების კურსში, მივყვეთ ახალ ამბებს, ვისწავლოთ, გავაკეთოთ მისი ანალიზი და კომენტარი; ამასთან, შევადგინოთ აწმყო და მომავალი გეგმები, შევისწავლოთ ყველა ფენომენი, რათა *ჯიჰადში* მონაწილე თითოეულმა მუსლიმმა შეძლოს საკუთარი ცხოვრების განვლა თავისი მიზნებისა და გზის, გარშემო მიმდინარე მოვლენების სრულად შეგნებით.

---

[62] ალ-ბუხარისა და მუსლიმის შესახებ იხ. შენ. 106. ათ-თირმიზი (გარდ. 892 წ.) და იბნ მაჯი (გარდ. 886 წ.) არიან ავტორები ჰადისთა კრებულებისა- ალ-ჯამი *ალ-ქაბირ* და *ქითაბ ას-სუნან.*

ო, ჩემო ვაჟო! ისმინე: მხოლოდ მდოგვის თესლის ზომისაც რომ იყოს, კლდეში, ზეცაზე თუ დედამიწაზე, ალლაჰი წარმოაჩენს მას. ისმინე! ალლაჰი ბრძენია, ყოვლისმცოდნე. ო, ჩემო ვაჟო! აღავლინე ლოცვა და მოუწოდე სიკეთისაკენ, უარი ქვი ბოროტებაზე, იყავ მომთმენი იმის მიმართ, რაც შეგემთხვევა. სწორედ ეს არის გაბედულება საქციელში. სახეზე ნუ გამოხატავ სიძულვილს ხალხის მიმართ და ამაყად ნუ ივლი ამ ქვეყანაზე, ალლაჰს არ უყვარს ამაყები და მკვეხარები (ყურანი. 31:17-18).

ეს ორგანიზაციები მუშაობენ [ისეთ გარემოში], სადაც ისლამი სცენიდან მოშორებული და ხალხისთვის გაუცხოებულია. ამგვარად, მუსლიმებმა უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულება და დაუპირისპირდნენ დივერსანტთა ამ გეგმებს. როდესაც ისლამი კვლავ მოიცავს [იმ გზებს], რომლებიც [მუსლიმთა] ცხოვრებას წარმართავს, ის გაანადგურებს ადამიანებისა და ისლამის მტერ ორგანიზაციებს.

მუხლი მეთვრამეტე. ჯიჰადის მებრძოლთა სახლებსა და ოჯახებში ქალებს, დედები იქნებიან ისინი თუ დები, მეტად მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრიათ - სახლის მოვლა და ბავშვების აღზრდა ისლამური მორალისა და ღირებულებების საფუძველზე; ვაჟებისთვის განათლების მიცემა, რათა მათ შეასრულონ ის რელიგიური ვალდებულებები, რომლებიც ეკისრებათ *ჯიჰადის* მოვალეობის შესრულებისას. ამიტომ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სკოლებსა და სისტემას, სადაც მუსლიმი გოგონები იღებენ განათლებას, რათა ისინი კარგ დედებად ვაქციოთ, რომ იცოდნენ თავიანთი ვალდებულებები განმათავისუფლებელი ომისას. მათ უნდა შესწევდეთ უნარი, გაუძღვნენ ოჯახებს. ეკონომია და ოჯახის გადახარჯვების თავიდან აცილება ჩვენი საქმის განხორციელების წინაპირობაა იმ მძიმე პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. ამიტომ მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ დანაზოგი ფული სისხლის ექვივალენტია, რომელიც საჭიროა, რათა ვენებში სისხლმა იმოძრაოს ახლაგაზრდებისა და მოხუცების სიცოცხლის უზრუნველსაყოფად.

ჭეშმარიტად მუსლიმ მამაკაცებს და ქალებს, მორწმუნე მამაკაცებს და ქალებს, მორჩილებს, სიტყვის ერთგულებს, მომთმენებს, მოწყალების გამცემთ, ვინც

მარხულობს და იცავს თავიანთ პატიოსნებას, მრავალგზის ახსენებს ალლაჰს, ღმერთმა მათ მოუმზადა მიტევება და დიდი ჯილდო (ყურანი, 33:35).

ისლამური ხელოვნების როლი განმანთავისუფლებელ ბრძოლაში

მუხლი მეცხრამეტე. ხელოვნებას აქვს წესები და კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გაგება, ისლამურია იგი თუ *ჯაჰილიის* პერიოდის. ისლამური განთავისუფლება საჭიროებს ისლამურ ხელოვნებას, რომელიც აღზევებს სულს, არ გაუსვამს ხაზს ერთი მხარის მეორეზე უპირატესობას, არამედ, პირიქით, ხელს შეუწყობს თანაბარუფლებიან და ჰარმონიულ თანაცხოვრებას.

ადამიანი უცნაური და საოცარი ქმნილებაა, რომელიც შექმნილია ერთი მუჭა თიხისა და სულის ჩაბერვით. ამის საფუძველზე განიხილავს ადამიანს ისლამური ხელოვნება, მაშინ როდესაც ჯაჰილიის პერიოდის ხელოვნება სხეულსა და თიხის ელემენტს მიიჩნევს უფრო პირველხარისხოვნად. ამგვარად, წიგნები, სტატიები, გამოქვეყნებული მასალები, რელიგიური მოძღვრებები, ეპისტოლეები, სიმღერები, ლექსები, ჰიმნები, სპექტაკლები და სხვ, თუ მათ ისლამური მახასიათებლები აქვთ, აუცილებელია იდეოლოგიური მობილიზაციის, გზის შეუწყვეტელი შესწავლისა და სულის დამშვიდებისათვის. გზა გრძელია, ტანჯვა - ძლიერი და განწყობა - დაცემული; სწორედ ისლამური ხელოვნება განაახლებს მის საქმიანობას, აღადგენს მოძრაობას, აღმართავს საამაყო იდეალებსა და სამოქმედო გეგმებს. სული ვერ გაიფურჩქნება, თუ არ იცის, როგორ გარდაიქმნას, როგორ შეიცვალოს სხვადასხვა სიტუაციაში. ეს სერიოზული საკითხია, არა სახუმარო. *უმმას* გულისთვის ბრძოლაში *ჯიჰადმა* ხუმრობა არ იცის.

სოციალური მხარდაჭერა

მუხლი მეოცე. ისლამური საზოგადოება სოლიდარულია. ალლაჰის მოციქულმა, (ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება) თქვა: *რა მშვენიერი იყო აშარების ტომი! როცა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, მოგზაურობისას ან ერთ ადგილას ყოფნის დროს, შეაგროვებდნენ, რაც გააჩნდათ და თანაბრად ყოფდნენ ერთმანეთში.* ეს არის ისლამური სული, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს ყველა მუსლიმურ საზოგადოებაში. საზოგადოება, რომელიც

უპირისპირდება ბოროტ, ნაცისტურის მსგავს მტერს, რომელიც არ ასხვავებს მამაკაცსა და ქალს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, პირველმა უნდა დაიმშვენოს თავი ამ ისლამური სულით. ჩვენი მტერი მიმართავს კოლექტიური დასჯის მეთოდს, ხალხის მიწებისა და საკუთრების ძარცვას, გასახლებას. მან გამოიყენა ისეთი ზომები, როგორიცაა ძვლების დამტვრევა, მიზეზითა თუ უმიზეზოდ ცეცხლის გახსნა ქალების, ბავშვებისა და მოხუცების წინააღმდეგ, პატიმართა ბანაკების შექმნა, სადაც არაჰუმანურ პირობებში ათასობით ადამიანს ათავსებენ. გარდა ამისა, ის ანადგურებს სახლებს, აობლებს ბავშვებს და დესპოტური განაჩენი გამოაქვს ათასობით ახალგაზრდის წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის საუკეთესო წლებს ციხის წყვდიადში ატარებენ.

ებრაელთა ნაციზმი ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგაც არის მიმართული, ის ყველას აშინებს. ისინი ებრძვიან ოჯახებს, იტაცებენ მათ სიმდიდრეს და ემუქრებიან მათ ღირსებას. თავიანთი საშინელი საქციელით ხალხს ექცევიან ომის ყველაზე საზარელი დამნაშავეებივით. საკუთარი მიწებიდან ხალხის დეპორტაცია მკვლელობის კიდევ ერთი ფორმაა.

ამგვარი საქციელის აღსაკვეთად აუცილებელია ხალხში სოციალური სოლიდარობის ჩამოყალიბება, მტერს ყველანი ერთიანად უნდა დავუპირისპირდეთ, როგორც ერთი ორგანიზმი: ერთ-ერთი ორგანოს დაზიანებისას, სხეულის დანარჩენი ორგანოები განგაშითა და შეშფოთებით უნდა პასუხობდნენ.

მუხლი ოცდამეერთე. სოციალური სოლიდარობა ითვალისწინებს ყველა გაჭირვებულის დახმარებას, მატერიალურსა და მორალურს; ასევე სხვადასხვა საქმის ერთად განხორციელებას. ჰამასის წევრებისთვის აუცილებელია ისევე დაიცვან მასების ინტერესები, როგორც საკუთარი. მათ არ უნდა დაზოგონ ძალისხმევა, რათა განახორციელონ და შეინარჩუნონ ეს ინტერესები; თავიდან უნდა აიცილონ თამაში ისეთ რამესთან, რაც გავლენას მოახდენს მომავალ თაობებზე ან ზიანს მიაყენებს საზოგადოებას. ის შედგება მასებისგან და მათთვის არის გამიზნული, ამიტომ მასების სიძლიერე [საბოლოო ჯამში] მათი სიძლიერეა, ასევე, საერთოა მათი მომავალიც. ჰამასის წევრებმა საზოგადოებას უნდა გაუზიარონ თავიანთი სიხარული და მწუხარება, გაითვალისწინონ ხალხის

მოთხოვნები და ყოველივე, რაც მათი საერთო ინტერესების განხორციელებას შეუწყობს ხელს. როდესაც ამგვარი განწყობა გაბატონდება, გაღრმავდება სიახლოვე, გაიმარჯვებს თანამშრომლობა და თანაგრძნობა, განმტკიცდება ერთობა, გაძლიერდება ბრძოლა მტერთან დაპირისპირებაში.

ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მტერს

მუხლი ოცდამეორე. მტრები დიდი ხნის განმავლობაში აწყობდნენ და სრულყოფდნენ თავიანთ გეგმებს, რათა მიეღწიათ იმისთვის, რასაც მიაღწიეს. მათ ისარგებლეს მოვლენების განვითარებით და შეაგროვეს უზარმაზარი და ეფექტური მატერიალური სიმდიდრე, რომელიც ჩადეს თავიანთი ოცნების განხორციელებაში. ამ სიმდიდრემ [საშუალება მისცა მათ], მოეპოვებინათ კონტროლი მსოფლიო მედიაზე, როგორიცაა ახალი ამბების სააგენტოები, პრესა, გამომცემლობები, ტელეგადაცემები და სხვ. [მათ ასევე გამოიყენეს ეს] სიმდიდრე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რევოლუციების დასაწყებად, რათა განეხორციელებინათ თავიანთი ინტერესები და მოემკათ ნაყოფი. ისინი იდგნენ საფრანგეთისა და კომუნისტური რევოლუციების უკან და არიან ორგანიზატორები იმ რევოლუციების უმრავლესობისა, რომელთა შესახებაც ჩვენ სხვადასხვა დროს გვესმის. მათ ეს ფული გამოიყენეს, ასევე, საიდუმლო ორგანიზაციების დასაარსებლად, რომლებიც ვრცელდება მთელ მსოფლიოში და მიზნად ისახავს საზოგადოებების განადგურებასა და მათი სიონისტური ინტერესების გატარებას. ასეთი ორგანიზაციებია: მასონების, როტარი კლუბები, და სხვ. ყველა მათგანი ძირგამომთხრელი ჯაშუშური ორგანიზაციაა. ფულით მათ მოიპოვეს იმპერიალისტური სახელმწიფოების კონტროლი და აიძულეს, კოლონიებად ექციათ ბევრი სხვა ქვეყანა, რათა შემდეგ ამ ქვეყნების სიმდიდრე თავად გამოეყენებინათ და იქაც გაევრცელებინათ თავიანთი კორუფცია.

რაც შეეხება ადგილობრივ და მსოფლიო ომებს, არავინ უარყოფს, რომ ისინი იდგნენ პირველი მსოფლიო ომის უკან, რათა გაენადგურებინათ ისლამური სახალიფო. მათ მიიღეს მატერიალური სარგებლობა, ერთპიროვნულად დაეუფლნენ ნედლეულს, მიიღეს ბალფურის დეკლარაცია და ჩამოაყალიბეს ერთა ლიგა, რათა ემართათ მსოფლიო ამ ორგანიზაციის მეშვეობით. ისინი იდგნენ, ასევე, მეორე

მსოფლიო ომის უკან, რომლის დროსაც, საომარი მასალებით ვაჭრობის შედეგად, უზარმაზარი შემოსავალი შეაგროვეს და თავიანთი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებელი პირობები მოამზადეს. მათი შთაგონებით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და უსაფრთხოების საბჭო ერთა ლიგის შესაცვლელად, რათა მათი მეშვეობით ემართათ მსოფლიო. არ ყოფილა ომი, რომელზეც მათ თავიანთი კვალი არ დეუტოვებიათ.

როგორც კი ისინი გააჩაღებენ ომის ცეცხლს, ალლაჰი [დაუყოვნებლივ] *აქრობს მას. ისინი მოქმედებენ დედამიწაზე და თესავენ ბიწიერებას და ალლაჰს არ უყვარს ბიწიერნი* (ყურანი. 5:64).

იმპერიალისტური ძალები კაპიტალისტურ დასავლეთსა და კომუნისტურ აღმოსავლეთი მხარს უჭერენ მტერს თავიანთი მთელი ძალებით, მატერიალური თუ ადამიანური შეწევნით, ურთიერთმონაცვლეობით. ისლამის გამოჩენისთანავე ურწმუნოთა ყველა ძალა ერთიანდება მის დასაპირისპირებლად, რადგან მათი საზოგადოება ერთიანია.

ო, თქვენ, ვინც იწამეთ! ახლობლებად ნუ მიიჩნევთ მათ, ვინც თქვენი ხალხიდან არაა. ისინი ძალისხმევას არ დაიშურებენ თქვენს გასანადგურებლად. სიძულვილია მათ ბაგეებზე, მაგრამ ის სიძულვილი, რაც მათ გულში იმალება, უფრო დიდია. ჩვენ განგიმარტეთ აიები, და ნეტავ გაგეგოთ ისინი (ყურანი. 3:118).

შემთხვევითი არაა, რომ აია სრულდება სიტყვებით; *ნეტავ გაგეგოთ ისინი!*

თავი IV

ჩვენი პოზიცია ისლამური მოძრაობების მიმართ

მუხლი ოცდამესამე. ჰამასი პატივისცემითა და მადლიერებით ეკიდება სხვა ისლამურ მოძრაობებს, მიუხედავად განსხვავებებისა ამა თუ იმ ასპექტში. არის თანხმობაც სხვა მრავალ საკითხში. ის მათ აღიქვამს, როგორც [ალლაჰის გულისთვის] დამაშვრალ მოძრაობებს, თუ აქვთ კარგი მიზნები, ემორჩილებიან ალლაჰს და თავსდებიან ისლამური სამართლის პარამეტრებში. ჯიჰადის ყველა მებრძოლი დაჯილდოვდება.

ჰამასი მნიშვნელოვნად თვლის ამ მოძრაობების როლს და ალლაჰს შესთხოვს ხელმძღვანელობასა (სულიერსა და სიტყვიერს) და მოქმედების ერთიანობას. ის აღმართავს ერთიანობის ალამს და არ დაზოგავს ძალისხმევას, რათა მიაღწიოს ერთობას ყურანისა და *სუნნას* საფუძველზე.

მოეჭიდეთ ალლაჰის თოკს [იგულისხმება ისლამი], *ნუ დაიშლებით* [მტრულ დაჯგუფებებად] (ყურანი. 3:103).

მუხლი ოცდამეოთხე. ჰამასი არ იძლევა პიროვნებებისა თუ ჯგუფების ლანძღვისა და გმობის უფლებას, რადგან მორწმუნენი არ არიან მლანძღველნი და ცილისმწამებელნი. თუმცა აუცილებელია, რომ განვასხვავოთ ეს ცალკეული პიროვნებებისა და ჯგუფების პოზიციებისა და საქმიანობისაგან; თუ ჰამასი შენიშნავს არასწორ ქცევას, მას აქვს *უფლება*, აღნიშნოს ეს შეცდომა, დაგმოს, გაასწოროს ის, და რეალურად მიიღოს მოცემული პრობლემის კონტექსტში. ჭეშმარიტება გარშემოა და მორწმუნემ უნდა მოიპოვოს იგი ყველგან, სადაც კი მოახერხებს.

ალლაჰს არ უყვარს, როცა ყველას გასაგონად ილანძღებიან, თუ ამას არ აკეთებს ის, ვინც უსამართლოდ დაისაჯა. ჭეშმარიტად, ალლაჰს ესმის და იცის, აშკარად თუ ფარულად კარგს ჩაიდენთ, ბოროტ საქციელს აპატიებთ თუ არა — სულ ერთია. ალლაჰი მიმტევებელია, ყოვლისშემძლე... (ყურანი, 4:148-149).

ნაციონალისტური მოძრაობები პალესტინის სარბიელზე

მუხლი ოცდამეხუთე. [ჰამასი] პატივის სცემს და ითვალისწინებს მათ გარემომცველ პირობებსა და ფაქტორებს, თუ ისინი არ არიან კომუნისტური აღმოსავლეთისა და ჯვაროსნული დასავლეთის ერთგულები. ჩვენ ვუმეორებთ ყველას, ვინც ამ მოძრაობათა ნაწილია: ჰამასი არის *ჯიჰადის*, ანუ მორალისა და ცხოვრების არსის შეგნების მოძრაობა. ის წინ მიიწევს სხვებთან ერთად, სძულს ოპორტუნიზმი, პიროვნებებსა და დაჯგუფებებს მხოლოდ კარგს უსურვებს. ის არ მიილტვის მატერიალური მონაპოვრებისა ან პირადი დიდებისათვის და არც საზღაურს მოითხოვს ხალხისაგან. იგი მოქმედებს ხელმისაწვდომ მატერიალურ წყაროებზე დაყრდნობით, [როგორც ნათქვამია] *განამზადეთ მათ* [ურწმუნოთა] *წინააღმდეგ ძალები, რამდენიც შეგიძლიათ* (ყურანი. 8:60), რათა შეასრულოთ

თქვენი ვალდებულება და მოიპოვოთ ალლაჰის კეთილგანწყობა; მას სხვა ამბიცია არ გააჩნია.

ყველა ეროვნულ მიმდინარეობას, რომლებიც პალესტინის განსათავისუფლებლად იღწვის პალესტინის მიწაზე, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ აუცილებლად მიიღებს მტკიცე მხარდაჭერასა და დახმარებას, სიტყვითა თუ საქმით, აწმყოსა და მომავალში, [რადგან hamasს სურს] გაერთიანება და არა დაყოფა; რათა დაიცვას და არ გაფლანგოს, ერთმანეთს დააკავშიროს და არა დააქუცმაცოს. იგი აფასებს თითოეულ კეთილ სიტყვას, ყველა თავდადებულ ძალისხმევასა და ღირსეულ მცდელობას. იგი კარს უხურავს უმნიშვნელო კამათს, არ აქცევს ყურადღებას ჭორებსა და ტენდენციურ განცხადებებს, იცის თავდაცვის უფლების შესახებ. ნებისმიერი რამ, რაც ეწინააღმდეგება ან უარყოფს ამ ორიენტაციას, მოწყობილია მტრის ან მათ მიერ, ვინც ცდილობს ქაოსის შემოტანას, ჩვენი რიგების დაყოფას ან ყურადღების გადატანას სხვა უმნიშვნელო საგნებზე.

ო, თქვენ, ვინც იწამეთ! თუ თქვენთან მოვა ცოდვილი ვინმე რაიმე ამბით, დარწმუნდით [რაშია საქმე], რათა ტყუილად არ დასაჯოთ ხალხი არცოდნის გამო, თორემ მერე მოგიწევთ მონანიება იმისა, რაც ჩაიდინეთ (ყურანი. 49:6).

მუხლი ოცდამეექვსე. მიუხედავად იმისა, რომ **ჰამასი** დადებითად აფასებს პალესტინის ეროვნულ მოძრაოებებს, რომლებიც არ არიან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთგულები, თავს მაინც არ იკავებს ადგილობრივ და საერთაშორისო სარბიელზე პალესტინის პრობლემასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ კამათისაგან. ეს დებატები რეალურია და ასახავს, თუ რამდენად შეესაბამება ან ეწინააღმდეგება ეს მოვლენები ეროვნულ ინტერესებს ისლამური უპირატესობის კონტექსტში.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია

მუხლი ოცდამეშვიდე. **პგრ ჰამასისათვის** ერთ-ერთი უახლოესია, რადგან ის მისი მამა, ძმა, ნათესავი და მეგობარია. განა შეუძლია მუსლიმს, ზურგი აქციოს საკუთარ მამას, ძმას, ნათესავსა ან მეგობარს? ჩვენი სამშობლო ერთია, ჩვენი უბედურება ერთია, ჩვენი ბედი ერთია და ჩვენი მტერი საერთოა. **პგრ**-მ მიიღო სეკულარული სახელმწიფოს იდეა მისი ჩამოყალიბების განმაპირობებელი

გარემოებებისა და იმ იდეოლოგიური შემოჭრის გავლენით, რომელმაც წალეკა არაბული სამყარო ჯვაროსანთა დამარცხების შემდეგ და რომელიც განახორციელა ორიენტალიზმმა და ქრისტიანულმა მისიამ. სეკულარული აზროვნება დიამეტრულად ეწინააღმდეგება რელიგიურ აზროვნებას. აზროვნება კი პოზიციის, ქცევის ნორმებისა და გადაწყვეტილებების საფუძველია. ამგვარად, მიუხედავად ჩვენი მადლიერებისა ***ჰგო***ს მიმართ და მომავალში მისი შესაძლო ტრანსფორმაციისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩრდილს არ ვაყენებთ მის როლს არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში, ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ პალესტინის ისლამური ხასიათი სეკულარული აზროვნების მიღებით. რადგანაც პალესტინის ისლამური ხასიათი ჩვენი რელიგიის ნაწილია და ნებისმიერი, ვინც ამას უარყოფს, დამარცხდება.

"ვინ უარყოფს იბრაჰიმის რელიგიას? მხოლოდ სულელი" (ყურანი, 2: 130).

როდესაც ***ჰგო*** ისლამს მიიღებს, როგორც მისი ცხოვრების პრინციპს, მაშინ გავხდებით მისი ჯარისკაცები, ნავთი იმ ცეცხლისათვის, რომელიც დაწვავს მტრებს. და სანამ ასე მოხდება, და ჩვენ ალლაჰს ვევედრებით, რომ ეს მალე მოხდეს, **ჰამას**ის პოზიცია ***ჰგო***-ს მიმართ ისეთივეა, როგორც ძისა მამის მიმართ, ძმისა ძმის მიმართ და ნათესავისა ნათესავის მიმართ, რომელიც განიცდის მეორის ტკივილს, როცა ეკალი შეესობა მას; მხარს უჭერს მტერთან დაპირისპირებისას და რომელსაც სურს მისი ხელმძღვანელობა...

შენი ძმა, შენი ძმაა. ვისაც ძმა არა ჰყავს, მსგავსია მეომრის, რომელიც უიარაღოდ მიდის საომრად. და იცოდე, შენი ბიძაშვილი მსგავსია ფრთების. და განა შევარდენს შეუძლია უფრთოდ ფრენა?

არაბული ქვეყნები და ისლამური მთავრობები

მუხლი ოცდამერვე. სიონისტური შემოჭრა მავნე მოვლენაა. საკუთარი სურვილების აღსასრულებლად ის არანაირ გზას, არც საძულველ და ამაზრზენ ხერხს არ ერიდება. ის დიდწილად ეყრდნობა მის მიერ ჩამოყალიბებულ საიდუმლო ორგანიზაციებს, როგორებიცაა მასონები, როტარი კლუბები და სხვა ჯაშუშური ასოციაციები. ყველა ეს საიდუმლო ორგანიზაცია, რომელთაგან ზოგიერთი ღიად მოქმედებს, იღწვის სიონისტური ინტერესებისათვის, მისი

მითითებებით ილტვის საზოგადოებების გასანადგურებლად, ღირებულებების დასანგრევად, პასუხის გაცემის უნარის მოსასპობად, კეთილსინდისერების შესარყევად და ისლამის გასაქრობად. იგი დგას ნარკოტიკებისა და ყველა სახის ტოქსიკური ნივთიერებების გავრცელების უკან, მასზე კონტროლის მოსაპოვებლად.

არაბულ სახელმწიფოებს, რომლებიც გარს არტყიან ისრაელს, მოეთხოვებათ, რომ საზღვრები გაუხსნან *ჯიჰადის* მებრძოლთ - არაბი და მუსლიმი ხალხის შვილებს, რათა მათ თავიანთი როლი შეასრულონ და საკუთარი ძალისხმევა შეუერთონ ძმებს - *მუსლიმ ძმებს* პალესტინაში.

სხვა არაბულ და მუსლიმურ სახელმწიფოებს კი მოეთხოვებათ, სულ მცირე მაინც, ხელი შეუწყონ *ჯიჰადის მებრძოლთა* გადაადგილებას. ჩვენ ყოველ მუსლიმს უნდა შევახსენოთ, რომ როდესაც ებრაელებმა დაიკავეს წმინდა იერუსალიმი 1967 წელს და იდგნენ დალოცვილი ალ-აკსას მეჩეთის კიბეებთან, სიხარულით ყვიროდნენ: *მუჰამედი მკვდარია, მას მხოლოდ ქალიშვილები დარჩა.*"

ისრაელი ისლამსა და მუსლიმებს უპირისპირდება იმით, რომ იგი ებრაულია, ებრაული მოსახლეობა ჰყავს. ასე რომ, არ დაუშვათ, რომ *სულმდაბალთა თვალებმა დაიძინონ.*

ეროვნული და რელიგიური ასოციაციები, ინსტიტუტები, ინტელიგენცია, არაბული და ისლამური სამყარო

მუხლი ოცდამეცხრე. ჰამასი იმედოვნებს, რომ ეს ასოციაციები მის გვერდზე დადგებიან, დაეხმარებიან, მიიღებენ მის პოზიციებს, ხელს შეუწყობენ მის საქმიანობასა და ღონისძიებებს, მოუწოდებენ სხვებს მათ მხარდასაჭერად, რათა გააქტიურდეს მუსლიმი ხალხისა და მის დამხმარეთა ძალა, გაძლიერდეს მისი სტრატეგიული სიღრმე სულიერ და მატერიალურ სფეროში, ასევე ინფორმაციაში, დროსა და სივრცეში. ამასთან, ისინი გამართავენ სოლიდარობის გამომხატველ შეხვედრებს, გამოუშვებენ განმარტებით პუბლიკაციებს, მხარდამჭერ სტატიებსა და პროკლამაციებს, რათა მასებმა უკეთ გააცნობიერონ პალესტინის საკითხი, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გეგმები; იდეოლოგიურ, საგანმანათლებლო და კულტურულ მობილიზაციას გაუკეთებენ მუსლიმ ხალხს, რათა მათ აღასრულონ თავიანთი როლი განთავისუფლებისათვის მიმართულ

გადამწყვეტ ომში, როგორც მანმადე ეს გააკეთეს ჯვაროსნების დამარცხების, თათართა განადგურებისა და ადამიანთა ცივილიზაციის გადარჩენისას. ყოველივე ეს ძვრიფასია ალლაჰისათვის!

ალლაჰმა ბრძანა: ისმინეთ! ჭეშმარიტად გავიმარჯვებთ მე და და ჩემი მოციქულები. ჭეშმარიტად, ალლაჰი დიდია, ყოვლისშემძლე. (ყურანი, 58:21).

მუხლი ოცდამეათე. მწერლებსა და მეცნიერებს, მედიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, მქადაგებლებს, მასწავლებლებსა და განმანათლებლებს, არაბული და ისლამური სამყაროს ყველა სექტორს მოვუწოდებთ, შეასრულონ თავიანთი როლი და ვალდებულება სიონისტური ექსპანსიის ბოროტების წინააღმდეგ, მისი გავრცელების, მატერიალურ საშუალებებსა და მედიაზე კონტროლის (ყველა მისი განშტოებით-მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში) მოპოვების წინააღმდეგ.

ჯიჰადი მხოლოდ იარაღის ასხმასა და მტერთან ბრძოლას არ ნიშნავს. მართებული სიტყვის წარმოთქმა, კარგი სტატიისა და სასარგებლო წიგნის დაწერა, მხარდაჭერისა და დახმარების გამოხატვაც *ჯიჰადია* ალლაჰის გზაზე, თუ გულწრფელია სურვილი, რომ ალლაჰის დროშა ყველაზე მაღლა ფრიალებდეს.

ისინი, ვინც ალლაჰის გზაზე საბრძოლველად განემზადდნენ, ითვლებიან, რომ ამ ბრძოლაში უკვე მიიღეს მონაწილეობა. ვინც წარმატებით განდევნა თავდამსხმელი თავისი სახლიდან, ასევე ითვლება, რომ მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში" (გადმოცემულია ბუხარის, მუსლიმის, აბუ დავუდისა და თირმიზის მიერ)

სხვა რელიგიების წარმომადგენლები

ჰამასი ჰუმანური მოძრაობაა

მუხლი ოცდამეთერთმეტე. ჰამასი ჰუმანური მოძრაობაა, რომელიც ზრუნავს ადამიანთა უფლებებზე და ისლამისთვის დამახასიათებელი შემწყნარებლობით ეკიდება სხვა რელიგიებს. ის მტრულადაა განწყობილი მხოლოდ მათ მიმართ, ვინც მისადმია მტრული, ან ცდილობს, შეაყოვნოს მისი მოძრაობა და ჩაშალოს მისი მონდომება.

ისლამის ჩრდილქვეშ შესაძლებელია სამი რელიგიის: ისლამის. ქრისტიანობისა და იუდაიზმის წარმომადგენლების თანაარსებობა მშვიდობასა და უსაფრთხოებაში. მშვიდობა და უსაფრთხოება იბატონებს მხოლოდ ისლამის ჩრდილქვეშ, ამის საუკეთესო მოწმეა წარსული და ახალი ისტორია.

სხვა რელიგიების წევრებმა უნდა შეწყვიტონ ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ ამ რეგიონში. რადგან მათ ბატონობას ბრძოლა, წამება და გაძევება მოსდევს; ისინი ართულებენ ცხოვრებას საკუთარი ხალხისთვის, რომ არაფერი ვთქვათ სხვა რელიგიების მიმდევრებზე. წარსული და აწმყო ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

ისინი არ შეგებრძოლებიან ყველანი ერთად, თუ არა გამაგრებული ადგილებიდან ან გალავნებიდან. მათი მეომრული სული მხოლოდ მათ წრეშია ძლიერი. შენ თვლი, რომ ისინი ერთნი არიან სულით, მაგრამ მათი გულები დაცალკევებულია, რადგანაც საღი აზრი არ გააჩნიათ (ყურანი, 59:14)

ისლამი ყველას აძლევს უფლებებს და კრძალავს სხვების უფლებების მიმართ აგრესიას. ნაცისტური სიონისტური პრაქტიკა ჩვენი ხალხის წინააღმდეგ დიდხანს არ გასტანს. "*ჩაგვრაზე აშენებული სახელმწიფო წუთიერია, ხოლო სამართლიანობაზე აშენებული სახელმწიფო იარსებებს განკითხვის დღემდე.*"

ალლაჰი არ გიკრძალავთ კეთილგანწყობასა და სამართლიანობას მათ მიმართ, ვინც არ გებრძოდათ რწმენის საფუძველზე და არ გაუძევებიხართ თქვენი სახლებიდან. ალლაჰი ხომ ყოვლისშემძლეა, ის მპატიებელი და მოწყალეა (ყურანი. 60:8).

პალესტინელი ხალხის იზოლაციის მცდელობა

მუხლი ოცდამეთორმეტე. თავხედური მანევრებითა და წინასწარ მოფიქრებული გეგმებით მსოფლიო სიონიზმი და იმპერიალისტური ძალები ცდილობენ, რომ არაბული სახელმწიფოები თანდათანობით ჩამოაშორონ სიონიზმთან კონფლიქტის წრეს და ამით პალესტინელი ხალხი საბოლოოდ მოექცეს იზოლაციაში. ეგვიპტე უკვე ჩამოშორდა კონფლიქტს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის კემპ დევიდის შეთანხმებებს; და ახლა ის ცდილობს, რომ სხვა ქვეყნებიც ჩაითრიოს მსგავს ხელშეკრულებებში, რათა ისინიც ჩამოაცილოს კონფლიქტის წრეს.

ᲰᲐᲛᲐᲡი მოუწოდებს არაბ და მუსლიმ ხალხს, სერიოზულად და დაუღლელად ეცადონ ამ საშინელი გეგმის ჩაშლას, მასები გააცნობიერონ სიონიზმთან ბრძოლის ჩამოცილების საშიშროებაში. დღეს პალესტინაა, ხოლო ხვალ შეიძლება სხვა ქვეყანა ან სხვა ქვეყნები იყვნენ... რადგან სიონისტურ გეგმებს დასასრული არა აქვს, პალესტინის შემდეგ ისინი ექსპანსიას ნილოსიდან ევფრატამდე განაგრძობენ. მხოლოდ იმ რეგიონის ათვისების შემდეგ, რომლებსაც ხელს დაადებენ, აგრძელებ ექსპანსიას. მათი გეგმა განსაზღვრულია სიონიზმის უფროსი თაობის ოქმებში და მათი დღევანდელი [საქმიანობა] ამის საუკეთესო დამადასტურებელია.

ისრაელთან კონფლიქტისგან ჩამოშორება დიდი ღალატია და წყეულიმც იქნებიან ამის ჩამდენნი.

ხოლო [მებრძოლნი], რომლებიც იმ დღეს ზურგს შეაქცევენ ურწმუნოებს, თუ არა ბრძოლაში მანევრირებისას და სხვა რაზმებთან შეერთების სურვილისა, დაიმსახურებენ ალლაჰის რისხვას და ჯოჯოხეთში მოხვდებიან. საშინელია ასეთი ბედი (ყურანი. 8:16)

აუცილებელია, გავაერთიანოთ ყველა ძალა და საშუალება ამ საძულველი ნაცისტურ-თათრული ინტერვენციის გასამკლავებლად. სხვაგვარად ჩვენ ვიქნებით მოწმენი [ჩვენი] ქვეყნების დაკარგვისა, მცხოვრებელთა ამოძირკვისა, დედამიწაზე კორუფციის გავრცელებისა და ყველა რელიგიური ღირებულების დაცემისა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ იგი პასუხს აგებს ალლაჰის წინაშე.

ვინც კი, თუნდაც, მცირე კეთილ საქმეს გააკეთებს, მოიმკის საზღაურს ამის გამო. და ვინც ბოროტ საქმეს ჩაიდენს, უმცირესსაც კი, შურისგებას იხილავს მისას (ყურანი, 99:7-8) .

მსოფლიო სიონიზმთან კონფლიქტში ᲰᲐᲛᲐᲡს თავი მოწინავე მებრძოლად და ავანგარადად მიაჩნია. იგი თავის ძალისხმევას უერთებს მათ, ვინც პალესტინის სარბიელზე აქტიურობს; მაგრამ არაბმა და მუსლიმმა ხალხმა და ისლამურმა ასოციაციებმა მთელ არაბულ და ისლამურ სამყაროში მეტი უნდა გააკეთონ, რათა უკეთ მოემზადონ ომით მოვაჭრე ებრაელებთან ბრძოლაში ახალი რაუნდისთვის...

ჩვენ მათ შორის ჩამოვაგდეთ ბოროტება და სიძულვილი განკითხვის დღემდე. როდესაც ისინი გააჩაღებენ ომის ცეცხლს, ალლაჰი ჩააქრობს მას. მათი ძალისხმევა მიმართულია დედამიწაზე ბიწიერებისკენ, ალლაჰს კი არ უყვარს ბიწიერნი (ყურანი, 5: 64).

მუხლი ოცდამეცამეტე. ჰამასი ეფუძნება იმ ძირითად კონცეფციებს, რომლებიც სამყაროს კანონებთან თანასწორი და ჰარმონიულია. ის მტრების წინააღმდეგ დაპირისპირებისა და *ჯიჰადის* ბედისწერის მორევშია - მუსლიმების, ისლამური ცივილიზაციისა და ისლამური წმინდა ადგილების, პირველ რიგში კი აკსას მეჩეთის დასაცავად. არაბ და მუსლიმ ხალხს, ასევე მათ მთავრობებს, საზოგადო და სახელმწიფო ორგანიზაციებს უნდა ეშინოდეთ ალლაჰის, მათი ჰამასის მიმართ დამოკიდებულებისა და ქცევის გამო. ალლაჰის ნების თანახმად, იყვნენ მისი მხარდამჭერები და თანაპარტიელები, რომლებიც დახმარებას დახმარებაზე გასწევენ, ალლაჰის განკარგულება განხორციელდება, რიგები გაიზრდება, *ჯიჰადის მებრძოლები* სხვა *მებრძოლებს* შეუერთდებიან და ეს მოხდება მთელ არაბულ სამყაროში, დაემორჩილებიან რა მოვალეობის გრძნობასა და მოწოდებას: *მოდი ჯიჰადისთვის*! ეს შეძახილი ღრუბლებს გაარღვევს ცაში და გამოძახილი ექნება, ვიდრე არ დასრულდება განთავისუფლება, დამარცხდებიან დამპყრობლები და გარდმოევლინება ალლაჰის ძლევა.

ჭეშმარიტად, ალლაჰი ეხმარება მათ, ვინც მას ეხმარება. ჭეშმარიტად, ალლაჰი ძლიერია, ყოვლისშემძლე (ყურანი, 22:40).

თავი V

ისტორიული დასაბუთება

მტერთან დაპირისპირება მთელი ისტორიის მანძილზე

მუხლი ოცდამეთოთხმეტე. ისტორიის გარიჟრაჟიდან მოყოლებული პალესტინა დედამიწის გულია, კონტინენტების შეერთების წერტილი, სიხარბის საგანი ხარბთათვის. მოციქული (ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება) ამ ფაქტზე თავის კეთილშობილურ ჰადისში ეუბნება თავის მიმდევარს მა'აზ იბნ ჯაბალს: *ო, მა'აზ, ალლაჰი აპირებს მოგანიჭოს გამარჯვება სირიაზე ჩემს შემდეგ,*

ალ-არიშიდან ევფრატადმე, მაშინ, როდესაც მისი მამაკაცები, ქალები და ბავშვები იცხოვრებენ იქ განკითხვის დღემდე. ისინი, რომლებიც აირჩევენ [ცხოვრებას] *სირიას ან პალესტინის სანაპიროზე, იქნებიან ჯიჰადის მდგომარეობაში განკითხვის დღემდე.*

არაერთხელ სცადეს ხარბებმა პალესტინის დასაკუთრება და თავიანთი სიხარბის დასაკმაყოფილებლად იქ ჯარებით შეიჭრნენ. მრავალი ჯვაროსანი დაეცა მას თავის სარწმუნოებითა და ჯვრების ფრიალით. მათ მოახერხეს მუსლიმთა დამარცხება დიდი ხნით და მუსლიმებმა ვერ შეძლეს მისი დაბრუნება, სანამ არ გაერთიანდნენ თავიანთი რელიგიური დროშის ქვეშ, ადიდეს ალლაჰი და წამოიწყეს *ჯიჰადი* სალაჰ ად-დინ ალ-აიუბის მეთაურობით, რომელიც დაახლოებით ორი ათეული წელი გაგრძელდა; და შემდეგ მოხდა აშკარა ძლევა, ჯვაროსნები დამარცხდნენ და პალესტინა განთავისუფლდა.

უთხარ (ო, მუჰამმად) მათ, ვინც არ იწამა: ძლეულ იქნებით და ჯოჯოხეთს შთახვალთ. ცუდია ეს თავშესაფარი (ყურანი. 3:12).

ეს განთავისუფლების ერთადერთი გზაა, ისტორიულ ცნობაში ეჭვი არაა. ეს სამყაროს წესი და არსებობის ერთ-ერთი კანონია. მხოლოდ რკინას შეუძლია რკინის დაბლაგვება, მხოლოდ ისლამის ჭეშმარიტ რწმენას შეუძლია დაძლიოს მათი მცდარი და ყალბი რწმენა. რწმენასთან შებრძოლება მხოლოდ რწმენით შეიძლება. საბოლოოდ, გამარჯვება დაჯავშნულია სიმართლისათვის და სიმართლე გაიმარჯვებს.

ჩვენს სიტყვაში ჩვენს მოციქულებს ვუთხარით, რომ აუცილებლად ექნებათ დახმარება. და ჭეშმარიტად, ჩვენი ლაშქარი ყოველთვის იმარჯვებს (ყურანი, 37:171-172).

მუხლი ოცდამეთხუთმეტე. ჰამასი თვალს ავლებს ისტორიას, სალაჰ ად-დინ ალ-აიუბის მიერ ჯვაროსანთა დამარცხებასა და პალესტინის განთავისუფლებას მათი ბატონობისგან; თათართა დამარცხებას აინ ჯალუთთან, მათი ძალების დამარცხებას კუტუზისა და აზ-ზაჰირ ბეიბარსის მიერ, არაბული სამყაროს გადარჩენას თათართა წალეკვისაგან, რომელმაც დაანგრია ადამიანური ცივილიზაციის ყველა ასპექტი. ჰამასმა ისწავლა ამ გაკვეთილებიდან და

მაგალითებიდან, რომ ამჟამინდელ სიონისტურ ინტერვენციას წინ უძღოდა ჯვაროსნული შემოჭრა დასავლეთიდან და თათართა - აღმოსავლეთიდან. რადგანაც მუსლიმები გაუმკლავდნენ ამ თავდასხმებს, მოემზადნენ საბრძოლველად და მათ დასამარცხებლად, მათ შეუძლიათ დაუპირისპირდნენ სიონისტთა შემოსევას და სძლიონ მას. ალლაჰს არ გაუჭირდება ეს, თუ ჩვენი მიზნები წმინდა, ხოლო გადაწყვეტილებები გულწრფელი იქნება; თუ მუსლიმები სასარგებლო გაკვეთილებს გამოიტანენ წარსულის გამოცდილებიდან, გათავისუფლდებიან იდეოლოგიური თავდასხმის გავლენისაგან და გაჰყვებიან თავიანთი წინამორბედების კვალს.

ეპილოგი

ჰამასი - ჯარისკაცებია

მუხლი ოცდამეთექვსმეტე. თავისი მოღვაწეობის გზაზე ჰამასი კიდევ ერთხელ იმეორებს და შეახსენებს ჩვენი მოსახლეობის თითოეულ წევრს - არაბსა და მუსლიმს, რომ ის საკუთარი თავისთვის არ ეძიებს დიდებას, მატერიალურ მონაპოვარსა ან სოციალურ სტატუსს. არ არის ის მიმართული არც ჩვენი ხალხის რომელიმე წარმომადგენლის წინააღმდეგ, მასთან შესაჯიბრებლად და შესაცვლელად. მსგავსი არაფერი ხდება. ის არასოდეს იქნება რომელიმე მუსლიმის ან იმ არამუსლიმის წინააღმდეგ, რომელსაც მასთან მშვიდობიანი არსებობა სურს აქ ან სადმე სხვაგან. ის მხოლოდ დახმარებას გაუწევს იმ ასოციაციებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ სიონისტი მტრისა და მის ორბიტაში არსებულთა წინააღმდეგ.

ჰამასი ემყარება ისლამს, როგორც თავისი ცხოვრების წესს, ესაა მისი რწმენა და განსჯის კრიტერიუმი. ყველა განურჩევლად მდებარეობისა, ჰამასი გახდება ყველა იმ ორგანიზაციის, სახელმწიფოსა ან დაჯგუფების ჯარისკაცი, რომელიც ისლამს ცხოვრების წესად მიიღებს.

ჩვენ ვევედრებით ალლაჰს, გვიხელმძღვანელოს და უხელმძღვანელოს სხვებს, გაგვიძღვეს და ჭეშმარიტებით განგვსაჯოს ჩვენ და ჩვენი ხალხი.

ჩვენო უფალო! ჭეშმარიტებით განგვსაჯე ჩვენ და ჩვენი ხალხი, რადგან შენ ხარ საუკეთესო მათ შორის, ვინც გადაწყვეტილებას იღებს (ყურანი, 7:89).

ჩვენი უკანასკნელი მოწოდებაა:

დიდება ალლაჰს, სამყაროთა უფალს

პალესტინა, 1409 წლის 1 მუჰარრამი/1988 წლის 18 აგვისტო

ლიტერატურის სია

1. გაჩეჩილაძე რ., *ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი და პოლიტიკა.* თბ., 2003.
2. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი. შემდგენლები: კუცია კ., მეტრეველი მ., სანიკიძე გ., სვანიძე მ., ჯაფარიძე გ. შესავლი წერილი და ხელმძღვანელობა გ. ჯაფარიძისა. თბ., 1999.
3. ლომოური, ნ., *პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბოლოს.* ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2005.
4. მენთეშაშვილი ზ., წინასიტყვაობა. *ახლო და შუა აღმოსავლეთი XX საუკუნის 90-იან წლებში - ახლო და შუა აღმოსავლეთი. ისტორია და თანამედროვეობა.* თბ., 2002, 5- 40.
5. მენთეშაშვილი ზ., ისრაელის პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი. - *ახლო და შუა აღმოსავლეთი. ისტორია და თანამედროვეობა.* თბ., 2002, 134-155.
6. ჟღენტი კ., *პალესტინა და პალესტინელები.* თბ., 1986.
7. სანიკიძე გ., ისლამური ფუნდამეტალიზმი. *ისლამი.* ენციკლოპედიური ცნობარი. თბ., 1999.
8. სანიკიძე გ., *ჰიზბ ალლაჰი. ისლამი.* ენციკლოპედიური ცნობარი. თბ., 1999.
9. სანიკიძე გ., ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში. თბ., 1999.
10. ჯაფარიძე გ., ალ-ბანა, ჰასან. - *ისლამი.* ენციკლოპედიური ცნობარი. თბ., 1999.
11. ჯაფარიძე გ., მუსლიმი ძმები. - *ისლამი.* ენციკლოპედიური ცნობარი. თბ., 1999.
12. ჯაფარიძე გ., ჯიჰადი.- *ისლამი.* ენციკლოპედიური ცნობარი. თბ., 1999.
13. ჯაფარიძე გ., ჰამასი. - *ისლამი.* ენციკლოპედიური ცნობარი. თბ., 1999.
14. ჯაფარიძე გ., ჯაფარიძე თ., ტერორი დადის ახლო აღმოსავლეთში. - გაზ. *სრულიად არასაიდუმლოდ.* მაისი. 1996.
15. ჯაფარიძე თ., დეკლარაცია პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების შესახებ. - *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, V, თბ., 1998, 337-353
16. ჯაფარიძე თ., სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-99 წლებში). *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, 7, თბ., 2000, 264-300.

17. ჯაფარიძე თ., მაჰმუდ აბასი და ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის ახალი პერსპექტივები. *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, 12, თბ., 2005, 337-356, 523..
18. ჯაფარიძე თ., ჰამასი – რადიკალური ისლამური მიმდინარეობა პალესტინაში. *თსუ ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.* თბ., 2005, 52-70, 161.
19. Абу Мазен (Махмуд Аббас). *Путь в Осло*. Человек подписавший соглашение, раскрывает тайны переговоров. М., 1996.
20. Андреев, В.В. Основные этапы эволюции политического лидерства в палестинском национально-освободительном движении. – *Политическая элита Ближнего Востока*. М., 2000. 5-17.
21. Даюб, Ш. Ближный Восток. Новый этап мирного урегулирования конфликта. – *Азия и Африка сегодня.* №12, 1996.
22. Ибрахим, Тауфик Камель. Сагедеев, В., Джихад. - *Ислам*. Энциклопедический словарь. Москва, 1991
23. Коран. Перевод с арабского и комментарий М.Н.Османова. М., 1995.
24. Косач, Г. Г. Политический ислам в Палестинском контексте движения Хамас. - *Исламизм и экстремизм на Ближнем Востоке*. Сборник статей. М., 2001, 111-145.
25. Краткая еврейская энциклопедия. т.3. Иерусалим, 1986.
26. Макаров, Д.В. Исламское Движение в Израиле: Опыт Деятельности в Местных Органах Власти. Арабский мир в конце XX века. - *Материалы 1-ой конференции арабистов Института востоковедения РАН*. М., 1996
27. Малышев, Д.А. Мадридская конференция начало мирного процесса. *Таврический национальный университет* Электронные издания. *Культура народов причерноморь я*. т. 38 .
28. Малышев, Д.А. Попытки политическоого урегулирования арабо-израильского конфликта Конференции в Вашингтоне и Осло (1992-1993 гг.) – *Таврический национальный университет* (Электронные издания). *Культура народов причерноморья*. т.48.
29. Ментешашвили, З. *Исламское возрождение на северном Кавказе и в Центральной Азии.* Тб., 1999.
30. Ментешашвили, З. Переговорные саммиты в Париже, Шарм аш-Шейхе и Кэмп-Дэвиде. კრ. საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. I, თბ., 2004, გვ. 573-587.
31. Палестино-израильский конфликт в 2002 году: цифры и факты. Представительство Российской Федерации при Палестинской национальной администрации. Январь, 2003.
32. Перес, Ш. *Новый Ближний Восток*. М., Прогресс, Гамма, 1994
33. Поляков, К.И.. Хасянов, А.Ж. Палестина. Перспективы независимости и проблема лидерства. *Политическая элита Ближнего Востока*. М., 2000, 146-152.
34. Саркисов, Д.М. Вопрос статуса Иерусалима – составная часть палестинской проблемы. *Материалы научной конференции. ЦНИОН АН ГССР*. Тб.,1985, 20-25.
35. Саркисов, Д.М. Международный религиозный статус-кво Иерусалима. *Материалы научной конференции. ЦНИОН АН ГССР*. Тб., 1985, 12-16.
36. Саркисов Д.М. Проблема Иерусалима в ООН. *Народы Азии и Африки*, №5, 1986, 84-97.
37. Сейранян, К. К вопросу о создании политической биографии Ясира Арафата. Арабский мир в конце XX века. - *Материалы первой конференции арабистов Института востоковедения РАН*. М., 1996, 62-68.

38. Хаммад, Ахмад. *Право народа Палестины на образование независимого государства*. Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук. Кишинев, 2004.
39. Чистяков А. Перемены на Ближнем Востоке и внешний мир. *Международная жизнь*, 2, 1994, 129-137.
40. Abu-Amr, Z. Hamas: A Historical and Political Background. *JPS* , XXII, no.4 (Summer 1993), 5-19.
41. Abu-Amr, Ziad . Report from Palestine. *JPS*, XXIV, no 2 (winter 1995), 40-47.
42. Andoni, L.The Palestinian Elections: Moving Toward Democracy or One-Party Rule? *JPS,* XXV, no.3 (Spring 1996), 5-16
43. After Bombing, New Scrunity for Holes in Immigration Net. *New York Times*, March 12, 1993.
44. Agreement on the Gaza Strip and the Jericho Area. *SD*, vol. 25(3), 1994, 359-364.
45. Aljuni, Salem. The Palestinian Economy and the Second Intifada. *JPS*, XXXII, no.3 (Spring 2003), 64-73.
46. Andoni, L. Refering Oslo: Negotiating the Hebron Protocol. *JPS,* XXVI, no.3 (Spring 1997), 17-30.
47. Arafat, the Definite Biography Written in Co-operation with Yasser Arafat, a Political Biography. London, 1994.
48. Agreement On the Gaza Strip and the Jericho Area - *SD*, Vol.25, 1994, 359-364.
49. Aronson, G. The Wye River Memorandum and Israeli Settlements, *SD*, 103-105.
50. Aronson, G. Understanding the Sharm el-Sheikh Memorandum. *The Conflict in the Middle East. Analyzing the Present, Prospects for the Future.* June 1999 to June 2000, 124-126
51. Aruri, N.H. Early Empowerment: The Burden not the Responsibility. *JPS*, vol.XXIV, no.2,1995, 33-39.
52. Aruri. N.H. The Wye Memorandum: Netanyahu's Oslo and Unreciprocal Reciprocity. *JPS,* XXVIII, no.2 (Winter 1999), 17-28.
53. Barsalou, Judy. Missing the Mark: Foreign Aid to the Palestinians. *MEP*. vol. X, no. 4 (Winter 2003), 48-56.
54. Bishara, Azmi. 4 May 1999 and Palestinian Statehood: To Declare or not to Declare? *JPS*, XXVIII, no.2 (Winter 1999), 5-16
55. Bishara, Azmi. Reflections on October 2000: A Landmark in Jewish-Arab Relations in Israel. *JPS*, XXX, no.3 (Spring 2001), 54-67.
55a. Bodansky Y.. *The High Cost of Peace: How Washington's Middle East Policy Left America Vulnerable to Terrorism*, Random House, 2002,
56. Bowker, Robert. Beyond Peace. The Search for Security in the Middle East. London, 1996.
57. Bregman, Ahron. *A History of Israel*. Hampshire; New York : Palgrave Macmillan, 2003.
58. Brown Nathan J. Constituting Palestine: The Effort to A Basic Law for the Palestinian Authority. *MEJ, vol.* . 54, no. 1, Winter 2000, 25-43.
59. Brynen, R. International Aid to the West Bank and Gaza: a primer. *JPS*, XXV, no.2 (Winter 1996), 46-53.
60. Brynen, R.Buying Peace? A Critical Assessment of International Aid to the West Bank and Gaza. *JPS,* XXV, no.3 (winter 1996), 79-91.
61. Cairo Press Review, 9.09, 1999.
62. Cairo Press Review, 10.09, 1999.
63. Cairo Press Review, 11.09, 1999.
64. Cairo Press Review, 14.09, 1999.
65. Cairo Press Review, 26.10.1999.
66. Cairo Press Review, 11.11.1999.
67. The Egyptian Gazette, 16.09.1999 (“Palestinians want W.Bank settlements evacuated".)

68. Charter of the Islamic Resistance Movement (HAMAS) of Palestine (The Charter was translated by Muhammad Maqdsi for the Islamic Association for Palestine, Dallas, Texas, in 1990) *JPS*, XXII, no.4 (Summer), 122-134.
69. Chronology. 16 May – 15 August 1998. Compiled by Kjorlien Michele L. *JPS*, XXVIII no.1 (Autumn 1998), 59-179.
70. Chronology.16 November – 15 February 1999. Compiled by Kjorlien Michele L. *JPS*, XXVIII no.3 (Spring 1999), 162-184.
71. Chronology.16 February – 15 May 1999. Compiled by Kjorlien Michele L. *JPS*, XXVIII, no. 4 (Summer 1999), 169-188.
72. Chronology.16 May – 15 August 1999. Compiled by Kjorlien Michele L. *JPS*, XXIX, no. 1 (Autumn 1999), 155-176.
73. Chronology.16 Fabruary – 15 May 2000 Compiled by Kjorlien Michele L. *JPS*, XXIX, no. 4 (Summer 2000), 168-187.
74. Chronology.16 August – 15 November 1999. Compiled by Kjorlien Michele L. *JPS*, XXXX, no. 2 (Winter 2000), 170-189 .
75. Chronology.16 August – 15 November 2000. Compiled by Kjorlien Michele L. *JPS*, XXX, no. 2 (Winter 2001), 191-217.
76. Chronology.16 November 2000 – 15 February 2001. Compiled by Kjorlien, Michele L. *JPS*, XXX, no. 3 (Spring 2001), 176-197.
77. Chronology. 16 February – 15 May 2001. Compiled by Kjorlien, Michele L. *JPS,* XXX, no. 4 (Summer 2001), 172-194
78. Chronology. 16 May – 15 August 2001. Compiled by Kjorlien, Michele L. *JPS*, XXXI, no. 1 (Autumn 2001), 154-178.
79. Chronology. 16 August – 15 November 2001 Compiled by Esposito, Michele. *JPS*, XXXI, no. 2 (Winter 2002), 169-192.
80. Chronology. 16 November 2001 – 15 February 2002. Compiled by Esposito, Michele. *JPS*, XXXI, no. 3 (Spring 2002), 172-194.
81. Chronology. 16 February – 15 May 2002. Compiled by Esposito, Michele K. *JPS*, XXXI, no. 4 (Summer 2002), 199-221.
82. Chronology. 16 May – 15 August 2002. Compiled by Esposito, Michele K. *JPS*, XXXII, no. 1 (Autumn 2002), 171-193.
83. Chronology. 16 August – 15 November 2002. Compiled by Esposito, Michele K. *JPS*, XXXII, no. 2 (Winter 2003), 172-194.
84. Chronology. 16 November – 15 February 2003. Compiled by Esposito, Michele K. *JPS*, XXXII, no. 3 (Spring 2003), 164-185.
85. Chronology. 16 February – 15 May 2003. Compiled by Esposito, Michele K. *JPS*, XXXII, no. 4 (Summer 2003), 186-207.
86. Chronology. 16 May – 15 August 2003. Compiled by Esposito, Michele K. *JPS*, XXXIII, no. 1 (Fall 2003), 172-192.
87. Chronology. 16 August – 15 November 2003. Compiled by Esposito, Michele K. *JPS*, XXXIII, no. 2 (Winter 2004), 191-209.
88. Cobban, Helena. *Israel and the Palestinians: Form Madrid to Oslo and Beyond, Israel under Rabin*, Edited by Robert O. Freedman, Oxford, 1995, 93-110.
89. *The Conflict in the Middle East. Analyzing the Present, Prospects for the Future.* The Center for the Policy Analysis on Palestine. Washington, DC. April 2001.
90. Cossali, Paul.The Jerusalem Issue. *MENA*, Europa Publications Limited. 1994, 60-65.
91. Cossali, Paul. Arab-Israeli Relations, 1967-97 (Based on an original article by Michael Adams, with subsequent additions by David Gilmour, Paul Happer and Steven Sherman). - *The Middle East and North Africa*, 1998. Forty-Fourth Edition. Europa Publications Limited.1998, 71-90.

92. Cossali, Paul. Arab-Israeli Relations, 1967-2000. *MENA*, 47th Edition. Europa Publications Limited. 2001, 53-94.
93. *The Danger of Islamic Fundamentalism, Background Material*, Israel Defense Forces, February 1993.
94. Declaration of Principles on Interim Self-Givernment Arrangements. *SD,* vol.25, 1994, 119-124.
95. Documentation: Israeli-palestinian Interim Agreement on the West Bank and the Gaza Strip, 28 September 1995. *SD***,** vol. 26, no. 4, December 1995, 469-478
96. Documents and Source Material. *JPS*, XXXI, no.4 (Summer 2002), 175-198 (B.3. Palestinian Council. Statement on Reform of PA Institutions, Ramallah, 16 May 2002, Excerpts).
97. Documents and Source Material: B4.Palestinian National Authority, list of members, 28 May 1994; C4.Yitzhac Rabin, speech to Knesset on Gaza-Jericho agreement, Jerusalem, 11 May 1994 (excerpts); C5.Commission of Inquiry into the Massacre at the Tomb of Patriarchs in Hebron, Report, Jerusalem, 26 June, 1994 (excerpts).
98. Documents and Source Material. Israel and the PLO, Agreement on Preparatory Transfer of the Powers and Responsibilities, Erez Checkpoint, Gaza, 29 August 1994. *JPS*, XXIV, no 2 (Winter 1995), 109-126.
99. Documents and Source Material. Israel and Jordan, Treaty of Peace Between the State of Israel and the Hashemite Kingdom of Jordan, signed on the Israeli-Jordanian border, 26 October 1994.- *JPS,* XXIV, no 2 (Winter 1995), 126-146.
100. Documents and Source Material. Amnesty International, "Trial at Midnight: Secret, Summary, Unfair Trials in Gaza", London, June 1995- *JPS* , XXV, no.1 (Autumn 1995), 141-147.
101. Documents and source material: Amnesty International, "Palestinian Authority: Prolonged Political Detention, Torture, and Unfair Trials," London, 2 December 1996 (excerpts). *JPS*, XXVI, no.3 (Spring 1997), 146-149.
102. Documents and Source Material. *JPS*, XXVII, no.3 (Spring 1998). pp.146-169 (A1.Middle East Peace Process; A2.Israel and the Palestine Authority. Memorandum of Security Understandings, 17 December 1997.
103. Documents and Source Material. *JPS*, XXVIII, no.2 (Winter 1999), 147-164 (Human Rights Watch, "An Analysis of the Wye River Memorandum"). New York, November 1998.
104. Documents and Source Material. *JPS*, XXX, no. 1 (Autumn 2000), 144-162 (Discussion on the Economic Policy Framework).
105. Documents and Source Material. *JPS*, XXX, no.3 (Spring 2001), 150-175 (A.UN Special Coordinator's Office (UNSCO), Report on the Economic Impact of the Confrontations in the Palestinian Territory, Gaza, 13 February 2001, Excerpts.
106. Documents and Source Material. *JPS*, XXXI, no.1 (Autumn 2001), 134-153 (A1. European Parliament, Resolution on the Situation in the Middle East, Strassbourg, France, 17 May 2001, Excerpts; B2. PLO, "Camp David Peace Proposal: Frequently asked questions, "Ramallah", July 2001).
107. Documents and Source Material. *JPS,* XXXI, no.4 (Summer 2002), 175-198.
